ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

სოფიო თოთიბაძე

გენდერული სტერეოტიპები და ზღაპარი

უნივერსიტეტის
გამომცემლობა

მონოგრაფიაში განხილულია ევროპულ და ქართულ ზღაპრებში ასახული გენდერული სტერეოტიპების ენობრივი და სოციალური გამოვლინებებები და მათი გავლენა როგორც პატარა, ისე ზრდასრული მკითხველის გენდერული მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე. წიგნი განკუთვნილია არა მხოლოდ სოციოლინგვისტებისთვის, არამედ ყველასთვის, ვისაც ზღაპარი თუ გენდერული პრობლემები აინტერესებს.

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამის ფარგლებში 2019 წელს დაცულ დისერტაციას.

The monograph discusses the linguistic and social manifestations of gender stereotypes reflected in European and Georgian fairy tales and their impact on the formation of the gender worldview of both young and adult readers. The book is intended not only for sociolinguists but also for anybody interested in fairy tales and gender issues.

The work represents a dissertation defended in 2019 within the framework of Ivane Javakhishvili Tbilisi State University PhD Program in Philology.

რედაქტორი: დარეჯან გარდავაძე
Editor: Darejan Gardavadze

რეცენზენტი: ნინო დარასელია
Reviewer: Nino Daraselia

გამოცემულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო საგამომცემლო საბჭოს გადაწყვეტილებით.
The book was published by the decision of Ivane Javakhishvili Tbilisi State University Publishing Board.

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2021
Ivane Javakhishvili Tbilisi State University Press, 2021

ISBN 978-9941-491-14-6

წინასიტყვაობა 9

შესავალი 11

გენდერი, როგორც ინტერდისციპლინური კვლევის ობიექტი 17

გენდერი, ფემინიზმი და ენა 17

გენდერის კვლევის ობიექტი და მეთოდები, გენდერის ინტერდისციპლინურობა 24

გენდერი, სქესი და ენა სოციოლინგვისტური პოზიციებიდან 26

გენდერი, ენა და ძალაუფლება 31

სოციალური კატეგორიები და გენდერული იდენტობა 35

სოციალური როლების თეორია 38

ზღაპარი, როგორც სოციოლინგვისტური ფენომენი 47

ზღაპრის ისტორია და დანიშნულება 47

ზღაპრის სოციოლინგვისტური და გენდერული ფუნქციები 57

პოლიტიკური დისკურსი და ზღაპარი 62

ზღაპრის როლი ბავშვის განვითარებაში 64

ევროპული და ქართული ზღაპრის სოციოლინგვისტური პარამეტრები 75

ევროპული ზღაპარი 75

ევროპული ზღაპარი, როგორც სოციოკულტურული ფენომენი და მისი ევოლუცია 78

ევროპული ზღაპრის სოციოლინგვისტური და კულტურული თავისებურებები 83

ბრიტანული ზღაპარი 129

გენდერული სტერეოტიპები ზღაპრებში. 166
მეთოდოლოგია 166
კვლევა-ექსპერიმენტი 167
ზოგადი დასკვნები 201
ზღაპარი 222
Gender as an Interdisciplinary Research Subject
(Theoretical Framework) 239
Sociolinguistic Analysis of European and Georgian Tales 241
Gender Stereotypes in Tales (Research-Experiment) 252

"It's not every day you hear a four-year-old say Prince Charming is a douchebag who's only holding Cinderella back."

Emma Chase, Tangled

წინასიტყვაობა

ზღაპარი, როგორც სოციოლინგვისტური ფენომენი, ასახავს და საშუალებას გვაძლევს, ჩავწვდეთ კონკრეტულ სოციუმში დამკვიდრებულ გენდერულ სტერეოტიპებს. ამასთან ერთად, ზღაპარი წარმოადგენს ერთ-ერთ პირველწყაროს, რომელიც ბავშვს ქალისა და მამაკაცის როლებისადმი სტერეოტიპულ მოლოდინებსა და ცრურწმენებს უყალიბებს.

ნაშრომში განხილულია ქართულ და ევროპულ ზღაპრებში გამოკვეთილი გენდერული სტერეოტიპების ენობრივი და სოციალური გამოვლინებები და მათი გავლენა როგორც პატარა, ისე ზრდასრული მკითხველის გენდერული მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე. კვლევის შედეგები ადასტურებს, რომ გაანალიზებულ ზღაპრებში მართლაც ჩანს ქალი პერსონაჟებისადმი სტერეოტიპული დამოკიდებულება, რაც გამოიხატება ქალის უპირატესად საოჯახო სივრცესთან ასოცირებით, მისი ინდივიდუალური და სოციალური ხმის ჩახშობით გარეგნული სილამაზის წინ წამოწევის ხარჯზე, ქალის კოგნიტიური შესაძლებლობების დაკნინებით. მასალის კვლევამ, ჰალიდეის (1985) მიერ მოწოდებულ კლასიფიკაციაზე დაყრდნობით, გამოავლინა, რომ ევროპულ და ქართულ ზღაპრებში ქალი პასიური, მწირი ან უარყოფითი გონებრივი შესაძლებლობის აღმნიშვნელი კოგნიტიური პროცესის გამომხატველიზმნებით არიან დახასიათებული, განსხვავებით მამაკაცი პერსონაჟებისგან, რომელთა ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური პორტრეტები აქტიური მოქმედების აღმნიშვნელი ზმნებითა და დადებითი კონოტაციის ლექსიკის გამოყენებით იხატება. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ზღაპრის ენაში ნარატივის გაშლის დროს გამოხატული სტილისტური ხერხებიც გენდერულად არის მარკირებული. საინტერესოა, ასევე, ზღაპრებში

ემოციის გამოხატვის სპეციფიკის კვლევაც, რომელიც ცხადყოფს, რომ პატარა მკითხველს ადრეული ასაკიდანვე ექმნება არაჯანსაღი მოლოდინი გენდერული როლების საზოგადოებაში გადანაწილებასთან მიმართებით.

მონოგრაფიის მეორე ნაწილში აღწერილი ექსპერიმენტით გამოვლენილია, თუ რამდენად სტერეოტიპულად აზროვნებენ სხვადასხვა კულტურისა თუ ასაკის ცდისპირები საზოგადოებაში გავრცელებულ სოციალურ-გენდერულ როლებთან დაკავშირებით.

მონოგრაფია ადასტურებს აზრს (Burton, 1982), რომლის მიხედვითაც ლინგვისტური (ჩვენს შემთხვევაში, სოციოლინგვისტური და სტილისტური) ანალიზი გვევლინება ენის საშუალებით და ენაში აგებული „რეალობის“ აღქმის ერთ-ერთ გზად. რადგანაც ზღაპარი ბავშვის განვითარებაში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს, აუცილებელია მკითხველისათვის თანამედროვე ზღაპრების მიწოდებაც, რომლებშიც, ტრადიციული ფორმებისაგან განსხვავებით, მოდიფიცირებული და პროგრესულად დანახულია ქალისა და მამაკაცის გენდერული როლები.

შესავალი

ზღაპრის შესწავლა სოციოლინგვისტური თვალსაზრისით გულისხმობს იმ სოციალური პრობლემების შესწავლასაც, რომლებსაც უმკლავდებოდა საზოგადოება ზღაპრის შექმნისა თუ დაწერის პერიოდში. შესაბამისად, ზღაპარი, როგორც სოციალური ფენომენი, აირეკლავს საზოგადოებაში ფესვგადგმულ სტერეოტიპებს, მათ შორის გენდერულ როლებსაც. ამიტომ, ზღაპარი შეიძლება მივიჩნიოთ სოციოლინგვისტური ცოდნის საბადოდ, რომელიც საშუალებას გვაძლევს იგი მრავალი განსხვავებული თვალთახედვიდან გავაანალიზოთ.

გენდერული კვლევები არასდროს ყოფილა ისეთი აქტუალური, როგორიც ახლაა, ოცდამეერთე საუკუნეში, როდესაც დემოკრატიული ქვეყნები ცდილობენ, შექმნან საზოგადოება, რომელშიც ქალსა და მამაკაცს ექნებათ თანაბარი უფლებები და, შესაბამისად, თვითრეალიზების თანასწორი შესაძლებლობა. რეალობა საკმაოდ განსხვავებულია – საზოგადოება დღემდე ოპერირებს ორივე სქესისთვის ფიქსირებული, წინასწარ განსაზღრული, ამავე დროს, განსხვავებული სტანდარტებით, რომელთა მიხედვითაც იმართება საზოგადოებრივი ცხოვრება. საზოგადოებისგან ავტომატურად მინიჭებული სოციალური როლები იპყრობს ადამიანის ცხოვრების ყველა ასპექტს და განსაზღვრავს მის ქცევას, პროფესიასა და ლინგვისტურ არჩევანსაც კი. შესაბამისად, უაღრესად მნიშვნელოვანია, საფუძვლიანად შევისწავლოთ და გავაანალიზოთ ისეთი სტერეოტიპების ნებისმიერი გამოვლინება, რომლებიც ხელს გვიშლიან, საზოგადოება თანასწორუფლებიანი გავხადოთ.

ზღაპარი, როგორც სოციოლინგვისტური ფენომენი, საშუალებას გვაძლევს, ჩავწვდეთ გენდერულ სტერეოტიპებს, რომლებიც ოდითგანვე გადაეცემოდა თაობიდან თაობას. მეტიც, ზღაპარი შეიძლება წარმოვიდგინოთ ერთ-ერთ პირველწყაროდ, რომელიც ბავშვს ქალისა და მამაკაცის როლებისადმი საზოგადოებაში ფესვგადგმულ სტერეოტიპულ მოლოდინებსა და ცრურწმენებს უყალიბებს.

მონოგრაფია შეისწავლის ევროპულ და ქართულ ზღაპრებში გენდერული სტერეოტიპების ენობრივ და სოციალურ გამოვლინებებს და მათ გავლენას როგორც პატარა, ისე ზრდასრული მკითხველის გენდერული მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე. აქედან გამომდინარე, ნაშრომის კვლევითი მიზანია, დაადგინოს:

(1) რა ლინგვისტური არსენალი გამოიყენება მდედრობითი და მამრობითი პერსონაჟების აღსაწერად ზღაპარში და ჩანს თუ არა ავტორის ლინგვისტურ არჩევანში სტერეოტიპული მიდგომა – არიან თუ არა მდედრობითი პერსონაჟები დახასიათებული, უპირატესად პასიური, ხოლო მამრობითი პერსონაჟები – აქტიური მოქმედების აღმნიშვნელი ლინგვისტური ხერხებით;

(2) ნარატივის გაშლის დროს, როგორ ლინგვისტურ არჩევანს აკეთებენ პერსონაჟები, რამდენად განსაზღვრავს ეს არჩევანი თავად პერსონაჟსა და მის ხასიათს.

(3) როგორ არიან წარმოჩენილი როგორც ქალი, ისე მამაკაცი პერსონაჟები და რა გენდერულ/სოციალურ როლებს გამოხატავენ ისინი ზღაპრებში;

(4) იკვეთება თუ არა გენდერული სტერეოტიპები ევროპულ და ქართულ ზღაპრებში და რა სავარაუდო მიზეზით შეიძლება იყოს გამოწვეული მათი საერთო თუ განსხვავებული თემატიკა;

(5) გარდა ამისა, ნაშრომში აღწერილი და გაანალიზებულია ქალი და მამაკაცი პერსონაჟების სოციოლინგვისტური ხასიათის კვლევა ძველი და თანამედროვე, საავტორო, ლიტერატურული ზღაპრების შედარების საფუძველზე;

(6) დადგენილია გენდერული თვალსაზრისით დისკრიმინაციული ლექსიკის აქტუალიზაცია ევროპულ და ქართულ ზღაპრებში.

ნაშრომის ექსპერიმენტული ნაწილი მიზნად ისახავს, გაანალიზებული ზღაპრების დისკურსისა და ლექსიკური ერთეულების საფუძველზე გამოავლინოს, რამდენად სტერეოტიპულად აზროვნებს როგორც ქართული, ისე ევროპული საზოგადოება; აისახება თუ არა განსხვავებული მიდგომები სტერეო-

ტიპებისადმი და მათი რღვევა საზოგადოებების განსხვავებულ ასაკობრივ თუ კულტურულ ჯგუფებში.

მონოგრაფიის ემპირიული ბაზა მოიცავს ძველ და თანამედროვე ევროპულ და ქართულ ზღაპრებს. შესწავლილი 346 ზღაპრიდან მონოგრაფიაში გაანალიზებულია 31 ზღაპარი. გარდა ამისა, დამატებით განხილულია 4 ზღაპრის (წითელქუდა, კონკია, მძინარე მზეთუნახავი, რაპუნცელი, 15 ვერსია, რაც, შესაბამისად, ქმნის 46 ქვემოთ ჩამოთვლილ ზღაპარს:

ევროპული ზღაპრები

1. წითელქუდა
1. Little Red Riding Hood – Charles Perrault
2. Little Red Cap – Jacob and Wilhelm Grimm
3. Little Red Hood – Germany/Poland
4. Little Red Hat – Italy/ Austria
5. The Grandmother – France
6. The True History of Little Golden-Hood – Charles Marelles

2. კონკია
1. The Cinder Maid – Europe, Joseph Jacobs
2. Cinderella or The Little Glass Slipper – France, Charles Perrault
3. Cinderella – Germany (Jacob and Wilhelm Grimm)

3. მძინარე მზეთუნახავი
1. Giambattista Basile – Sun, Moon, and Talia (Italy)
2. Charles Perrault – The Sleeping Beauty in the Wood (France)
3. Jacob and Wilhelm Grimm – Little Brier-Rose (Germany)

4. რაპუნცელი
1. Rapunzel – Jacob and Wilhelm Grimm
2. Parsley [Petrosinella] – Italy
3. Parsillette – France
1. Princess Canterbury – Joseph Jacobs

2. The White Lady – Joseph Jacobs
3. Little Maia – Andrew Lang, Joseph Jacobs
4. Earl Mar's Daughter – Joseph Jacobs
5. The Golden Ball – Joseph Jacobs
6. Lame Molly (folklore)
1.The Story of the Three Bears – Robert Southey

ქართული ზღაპრები

1. ანანა
2. მზექალა და მზევარდა
3. ვაჟად ქცეული ქალი
4. ვინც საქმე გააკეთა, პურიც იმანა ჭამოს
5. ზნიანი ქალი
6. ხელმწიფე და გლეხის ქალი
7. პატარძალი
8. ჯეელი მოსამართლე და მისი ცოლი
9. ოქრუა
10. ჭკვიანი რძალი
11. ტყუილი ტირილი
12. ცოლის მორჯულება
13. მენახირის ქალი
14. ღარიბი გლეხი და უჭკუო ცოლი
15. რძალ-მაზლის ამბავი
16. მთის გული
17. მზის მეომარი მაია
18. მაგრამ ასე ერჩია
19. ამბავი პრინცესა მართა-მარიამისა
20. მაღალი და დაბალი ქვაბები და ცაში გაფრენა

ნაშრომის ძირითადი თეორიული ბაზა ეფუძნება სოციო-ლინგვისტიკის (Lakoff, R. (1975). Language and Woman's Place; Mills, S. (2003) – Gender and Politeness; Tannen, D. (1990). You just don't Understand: Women and men in conversation; Levorato, A. (2003).

Language and Gender in the Fairy Tale Tradition: a linguistic analysis of old and new story-telling; Paterson, K. (2014). It's harder to catch a boy because they're tougher: Using fairytales in the classroom to explore children's understandings of gender; Baker-Sperry, L. (2007). The production of meaning through peer interaction: Children and Walt Disney's Cinderella), ტექსტისა და კორპუსის ანალიზის (Stubbs, M. (1996a). Text and corpus analysis; Stubbs, M. (1996). Computer-Assisted Text and Corpus Analysis: Lexical Cohesion and Communicative Competence; Leeuvwen, T. van. (1995). The Representation of Social Actors; Halliday, M. A. K., & Matthiessen, C. M. I. M. (2014). *Hallidays Introduction to functional grammar.*) სოციოლოგიისა და ფსიქოლოგიის (Tajfel, H. (1981): Human Groups and Social Categories; Tomasello, M. (1999). *The cultural origins of human cognition;* Weatherall, A & Gallois, C. (2003). Gender and identity: Representation and social action; Williams, Jennifer A., & Giles, Howard (1978). The changing status of women in society) სფეროში გამოქვეყნებულ ფუნდამენტურ თეორიებსა და კვლევებს.

საჭიროა აღინიშნოს, რომ მონოგრაფიაში ზღაპარი შესწავლილია თვისობრივი ანალიზის მეთოდზე დაყრდნობით. პირველ ყოვლისა, დადგენილია, ტექსტში ყველაზე ხშირად გამოყენებული ლექსიკური ერთეულების კატეგორია და გამოვლენილია, მეტყველების რა ნაწილები გამოიყენება მთავარი პერსონაჟების აღწერისას. ასევე, თუ რა ლექსიკურ ერთეულებს ირჩევს ავტორი საკუთარი თუ პერსონაჟების აზრის გამოხატვისას და იკვეთება თუ არა ზოგადი ტენდენცია მათ არჩევანში გენდერული თვალსაზრისით. გმირთა მოქმედებისა ან გარეგნობის აღწერის ტიპოლოგიის დახასიათებისას ვეყრდნობით „პირდაპირი" და „ირიბი" ზმნების ჰალიდეის მიერ მოწოდებულ კლასიფიკაციას (ჰალიდეი, 1985, 2014). ჰალიდეის დიქოტომიით განსაზღვრულია აქტიური და პასიური აქტანტები. მონაცემების სიხშირის გამოთვლის შემდეგ შედარებულია და გამოკვლეულია, რამდენად აძლიერებს კვლევის შედეგად მოპოვებული მასალა საზოგადოებაში არსებულ სტერეოტიპს, რომლის მიხედვითაც ქალი წარმოდგენილია პასიურ პერსონაჟად და,

ასევე, რა შემთხვევაში ხდება ქალი აქტიური ქმედების ინიციატორი, რაც ხელს უწყობს სტერეოტიპის რღვევას. ამ შემთხვევაში, ნაშრომი ეყრდნობა კვლევის შედარებით-შეპირისპირებით მეთოდს.

რაც შეეხება ნაშრომში აღწერილ და გაანალიზებულ კვლევა-ექსპერიმენტს, მასალა მოპოვებული და გაანალიზებულია როგორც თვისობრივი, ისე რაოდენობრივი კვლევის მეთოდების გამოყენებით. კვლევისას გამოყენებულია ელექტრონული კითხვარი, რომელიც შეავსო კვლევის ყველა მონაწილემ. გარდა ამისა, ექსპერიმენტის პირველი სამიზნე ჯგუფი (სკოლის მოსწავლეები) გამოიკითხა როგორც ჩაღრმავებული, ისე ჯგუფური ინტერვიუებისა და ჯგუფზე დაკვირვების მეთოდების გამოყენებით.

მონოგრაფიის მეცნიერულ სიახლეს განაპირობებს ის ფაქტი, რომ ქართულ სამეცნიერო სივრცეში პირველად ჩატარდა ძველი და თანამედროვე ევროპული და ქართული ზღაპრების გენდერული პრობლემების შედარებითი სოციოლინგვისტური და, გარკვეულწილად, კულტუროლოგიური ანალიზი, რომელიც აღნუსხავს, იკვლევს და აანალიზებს იმ ენობრივ არსენალს, რომელიც ხსენებული პრობლემებისთვის არის დამახასიათებელი. ნაშრომში მიღებული შედეგები და დასკვნები კი, ჩვენი აზრით, შეიძლება იქცეს ერთ-ერთ საშუალებად გენდერულად მარკირებული, ზოგიერთ შემთხვევაში დისკრიმინაციული ლექსიკური ერთეულების გამოყენების სიხშირის შესამცირებლად საზოგადოებაში და ზოგადად გენდერული უთანასწორობის დასაძლევად.

გარდა ამისა, მონოგრაფიაში განხილული თეორიული და პრაქტიკული პრობლემატიკა და მიღებული დასკვნები დააინტერესებს სტილისტიკის, ლექსიკოლოგიის, თარგმანის თეორიის, სოციოლინგვისტიკისა და ფოლკლორის მოყვარულ წრეებს. განხილული თემატიკა საინტერესოა, ასევე, ზოგადად, გენდერითა და გენდერული სოციალური როლებით დაინტერესებული მკითხველისთვის.

გენდერი, ფემინიზმი და ენა

გენდერთან დაკავშირებული საკითხები, როგორც საკვლევი თემა, მას შემდეგ გახდა პოპულარული, რაც ტექნოლოგიების განვითარებისა და გლობალიზაციის შედეგად აღმოჩნდა, რომ მსოფლიოს მოსახლეობის უმეტესობას არათანაბარ პირობებში უწევს ცხოვრება. გენდერის ცნება პირველად სწორედ ენათმეცნიერებაში იქნა შემოტანილი და შემდგომ განვითარდა, როგორც ენისა და გენდერის ურთიერთკავშირის კვლევა, რომელიც ისეთ საკითხებს ეხება, როგორებიცაა გენდერული განსხვავებების ასახვა კომუნიკაციისას და მათი სოციალური პირობებით განპირობებულობა ენაში (ნაშიროი, ტანენი, ჰოლმსი, კრამერი, უესტი და ზიმერმანი და ა.შ.).

როგორც ცნობილია, გენდერული როლები პრეისტორიული პერიოდიდანვე გადანაწილდა, როდესაც მამაკაცს დაევალა ნადირობა და ქალის დაცვა; ქალს კი, ბიოლოგიური როლიდან გამომდინარე, სახლში დარჩენა და ბავშვების გამოკვება. ამის შედეგად, დროთა განმავლობაში, ქალის სოციალური ფუნქცია სახლთან ასოცირდა, ხოლო მამაკაცი სოციალურ სფეროში უფრო დომინანტური გახდა. გარდა ამისა, ადამიანის, როგორც საზოგადოებრივი არსების ჩამოყალიბებაში დიდი როლი ითამაშა არა იმდენად ადამიანის ბიოლოგიურმა სქესმა, არამედ იმ როლებმა, რომელთაც საზოგადოების წევრებს საზოგადოებავე უწესებს და აქცევს მათ ქალურად (ფემინინურად) ან მამაკაცურად (მასკულინურად). გენდერული როლი მოაქცევს საზოგადოების წევრებს იმ ჩარჩოებში, რომლებიც მიჩნეულია ამა თუ იმ კულტურის წარმომადგენლისთვის მისაღები ქცევის ნორმად. აღსანიშნავია, რომ ჰოფსტედე ნაშრომში „კულტურათა თეორია“ (1991) გამოყოფს მასკულინურ და ფემინინურ კულტურებს.

მამაკაცური (მასკულინური) კულტურებისთვის დამახასიათებელია ძლიერი მამაკაცისა და ქალის არსებობა. ასეთ საზოგადოებაში ორივე გენდერი ხასიათდება ამბიციურობითა და კონკურენტუნარიანობით. მეორე მხრივ, ფემინინური კულტურის წარმომადგენელი ქალებიცა და მამაკაცებიც შედარებით არაძალისმიერი ღირებულებების მქონენი არიან. აქედან გამომდინარე, როგორც ავტორი გვთავაზობს, ქალური კულტურის წარმომადგენელი მამაკაცები უფრო ფემინიზირებულნი არიან, ვიდრე ქალები მამაკაცურ კულტურაში (ჰოფსტედე, 1991).

1970-იან წლებში ლინგვისტებისა და ფსიქოლოგების ყურადღება მიიპყრო ქალისა და მამაკაცის ენამ და აქტიურად დაიწყო გენდერთან დაკავშირებულ ენობრივ განსხვავებებზე საუბარი და კვლევა. ამ პრობლემატიკით დაინტერესებულ მეცნიერთა შორის იყვნენ: რობინ ლეიკოფი, რომელსაც მიაჩნდა, რომ ქალის გენდერული ენა, მამაკაცის გენდერულ ენასთან შედარებით, განუვითარებელი იყო. თორნი, რომელსაც საპირისპირო აზრი ჰქონდა, ამტკიცებდა, რომ სწორედ მამაკაცის გენდერული ენა იყო „ნაკლული" და ქალის გენდერული ენა ბევრად აღემატებოდა მას (გუ. 2013). რობინ ლეიკოფი სტატია „ენა და ქალის ადგილში" (Language and Woman's Place) (1975) ენას განიხილავს, როგორც სტერეოტიპების გამავრცელებელს, და ამტკიცებს, რომ ენას ქალის ლინგვისტური დისკრიმინაცია ხელეწიფება. ეს კი განპირობებულია ორი მიზეზით – უპირველესად იმით, თუ როგორ ვსწავლობთ ენის გამოყენებას გარკვეულ კონტექსტში და, ასევე, იმით, თუ როგორ ვიყენებთ მას, კონკრეტულად ქალის მიმართ. საინტერესოა, რომ ერთსა და იმავე სიტყვას, იმის და მიხედვით, თუ რა როლს თამაშობს გენდერული პრობლემა საზოგადოებაში, შეიძლება განსხვავებული მნიშვნელობა ჰქონდეს, როდესაც იგი გამოიყენება მამაკაცისა და ქალის მიმართ. ასევე, ერთი და იგივე წინადადება შეიძლება განსხვავებულად იყოს აღქმული იმის მიხედვით, თუ ვინ წარმოთქვამს მას – ქალი თუ მამაკაცი. ეს, ბუნებრივია, განპირობებულია საზოგადოებრივი სტერეოტიპებით, რომლებიც განსაზღვრავს, თუ რა შეეფერება ქალს და რა – მამაკაცს. ლე-

იკოფი იყენებს ტერმინს „ქალთა ენა“ (women's language), რომელიც აღნიშნავს როგორც ენას, რომელსაც იყენებენ ქალები, ისე ენას, რომელსაც მამაკაცები იყენებენ ქალის მიმართ და მის აღსაწერად. ლეიკოფი მიიჩნევს, რომ თუ გოგონა შეეცდება უხეში სემანტიკის ლექსიკით ლაპარაკს, მას დასცინებენ ან უსაყვედურებენ მაშინ, როცა ბიჭისთვის ამგვარი ქცევა სრულიად ნორმალურად ითვლება. მეტიც, ენის საშუალებით ქალებს მუდმივად უზღუდავენ ძალაუფლებას. ლეიკოფი (1975) ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ამ პროცესში უდიდეს როლს ასრულებს ენა და მისი მეშვეობით დანერგილი სტერეოტიპები. საინტერესოა, რომ ქალთა ენა გრამატიკის ყველა ფუნქციურ ასპექტს მოიცავს. კერძოდ, ქალისა და მამაკაცის საუბარში განსხვავება აღინიშნება ლექსიკური ერთეულებისა და სინტაქსური კონსტრუქციების არჩევასა და მათ გამოყენებაში. როგორც ლეიკოფი (1975) აღნიშნავს, ხშირად შეინიშნება განსხვავებები ქალთა და მამაკაცთა ლინგვისტური არჩევანის თვალსაზრისით. ეს განსხვავებები განსაკუთრებით აშკარაა, მაგალითად, ფერებზე საუბრისას ქალების მიერ „უმნიშვნელო“ სიტყვებისა თუ „კუდი კითხვების“ (tag questions) გამოყენებისკენ მიდრეკილებაში, ასევე, საინტერესოა, რომ, როგორც აღინიშნა, სქესებს შორის არჩეულ ლინგვისტურ ფორმებს შორის განსხვავება შეიძლება გამოიხატოს სინტაქსურ დონეზეც. ცნობილი ფაქტია, რომ ქალები და მამაკაცები განსხვავებულად აღიქვამენ ფერებს და ორივე გენდერის თეზაურუსში ფერების აღმნიშვნელი სიტყვების განსხვავებული რაოდენობაა თავმოყრილი. ლეიკოფი (1975) ირწმუნება, რომ ამ გარემოების დასაბამი მამაკაცების ფსიქოლოგიაში უნდა ვეძიოთ. საქმე ის არის, რომ მამაკაცებს მიაჩნიათ, რომ ფერები და სხვა „უმნიშვნელო საკითხები“ უფრო ქალური თემატიკაა და, შესაბამისად, მათ ნაკლებ ყურადღებას აქცევენ. მამაკაცების აზრით, იქიდან გამომდინარე, რომ ქალებს არ უწევთ ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე ფიქრი, როგორებიცაა სამსახური თუ პოლიტიკა, მათ შეუძლიათ, დრო დახარჯონ ისეთ თემებზე, როგორებიცაა კედლის ფერის არჩევა მეორე მხრივ, ბუნებრივია, შესაძლებელია არსებობ-

დეს გამონაკლისი შემთხვევებიც იმისდა მიხედვით, თუ რა სფეროში მოღვაწეობენ ქალები და მამაკაცები. მაგალითად, მხატვარი ან დიზაინერი მამაკაცისთვის, ბუნებრივია, ფერთა გამის ცოდნა პროფესიული მოვალეობაა. ასევე, საინტერესოა, რომ მეცნიერი მამაკაცების საუბარს ხშირად ამსგავსებენ „ქალთა ენას", რადგანაც მათი საქმიანობა არ არის ისეთი „მამაკაცური", როგორიც, მაგალითად, გადამზიდი მანქანის მძღოლისა. აკადემიური სფეროს წარმომადგენელი მამაკაცების საუბრის მანერა და ლექსიკური არსენალი შეიძლება დაცინვის საგანიც გახდეს მაჩოისტური მამაკაცების მხრიდან. ლეიკოფი (1975) გვთავაზობს სიტუაციას, როდესაც აკადემიურ სფეროში დასაქმებული მამაკაცი მანქანის მძღოლს „ქალთა ენისთვის" დამახასიათებელი ლექსიკური ერთეულით (lovely) უქებს ქუდსს 'what a lovely hat!'. ბუნებრივია, ეს მძღოლის გადმოსახედიდან სასაცილოა.

ფერების აღმნიშვნელი ლექსიკის გარდა, გენდერული განსხვავებები მამაკაცისა და ქალის დისკურსში გამოიხატება ნაწილაკების ხმარების სიხშირისა და ტიპის მეშვეობით, რომლებსაც გრამატიკოსები ხშირად „უმნიშვნელო სიტყვებს" უწოდებენ. უნდა აღინიშნოს, რომ, სახელწოდების მიუხედავად, ისინი ნამდვილად დიდ როლს ასრულებენ ლინგვისტური ანალიზისას, რადგანაც აღნიშნავენ გამონათქვამის სოციალურ კონტექსტს, მიგვანიშნებენ მოსაუბრის განწყობაზე თანამოსაუბრისა და საუბრის თემის მიმართ. გარდა ამისა, ნაწილაკებზე დაკვირვებისას მარტივია იმის გარკვევაც, თუ ვინ წარმოთქვა ესა თუ ის წინადადება – ქალმა თუ მამაკაცმა. ლეიკოფმა (1975) ჩაატარა ექსპერიმენტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ცდის პირებმა, რომელთათვისაც ამერიკული ინგლისური მშობლიური ენა იყო. მათ უნდა გამოეცნოთ, რომელ სქესს შეეძლო მოცემული წინადადებების წარმოთქმა:

ა) ღმერთო, არაქისის კარაქი ისევ მაცივარში შეგიდგამს.
Oh dear, you've put the peanut butter in the refrigerator again.
ბ) ჯანდაბა, არაქისის კარაქი ისევ მაცივარში შეგიდგამს.
Oh shit, you've put the peanut butter in the refrigerator again.

კვლევის შედეგებმა 'ა' წინადადება აშკარად მიაკუთვნა ქალის ენას, ხოლო 'ბ' წინადადება, შესაბამისად, მამაკაცის ენას. ამით კი ლეიკოფი ასკვნის, რომ ხსენებულ ნაწილაკებს აქვთ ფუნქცია, გამოხატონ, რამდენად აძლევს მოსაუბრე თავს უფლებას, გადმოსცეს ემოცია და მისი ინტენსივობა, გარდა ამისა, ისინი ხასიათდებიან გამოხატული სოციალური ფუნქციითაც. საინტერესოა, რომ მსგავსი შედეგი აჩვენა სიგლერისა და სიგლერის (1976), ფიშმანის (1980) და პრაისლერის (1986) კვლევებმაც.

ლეიკოფის (1975) აზრით, ასევე არსებობს ზედსართავი სახელები, რომლებიც შეიძლება იყოს აშკარად „მამაკაცური", „ქალური" ან ნეიტრალური. მაგალითად, ისეთ ზედსართავებს, როგორებიცაა great, terrific, cool ორივე სქესი იყენებს, ხოლო ზედსართავები, როგორებიცაა adorable, charming, sweet, lovely, უმეტესად, ქალთა ენისთვისაა დამახასიათებელი.

რაც შეეხება სინტაქსს, ბუნებრივია, არ არსებობს რაიმე სინტაქსური სტრუქტურა, რომელსაც მხოლოდ ქალები ან მხოლოდ მამაკაცები იყენებენ, თუმცა ლეიკოფის მიხედვით, არსებობს გარკვეული მეტყველების ნაწილები, რომლებსაც ქალები უფრო ხშირად იყენებენ, ვიდრე მამაკაცები. ავტორის აზრით, ეს კვლავ სოციალური კონტექსტით არის განპირობებული, ანუ დამოკიდებულია იმაზე, თუ რა პოზიცია და სტატუსი აქვს მოსაუბრეს საზოგადოებაში. სინტაქსურ სტრუქტურაში, რომელზეც ლეიკოფი საუბრობს, იგულისხმება ე.წ. „კუდი კითხვები", რომლებსაც ლინგვისტები (ტანენი, ლეიკოფი) უფრო ქალურ ფორმებს მიაკუთვნებენ. ლეიკოფი ამბობს, რომ ქალები, ამ ფორმების გამოყენებით, თავიდან ირიდებენ პასუხისმგებლობას, კონფლიქტსა თუ გაუგებრობას, რადგანაც მოსაუბრისაგან ელოდებიან დასტურს – "The war in Vietnam is terrible, isn't it?" (გვ. 55). ეს გარემოება შეიძლება გამოწვეული იყოს იმითაც, რომ ქალის საუბარი უფრო ზრდილობიან ფორმადაა მიჩნეული, ვიდრე მამაკაცისა. შესაბამისად, რაც უფრო მეტ „კუდ კითხვას", ანუ ფრაზულ კითხვას თუ ნაწილაკს, გამოიყენებს ქალი საუბრისას, მით უფრო თავაზიანი გამოჩნდება მისი დისკურსი

მსმენელის თვალში. აღსანიშნავია, რომ ჰოლმსი (1984) თავის ნაშრომში ასკვნის, რომ ქალები და მამაკაცები დიდად არ განსხვავდებიან ფრაზული კითხვების გამოყენების სიხშირის მხრივ, თუმცა ისიც ცხადია, რომ ქალები უფრო ხშირად იყენებენ მათ საკუთარი აზრის დასტურისათვის. ჰოლმსი ქალებს საუბრის ფასილიტატორებსაც კი უწოდებს და მიიჩნევს, რომ ისინი საკუთარ თავზე იღებენ საუბრის მშვიდ მსვლელობას (ლეიკოფი, 1975).

ლეიკოფი (1975) მსჯელობს ევფემიზმებზეც, კერძოდ, მის ყურადღებას იპყრობს ისე გარემოება, რომ ინგლისურში სიტყვა ქალს (woman) მოეპოვება ევფემიზმი lady, ხოლო მამაკაცს (man) – არა. ლეიკოფის აზრით, თუნდაც ეს ფაქტი კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს საზოგადოების მიერ ქალის დისკრიმინაციის ენაში არეკლილ ფაქტს, რომელიც ღრმად არის ჩვენს ცნობიერებაში გამჯდარი. გარდა ამისა, აღსანიშნია ისიც, რომ ქალის სტატუსი, ხშირად, კაცთან დაკავშირებით განიმარტება, ამას მოწმობს ინგლისური Mr and Mrs; ჯონის ცოლი (John's wife) და არა პირიქით. რობინ ლეიკოფი იხსენებს სან ფრანცისკოში ჩატარებულ არჩევნებს, სადაც ქალ კანდიდატს მოიხსენიებდნენ, როგორც Mrs Feinstein, როდესაც მის კონკურენტ მამაკაცებს მხოლოდ გვარით მიმართავდნენ. ასევე დისკრიმინაციული სახისაა ინგლისური სიტყვები bachelor და spinster (ბერბიჭა და შინაბერა), როდესაც კონოტაციის თვალსაზრისით მამაკაცის აღმნიშვნელი სიტყვა (bachelor) გულისხმობს, რომ იგი თავისუფალია და მხოლოდ მასზეა დამოკიდებული, ცოლს მოიყვანს თუ არა, ხოლო spinster (გაუთხოვარი, შინაბერა) ტოვებს ისეთი ქალის შთაბეჭდილებას, რომელიც არ მოსწონთ ან არ მოსწონთ იმდენად, რომ ცოლად მოიყვანონ, ანუ საბოლოოდ ის არასასურველი ქალია (ლეიკოფი, 1975). ასევე საინტერესოა პარალელების გავლება ქართულ რეალობასთან, სადაც ოჯახის შექმნა მამაკაცის მიმართ გამოიხატება, როგორც „დაოჯახება" ან „ცოლის მოყვანა", ხოლო ქალის მიმართ იხმარება ზმნა „(გა)თხოვება", რომელიც ასევე დისკრიმინაციული ფორ-

მით გამოიყენება და საფუძვლიანადაა ჩანერგილი საზოგადოების აზროვნებაში.

ლეიკოფი (1975) მიიჩნევს, რომ მსგავსი ლინგვისტური, დისკრიმინაციული ელემენტების შესწავლა ყველა ენაში ენათმეცნიერების ვალდებულებაა, რადგანაც ამგვარმა კვლევებმა საბოლოოდ უნდა აღმოფხვრას ენიდან და, შესაბამისად, ცნობიერებიდან ის სტერეოტიპები, რომლებიც საზოგადოებაშია ფესვგადგმული. გარდა ამისა, ამ ტიპის პრობლემების კვლევისას უფრო მეტი ადამიანი მიხვდება, თუ რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს მათ გაუაზრებელ, დისკრიმინაციულ რეპლიკებს, რომლებსაც დიდი ფსიქოლოგიური ზიანის მიყენებაც კი შეუძლიათ ადრესატისთვის.

მიუხედავად იმისა, რომ ლეიკოფის ნაშრომი ერთ-ერთი პირველი ლინგვისტური გამოკვლევა იყო, რომელმაც საზოგადოების ყურადღება მიაპყრო გენდერულ პრობლემას და დღეს მისი თეორია ცნობილია, როგორც „ლეიკოფის ჰიპოთეზა", იგი მაინც მოხვდა ფემინისტების კრიტიკის ეპიცენტრში. ეს, სავარაუდოდ, გამოწვეულია იმით, რომ ლეიკოფის თეორია ააშკარავებდა სტერეოტიპულ აზროვნებას, რომ მამაკაცის ენა მიიჩნეოდა სტანდარტად, ხოლო ქალისა – მისგან გადახვევად. ეს კი, ბუნებრივია, კიდევ უფრო აძლიერებს ქალისა და მამაკაცის გენდერულ დიქოტომიას საზოგადოებაში.

საინტერესოა თუკი მიზოკამის (2001) მიერ შეჯამებული ლინგვისტური გენდერული კვლევები. ის მართებულად აყენებს რამდენიმე საკითხს, რომელთა მიხედვითაც თვით ფემინისტი ლინგვისტებიც კი ხდებიან სტერეოტიპული აზროვნების მსხვერპლი და ხშირად მიდიან ისეთ დასკვნებამდე, რომლებიც ასახავს და კიდევ უფრო ამძაფრებს სტერეოტიპულ აზროვნებას ამა თუ იმ სქესის მიმართ. მიზოკამი სვამს კითხვას, შეიძლება თუ არა სქესი იყოს კატეგორია, რომელიც განსაზღვრავს ადამიანურ კომუნიკაციას. თუმცა ავტორი არ უარყოფს სქესის მნიშვნელობას ამ თვალსაზრისით, მას სწორად არ მიაჩნია ამ სოციალური კატეგორიის ორ ნაწილად დაყოფა, რადგანაც ქალი და მამაკაცი per se არ გულისხმობს ჰომოგენურობას და

ქალისა თუ მამაკაცის ქცევა შეიძლება იყოს განპირობებული როგორც სოციალური ფენით, ისე ასაკით, სტატუსითა თუ რასით, ასევე კონტექსტითა და გარემო სიტუაციით. მაგალითად, ავტორის აზრით, ქალისა და მამაკაცის ენა თავის თავშივე მოიცავს განსხვავებულ რეგისტრს იმისდა მიხედვით, თუ ვის და რა თემაზე ესაუბრებიან ისინი. მაგალითად, ქალი განსხვავებული ლექსიკით ელაპარაკება დედამისს ტანსაცმელზე, ასევე განსხვავებულ ფორმებს იყენებს, როდესაც ერთვება საუნივერსიტეტო დისკუსიაში ან კლასელს ელაპარაკება ზოგად თემებზე. იმავე აზრს იზიარებს პოინტონი (1985), რომლის მიხედვითაც, მასალა, რომელიც მოგვეპოვება გენდერულ და ლინგვისტურ კვლევებში, ორიენტირებულია მხოლოდ ორ ვარიაციაზე – მამაკაცურ თუ ქალურ ენაზე. შესაბამისად, კვლევები არ კონცენტრირდება თუნდაც ორივე სქესის წარმომადგენელ ინდივიდებს შორის არსებულ განსხვავებებზე.

გენდერის კვლევის ობიექტი და მეთოდები, გენდერის ინტერდისციპლინურობა

გენდერული კვლევები თანამედროვე ინტერდისციპლინური თეორიების ერთ-ერთი მთავარი შემადგენელი ნაწილია, როდესაც ვეხებით ისეთ გლობალურ პრობლემებს, როგორებიცაა მიგრაცია, არათანაბარი გლობალური ძალაუფლება და გლობალური დათბობაც კი (ვუდვარდი და ვუდვარდი, 2015). თანამედროვე სამყაროში ძირითადი პრობლემების უმეტესობა გამოწვეულია საზოგადოების სოციალური დაყოფით და დაფუძნებულია გენდერულ და სქესთა შორის განსხვავებებზე. შესაბამისად, გენდერული კვლევები გახდა ისეთი მრავალფეროვანი სფეროების განუყოფელი ნაწილი, როგორებიცაა ისტორია, ლიტერატურა, ლინგვისტიკა, მეცნიერება, სოციოლოგია და ეკონომიკა (კონომიკაა 2014).

ფემინისტური და ქალთა კვლევებისგან განსხვავებით, გენდერული კვლევები შეისწავლის ორივე სქესს, რათა დააამტკიცოს, რომ როგორც ქალი, ისე მამაკაცი შეიძლება გახდეს გენდერულად მარკირებული. ქალთა კვლევებიდან ზოგად გენდერულ კვლევებზე გადასვლა ნიშნავს იმასაც, რომ გენდერი და სექსუალობა აქტიურად არის ჩართული ინტერდისციპლინურ კვლევებში. ამის შედეგად, ბევრი ფემინისტური თუ გენდერული ბრძოლა დასრულდა გენდეროლოგების გამარჯვებით, რამაც მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ენაზეც. მაგალითად, დღეს ინგლისურენოვან ქვეყნებში ნაკლებად იყენებენ ფრაზას maternity leave, რადგანაც ადგილი დაიმკვიდრა სიტყვათშეთანხმებამ parental leave. ასევე, კვების ქცევითი დარღვევები აღარ არის მხოლოდ ქალებისთვის დამახასიათებელი, არამედ მიიჩნევა ზოგადად თინეიჯერულ პრობლემად.

როგორც აღინიშნა, ვუდვარდის (2014) მიხედვით, თანამედროვე თეორიებში ასევე ხშირად განიხილება მამაკაცურობა და მამაკაცური სტერეოტიპების პრობლემები. ეს თეორიები ამტკიცებს, რომ გენდერი არ არის მხოლოდ მდედრობითი სქესის განმსაზღვრელი მარკერი. შესაბამისად, გენდერულმა კვლევებმა უნდა შეისწავლონ როგორც სქესთა შორის ძირეული განსხვავებები, ისე მათი თანასწორობის პრობლემატიკაც. გენდერული კვლევები ყველაზე პროდუქტიული და შემოქმედებითი აღმოჩნდა ზუსტ მეცნიერებებში, ფსიქოლოგიასა და ტექნოლოგიაში; კერძოდ, აქ იკვლევენ, თუ როგორ არის დაკავშირებული ტექნოლოგია, მეცნიერება და გენდერი, გარდა ამისა, გენდერი სწავლობს საზოგადოებაში სოციალური ძალაუფლების გადანაწილებას, შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ ზოგადად გენდერი შეისწავლის პოლიტიკას, და ერთვება საზოგადოების განვითარებისა და ფუნქციონირების სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ სფეროებში, რასაც ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებებამდე მივყავართ.

გენდერული კვლევის მეთოდიკა ჩამოყალიბდა ფემინისტური და ქალთა დისკურსის ლინგვისტური თუ სოციალური კვლევების წიაღში. ფემინიზმი არა მხოლოდ ცდილობს,

აღმოაჩინოს და განმარტოს სოციალური უთანასწორობის ფენომენი, არამედ შეამსუბუქოს და აღმოფხვრას ეს პრობლემაც. გენდერული კვლევები გვთავაზობს ინოვაციურ მეთოდებს, რომლებიც ეხმაურება სოციალურ ცვლილებებს. გენდერის, როგორც ინტერდისციპლინარულ სფეროს ჩამოყალიბებას, ბუნებრივია, მოჰყვება ძალიან პროდუქტიული და საინტერესო კვლევები. ფემინისტური კვლევის ერთ-ერთი მთავარი მეთოდოლოგია თვისობრივი კვლევაა, რომელიც შეისწავლის გენდერული უთანასწორობის მაგალითებს. მეორე მხრივ, გენდერის ინტერდისციპლინურობა მეცნიერებს აძლევს არა მხოლოდ იმის საშუალებას, რომ გამოიყენონ ყველა ის მეთოდი, რომლებიც უკვე დანერგილია სხვადასხვა დისციპლინაში, არამედ იმასაც, რომ შეიქმნას ახალი, ინტერდისციპლინური მეთოდიკაც. გენდერული როლების ჩამოყალიბებიდან დაწყებული, გენდერული და სექსუალური პოლიტიკისა თუ სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური პრობლემების გარდა, გენდერული კვლევა ეყრდნობა და შეისწავლის უამრავ ემპირიულ მასალას, მათ შორის სტატისტიკურს, რაოდენობრივსა და თვისობრივს, ასევე ეთნოგრაფიულს, კრიტიკულს, დისკურსულსა და და ფსიქო-სოციალურსაც, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც იკვლევენ სქესისა და გენდერის ამბივალენტობას. აქედან გამომდინარე, გენდერი 21-ე საუკუნის ერთ-ერთ მთავარ, საინტერესო და მნიშვნელოვან სფეროდ ჩამოყალიბდა (ვუდვარდი, 2014).

გენდერი, სქესი და ენა სოციოლინგვისტური პოზიციებიდან

მიუხედავად იმისა, რომ „სქესი“ და „გენდერი“ ურთიერთდაკავშირებულ ტერმინებად ითვლება, მათ შორის ფუნდამენტალური განსხვავებაა. ჯერ კიდევ 1960-იან წლებში რობერტ სტოლერმა პირველად განასხვავა ეს ორი ტერმინი ერთმანე-

თისგან, რაც შემდეგ ყველა სხვა რელევანტური განმარტების ბაზისად იქცა, მეტიც, განსხვავება სქესსა და გენდერს შორის ფემინიზმისა და ფემინური დისკურსის ერთ-ერთ ფუნდამენტალურ იდეად ითვლება. გავრცელებული განმარტების თანახმად, ტერმინი „სქესი" გამოიყენება ქალსა და მამაკაცს შორის არსებულ ბიოლოგიურ განსხვავებებზე საუბრისას, ხოლო „გენდერი" იხმარება სოციალურ, კულტურულ თუ ფსიქოლოგიურ განსხვავებათა მიმართ, რომლებიც დამყარებულია ბიოლოგიურ სქესზე (ბრაუნი, 1992). ამგვარ განსხვავებებში ხშირად იგულისხმება, რომ სოციალურად შექმნილი „გენდერი" ბევრად მარტივად ცვლადია, ვიდრე ბიოლოგიური „სქესი", რადგანაც გენდერული იდენტობა განპირობებულია საზოგადოებით. გარდა ამისა, აღსანიშნავია ისიც, რომ გენდერული როლები თუ სტერეოტიპები, ერთსა და იმავე საზოგადოებაში მისი განვითარების სხვადასხვა ეტაპზე შეიძლება, ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავდებოდეს.

იქიდან გამომდინარე, რომ ბოლო პერიოდში ქალმა საზოგადოებაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა, გენდერი, როგორც საკვლევი თემა, საინტერესო გახდა სხვადასხვა მეცნიერისთვის, განსაკუთრებით კი, სოციოლინგვისტიკისთვის, შესაბამისად, ხშირად ისმის კითხვა, მართლა განსხვავებულად საუბრობენ ქალები და კაცები?! კოატის (2004) აზრით, ჩვენ, ყველას, გვაქვს საკუთარი დამოკიდებულება ამ საკითხის მიმართ, არა მხოლოდ ლინგვისტური გადმოსახედიდან, არამედ ზოგადად ცხოვრებისეული გამოცდილებიდან. მაგალითად, გავრცელებული სტერეოტიპებისა და მითების მიხედვით, ქალი ხშირად ჭორაობს, ხოლო კაცი ასევე ხშირად ბილწსიტყვაობს, მაგრამ შეიძლება კი მოსაუბრეების მხოლოდ ორ ბინარულ ჯგუფად – ქალებად და კაცებად – დაყოფა?! (2004).

მკვლევრები, რომლებიც ბიოლოგიურ განსხვავებებზე, ანუ სქესზე, არიან ორიენტირებული, ირწმუნებიან, რომ ქალთა და მამაკაცთა შორის განსხვავება, უპირველესად, განპირობებულია ჰორმონებითა და ტვინის განსხვავებული სტრუქტურით. ექსპერიმენტების შედეგების მეშვეობით, ისინი ცდილობენ

დაამტკიცონ, რომ ანდროგენების სიჭარბის გამო მამაკაცთა ქცევა უფრო აგრესიულია, შესაბამისად, მათი ქცევები და საუბარი განპირობებულია ბიოლოგიური სქესით. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ეს აზრი ხშირად იწვევს ეჭვსა და კრიტიკას (გიდენსი, 1989).

აღნიშნული საკითხი სოციოლინგვისტიკის საკვლევი არეალის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ობიექტია. სოციოლინგვისტიკის პოზიციებიდან, კულტურა და სოციუმი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ადამიანის განვითარებაში, საზოგადოებაში მისი ქცევისა და საუბრის სტილის ჩამოყალიბებაში. ამ მიდგომის მიხედვით, ადამიანი გენდერულ როლს ითვისებს იმ საზოგადოებისგან, რომელშიც ცხოვრობს. შესაბამისად, სქესებს შორის განსხვავებებს განაპირობებს მოცემული საზოგადოების კულტურა. აქედან გამომდინარე, კულტურა არის ის გასაღები, რომლის მეშვეობითაც შეგვიძლია დავადგინოთ, თუ რატომ აქვს ქალს მამაკაცისგან განსხვავებული მიდგომები და ქცევის ნორმები; მეტიც, რატომ მოითხოვს ასეთ განსხვავებებს საზოგადოება. ცხადია, რომ სხვადასხვა სქესის ადამიანი არ იბადება განსხვავებული, თანდაყოლილი ქცევითი მოდელით, არამედ მათ ახასიათებს ანატომიური განსხვავებები; ადრეული ასაკიდან კი გოგონები და ბიჭები მშობლებისა თუ სხვადასხვა სოციალური ინსტიტუტისგან (ბაღი, სკოლა) სწავლობენ, როგორ უნდა მოიქცნენ, და რა შეესაბამება საზოგადოებისთვის ნორმატულად მიღებულ ქცევით მოდელებს იმისდა მიხედვით, თუ რომელ სქესს მიეკუთვნებიან ისინი (რენზეტი, კურანი, 1998).

მიუხედავად იმისა, რომ ქალებისა და კაცების საუბრის განსხვავებას ლინგვისტები დიდი ხნის განმავლობაში სწავლობენ, მხოლოდ 1960-იანი წლებიდან დაიწყეს ხმამაღლა მსჯელობა იმის შესახებ, რომ ენა ერთ-ერთი ინსტრუმენტია, რომლის მეშვეობითაც ხორციელდებოდა მამაკაცის მიერ ქალის ჩაგვრა. მეტიც, ენა არა მხოლოდ პატრიარქალურ სისტემას აირეკლავდა, არამედ საგანგებოდ აღნიშნავდა კაცის უპირატესობას ქალზე (მაგალითად, ისეთი ტერმინები, როგორებიცაა

manpower, manmade, mankind, etc.). მეტიც, ისეთი ცნობილი და მნიშვნელოვანი სოციოლინგვისტებიც კი, მაგალითად, როგორიცაა, მაგალითად, ლაბოვი (1972 ა, 1972 ბ), კვლევებში ძირითადად ყურადღებას ამახვილებს მამაკაცის მიერ გამოყენებულ სასაუბრო მახასიათებლებზე.

კვლევები, რომლებიც გენდერისა და ენის ურთიერთობას ეძღვნება, ხშირად ეყრდნობა პარადიგმის ორ მოდელს – დომინანტობის (ფიშმანი, 1983; ზიმერმანი და უესტი, 1975) და კულტურული სხვაობის (ტანენი, 1984) მოდელებს. დომინანტობის მოდელის მიხედვით, ქალები მამაკაცთან საუბრისას „უუფლებონი" არიან. გარდა ამისა, მამაკაცები უფრო ხშირად აწყვეტინებენ საპირისპირო სქესის მოსაუბრეს საუბარს, ვიდრე ქალები. კულტურული განსხვავების მოდელის მიხედვით კი, ქალები და მამაკაცები ერთ საზოგადოებაში არსებული სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლები არიან.

ლინგვისტური კვლევები ცხადყოფს, რომ გენდერი საოცრად დიდ როლს თამაშობს ადამიანის ლინგვისტური აზროვნების ჩამოყალიბებაში. მაგალითად, ჰოლმსის მიხედვით, ქალები და კაცები ენის ფუნქციას სხვადასხვანაირად აღიქვამენ. მაშინ, როდესაც ქალები სასაუბრო აქტს მიიჩნევენ პირადი ურთიერთობების ჩამოყალიბების საშუალებად, მამაკაცებისთვის ენა, უპირველესად, ინფორმაციის გადმოცემის საშუალებაა (ჰოლმსი, 1995). გენდერით დაინტერესებული კვლევების შედეგების მიხედვით, ქალისა და მამაკაცის საუბრის მანერა განსხვავდება ერთმანეთისგან და ეს განპირობებულია საზოგადოებაში ქალისა და მამაკაცის როლების მიმართ დამოკიდებულებით (კრესპი, 2003; მერჩანტი, 2012). ჰოლმსი მიიჩნევს, რომ მამაკაცის ენისთვის დამახასიათებელია გამტანობა, კონკურენტუნარიანობა, აგრესიულობა; მამაკაცი არის პირდაპირი, ავტონომიური, დომინანტური და პრობლემაზე ორიენტირებული. მეორე მხრივ, ქალის ენისთვის დამახასიათებელია ემპათიურობა; ქალები ნაკლებად მიდრეკილნი არიან, მოსაუბრეს შეაწყვეტინონ საუბარი, უფრო გაწაფულნი არიან ჯერის დაცვაში, არიან თავაზიანები და ნაკლებად კო-

ნფლიქტურები (ჰოლმსი, 2006). მამაკაცებისგან განსხვავებით, ქალები იყენებენ საუბრის „არაძალაუფლებიან“ და არაძალადობრივ ფორმებს, როგორებიცაა თავაზიანობის ფორმულები, ფრაზული კითხვები, ფრაზული ზმნები, იდიომები და ზომიერი კონოტაციის ლექსიკა. თუმცა, აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ბეატის (1981) კვლევებმა გამოავლინა, რომ მდედრობითი სქესის სტუდენტები უფრო ჩართულები არიან და უფრო ხშირად აწყვეტინებენ ლექტორს საუბარს, ვიდრე მამაკაცები, რაც კიდევ ერთხელ წარმოაჩენს იმ ფაქტს, რომ სტერეოტიპები არ უნდა მივიღოთ მეცნიერულ ჭეშმარიტებად, არამედ მხოლოდ ანდროცენტრულ პროდუქტად, რომელიც ქალს დაქვემდებარებულის პოზიციას ანიჭებს საუბარში.

საინტერესოა, რომ გენდერული განსხვავებები არ აისახება მხოლოდ საუბარში, არამედ ორი სქესის განსხვავებული ცხოვრების სტილსა და დამოკიდებულებებშიც (გუ, 2013). მეტიც, ტანენს (1990) მიაჩნია, რომ ქალები და მამაკაცები სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლები არიან და მათი საუბარი შეიძლება ჩაითვალოს ტრანსკულტურულ კომუნიკაციად, რადგანაც ისინი საუბრობენ ერთი ენის ორ, განსხვავებულ დიალექტზე – გენდერლექტზე. შესაბამისად, ის ფაქტი, რომ ქალები და მამაკაცები ერთმანეთს ვერ უგებენ, სავსებით ნორმალურია (ტანენი, 1990).

თრადგილმა (1972) დაადგინა, რომ ბრიტანელი ქალები და მამაკაცები ნამდვილად განსხვავებული ინგლისურით საუბრობენ. კონკრეტულად, აღმოჩნდა, რომ ქალი კორესპონდენტები, მამაკაცი კოლეგებისაგან განსხვავებით, იყენებდნენ შედარებით პრესტიჟულ ენობრივ ფორმებს. კვლევის შედეგების თანახმად, ეს გამოწვეული იყო იმით, რომ ბრიტანულ და ამერიკულ საზოგადოებაში ქალი შედარებით მცირე უფლებებით სარგებლობდა, ვიდრე მამაკაცი, ამიტომ, ისინი ამ ნაკლს საუბრის დახვეწილი ფორმებითა და მანერით „ანაზღაურებდნენ“. ავტორის აზრით, ეს აუცილებელიც კი არის, რადგანაც მამაკაცებს აფასებენ იმის მიხედვით, თუ რას საქმიანობენ, რას აკეთებენ

ისინი, ხოლო ქალებს განსჯიან იმისდა მიხედვით, როგორ გამოიყურებიან ისინი. შესაბამისად, ამ უკანასკნელთათვის საუბრის დახვეწილი მანერა ძალიან მნიშვნელოვანია. გარდა ამისა, ქალები უფრო კონსერვატიულნი არიან ენის მიმართ, ვიდრე მამაკაცები და, შესაბამისად, მდედრობითი სქესის წარმომადგენლები უფრო დახვეწილ ენობრივ ფორმებს იყენებენ, ვიდრე მამაკაცები. მონტანაში, გროსის ტომებზე დაკვირვების შემდეგ ფლანერიმ (1953) აღმოაჩინა, რომ ქალისა და მამაკაცის ენა ფონეტიკურადაც განსხვავდება და ქალები და მამაკაცები განსხვავებულად წარმოთქვამენ ბგერებს. გარდა ამისა, თუ ქალი ან მამაკაცი საპირისპირო სქესისთვის დამახასიათებელი ტონითა და ბგერებით საუბრობს, მათ აღიქვამენ ბისექსუალებად (1953). საფაირმა იანას ტომზე დაკვირვებით დაადგინა, იმისდა მიხედვით, თუ რომელი გენდერი მონაწილეობს საუბარში (მამაკაცი-მამაკაცი, ქალი-ქალი, ქალი-მამაკაცი, მამაკაცი-ქალი), მოსაუბრეები განსხვავებულ ლინგვისტურ ფორმებს იყენებენ (საფაირი, 1922). იმავდროულად, ობარისა და ატკინის (1980) მიერ მოწოდებული სასამართლო სხდომების ანალიზის მიხედვით, ქალური ენის ზოგიერთი მახასიათებელი სულაც არ არის ნიშანდობლივი ყველა ქალისთვის ან მხოლოდ ქალისთვის. მეტიც, ენობრივი განსხვავებები გამოწვეულია არა გენდერით, არამედ მოსაუბრეების კონტექსტურ- სიტუაციური პოზიციებითა და ძალაუფლებით.

გენდერი, ენა და ძალაუფლება

გენდერის და ენის, უფრო ხშირად კი ქალის ენის შესწავლისას, როგორც კოატი აღნიშნავს წიგნ „ქალები, მამაკაცები და ენაში" (Women, Men and Language, 2004), გამოიყოფა რამდენიმე მიდგომა. ესენია ქალის ენის დეფიციტურობის (deficit), დომინანტურობის (dominance), განსხვავებულობისა (difference) და დინამიკურობის (dynamic) თეორიები.

დეფიციტურობის თეორია ქალის ენას უყურებს, როგორც ლინგვისტურ კონსტრუქტს, რომელსაც ახასიათებს ე.წ. ცარიელი, არაფრისმთქმელი (empty adjectives), ან უადგილოდ გამოყენებული ზედსართავი სახელები. კერძოდ, ისეთი ზედსართავები, როგორებიცაა, მაგალითად, შესანიშნავი, ლამაზი, არაჩვეულებრივი; ასევე, გადამეტებული საუბარი, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სუსტი, შესაბამისად, „დეფიციტური" საუბარი. ქალის საუბრის შესწავლა შეიძლება მამაკაცის ენასთან შედარებით, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მამაკაცის ენა, უფრო კონკრეტულად კი თეთრი, კავკასიური რასის მამაკაცის ენა, არის ნორმა, სტანდარტი და თუ ქალებს სურთ, რომ მათ სერიოზულად მოეპყრონ, მათ „მამაკაცურად" უნდა დაიწყონ საუბარი. დომინანტურობის მიდგომა ქალებს საზოგადოების დაჩაგრულ ნაწილად მიიჩნევს და შეისწავლის მამაკაცური ენის დომინანტურობის მახასიათებლებსა და ქალური ენის მასზე დამოკიდებულების პრობლემებს.

მესამე, განსხვავებულობის თეორია ქალსა და მამაკაცს განიხილავს განსხვავებულ სუბკულტურებად. ამ მიდგომის მთავარ არგუმენტს წარმოადგენს ის, რომ ქალის ენა შეიძლება განხილულ იქნას მამაკაცის ენისგან განცალკევებით, მისი „დაჩაგრულობისა" თუ ძალაუფლების ნაკლებობის აღიარების გარეშე.

მეოთხე და ყველაზე თანამედროვე მიდგომის მიხედვით, გენდერული იდენტობა არის სოციალურად აგებული და არა „მინიჭებული" (given) კატეგორია (კოატი, 2004). უესტი და ზიმერმანიც (1987) ხშირად იმეორებდნენ იმ მოსაზრებას, რომ ადამიანს აქვს არა უბრალოდ გენდერი, არამედ ის მოქმედებს ისე, როგორც მის გენდერს შეეფერება. მოგვიანებით იგივე იდეა განავრცო კროუფორდმა (1995) და მიიჩნია, რომ გენდერი უნდა იყოს არა არსებითი სახელი, არამედ – ზმნა.

მიუხედავად ზემოთქმულისა, რომ არსებობს აშკარა განსხვავებები ქალისა და მამაკაცის საუბარს შორის, იქნება ეს დომინანტურობის, დეფიციტურობის თუ განსხვავებულობის თეორიის პოზიციიდან, საინტერესოა, თუ რა საერთო მახასი-

ათებლები აქვს ორივე „ენას“. გუ (2013) მიიჩნევს, რომ ვერც ერთი ლინგვისტური თუ სოციოლინგვისტური გენდერთან დაკავშირებული კვლევა ვერ იქნება სრულყოფილი, თუ მას მხოლოდ ერთი გადმოსახედიდან, ანუ „გენდერლექტებს“ შორის არსებული განსხვავებების კუთხით შევისწავლით. უპირველეს ყოვლისა, რადგანაც მართლაც განსხვავებულია ქალისა და მამაკაცის ენები, სრულიად შესაძლებელია, რომ ამ ორ სქესს შორის ვერ შედგეს სრულყოფილი კომუნიკაცია, რომ არა საერთო მახასიათებლები, რადგანაც ორივე სქესი ერთმანეთს საკუთარი, განსხვავებული გადმოსახედიდან განსჯის. გარდა ამისა, მეცნიერები, როგორც აღინიშნა, ქალებსა და მამაკაცებს ორ ჯგუფად ყოფენ და უგულებელყოფენ მათ ინდივიდუალურ მონაცემებს. ასევე, შეუძლებელია საკითხის მხოლოდ ერთი ცვლადის, კერძოდ, „გენდერის“ კუთხით შესწავლა, რადგანაც სრული ლინგვისტური სურათისთვის აუცილებელია არა მხოლოდ მოსაუბრე და ადრესატი და მათი სქესი, არამედ კონტექსტი და საუბრის მიზანი, რომელიც შეიძლება უფრო მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს, ვიდრე თავად გენდერი. მეტიც, ბევრ მკვლევარს უკვე წინასწარ განსაზღვრული სტერეოტიპული, ცრუ მიდგომა აქვს ენასა და გენდერთან დაკავშირებით და, შესაბამისად, ისინი ხშირად მიდიან იმ შედეგებამდე, რომლებიც მათვე სურთ და არა იმ შედეგებამდე, რომლებიც რეალურად არსებობს. ამიტომ, გუს აზრით, აუცილებელია არა მხოლოდ გენდერული განსხვავებების, არამედ მათი საერთო მახასიათებლების შესწავლაც (გუ, 2013).

რობინ ლეიკოფი თავის სტატიაში „ენა, გენდერი და პოლიტიკა: „ქალი“ და„ძალაუფლება“ ერთ წინადადებაში“ (Language, Gender, and Politics: Putting “Women” and “Power” in the Same Sentence, 2008), აღნიშნავს, რომ კაცები ძალაუფლების მოპოვების შემდეგ უფრო კომფორტულად გრძნობენ თავს, ვიდრე ქალები, რადგან სოციალური კანონზომიერების გამო მამაკაცისთვის ის „ბუნებრივია“, ხოლო ქალისთვის, რომელიც მას ეძიებს, ეს კატეგორია ხდება უჩვეულო, უცნაური, არაქალური და საშიშიც კი. ეს რწმენა ხელს უწყობს იმ აზრის ჩამოყალი-

ბებას, რომ ქალი არ დაბადებულა ისეთ სფეროში მოღვაწეობისათვის, როგორიცაა, მაგალითად, პოლიტიკა. ბრაუნი და ლევინსონი (1986) მართებულად მიიჩნევენ, რომ შეუსაბამობა ქალისა და მამაკაცის ქცევაში გამოწვეულია არა მათი სქესითა და გენდერით, არამედ ენაში ასახული საზოგადოებრივი ძალაუფლების გადანაწილებით.

ენას დიდი წვლილი მიუძღვის სტერეოტიპების შენარჩუნებაში. ლეიკოფის (2008) მიხედვით, ბევრნაირი ტერმინი არსებობს, რომელსაც ვიყენებთ ძალაუფლებით აღჭურვილი ქალისა და მამაკაცის მიმართ. მაგალითად, ინგლისურ ენაში ერთი და იგივე მოქმედება შეიძლება სხვადასხვა ტერმინებით აღვნიშნოთ, იქიდან გამომდინარე, თუ ვინ ასრულებს მოქმედებას, ქალი თუ მამაკაცი. მაგალითად, shrew და bitch იმ არათავაზიან ფორმებს შორისაა, რომლებიც ძალაუფლების მქონე ქალის მიმართ შეიძლება გამოვიყენოთ. მეტიც, განსხვავებული მოლოდინი გვაქვს იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა საუბრობდეს ტიპური ქალი და მამაკაცი. გენდერული სტეროტიპის მიხედვით, ქალი არაპირდაპირი, მორიდებული უნდა იყოს, ხოლო მამაკაცი – პირდაპირი. თუ ქალი არ მიჰყვება ამ სტერეოტიპს, მას შერაცხავენ, რბილად რომ ვთქვათ, მანიპულირებისადმი მიდრეკილად (shrew და bitch). საუბრის ჯერობაც კარგად ასახავს გენდერულ უთანასწორობასა და ძალაუფლებას. სტერეოტიპის მიხედვით, ქალები ბევრად უფრო მეტს ლაპარაკობენ, ვიდრე მამაკაცები. თუმცა, კვლევებმა ასევე აჩვენა (სპენდერი, 1980), რომ ხშირად საუბრის 80%-ს საკომუნიკაციო აქტის მონაწილე მამაკაცის საუბარი შეადგენს. იმ შემთხვევაში კი, თუ ეს წილი 70%-მდე დაიწევს, ორივე სქესი ამ საუბარს აფასებს, როგორც ქალების მიერ დომინირებულსა და უინტერესოს. მეტიც, წარმატებული სასაუბრო თემების უმეტესი ნაწილი მამაკაცებისგან მომდინარეობს იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ქალის მიერ მოწოდებულ სასაუბრო თემებს, ამ კვლევის მიხედვით, საკონტროლო ჯგუფის მამრობითი სქესის წარმომადგენლები და თავად ქალებიც კი უგულებელყოფენ. როგორც

აღინიშნა, კაცები სასაუბრო დომინანტობას საუბრის უხეში შეწყვეტინებით მოიპოვებდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ ემოციების გამოხატვისას ქალებიცა და მამაკაცებიც შებოჭილნი არიან, ეს მდგომარეობაც კი არსებული ძალაუფლების განმტკიცებას ემსახურება. მამაკაცები ნაკლებად ცდილობენ სევდისა და ცრემლების საზოგადოებაში გამოჩენას, ქალებს კი ბრაზის აშკარა გამოხატვის უფლება არა აქვთ და მათგან არ მოელიან უწმაწური სიტყვების გამოყენებას. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს გენდერულად მარკირებული წესები სქესთა შორის თანასწორობას ემსახურება, თუმცა, პირიქით, ეს მდგომარეობა აძლიერებს, ერთი მხრივ, მამაკაცის ძალაუფლებას და, მეორე მხრივ, ქალის უსუსურობას; იმ ქალებს, რომლებიც გამოხატავენ ბრაზს, ხშირად ეუბნებიან, რომ ეს მდგომარეობა უხდებათ ან გაბრაზების დროს საყვარლად გამოიყურებიან ("You are so cute when you are mad").

სოციალური კატეგორიები და გენდერული იდენტობა

გენდერული იდენტობა (მდედრობითი ან მამრობითი სქესი) განიხილება, როგორც ადამიანის სოციალური იდენტობის მაჩვენებელი – ადამიანთა უმეტესობისთვის, სქესის შესაბამისად, გენდერული მახასიათებლები დაბადებიდანვე განსხვავებულია. ასე რომ, ადამიანის სოციალური ურთიერთობები ცხოვრების პირველი ეტაპიდანვე გენდერული ნიშნითაა მარკირებული. ბუნებრივია, ფსიქოლოგიაში გენდერი ადამიანის ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანი სოციალური კატეგორიაა. მეორე მხრივ, კითხვა, თუ რა არის გენდერული იდენტობის არსი და როლი ენასთან დაკავშირებით, ჯერ კიდევ პასუხგაუცემელია. ამ კითხვაზე ადეკვატური პასუხის გაცემას ფსიქოლონგვისტიკაში არსებული ორი მიდგომა ცდილობს – სოციალურ-კოგნიტური და დისკურსული ფსიქოლოგია.

სოციალურ-კოგნიტური მიდგომის მიხედვით (ვეზეროლი და გალუა, 2003), ადამიანის ქცევა, მათ შორის ენის გამოყენება თუ კომუნიკაცია, დამოკიდებული და განპირობებულია მისი გენდერული როლით საზოგადოებაში. ამის საილუსტრაციოდ შეგვიძლია განვიხილოთ ფაგოტის ექსპერიმენტი, რომელმაც აჩვენა, რომ მასწავლებლები ერთსა და იმავე ქცევაზე განსხვავებულად რეაგირებდნენ იმისდა მიხედვით, თუ ვინ ასრულებდა მოქმედებას – ბიჭი თუ გოგონა. შესაბამისად, მასწავლებლების გენდერულმა მიდგომამ გავლენა მოახდინა ბავშვების საპასუხო ქმედებაზე (ფაგოტი, 1985). აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ სოციალური რწმენები და მოლოდინები ჯერ კიდევ ძლიერ ზეგავლენას ახდენენ კომუნიკაციის პროცესზე.

დისკურსული ფსიქოლოგიის კვლევები (ვეზეროლი და გალუა, 2003), ძირითადად, ფოკუსირდება ენაზე. სოციალური-კოგნიტური მიდგომისგან განსხვავებით, სოციალური კატეგორიების შესწავლისას, ეს მიდგომა უპირატესობას ანიჭებს ენას და არა გონებას. შესაბამისად, მის თანახმად, სოციალური კატეგორიები ვერბალურია და მათი გამოყენება საშუალებას გვაძლევს, შევისწავლოთ სოციალური ცხოვრების ის კატეგორიები, რომლებშიც გენდერული იდენტობა გამოიხატება ენის მეშვეობით. მეტიც, იდენტობა არის არა ჩვენი არსის გამომხატველი, არამედ ასახავს ჩვენს ქცევას და მეტყველებას სხვასთან ურთიერთობის პროცესში, თუნდაც, მაგალითად, მუშაობისას.

ერთ-ერთ ყველაზე მნიშველოვან თეორიას, რომელიც სოციალურ იდენტობასა და ენაზე მის გავლენას შეისწავლის, სოციალური იდენტობის თეორია წარმოადგენს (ტაიფელი, 1981). ამ თეორიის მიხედვით, ადამიანის აზროვნებასა და ქცევას განაპირობებს ის სოციალური ჯგუფი, რომლებსაც ისინი განეკუთვნებიან. ჯგუფური ქცევის მახასიათებლად შეიძლება მოგვევლინოს სტერეოტიპული აზროვნება ან შიდაჯგუფური ფავორიტიზმი. ეს მიდგომა ჩვენთვის საინტერესოა იმდენად, რამდენადაც აღიარებს ფაქტს, რომ არსებობს სხვადასხვა სოციალური ჯგუფი, რომელიც განსხვავდება გავლენითა და სტატუსით, რაც ხელს უწყობს ისეთი განსხვავებების შესწავ-

ლას, როგორებიცაა ქალისა და მამაკაცის სოციალური ჯგუფები და მათი ენობრივი მახასიათებლები (ვეზეროლი და გალუა, 2003). ამ ავტორების მიხედვით, სოციალური იდენტობის თეორია დაფუძნებულია მოსაზრებაზე, რომ ადამიანები მუდმივად ვცდილობთ, უკეთ წარმოვაჩინოთ თავი. მაგალითად, თუ ადამიანი დაბალი სოციალური ფენის წარმომადგენელია, მან შეიძლება საშუალო ან მაღალი ფენის წარმომადგენლებში გადაინაცვლოს (სოციალური მობილობა). ისეთ შემთხვევებში კი, როდესაც სოციალური გადანაცვლება არაა შესაძლებელი, მაგალითად, როდესაც სოციალური სტატუსი ეხება გენდერს, ეთნიკურობასა და რელიგიას, შეიძლება სხვა სტრატეგიები გამოვიყენოთ. კერძოდ, ასეთი სტრატეგია შეიძლება გახდეს პოლიტიკურ და სოციალურ კონფლიქტებში ჩართვა და საკუთარი უფლებების აქტიური დაცვა; მაგალითად, ფემინისტური მოძრაობა.

უილიამისა და გაილის (1978) მიხედვით, ქალთა უფლებების დაკანონებამდე ქალები ეგუებოდნენ მეორეხარისხოვან როლს საზოგადოებაში და საკუთარი დადებითი მხარეების წარმოჩენას ინდივიდუალურად ცდილობდნენ. თუმცა, 1960-იანმა წლებმა და ფემინიზმის თეორიის განვითარებამ ქალთა როლი და სტატუსი წამოწია და, ამდენად, ხელი შეუწყო ქალების პოლიტიკასა თუ სასამართლო სისტემაში შეღწევას, რაც ადრე მხოლოდ მამაკაცების პრეროგატივა თუ იყო. შესაბამისად, ქალებმაც სისტემურად დაიწყეს სოციალური სტატუსის გაუმჯობესებაზე ფიქრი და მამაკაცურად ქცევა, რაც ლინგვისტურ დონეზე გამოიხატებოდა საუბრის ტონის დადაბლებაში, უწმაწური ენისა თუ არასტანდარტული და ნაკლებად დახვეწილი ენობრივი ფორმების გამოყენებაში. აღსანიშნავია, რომ თანამედროვე მიდგომების მიხედვით, ამ თეორიის ნაკლი თუნდაც ის არის, რომ ის ქალთა ჯგუფს მოიხსენიებს, როგორც მხოლოდ ერთ სოციალურ და ჰომოგენურ ჯგუფს.

სოციალური როლების თეორია

სოციალური როლების თეორიის პრობლემებს არაერთი ნაშრომი ეძღვნება, რომლებშიც საკითხი სოციალური, ბიო-სოციალური, კულტურული თუ სხვა კუთხით არის შესწავლილი. იგლი და ვუდი (2012) სვამენ საინტერესო კითხვას, კერძოდ, თუ რა განაპირობებს სხვადასხვა სიტუაციაში ქალებისა და მამაკაცების, გოგონებისა და ბიჭების განსხვავებულ ქცევას. მიუხედავად იმისა, რომ, ავტორთა აზრით, არ არსებობს ერთი რომელიმე დისციპლინა, რომელიც ცალსახად გასცემს პასუხს ამ შეკითხვას, ავტორები გვთავაზობენ სოციალურ-ფსიქოლოგიური მეთოდების ნაზავს, რითაც ხაზს უსვამენ საზოგადოებრივ- სოციალურ როლებსა და მათ მნიშვნელობას, როგორც ადამიანების განსხვავებული ქცევის ერთ-ერთ მთავარ განმაპირობებელ ფაქტორს.

პირველ ყოვლისა, ავტორები მიიჩნევენ, რომ სქესთა შორის განსხვავებული თუ მსგავსი ქცევები გამოწვეულია გენდერული როლებით, რომლებიც სოციალურად არიან განპირობებული და რომლებსაც ადამიანები ვირგებთ საზოგადოებაში. მაგალითად, პოსტინდუსტრიალურ ქვეყნებში მამაკაცების უფრო მეტი წილია დასაქმებული, ვიდრე ქალებისა. დასაქმების შემთხვევაში კი, ქალები უფრო „მზრუნველ" როლებს ირგებენ, როგორებიცაა, მაგალითად, მასწავლებელი, ექთანი, ძიძა და ა.შ. სოციალური როლების სხვადასხვაობა ფიზიკურ-ფიზიოლოგიური განსხვავებითაა გამოწვეული. ევოლუციის შემდგომ მამაკაცს უფრო დიდი, ძლიერი და სწრაფი სხეული აქვს, ვიდრე ქალს, რომელსაც ბავშვის გაჩენისა და გამოკვების ფუნქცია მიენიჭა. ამ ფიზიკური განსხვავებებიდან გამომდინარე, ზოგიერთ სამუშაოს მამაკაცები უფრო მარტივად და პროდუქტიულად ასრულებენ, ვიდრე ქალები; შესაბამისად, ზოგიერთი პროფესია უფრო მეტად არის დაკავშირებული მამაკაცთან, ვიდრე ქალთან და პირიქით.

1970-იან წლებამდე სოციალური ფსიქოლოგია ნაკლებ დროს უთმობდა გენდერულ განსხვავებებს. იმ პერიოდის მნიშვნელოვანი და ფუნდამენტური თეორიებიც კი გენდერული როლების გარეშე იქმნებოდა და ძირითადად ეხებოდა ეთნიკურ და რასისტულ ცრურწმენებს. მეორე მხრივ, 60-იანი და 70-იანი წლების ფემინისტურმა მოძრაობამ ყურადღება გენდერულ პრობლემებზე გადაიტანა და იმ პერიოდის ამერიკული საზოგადოებრივი დისკურსის ერთ-ერთ მთავარ თემადაც კი აქცია. იგლისა და ვუდისთვისაც (2012) ამ პრობლემატიკაზე მუშაობისას მთავარი გენდერული როლები აღმოჩნდა, რადგან სოციალურ მეცნიერებებში სოციალური როლების, როგორც ინდივიდუალურ და სოციალურ გარემოს შორის ხიდის გამოკვლევას, დიდი ადგილი უჭირავს. აქედან გამომდინარე, ადამიანთა გენდერული როლი (სხვა სოციალურ როლებთან ერთად) არსებობს როგორც ინდივიდუალურ, ისე საზოგადოებრივ დონეზე, შემდგომ სოციუმის სტრუქტურებად ყალიბდება და კულტურის სიღრმეებში ილექება. სოციალურმა როლებმა, შესაბამისად, დიდი როლი შეასრულეს გენდერის თეორიის ჩამოყალიბებაში, რომელიც, თავის მხრივ, სწავლობს არა მხოლოდ ქალებისა და მამაკაცების ქმედებებს, არამედ იმასაც, თუ რამდენად დიდია მათ ქცევაზე კულტურისა და სოციუმის ზეგავლენა. ავტორები, სოციალურ როლებთან ერთად, დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ მამაკაცებსა და ქალებზე შექმნილ კულტურულ სტერეოტიპებს. სტერეოტიპები ძირითადად ორი მიმართულებით შეიძლება განვიხილოთ – აგენტური და კოლექტიური. კაცები განიხილებიან აგენტური სტერეოტიპის აქტანტებად, რაც გულისხმობს იმას, რომ ისინი დომინანტურები, საკუთარ თავში დარწმუნებულები და კონკურენტუნარიანები არიან. ამის საწინააღმდეგოდ, ქალები წარმოადგენენ კოლექტიურ აგენტებს და არიან მეგობრულები, არაეგოისტები, სხვების გულშემატკივარნი და ემოციურები. ეს სტერეოტიპები, ბუნებრივია, სოციალურად განპირობებიული გენდერული როლების შემადგენელი ნაწილია. აღსანიშნავია, რომ, მიუხედავად იმისა, რომ სტერეოტიპები ნაკლებად შეესაბამება სიმართლეს, კვლევების

შედეგებმა დაადასტურა ექსპერიმენტში მონაწილეების მიერ დასახელებული სტერეოტიპული გენდერული როლების აღიარების ფაქტი.

იგლმა და ვუდმა (2012) გენდერული პრობლემები ბიოსოციალური კუთხითაც განიხილეს. კერძოდ, 37 კულტურის მონაცემების ანალიზის შედეგად ისინი მივიდნენ დასკვნამდე, რომ ისეთ ქვეყნებში, სადაც ნაკლებადაა დაცული გენდერული თანასწორობა, ქალები ირჩევნენ პარტნიორებს იმისდა მიხედვით, თუ რამდენად კარგად შეუძლიათ მათ ოჯახის უზრუნველყოფა, ხოლო ქალებს ირჩევენ მათი პოტენციური უნარით, გაუძღვნენ ოჯახის საქმეებს. ევოლუციური ფსიქოლოგიის მიხედვით, ეს მიდგომა კარგად ასახავს ქალისა და მამაკაცის როლს სოციალურ სტრუქტურაში.

ბიოსოციალურ თეორიაში (იგლი და ვუდი, 2012) გარკვეული მიზეზები არსებობს სქესთა შორის განსხვავებებისა თუ მსგავსების დასახასიათებლად; მათ შორისაა შრომის განაწილებაც. როგორც უკვე აღინიშნა, ბიოლოგიური განსხვავებები მამაკაცსა და ქალს შორის ხელს უწყობს სტერეოტიპული აზროვნების ჩამოყალიბებას იმისდა მიხედვით, თუ მოცემულ გარემოში რისი გაკეთება ძალუძს მამაკაცს და რისი – ქალს. ბუნებრივია, ბიოლოგიური როლიდან გამომდინარე (დედობა, ჩვილის გამოკვება და ასე შემდეგ), ქალს ნაკლებად შეუძლია, მამაკაცისგან განსხვავებით, სრულად მიუძღვნას თავი სამსახურს. გარდა ამისა, მამაკაცი საზოგადოებაში ძალაუფლებასთან და სტატუსთან ასოცირდება. მიუხედავად იმისა, რომ, ადამიანის უფლებების თანასწორობასთან ერთად, ამ ტიპის დაყოფები მეტ-ნაკლებად შემცირდა, ეს პრობლემა კვლავ დგას საზოგადოების წინაშე. ქალები მაინც უფრო მეტ საშინაო საქმეებს ასრულებენ, ვიდრე მამაკაცები, ქალები უფრო ნაკლებ დროს უთმობენ სამსახურს და საათობრივი ანაზღაურება ერთსა და იმავე პოზიციაზე ბევრად უფრო ნაკლები აქვთ, ვიდრე მამაკაცებს. შრომის ასეთი დანაწილება და საზოგადოებაში გამეფებული გენდერული იერარქია გვევლინება სქესთა შორის განსხვავებული ქცევის ერთ-ერთი უპირველეს გამომწვევ მიზეზად.

გენდერული როლები კულტურისა და სოციალური სტრუქტურის უმნიშვნელოვანესი ნაწილია ყველა საზოგადოებისთვის. რამდენადაც გენდერული როლი ადამიანთა ჯგუფების საზიარო ცნებაა, საზოგადოება მართებულად მიიჩნევს, რომ ინდივიდის ქცევას უფრო დადებითად შეაფასებენ, თუ იგი მოექცევა გენდერული როლებისა და სტერეოტიპების ჩარჩოში. აქედან გამომდინარე, გენდერული როლების დაცვა საზოგადოებაში დადებითი ურთიერთობების გარანტად მიიჩნევა. მათ კი, რომლებიც ამდენად უმნიშვნელოვანესია საზოგადოების ფუნქციონირებისთვის, ბავშვები ადრეული ასაკიდანვე სწავლობენ.

იგლმა და ვუდმა (2012) მოგვაწოდეს სამი უმნიშვნელოვანესი გენდერული ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენს ჩვენს ქცევაზე. ესენია: ბიოლოგიური პროცესები, მათ შორის ჰორმონალური პროცესები, გენდერული იდენტობის სოციოკულტურული ფაქტორები და სხვათა (საზოგადოების წევრების) სტერეოტიპული მოლოდინები.

ჰორმონალური პროცესების ზეგავლენა აისახება იმ ბიოლოგიურ პროცესებში, რომლებიც განსაზღვრავენ სოციოკულტურულ გავლენას მამაკაცსა თუ ქალზე, როგორც საზოგადოების წევრებზე. შთამბეჭდავია, რომ ახალი თეორიების მიხედვით, ადამიანები თავადვე ააქტიურებენ ბიოლოგიურ პროცესებს, რათა მხარი დაუჭირონ სოციოკულტურულ ფაქტორებს, რომლებიც მიგვითითებენ მამაკაცურ და ქალურ ქცევებზე. ბიოლოგიური პროცესები გულისხმობენ ჰორმონთა აქტივაციას. მაგალითად, სოციალურ-კულტუროლოგიური თვალთახედვიდან, მამაკაცის გენდერული როლი, დომინანტური ქცევა, ასოცირდება მაღალი ტესტოსტერონის დონესთან ეს პოზიცია მიმართულია იმისკენ, რომ მამაკაცმა მოიპოვოს ან შეინარჩუნოს მაღალი საზოგადოებრივი სტატუსი. ეს გარემოება ხშირად აისახება ისეთ ქცევებში, როგორებიცაა შეჯიბრება, რისკი, აგრესია, რომლებიც შეიძლება ზიანის მომტანი აღმოჩნდეს. მეორე მხრივ, ქალური როლები, მაღალი ოქსიტოსინის დონე ასოცი-

რებულია ისეთ ქცევებთან, როგორებიცაა დედობა, ბავშვსა და ოჯახზე ზრუნვა.

გენდერული იდენტობის გავლენა – გენდერული როლები ზემოქმედებს ადამიანის თვითშეფასებაზე, მის გენდერულ იდენტობაზე. აქედან გამომდინარე, ადამიანები თვითშეფასებით განსაზღვრავენ თავიანთ როლს, როგორც მდედრობითს ან მამრობითს. ამ იდენტობების გაჩენას განაპირობებს ის ფაქტი, რომ ჩვენი კულტურის ზოგიერთი ასპექტი დაკავშირებულია სქესთან. ადამიანები განსხვავდებიან მორგებული გენდერული როლებით. ქალები, რომლებიც თავს ფემინინურად მიიჩნევენ, „იღებენ" და ირჩევენ ისეთ თვისებებს, როგორებიცაა სითბო, კეთილშობილება და ა.შ. ადამიანს, რომელიც კულტურულად ატიპურ გარემოში იზრდება, შეიძლება საერთოდ არ გააჩნდეს ტრადიციული გენდერული მახასიათებლები. იგლისა და ვუდის (2012) კვლევებმა აჩვენა, რომ ის, ვინც თავს საკუთარ გენდერთან არ აკავშირებს, ნაკლებად ხასიათდება გენდერულ-სტერეოტიპული ქმედებით. ანუ გენდერულ იდენტობას ვიყენებთ იმისთვის, რომ ვაღიაროთ და მოვექცეთ გარკვეული ნორმების ქვეშ და მოვიქცეთ ჩვენი გენდერული იდენტობის მიხედვით.

სხვათა სტერეოტიპული მოლოდინები – ამ ფაქტორის განხილვისას ავტორები აცხადებენ, რომ საზოგადოება დადებითად უყურებს ადამიანებს, რომლებიც იქცევიან სოციალური სტერეოტიპებისა და გენდერული როლების შესაბამისად; ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ისინი გადაუხვევენ მათ, შეფასება მკვეთრად უარყოფითი ხდება. კვლევების მიხედვით, ქალები, რომლებმაც შეითავსეს სტერეოტიპულად მამაკაცური თვისებები (პირდაპირობა, ლიდერობა), უარყოფითად შეფასდნენ იმ მამაკაცებთან შედარებით, რომელთაც იგივე როლები მოირგეს. ასევე აღმოჩნდა, რომ თუ, მაგალითად, ჯგუფური საუბრისას, ქალები ავლენენ მამაკაცურ თვისებებს და ცდილობენ, გახდნენ დომინანტურნი, ისინი კარგავენ მოსაუბრის კეთილგანწყობას. იქიდან გამომდინარე, რომ ადამიანებმა იციან გენდერული როლებიდან გადახვევის ფასი, ავტორების აზრით,

ისინი თავადვე ცდილობენ, მოექცნენ ჩარჩოში, რომელსაც დაარღვევენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დარწმუნდებიან, რომ შედეგი მათთვის ბევრად მომგებიანი იქნება.

კვლევის საკითხთან დაკავშირებული სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვის შედეგად შეიძლება ითქვას, რომ, მიუხედავად იმისა, რომ გენდერისა და სქესობრივი განსხვავების პრობლემა პრეისტორიული პერიოდიდან იღებს სათავეს, გენდერი, როგორც დამოუკიდებელი საკვლევი თემა, მხოლოდ 1970-იანი წლებიდან ჩნდება, როგორც პასუხი საზოგადოებაში მიმდინარე უთანასწორო პროცესებზე. მიუხედავად იმისა, რომ გენდერის პრობლემატიკა ფემინიზმიდან და, საერთოდ, ქალთან დაკავშირებული კვლევებიდან წარმოიშვა, ის მხოლოდ ქალთა პრობლემებს, განსხვავებასა თუ უთანასწორობას არ იკვლევს, არამედ მისთვის თანაბრად საინტერესოა მამაკაცური მახასიათებლები თუ სტერეოტიპები და მათი შედარება ქალურთან. მეტიც, გენდერული კვლევები ინტერდისციპლინურია, რაც მათ მეთოდოლოგიურ უპირატესობას ანიჭებს – გენდერის მრავალმხრივი საკვლევი თემატიკა ხელს უწყობს მკვლევრებს, გამოიყენონ უკვე არსებული ყველა მეთოდოლოგია ან საჭიროებისამებრ შექმნან ახალი.

აქ განხილული სოციალური, ფსიქოლოგიური თუ ლინგვისტური თეორიები დიდ ყურადღებას უთმობენ სქესსა და გენდერს შორის განსხვავებას. სქესი – მდედრობითი ან მამრობითი – ბიოლოგიური ტერმინია, რომელიც ადამიანებს დაბადებისას ენიჭებათ (იშვიათად გამოვლენილი ჰერმაფროდიტიზმის გარდა), გენდერი კი იმ კულტურულ თუ სოციალურ განსხვავებებს აღნიშნავს, რომლებსაც საზოგადოება უწესებს ადამიანებს. მკვლევრები თანხმდებიან, რომ საზოგადოებას უდიდესი წვლილი მიუძღვის ადამიანის აზროვნების ჩამოყალიბებაში, რომელშიც, მომდევნო ეტაპზე, გენდერული როლები და სტერეოტიპებიც იკვეთება. მეტიც, ბავშვები ადრეული ასაკიდანვე უფროსებისა თუ ტოლების მიბაძვითა თუ მითითებებით ეცნობიან ხსენებულ სტერეოტიპებს და თანდათანობით ექცევიან მათ ჩარჩოებში.

გენდერით დაინტერესებულია თანამედროვე ლინგვისტიკაც, რომელიც შეისწავლის მამაკაცური და ქალური საუბრის პრობლემატიკას, მათ მსგავსებასა თუ განსხვავებას, გამოვლინებასა თუ არსებობის მიზეზებს. საინტერესოა, რომ, პოპულარული კვლევების მიხედვით, მამაკაცები და ქალები ენის ფუნქციას განსხვავებულად აღიქვამენ და, შესაბამისად, სხვადასხვა სტერეოტიპული მარკერებით ხასიათდებიან. ენათმეცნიერები (ელის იგლი და ვენდი ვუდი, 2012; რობინ ლეიკოფი, 2008) ასევე დიდ ყურადღებას აქცევენ ლინგვისტურ ძალაუფლებას, რომლის გამოხატვასაც, ძირითადად, მამაკაცები, თუმცა, ხშირად ქალებიც, აქტიურად ცდილობენ ენის მეშვეობით. უფრო მეტიც, ზოგიერთი სოციოლინგვისტის აზრით, ქალთა და მამაკაცთა შორის ენობრივი სხვაობა გამოწვეულია არა გენდერით, არამედ სიტუაციური ავტორიტეტით და ძალაუფლებით (ელის იგლი და ვენდი ვუდი, 2012; ლეიკოფი, 2008).

სოციალური იდენტობისა და როლების თეორიების მიხედვითაც, ადამიანთა ქცევას განაპირობებს სოციუმი და კლასი, რომელსაც ისინი ეკუთვნიან. იდენტობის თეორია უშვებს იმ მოსაზრებასაც, რომ სოციალური მობილობის მეშვეობით ადამიანს შეუძლია, ცხოვრების პირობები გაიუმჯობესოს და გაექცეს კიდეც სოციუმის სტერეოტიპებს. თუმცა, მიუხედავად გლობალიზაციისა, ფემინისტური მოძრაობებისა და შედარებით უფრო მეტი თანაბარუფლებიანობისა, ადამიანები მაინც ვექცევით ჩვენივე აზროვნებისა (რომელიც, ბუნებრივია, საზოგადოებრივი აზრით არის ნაკარნახები) და საზოგადოების ზეგავლენის ქვეშ და გამიზნულად თუ გაუაზრებლად მივყვებით სოციუმის დაწესებულ ნორმებს. ნორმებთან დაპირისპირების შემთხვევაში კი სოციუმის წევრები ხდებიან დაცინვის ობიექტები, ხოლო საზოგადოებისთვის – მიუღებელნი და გარიყულნი. დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ გენდერი, როგორც საკვლევი თემა, განსაკუთრებით პოპულარული ხდება საზოგადოებაში იქიდან გამომდინარე, რომ ქალი აქტიურად ერთვება სოციალურ ცხოვრებაში. გენდერზე მუშაობისას აუცილებელია ტერმინების 'გენდერი' და 'სქესი' გამიჯვნა, რადგანაც სქესი

არის ბიოლოგიური განსხვავება ქალსა და მამაკაცს შორის, ხოლო გენდერი -სოციალური ფენომენია, რომელიც განაპირობებს მდედრობითი და მამრობითი სქესების განსხვავებულ სოციალურ თუ ლინგვისტურ ქცევას.

გენდერულ კვლევებში ერთ-ერთ მოწინავე ადგილს სოციოლინგვისტიკა იკავებს, რომელიც შეისწავლის, თუ რა გავლენას ახდენს სოციუმი ენაზე და მის განვითარებაზე. ფოლკლორული ლინგვიტიკა კი მისი ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია, რომელიც შეისწავლის კონკრეტული ეთნიკური სტერეოტიპების გავლენას ენასა და საზოგადოების ურთიერთობაზე, მათ შორის ისიც, იკვეთება თუ არა რეალური განსხვავებები ქალისა და მამაკაცის საუბარში.

მიუხედავად იმისა, რომ არსებობს უამრავი კვლევა, რომლებიც ადასტურებს განსხვავებებს ქალისა და მამაკაცის საუბრის ლინგვისტურ მახასიათებლებს შორის, რთულია ცალსახად იმის მტკიცება, მართლაც არსებობს თუ არა განსხვავებული 'ქალთა' და 'მამაკაცთა' ენები. პირველ ყოვლისა, ეს ჭოჭმანი გამოწვეულია იმ მეთოდოლოგიური პრობლემებით, რომლებიც დღემდე ხშირად ამოტივტივდება ხოლმე ამ საკითხების კვლევისას. მაგალითად, ერთ-ერთი აღიარებული პრობლემაა ქალისა და მამაკაცის ცალსახად ორ ერთფეროვან ჯგუფად წარმოდგენა და შედეგების განზოგადება. გენდერის ლინგვისტური კვლევების ერთ-ერთი ინიციატორის, რობინ ლეიკოფის, ჰიპოთეზის მიხედვით:

(1) ქალი მოსაუბრეები უფრო ნაკლებად აწყვეტინებენ საუბარს მოსაუბრებს, ვიდრე მამაკაცები;

(2) ქალი მოსაუბრეები ირიბ თქმას უფრო ხშირად იყენებენ, ვიდრე მამაკაცები;

(3) მდედრობითი სქესის წარმომადგენლები უფრო ხშირად იყენებენ საუბრის 'სუსტ ფორმებს', მაგალითად, ფრაზულ კითხვებს, „ცარიელ" ზედსართავებს, რომლებიც მათ წარმოაჩენს, როგორც საკუთარ თავში დაურწმუნებელ ადამიანებს;

(4) ქალები ხშირად მოიხსენებიან მამაკაცთან დაკავშირებით და იშვიათად – პირიქით. სხვა ლინგვისტების (ზიმერმანი

და უესტი, ტანენი, და ა.შ.) კვლევები ზოგჯერ ადასტურებს, ზოგჯერ კი უარყოფს ლეიკოფის კვლევის შედეგებს.

მიუხედავად ამისა, უმთავრეს პრობლემად ამ თემის ინგლისურენოვანი კვლევების მეთოდოლოგიაში კვლავ რჩება ქალთა ენის გამოხატულების ლინგვისტური მაჩვენებლების შედარება მამაკაცის, უფრო კონკრეტულად კი, თეთრი რასის მამაკაცის, ენასთან და იგი არ შეისწავლება, როგორც დამოუკიდებელი ერთეული. მეტიც, სრულიად უგულებელყოფილია ჯგუფის შიგნით განსხვავება, ინდივიდუალობა და საუბრის ლინგვისტური კონტექსტი, რაც, ბუნებრივია, საბოლოოდ არ იძლევა რეალურ სურათს.

მეორე მხრივ, ცალსახაა ის ფაქტიც, რომ სტერეოტიპული თუ ლინგვისტური თვალსაზრისით ქალი და მამაკაცი ენის სხვადასხვა მახასიათებელს ამჟღავნებენ. ეს არ არის განპირობებული მხოლოდ მათი სქესით, არამედ, სქესთან ერთად, მნიშვნელოვან სოციოლინგვისტურ ცვლადებად შეიძლება მოგვევლინოს კონტექსტი, ასაკი, სოციალური ფენა და ძალაუფლება.

ზღაპრის ისტორია და დანიშნულება

ზღაპარი, იგივე ჯადოსნური ამბავი, მოკლე მოთხრობის სტილის ნაწარმოებია, რომელშიც ხშირად ვხვდებით ჯადოსნურ ქმნილებებს, როგორებიცაა ელფები, ფერიები, თუ დევები. ფართოდაა გავრცელებული აზრი, რომ შინაარსიდან გამომდინარე, ზღაპარი ბავშვებისთვისაა შექმნილი, თუმცა ეს, როგორც ჩანს, არ შეესაბამება სიმართლეს.

ზაიპსი (2007) ნაშრომში „როდესაც ოცნებები ახდა: კლასიკური ზღაპრები და მათი ტრადიცია" (When Dreams Came True: Classical fairy tales and their tradition, 2007) აცხადებს, რომ ზღაპარი სოციალური მოვლენაა და ათასობით წლის წინ, როდესაც ხალხმა მათი თხრობა დაიწყო, ემსახურებოდა, მათი რწმენით, იმ პერიოდის ბუნებრივი ძალების აღწერასა და, ამის შედეგად, მსმენელში იმედის გაღვივებას. ამ ზღაპრებს კი ზრდასრული ადამიანები ქმნიდნენ და თავიდან ძალიან იშვიათად უყვებოდნენ პატარებს. თუმცა მოგვიანებით, მათი ჯადოსნური შინაარსიდან და კეთილი დასასრულიდან გამომდინარე, ისინი ბავშვებმაც შეიყვარეს (ზაიპსი, 2007).

აღსანიშნავია, რომ ზღაპარი, როგორც სოციალური მოვლენა, ბევრად ადრე არსებობდა, ვიდრე დამწერლობა. BBC-ის ერთ-ერთი კვლევის მიხედვით, ზოგიერთი ზღაპარი, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია, (მაგალითად, „ურჩხული და მზეთუნახავი") ათასწლეულების განმავლობაში თაობიდან თაობას გადაეცემა და სრულიად შესაძლებელია, რომ მას პირველად პროტო-ინდოევროპულ ენაზეც კი ჰყვებოდნენ (დე სილვა (ბიბისი), 2016). საინტერესოა ის ფაქტიც, რომ, ზაიპსის აზრით (ზაიპსი, 2007), ისეთმა ცნობილმა ფსიქოლოგებმა, როგორებიც არიან იუნგი და ფროიდი, ვერ მოახერხეს ზღაპრების სწორად გაანალიზება, რადგანაც ისინი ზღაპარში მხოლოდ სულიერ და უნი-

ვერსალურ არქეტიპებს ეძებდნენ, რათა გამოეყენებინათ თავიანთი პროფესიული, ფსიქოთერაპიის მიზნით. მეორე მხრივ, მიღებული აზრის თანახმად, მათ ვერ შეძლეს ზღაპრის ძალიან მარტივი, მაგრამ მნიშვნელოვანი დანიშნულების, კერძოდ კი, მისი სოციალური ძალის ამოცნობა, რისთვისაც და რის გამოც ზღაპარი თავდაპირველად შეიქმნა იმისთვის, რომ გადმოეცა მნიშვნელოვანი კულტურული ინფორმაცია. ის ასევე გამოიყენებოდა სოციუმების ჩამოყალიბებისა და გარემოსთან ადაპტაციისთვის. ხალხი ოდითგანვე ქმნიდა ზღაპრებს, რომლებიც ეხმარებოდათ მათ „თავის უფლებისა" და თანადგომის გაღვივებაში (ზაიპსი, 2007). მხოლოდ რამდენიმე საუკუნის წინ აღიარეს ზღაპარი ლიტერატურის ერთ-ერთი ჟანრად, თუმცა მან შეინარჩუნა ის სოციალური მახასიათებლები, რომლებიც მისი ევოლუციის მთელი პროცესის განმავლობაში ხშირად იყო დაკავშირებული რიტუალებთან, ტომობრივ ტრადიციებთან თუ ჩვევებთან და, ასევე, რწმენასთან. ზღაპარი ადამიანებს უქმნიდა მიკუთვნებულობის განცდას, იმედს და არწმუნებდა მსმენელს, რომ შესაძლებელია ჯადოსნური ტრანსფორმაციები, სასწაულები ხდება და უკეთეს სამყაროში ცხოვრება რეალურად შეიძლება, რაც გაახალისებს, გაართობს და გაანათლებს ადამიანს. შესაბამისად, ზღაპრებიც იმისდა მიხედვით იქმნებოდა, თუ რა ესაჭიროებოდა იმ პერიოდში მოსაუბრესა თუ მსმენელს (ანდერსონი, 2000; ზიოლკოვსკი, 2006). აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, ზღაპარი ბევრს მეტყველებს იმაზე, თუ რას განიცდიდა, რა პრობლების წინაშე იდგა ესა თუ ის საზოგადოება მისი შექმნის პერიოდში.

დამწერლობის ჩამოყალიბებასა და, უფრო კონკრეტულად, სტამბური ბეჭდვის შემოღებიდან მოყოლებული, ზღაპრები კიდევ უფრო სწრაფად გავრცელდა საზოგადოებაში და, ზეპირი ტრადიციიდან წერით ფორმატში გადასვლისას, მას ბევრი წესისთვის დამორჩილება მოუწია. გარკვეულ პერიოდში ჩამოყალიბდა ლიტერატურული ზღაპარი, რომელმაც გაამდიდრა ზღაპრის მოტივები, პერსონაჟები, შინაარსი, ასევე შეიცვალა მისი ადრესატი – ის უკვე ერთმნიშვნელოვნად იქმნებოდა

არისტოკრატიისა და საშუალო ფენისთვის და გამორიცხავდა დაბალ კლასს, რადგანაც მათ წერა-კითხვასა და დამწერლობაზე ხელი არ მიუწვდებოდათ.

მარინა ვორნერი (1995) მიმოიხილავს ზღაპრის ისტორიას და მის ფესვებს ზეპირსიტყვიერებაში ეძებს, თუმცა, ზღაპრის ფუნქციიდან და მახასიათებლებიდან გამომდინარე, ვორნერი ფიქრობს, რომ ზღაპრის ყველაზე კარგი შესატყვისი, რომელიცზედმიწევნით აღწერს მის დანიშნულებასა და ხასიათს, არის გერმანული სიტყვა Wundermärchen (wonder tale), ანუ „საოცარი ამბავი". ვორნერი ასევე აღნიშნავს, რომ ზღაპარს, ფსიქოანალიტიკური და ფემინისტური გადმოსახედიდან, აქვს იმის შესაძლებლობა, რომ ჩასწვდეს ადამიანის ბუნებას და თქვას სიმართლე საზოგადოების მენტალობის შესახებ.

ტერმინი „ზღაპარი", როგორც ამ ჟანრის სახელწოდება, პირველად მეჩვიდმეტე საუკუნის საფრანგეთში წარმოიშვა. მაშინ ამ ფორმას ერქვა conte de fée, და ამ დროიდან მოყოლებული, ამ ტერმინით (ან მისი თარგმანით) აღინიშნება როგორც ევროპაში, ისე ამერიკაში. ზაიპსის (2007) მიხედვით, ეს ტერმინი უაღრესად მნიშვნელოვანია, რადგანაც ის გადმოსცემს უფრო მეტს, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს. ქართულისგან განსხვავებით, რომელშიც სიტყვაში „ზღაპარი" არ ჩანს სქესი თუ გენდერი, ფრანგული და ინგლისური ტერმინები ზღაპრისთვის ჩვეულ მეტამორფოზის ძალას ქალების, უფრო კონკრეტულად კი – ფერიების, ხელში მოაქცევენ. მეტიც, თავისი ბუნებიდან გამომდინარე, ზღაპარი უკავშირდება მითოლოგიისა თუ რელიგიის რომელიმე კონკრეტულ წარმომადგენელს, რომლის მეშვეობითაც აღიწერება სამყარო. ზღაპარი წარმოადგენს მისტიკურ ძალას, რომელიც გადმოცემულია ავტორის/მოსაუბრის წარმოსახვაში და მისი მეშვეობით. თუმცა იმ პერიოდის მეზღაპრეები, რომელთა რიგებში არც თუ ისე იშვიათად იყვნენ ქალები, ფერიების მოხმობას უფრო არჩევდნენ დასახმარებლად, ვიდრე ეკლესიისა, რომელიც არა მხოლოდ იმ პერიოდში, არამედ დღემდე რჩება მამრობითი სქესის წარმომადგენლებით დომინირებულ სფეროდ (ზაიპსი, 2007).

ზღაპრის განვითარების ისტორიის პირველი ეტაპი განსაკუთრებით იყო ორიენტირებული სოციალური კლასისა და სქესის გამოყოფისკენ. ბევრი ზღაპარი იწერებოდა იმ პერიოდში მამრობით სქესთან ასოცირებული ზეპირი თუ წერითი სტილის მიხედვით, მიუხედავად იმისა, რომ, ასევე ხშირად, მათი ავტორები სწორედ ქალები იყვნენ. ეს ყველაფერი კი ემსახურებოდა საზოგადოების კონკრეტული კლასის, კერძოდ კი, მაღალი ფენის ინტერესებს. მეჩვიდმეტე საუკუნის ფრანგულმა ზღაპრებმა საზოგადოების ყველა ფენა, სქესი და ასაკი მოიცვა, თუმცა მას სხვადასხვა ფუნქციის შესრულება დაეკისრა, რაც შემდეგ გავრცელდა ევროპის სხვა ქვეყნებსა და ამერიკაში. ეს ფუნქციები ემსახურებოდა, პირველ ყოვლისა, პოლიტიკურ ინტერესებს, მაგალითად, ქვეყნის იდეოლოგიის წარმოჩენას; მმართველი ძალის კრიტიკას, არისტოკრატიის წარმომადგენელი ქალების გადმოსახედიდან აღიწერებოდა გართობისა და სოციალური ცხოვრების მოვლენები, რომლებსაც მსმენელისა თუ მკითხველის ყურადღება გადაჰქონდა სერიოზული სოციალური და პოლიტიკური პრობლემებიდან და აჩვენებდა, როგორ „იტანჯებოდა“ მაღალი ფენის წარმომადგენლობაც. ამ დროს ასევე ხშირად წარმოჩნდებოდა საზოგადოების სერიოზული პრობლემები პაროდიის ჟანრში; ამავე პერიოდში გავრცელდა ზღაპარი, როგორც ერთ-ერთი ლიტერატურული ჟანრი.

მიუხედავად იმისა, რომ ზღაპარმა საუკუნეების განმავლობაში დიდი ცვლილებები განიცადა, მან საბავშვო ზღაპრებშიც კი შეინარჩუნა სოციალური და პოლიტიკური ნარატივი. მეთვრამეტე-მეცხრამეტე საუკუნეში მშობლები, მაღალი ფენის საზოგადოება და ეკლესია ფიქრობდნენ, რომ ზღაპრებში სათანადოდ არ წარმოჩინდებოდა ქრისტიანული ღირებულებები და სიმბოლიკა, თუმცა მეცხრამეტე საუკუნეში მწერლებმა, მათ შორის ძმებმა გრიმებმა, დაიწყეს ზღაპრებში ქრისტიანული და პატრიარქალური მესიჯების ჩამატება, რითაც დააკმაყოფილეს საშუალო კლასისა და არისტოკრატიის ინტერესები (ზაიპსი, 1997). როგორც აღინიშნა, ზღაპრების უპირატესად საბავშვო ჟანრად ქცევაში დიდი წვლილი შეიტანეს გერმანელმა ძმებ-

მა – გრიმებმა, რომლებმაც, პირველ ყოვლისა, ქრისტიანული დოგმების გარდა, ზღაპრის ფუნქცია დაინახეს, როგორც ქვეყანაში გერმანული ეროვნული კულტურის გავრცელების საუკეთესო საშუალება. შესაბამისად, გრიმებმა დაიწყეს ზღაპრების შეგროვება და მოდიფიცირება, რათა ისინი ბავშვებისთვის უფრო გასაგები და თან კორექტული გაეხადათ. ამ მიზნის მისაღწევად გრიმებმა ზღაპრებიდან ამოიღეს ისეთი მონაკვეთები, რომლებიც აღწერდნენ ზედმეტად სასტიკ, დაუნდობელ თუ ეროტიკულ სცენებს, თუმცა შეინარჩუნეს ზღაპრისათვის დამახასიათებელი ჯადოსნური და მაგიური ელემენტები, რათა უფრო საინტერესო გაეხადათ იგი პატარა მკითხველისთვის (ზაიპსი, 2007).

მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისიდან იწყება ჰანს კრისტიან ანდერსენის ეპოქა, რომელმაც გერმანული ზღაპრების გავლენით დაიწყო იმ ზღაპრების წიგნებად ბეჭდვა, საკუთარი რედაქციით, რომლებიც საოცრად დიდი პოპულარობით სარგებლობდნენ და ახლაც სარგებლობენ როგორც ევროპაში, ისე ამერიკაში. მისი ზღაპარი აერთიანებდა იუმორს, საინტერესო შინაარსს, ასევე, ქრისტიანულ ელემენტებსაც, რაც სულშიჩამწვდომი იყო როგორც ზრდასრული, ისე ახალგაზრდა აუდიტორიისთვის.

ზაიპსის (2007) აზრით, ზღაპრების ასეთი პოპულარობის მიზეზს ამერიკასა და ევროპაში ადამიანის გაუცხოება წარმოადგენს, რადგანაც ცხოვრება განვითარდა და უფრო მეტად სტრუქტურიზებული გახდა, ნაკლები დრო ეთმობოდა ოცნებასა თუ წარმოსახვას, ზღაპარი კი სოციალური ბუნების გამო ამ დანაკლისის შევსების არაჩვეულებრივ წყაროს წარმოადგენდა. ამ პერიოდში ქრისტიანული ნორმების, წესრიგის, პატიოსნებისა და სისუფთავის ნორმების ბრმად მიყოლის ნაცვლად, ზღაპარმა მკითხველს მისცა კითხვის დასმისა და აზროვნების საშუალება, უბიძგა წარმოსახვის განვითარებისა და ცნობისმოყვარეობის გაღვივებისაკენ.

მეოცე საუკუნეში, როდესაც ზღაპარი კიდევ უფრო მეტად გავრცელდა ამერიკასა და ევროპაში, მისი ფუნქციაც გაიზარდა

და დაიხვეწა; კერძოდ, მას დაემატა საზოგადოების კულტურული მემკვიდრეობის ჩამოყალიბებისა და შენარჩუნების როლი.

ზღაპარზე საუბრის დროს ძნელია, გვერდი ავუაროთ რუსი ფოლკლორისტის, ვლადიმერ პროპის, მიერ შემუშავებულ ზღაპრის მორფოლოგიას (პროპი, 1968), რომლის საშუალებითაც ავტორმა შეძლო ჯადოსნური ზღაპრების გავრცელებული ფუნქციების იდენტიფიცირება და კლასიფიცირება. აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა ქვეყანაში, რაიმე ზეგავლენით თუ დამოუკიდებლად, ხშირად ვრცელდებოდა იდენტური თუ უკვე არსებულთან მიახლოებული სიუჟეტი, რის გამოც ვლადიმერ პროპმა გადაწყვიტა, მოეხდინა ზღაპრის უნივერსალური თემებისა და ფუნქციების კლასიფიკაცია. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ პროპის ზედმეტად სტრუქტურული მიდგომა ხშირად კრიტიკის ობიექტი ხდებოდა (მაგალითად, ლევი-სტროსი, 1976). მეორე მხრივ, აღსანიშნავია, რომ გარდა იმ ფაქტისა, რომ ძველი ზღაპრები ხშირად ერგება პროპის მიერ შემოთავაზებულ კატეგორიზაციას, ძალიან ბევრი ახალი ერთეულიც იქმნება მის თარგზე. ვ. პროპი ევროპამ გასული საუკუნის 50-იან წლებში გაიცნო, მას შემდეგ, რაც დასახელებული ნაშრომი ითარგმნა და გავლენა იქონია ისეთ მეცნიერებზე, როგორებიცაა კლოდ ლევი-სტროსი და როლან ბარტი. პროპის მიერ შემუშავებული სტუქტურა ფართოდ გამოიყენება მედია განათლებაში, რადგან კარგად ერგება როგორც ლიტერატურის, ისე დრამისა თუ კინემატოგრაფიის პრობლემატიკას. ამდენად, ამ სტრუქტურას შეიძლება მოერგოს ნებისმიერი ფილმი, მაგალითად, „ვარსკვლავური ომები" და „ჰარი პოტერიც" კი. უფრო კონკრეტულად, პროპი გვთავაზობს ზღაპრების 31 ნარატემად (ნარატიული ერთეული) დაყოფას. პროპისეული ზღაპრის ეს 31 ფუნქცია, რომლებიც ქმნის ზღაპრის პარადიგმას, ძალიან ხშირად გვევლინება ევროპულ და ამერიკულ ზღაპრებში. ნარატემები წარმოდგენილია, როგორც ზღაპრის მუდმივი კომპონენტები და განიხილება, როგორც მოქმედებისთვის უმნიშვნელოვანესი ნაწილები, როგორებიცაა, მაგალითად, პერსონაჟის თავგადასავლისთვის მზადება, მთავარი გმირის მისია და მისი შეს-

რულებისას წამოჭრილი პრობლემები და, საბოლოოდ, გმირის გამარჯვება.

პროპმა 31 ნარატემა დაყო ოთხ სფეროდ:

პირველი სფერო: შესავალი (1-7 ნარატემა)

პირველ სფეროში ვეცნობით სიტუაციას და მთავარ პერსონაჟებს, ასევე ვემზადებით მთავარი პერსონაჟის თავგადასავლისთვის.

1. ვიღაც იკარგება
2. პროტაგონისტი უკრძალავენ რაიმეს გაკეთებას
3. პროტაგონისტი არღვევს აკრძალვას
4. ანტაგონისტი ეძებს რაიმეს
5. ანტაგონისტი მოიპოვებს რაიმე ინფორმაციას
6. ანტაგონისტი ცდილობს მოატყუოს მსხვერპლი
7. პროტაგონისტი შემთხვევით/მოტყუებით ეხმარება მტერს/ანტაგონისტს.

მეორე სფერო: ზღაპრის მთავარი ნაწილი (8-11 ნარატემა)

იწყება ამბის თხრობა, მთავარი გმირი მიდის გარკვეული მისიის შესასრულებლად.

1. გამოაშკარავებულია ანტაგონისტის სურვილი
2. პროტაგონისტი მიხვდება/აღმოაჩენს ანტაგონისტის მიზნებს
3. პროტაგონისტი ირჩევს კეთილ გზას
4. პროტაგონისტი მიდის გარკვეული მისიის შესასრულებლად.

მესამე სფერო: დონორის ნაწილი (12-19 ნარატემა)

მთავარი დადებითი პერსონაჟი მიდის პრობლემის გადაჭრის გზის მოსაძებნად, ის იღებს ჯადოსნურ ნივთს დონორისგან.

1. პროტაგონისტს ცდიან, რომ დაამტკიცოს თავისი გმირული ხასიათი
2. პროტაგონისტი აბარებს გამოცდას

3. პროტაგონისტი იღებს ჯადოსნურ ნივთს
4. პროტაგონისტი აღწევს დანიშნულების ადგილს
5. პროტაგონისტი და ანტაგონისტი ერთმანეთს ებრძვიან
6. პროტაგონისტი იღებს რაღაცა ნიშანს (თუნდაც, ჭრილობას)
7. ანტაგონისტი დამარცხებულია
8. დასაწყისში წარმოდგენილი პრობლემა გადაწყვეტილია

მეოთხე სფერო: გმირის დაბრუნება (20-31 ნარატემა)

მეოთხე სფერო ყოველთვის არ არის წარმოდგენილი ზღაპრებში. ამ ნაწილში გმირი ბრუნდება სახლში.

1. პროტაგონისტი მიემართება სახლისკენ
2. პროტაგონისტს მოსდევენ
3. დევნა მთავრდება
4. გმირი სახლში შეუმჩნევლად ბრუნდება
5. ცრუ გმირი აცხადებს უსაფუძვლო მოთხოვნებს
6. პროტაგონისტს ეძლევა რთული დავალება
7. დავალება შესრულებულია
8. პროტაგონისტს ცნობენ
9. ცრუ გმირი გამომჟღავნებულია
10. პროტაგონისტი გარეგნულად იცვლება
11. ანტაგონისტი იცვლება
12. პროტაგონისტი ქორწინდება სამეფო ოჯახის წარმომადგენელზე და ადის სამეფო ტახტზე.

პროპი ასევე გამოყოფს პერსონაჟების არქეტიპებს, კერძოდ:

1. გმირი – ზღაპრის მთავარი პერსონაჟი, რომელთანაც, ძირითადად, აიგივებს თავს მკითხველი, ძირითადი გმირი, რომელზეც გადმოიცემა ამბავი. გმირმა შეიძლება მოირგოს მსხვერპლის ან მაძიებლის როლიც, ან ერთდროულად ორივესი.

2. მავნე – ანტიგმირი, იბრძვის გმირის წინააღმდეგ, არის მორალურად ცუდი, რაც ხელს გვიწყობს დავინახოთ გმირის

დადებითი მხარეები. მავნე ცდილობს, ხელი შეუშალოს გმირს გეგმის განხორციელებაში.

3. მჩუქებელი – ზღაპრის პერსონაჟი, რომელიც გმირს რაიმე განსაკუთრებულს აძლევს – შეიძლება იყოს ჯადოსნური ნივთი ან სიბრძნე. ეს პერსონაჟი ზღაპარში შეიძლება შემწემაც შეითავსოს.

4. შემწე – ეხმარება გმირს კრიტიკულ მომენტებში. შემწე ძირითადად არის ბრძენი მოხუცი ან ჯადოქარი.

5. გამსტუმრებელი – ზღაპრის დასაწყისში გამსტუმრებელი გზავნის გმირს თავგადასავლის საძიებრად ან მისიაზე. შეიძლება იყოს მშობელი ან მეფე, რომელიც დავალების წარმატებით შესრულების შემთხვევაში თავისი ასულის ხელს პირდება. გამსტუმრებელი შეიძლება ცრუგმირის პერსონაჟიც იყოს.

6. ცრუგმირი – მავნე, რომელიც გმირს გავს და გმირულად იქცევა. მკითხველს თავიდან ის გმირშიც კი შეიძლება აერიოს. ცრუგმირი იბრალებს გმირის მიღწევებს და ცდილობს, ცოლად შეირთოს მეფის ასული ან დაიმსახუროს ჯილდო.

7. მეფის ასული – ყოველთვის არ იგულისხმება პირდაპირი მნიშვნელობით მეფის ქალიშვილი. მეფის ასულის არქეტიპი შეძლება იყოს ნივთი, ჯილდო, რომელსაც გმირი ეძიება.

როგორც აღვნიშნეთ, პროპის ზღაპრის მორფოლოგია ხშირად ექცევა კრიტიკის ეპიცენტრში. კატეგორიზაციის ნაკლად, მაგალითად, სტრუქტურალისტი კლოდ ლევი-სტროსი (1976) მიიჩნევს, რომ ზღაპრისადმი პრაგმატიკული მიდგომა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მისი სინტაგმატური ღერძის გამოკვლევა. მიუხედავად კრიტიკისა, პროპის მიერ შემოთავაზებული ზღაპრების კლასიფიკაცია დღემდე წამყვან ნაშრომად რჩება ამ სფეროში.

ათასწლეულების განმავლობაში ზღაპარი თაობიდან თაობას გადაეცემა და, რაც მთავარია, პოპულარობას არ კარგავს. მისი მუდმივი აქტუალურობის საიდუმლო კი არის ის, რომ შეიძლება მისი გადასხვაფერება, კვლავწერა (rewriting, réécriture),

ანუ სიუჟეტის გამრავალფეროვნება ან, პირიქით, გამარტივება; ასევე, ადვილად შეიძლება ზღაპრის თანამედროვეობასთან მორგება თუ კულტურული ელემენტების დამატება. ზღაპრების კვლავწერით იქმნება ძველი ზღაპრების ახალი ვერსიები, არსებულს ემატება ნარატივის ახალი მეთოდები თუ სტრატეგიები, გმირები და განსხვავებული პერსპექტივა, რომელიც ზღაპარს უდავოდ უფრო საინტერესოს ხდის. შესაბამისად, ის მკითხველისთვის თუ მსმენელისთვის მუდმივად საინტერესო რჩება (ბეკეტი, 2000; ზაიპსი, 2006; მალაფანტისი და ნტოულია, 2011). ზღაპრების გავრცელებაში დიდი წვლილი მიუძღვის „მოხეტიალე სიუჟეტების" (wandering plots) თეორიასაც, რომელიც თეოდორ ბენფეის ეკუთვნის (ბენფეი, 1859). მეცნიერის აზრით, ზღაპარი, როგორც ჟანრი, ჩამოყალიბდა ძველ ინდოეთში (მონოგენეზისი), შემდეგ კი გავრცელდა სპარსეთსა და არაბულ სამყაროში. მოგვიანებით, კი, ბუნებრივია, ევროპაშიც შევიდა ესპანეთისა და საბერძნეთის გავლითა და ჯვაროსნების დახმარებით (ზაიპსი, 2006; გოგიაშვილი, 2016). შესაბამისად, არსებობს უნივერსალური, „მოხეტიალე სიუჟეტები", რომლებიც სხვადასხვა კულტურაში შეიძლება შეგვხვდეს. სწორედ ამიტომაა, რომ ერთი და იგივე ზღაპარი, თითქმის ერთსა და იმავე პერიოდში, სხვადასხვა კულტურაში თანადროულად ჩნდება. ამის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ „რაპუნცელის" ამბავი, რომელიც სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებული სახელით გვხვდება, მაგრამ ხასიათდება საერთო სიუჟეტით და ერგება ქვეყნის კულტურულ ელემენტებს (Rapunzel – ძმები გრიმები, Parsley [Petrosinella]- იტალიური ვერსია, Parsillette – ფრანგული ვერსია).

ზღაპრის სოციოლინგვისტური და გენდერული ფუნქციები

ერთი მხრივ, ძალიან რთულია ზღაპრის ისტორიული და სოციალური მნიშვნელობის შესწავლა, რადგანაც იმ პერიოდში, როდესაც დაიწყო ზღაპრების ზეპირი ფორმით გადაცემა, არ არსებობდა დამწერლობა. შესაბამისად, იმ პერიოდის მთხრობელები ეყრდნობოდნენ პირად მოტივებს, თემებსა და პერსონაჟებს თანამედროვე სოციალური პრობლემების აღსაწერად და გადასაჭრელად, რომლებიც თაობიდან თაობას გადაეცემოდა. ამასთან, ზეპირი გადაცემა იწვევდა ზღაპრის შინაარსიდან გარკვეული პრობლემატიკის ამოგდებას ან ახალი ელფერის ელემენტების დამატებას. მეორე მხრივ, როგორც აღინიშნა, ზღაპარი რჩება სოციალურ მოვლენად და მისთვის ადვილად შეიძლება სხვადასხვა სოციოლინგვისტური დანიშნულებისა და ფუნქციის „მიწერა", მათ შორის ისეთი უნივერსალური თემატიკისა, როგორიცაა პოლიტიკისა და გენდერული პრობლემატიკის აღწერა.

კვლავ ზღაპრის სოციალურობის გამო, იგი ხშირად გამოიყენება იმ პრობლემების გამოხატვის საშუალებად, რომლებიც მათი დროის საზოგადოებას აწუხებს. მიუხედავად იმისა, რომ გენდერი და ქალთა და მამაკაცთა უთანასწორობა ბოლო ათწლეულებია, რაც პოპულარული საკვლევი თემაა, ეს პრობლემა ძველ, ტრადიციულ ზღაპრებშიც შეიმჩნევა, რადგანაც მოყოლილ ამბებში თვალსაჩინოდ არის გადანაწილებული და წარმოდგენილი საზოგადოებაში არსებული სოციალური როლები, რაც გვაძლევს საშუალებას, შევადგინოთ იმ პერიოდის საზოგადოების სოციოკულტურული და სოციოლინგვისტური პორტრეტები.

საინტერესოა მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, ქალი არის პასიური არსება, ხოლო მამაკაცი – აქტიური და ეს ისტორიის კვალდაკვალ აისახება როგორც რეალურ ცხოვრებაში, ისე მხატვრობაში, ლიტერატურასა და სექსუალურ ცხოვრებაშიც კი (ედენი, 2016). ეს ვითარება, ბუნებრივია, ასახულია ძველ

ზღაპარებშიც, რომლებშიც, მეტწილად, პრინცესა ელოდება პრინცის დახმარებას, ან ოცნებობს მასზე დაქორწინებაზე, მაშინ, როდესაც მამრობითი სქესის პერსონაჟები აქტიურობით ხასიათდებიან, მოგზაურობენ და თავგადასავლებს ეძებენ. ნანდას მიხედვით (2014), ზღაპრებში პასიური როლის შესრულება ერთ-ერთი ყველაზე ღირებული და მნიშვნელოვანი ატრიბუტია ქალისთვის. რადგანაც ქალს არ ხელეწიფება საკუთარი თავზე ზრუნვა და გადარჩენა, ეს აუცილებლად მამაკაცმა უნდა გააკეთოს. ნანდას ვრცელი კვლევა ამტკიცებს, რომ ძველი პერიოდის ზღაპრებში ამბიციური ქალი ნაკლებად „წარმატებულია“, რადგანაც იგი წარმოჩინდება როგორც ბოროტი პერსონაჟი, რაც, ხშირად, გმირის სიკვდილით სრულდება. აღსანიშნავია ისიც, რომ ზღაპრის ავტორები, როგორც წესი, ხელმძღვანელობდნენ პრინციპით „ლამაზ სხეულში ლამაზი სულია“, რადგანაც კეთილშობილება აუცილებლად დაკავშირებული იყო სილამაზესთან, ხოლო ბოროტება ასოცირდებოდა სიმახინჯესთან (ნანდა, 2014).

ქალი, რომელიც არაქალურ თვისებებს გამოამჟღავნებს, აუცილებლად დაისჯება. მაგალითად, რობინ ლეიკოფი (ლეიკოფი, 2008) ამტკიცებს, რომ ბევრი ანდაზა თუ ზღაპარი სოციალური ინსტრუქციის როლს ასრულებს როგორც გოგონებისთვის, ისე ბიჭებისთვის. ამ აზრის დასასაბუთებლად, ავტორს ორი ზღაპარი მოჰყავს- “Seven at a Blow”და “The Seven Swans”. პირველ მათგანში პატარა მამაცი მეზღვაური ბიჭუნა, თავისი სიმამაცითა და სხარტი ენის წყალობით, ბევრ სირთულეს გადალახავს, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ბიჭები ვერბალურ ქმედებებს წარმატებისკენ მიჰყავს. მეორე ზღაპარში, “The Seven Swans”, გოგონას შვიდი ძმა გედებად გადააქციეს. გოგონას ძმების გადარჩენა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია, თუ ის შვიდი წელი იჯდება ხეზე და ძმებს გვირილებისგან მაისურებს მოუქსოვს. თუ ამ პერიოდის განმავლობაში ის ხმას ამოიღებს, ყველაფერი წყალში ჩაიყრება და საქმე ცუდად დასრულდება. ამ ზღაპრის დედააზრად შეიძლება ჩაითვალოს,

რომ ჩუმად ყოფნა და რთული პირობებისადმი უსიტყვო მორჩილება ქალის უმთავრესი მოვალეობა და გზაა წარმატების მისაღწევად (ლეიკოფი, 2008). ყველაფერი ეს კი იმის ნათელი მაგალითია, თუ როგორც ცდილობდა და, გარკვეულწილად, ახლაც ცდილობს პატრიარქალური საზოგადოება ქალთა ხმის ჩახშობას. იქიდან გამომდინარე, რომ ზღაპარი უმნიშვნელოვანესი სოციალური და ლიტერატურული მოვლენაა, რომელსაც უდიდესი გავლენა აქვს ბავშვისა და საზოგადოების ფსიქიკაზე, აუცილებელია ქალისა და მამაკაცის ტრადიციული როლების მოდიფიკაცია და მათი თანამედროვე პრობლემებთან დაკავშირება (ვორნერი, 1995; ზაიპსი, 1993). სწორედ ამიტომაა, რომ ზღაპარში დაიწყო სოციალური ღირებულებების ცვლილებების შეცნობა, აღიარება და ძლიერი ქალი პერსონაჟების წინ წამოწევა. მართლაც, თანამედროვე გოგონები ნაკლებად ოცნებობენ სახლში ყოფნასა და პრინცის ლოდინზე; ისინი თავად მიდიან თავგადასავლების საძიებლად. სწორედ ამიტომ, თანამედროვე ზღაპრები, მათი ეკრანული ვერსიები ან ეკრანიზაცია და ასევე მულტფილმები, ძირითადად, ძლიერ, მებრძოლ და მამაც ქალ პერსონაჟებს გვთავაზობენ. ამის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ისეთი თანამედროვე მულტიპლიკაციური ფილმები, როგორებიცაა მოანა, მამაცი, რაპუნცელი, გაყინული და ა.შ.

ბოლო პერიოდში ფართოდ გავრცელდა ე.წ. ინგ. rewriting, ფრანგ. réécriture ანუ არსებული ლიტერატურული ნაწარმოების ხელმეორედ „გადაწერა", რაც უმეტეს შემთხვევაში წარმოადგენს უკვე არსებულის გათანამედროებასა და გადააზრებას. ამის ნიმუშია „წითელქუდას" თანამედროვე ვერსია. ჯეიმს გარნერმა (გარნერი, 1994) ჯერ კიდევ 1994 წელს დაინახა თანამედროვე ზღაპრების საჭიროება და კლასიკური ზღაპრები მოარგო პოლიტიკურად კორექტულ საუბარსა და თემატიკას. მიუხედავად იმისა, რომ წიგნის შესავალში ავტორი წერს, რომ ზღაპარი ისტორიული მოვლენაა და თაობიდან თაობას გადაეცემა, აშკარად ჩანს მისი ირონიული დამოკიდებულება თანა-

მედროვე პროცესების მიმართ; ასევე, იმ ტენდენციის მიმართ, რომელიც ცდილობს, ყველაფერი გენდერულ და პოლიტიკურად სწორ მეტყველებას მოარგოს. მაგალითად, გარნერი ნაშრომში აღწერს წითელქუდას, რომელიც არის ახალგაზრდა "womyn", ფენიმინისტი; მას სწამს, რომ მგელი არის სექსისტი, მას შემდეგ, რაც ეს უკანასკნელი გააფრთხილებს პატარა გოგონას, რომ ტყე ის ადგილი არ არის, სადაც გოგონები მარტო უნდა სეირნობდნენ. იმ მომენტში კი, როდესაც მგელი ცდილობს ბებიისა და წითელქუდას შეჭმას, წითელქუდა შეურაცხყოფილია, რადგანაც მგელი არღვევს მის პირად სივრცეს, და არა იმის გამო, რომ მას შეჭმას უპირებს, რადგანაც, მისი აზრით, ყველა წესიერი ხორცისმჭამელი ცხოველი ამით არის დაკავებული. წითელქუდა მეტყევესაც (woodchopper-person) სექსისტად აღიქვამს, რადგანაც იგი სხვის პირად საქმეში ერევა და ავრცელებს სექსისტურ აზრებს, რომ ქალს საკუთარი საქმის დამოუკიდებლად მოგვარება არ შეუძლია. საბოლოოდ, მგელი, ბებია და წითელქუდა კლავენ მეტყევეს და აშენებენ სოფელს (ანუ სოციალურ გარემოს), რომელიც დაფუძნებულია ურთიერთპატივისცემაზე. საინტერესოა ჰანს კრისტიან ანდერსენის ზღაპრის „იმპერატორის ახალი ტანსაცმელი" თანამედროვე ვარიანტიც, რომლის მიხედვითაც სამეფო არის პოლიტიკურად კორექტული და კულტურულად ტოლერანტული, სადაც არ სვამენ, არ ეწევიან და არ ახასიათებთ სექსისტური ხუმრობები. იმ ნაწილში კი, რომელშიც მეფე სიხარბისა და გაუმაძღრობის გამო შიშველი გავა ქალაქში, ხალხი მის საქციელს აღიქვამს, როგორც მეფის უფლებას, აირჩიოს ჩაცმის ნუდისტური სტილი ("clothing-optional lifestyle"). აღსანიშნავია განხილულ ზღაპრებში გამოყენებული ლექსიკაც, მაგალითად, სიტყვა „ქალი", რომელიც ინგლისურში სიტყვა „კაციდან" არის (man – woman) ნაწარმოები, ფორმაცვლილია, რათა არ ჰქონდეს რაიმე საერთო სიტყვასთან man: wommon, womyn, etc.

ზღაპრების გათანამედროვების და ოცდამეერთე საუკუნის სოციალური მოვლენების კვალდაკვალ საქართველოშიც

გამოიცა წიგნი „იყო ერთი გოგო“ (2018), რომელიც ემსახურება ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის კამპანიას (მასზე უფრო დაწვრილებით ნაშრომის მეორე და მესამე თავებში გვექნება საუბარი). წიგნი წარმოადგენს ზღაპრების კრებულს ძლიერ ქართველ ქალებზე, როგორც ისტორიულ პირებზე, ისე გამონაგონ პერსონაჟებზე, რომლებიც გვარწმუნებენ, რომ ბიოლოგიურ სქესს ნაკლებად აქვს მნიშვნელობა, როდესაც ადამიანი კეთილშობილი, მამაცი და ძლიერია. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ სანდრასა და სანდროს ისტორია, როდესაც შებრუნებულია გენდერული როლები და იმის მაგივრად, რომ, ტრადიციულად სანდრომ გადაარჩინოს და დაიცვას სანდრა, ზუსტად რომ სანდრა იცავს ბიჭს სხვა ბიჭებისგან. ასევე, ერთ-ერთი ზღაპრის პერსონაჟი, მართა-მარიამი, რომელსაც ცხენზე ჯირითითა და ისრების მიზანში სროლით არის გატაცებული, ხშირად ხდება თანასოფლელების გაკიცხვის ობიექტი, რადგანაც მას ხშირად არიგებენ და აკრიტიკებენ, რომ არცერთი ამათთაგანი არის ქალის საქმე. თუმცა ბოლოს მართა-მარიამის სიმამაცე გადაარჩენს მთელ სოფელს.

შეჯამების სახით უნდა აღინიშნოს, რომ ფემინისტური მოძრაობებიდან და ოცდამეერთე საუკუნის მოვლენებიდან გამომდინარე, ზღაპარმა როგორც სოციოლინგვისტურმა მოვლენამ, ბუნებრივია, განიცადა გარკვეული ცვლილებები. თანამედროვე მწერლები მაქსიმალურად ცდილობენ შექმნან ლიტერატურული ზღაპრები, როგორც ბავშვებისთვის, ისე მოზრდილებისთვის, რომლებიც ტრადიციულ სქესთა როლებს და მათ მოდიფიკაციას თანამედროვე გადმოსახედიდან წარმოადგენენ. ამ მოვლენებს კი ევროპასა და ამერიკასთან ერთად, არც საქართველო ჩამორჩება.

პოლიტიკური დისკურსი და ზღაპარი

ბუნებრივია, საზოგადოებას დიდი ინტერესი გააჩნია პოლიტიკის მიმართ, ამიტომ ზღაპრები ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა პოლიტიკური დატვირთვის მქონდე გზავნილების გასავრცელებლად.

მარი ნესი (2018) პოლიტიკურ ზღაპარს სამ კატეგორიად ყოფს:

1) აშკარად პოლიტიკური – როდესაც ძირითადი ზღაპრის მიზანი რაიმე პოლიტიკური ფაქტის აღწერაა;

2) ირიბად პოლიტიკური – მოცემულია პოლიტიკური სიტუაციის კრიტიკა ზღაპრის საშუალებით

3) შემთხვევით პოლიტიკური – მიუხედავად იმისა, რომ ზღაპარი დაიწერა პოლიტიკური შინაარსობრივი დატვირთვის გარეშე, ის შემდეგ მაინც გახდა პოლიტიკური.

აშკარა პოლიტიკურ ზღაპრად შეიძლება ჩაითვალოს ჯორჯ ორველის რომანი „ცხოველების ფერმა", რომელსაც თავიდან თავად ავტორმა უწოდა „პოლიტიკური ზღაპარი", თუმცა მოგვიანებით გამომცემლობებმა ეს მეორეული მნიშვნელობის საქმედ მიიჩნიეს და დაზუსტება ნაშრომის დასახელებიდან ამოიღეს. „ცხოველების ფერმა" რომ გარკვეულ პოლიტიკურ ისტორიას ეხება, თავიდანვე ცხადი ხდება, როდესაც მოხუცი მაიორი მოითხოვს ფერმერის გადაყენებასა და დამოუკიდებლობის მოპოვებას. მართლაც, მას შემდეგ, რაც ცხოველები გააგდებენ ფერმერს, ისინი იწყებენ თავიანთ მოძრაობას – ანიმალიზმს, რომელსაც საკუთარი წესები და კანონები აქვს; მაგალითად, „ცხოველმა ცხოველი არ უნდა მოკლას". თუმცა, მას შემდეგ, რაც დემოკრატია ტირანიაში გადაიზრდება, მოქმედების წესები იცვლება „ცხოველმა ცხოველი არ უნდა მოკლას უმიზეზოდ" (კარი, 2010). უნდა აღინიშნოს, რომ, მიუხედავად იმისა, რომ „ცხოველების ფერმა" ეხება კომუნიზმის, ლენინისა და სტალინის დროის მომდინარე მოვლენების აღწერას (კარი, 2010), რთულია, რუსული რევოლუციისა და თვითონ ჯორჯ ორველის ცხოვრების ცოდნის გარეშე ამოიცნო, კაცობრიო-

ბის ისტორიის რა პერიოდს აღწერს ეს ამბავი. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ „ცხოველების ფერმა" თანდათანობით პოლიტიკურ ალეგორიად და მეტაფორად იქცა. თანამედროვეობაში მას ხშირად უსადაგებენ ამა თუ იმ პოლიტიკურ მმართველს, მაგალითად, ობამას, ტრამპს და ასე შემდეგ.

პოლიტიკურად ტენდენციური ზღაპრები ძალიან პოპულარული იყო გერმანიაში, სადაც ზღაპარი უფრო და უფრო ხშირად ხდებოდა პოლიტიკური განწყობების აღმნიშვნელიი; კერძოდ, მისი საშუალებით უწევდნენ პოპულარიზაციას ნაცისტურ იდეოლოგიას (ზაიპსი, 2008). მაგალითად, როდესაც ნაცისტებმა დაიწყეს გერმანული ცხოვრების, კულტურისა და რელიგიის ყველა სფეროს დაკავება და ანტისემიტური და ანტიდემოკრატიული პროპაგანდის გავრცელება, მათ მიმართეს ძალიან საინტერესო ხერხს – დაიწყეს ძმები გრიმების ზღაპრების საკუთარ მიზნებზე მორგება (რაილი, 2011). ჰოლი (2010) ამტკიცებს, რომ ბავშვები ბევრად უფრო სწრაფად და მარტივად ხედავენ და აღიქვამენ დაფარულ მესიჯებს, ვიდრე მათი მშობლები და ზოგადად ზრდასრულები. ამიტომ ნაცისტებმა მიაგნეს არაჩვეულებრივ გზას გონების სრული „ოკუპაციისა" და მომავალი თაობის ნაცისტური იდეოლოგიით აღსაზრდელად. მაგალითად, წითელქუდა ერთ-ერთ ფილმში წარმოდგენილია, როგორც გერმანელი გოგონა, რომელსაც ტანსაცმელზე სვასტიკა აქვს მიკრული; ამავე ვერსიაში მგელი ებრაელია; საბოლოოდ წითელქუდას გერმანელი ჯარისკაცი დაიხსნის განსაცდელისგან. ცხადია, რომ ამგვარ ნაცისტურ პროპაგანდაში იგრძნობა ანტისემიტური და გერმანული ნაციზმის კამპანია.

საინტერესოა, რა ხდება ამ მხრივ თანამედროვე ზღაპრებში. იქიდან გამომდინარე, რომ მსოფლიო აქტიურად არის პოლიტიკურ სიახლეებში ჩაბმული, თანასწორობა, გამოხატვისა და რწმენის თავისუფლება და ზოგადად პოლიტიკური დისკურსი კვლავ წამყვან თემად რჩება ზღაპარში და არა მხოლოდ აქ. ბოლო პერიოდში ხშირად იქმნება ტრამპისა და მისი იდეოლოგიის საწინააღმდეგო ზღაპრები, რომლებიც ძალიან პოპულარულია როგორც ამერიკაში, ისე ევროპაში. მაგალითად,

მათ შორის ყველაზე პოპულარულია მარლონ ბანდო და მისი ისტორია (ტვისი, 2018) „ერთი დღე მარლონ ბანდოს ცხოვრებიდან“ აღწერს გეი კურდღელს, რომელსაც სხვა კურდღელი უყვარდება, თუმცა ქვეყნის მმართველი და მისი მკაცრი პოლიტიკა უკრძალავს საყვარელ არსებაზე დაქორწინებას. აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ მარლონ ბანდო რეალურად არსებული კურდღელია, რომელიც ამერიკის ტრამპის ადმინისტრაციის ვიცეპრეზიდენტს – მაიკ პენსს ეკუთვნის. ზღაპარში მაიკ პენსის როლს ცუანა ხოჭო თამაშობს, რომელსაც ვიცე-პრეზიდენტისთვის დამახასიათებელი, განსხვავებული სტილის ვარცხნილობა აქვს მორგებული და, ამდენად, მისი ამოცნობა ძალიან მარტივია. მარლონ ბანდო თავის მეგობრებთან ერთად მაინც აღწევს მიზანს და ზღაპრის მორალი გვასწავლის, რომ ცუანა ხოჭოები დროებითია, მაშინ, როცა სიყვარული მუდმივად არსებობს.

პირდაპირი პოლიტიკური ელფერის მქონეა, ასევე, ზოგიერთი ზღაპარი ქართულ ზღაპრების წიგნიდან – „იყო ერთი გოგო“, რომელშიც თამარ მეფისადმი მიძღვნილ ერთ-ერთ ზღაპარში ნახსენებია ქაჯეთი და ქაჯები. ავტორი პატარა მკითხველისთვის უფრო გასაგებად ხსნის ქაჯების რაობას და ასწავლის, რომ ისინი თანამედროვე საქართველოს პარლამენტისა და პარლამენტარების ეკვივალენტია.

ზღაპრის როლი ბავშვის განვითარებაში

ზღაპრის როლი ადამიანის მიერ სამყაროს შემეცნებაში მკვლევრების მიერ სხვადასხვა თვალსაზრისთ განიხილება. გარდა აღმზრდელობითი, კულტურული თუ ისტორიულ-ტრადიციული ფასეულობების გადაცემის ფუნქციისა, თანამედროვე კვლევებში ზღაპარს უარყოფითი და მოძველებული სტერეოტიპების დამკვიდრების ასპექტითაც განიხილავენ. ტომასელოს კვლევების (1999) მიხედვით, ბავშვები სოციალურ კო-

ნტექსტებს და სხვათა ჩანაფიქრს იმიტაციის, ინსტრუქციისა და თანამშრომლობაზე ორიენტირებული აქტივობების მეშვეობით სწავლობენ. ისინი დაბადებიდან რომელიღაც კონკრეტულ კულტურას მიეკუთვნებიან, შესაბამისად, პირველ რიგში, ენის მეშვეობით ეცნობიან თავიანთ კულტურულ მემკვიდრეობას (1999). ბავშვის მიერ სამყაროს შეცნობაში დიდ როლს თამაშობს ასევე ზღაპარიც, რომელიც უხვად აწოდებს პატარა მკითხველს სოციალურ ინფორმაციას, იქნება ეს სტერეოტიპები, გენდერული როლები თუ მშობლიური კულტურის ღირებულებები და მახასიათებლები (ბეტელჰეიმი, 1962).

ზღაპრების მნიშვნელობაზე თანხმდებიან არა მხოლოდ ფოლკლორისტები და ლინგვისტები, არამედ ფსიქოლოგებიც, რომლებიც ზღაპრებს თერაპიული, განმასაჯანსაღებელი მიზნითაც იყენებენ. ბავშვისთვის უმთავრეს პრობლემას და ფუნქციას ემოციური კონტაქტი, ცხოვრების შეცნობა, გართობა და კოგნიტიური განვითარება წარმოადგენს. ზღაპრებს ამის უნარი შესწევთ. პირველ ყოვლისა, საბავშვო ლიტერატურა ბავშვს საშუალებას აძლევს, საკუთარი გამოცდილების ნაკლებობა შეივსოს – ზღაპრებს, ძირითადად, ბედნიერი დასასრული აქვთ, რაც ბავშვებს ოპტიმისტურად განაწყობს და რეალობაში საფრთხისა და სიძნელეებისგან თავის დაღწევის საშუალებად ევლინებათ. ამასთანავე, ზღაპრის მეშვეობით ბავშვი სწავლობს, როგორ გაუმკლავდეს და მიიღოს როგორც საკუთარი პიროვნული, ფსიქოლოგიური თუ ფიზიკური განსხვავებულობა, ასევე, შეიმეცნოს გარამომცველი სამყაროც. ამ ყველაფერთან ერთად ზღაპრებს ძალუძთ კოგნიტიური და საგანმანათლებლო ფუნქციების შეთავსება და ბავშვის ლოგიკური და ანალიტიკური აზროვნების განვითარება (კუჩიაპინკსი, 2014). ბრუნო ბეტელჰეიმი (1985) ამტკიცებს, რომ ბავშვებს შეიძლება ერთი და იმავე ზღაპრის რამდენჯერმე წაკითხვაც კი მოუნდეთ, რაც იმითაა გამოწვეული, რომ მათ უჭირთ საკუთარ თავსა და მთავარ პერსონაჟს შორის საერთო ელემენტების იდენტიფიცირება, განსაკუთრებით მაშინ, როცა მთავარი პერსონაჟისა და ბავშვის სქესი განსხვავდება. შესაბამისად, ბავშვს სჭირდება

ამბის რამდენჯერმე მოსმენა, რომ თავი გააიგივოს ზღაპრის გმირთან და მნიშვნელოვანი ელემენტები აღიქვას. გარდა ამ ფუნქციებისა, ზღაპარში ჩანს საზოგადოებაში გენდერული როლების გადანაწილებაც, რაც ასევე უდიდეს როლს ასრულებს ბავშვის ცნობიერების განვითარებაში.

ფროიდი და მისი სკოლის წარმომადგენელნი, მათ შორის, ბრუნო ბეტელჰეიმი (1985), მიიჩნევდნენ, რომ ზღაპარს შესწევს ძალა, ჩასწვდეს ადამიანის ქვეცნობიერს და, ამასთანავე, იგი ააშკარავებს მის ჭეშმარიტ სურვილებსა და მისწრაფებებს. მაგალითად, „წითელქუდას" ფროიდისეული ინტერპრეტაციით, წითელი ფერი შეიძლება მისი სექსუალური სურვილებისა და ცოდვის მეტაფორად იქცეს. ზღაპრის ფსიქოსექსუალური ანალიზის მიხედვით, ტყე წითელქუდას ქვეცნობიერს შეიძლება წარმოადგენდეს, რომელშიც მგელი გოგონას იდია – მისი ჭეშმარიტი სურვილების სიმბოლო. ასევე საინტერესოა ფროიდიანული სკოლის წარმომადგენლის, ბეტელჰეიმის, „მძინარე მზეთუნახავის" ინტერპრეტაციაც, რომელშიც მძინარე მზეთუნახავის საუკუნოვანი ძილი მის გარდატეხის ასაკში შესვლას მოასწავებს, რადგანაც, ავტორის აზრით, ბიოლოგიური თვალსაზრისით ქალობაში ფახისშედგმამდე რამდენიმე კვირით ადრე გოგონები უფრო მეტი პასიურობით გამოირჩევან. ბეტელჰეიმის აზრით, სცენა, როდესაც ტალია თითს თითისტარზე იჭრის და სისხლი სდის, განასახიერებს მის პირველ მენსტრუაციას. ბეტელჰეიმს მიაჩნია, რომ პრინცესას წყევლა და მისი საუკუნოვანი ძილი წარმოადგენს მშობლის ლატენტურ სურვილს, რომ ჩაახშოს შვილის სექსუალური მომწიფება. საინტერესოა „კონკიას" ფსიქოანალიზიც, რომელშიც, ფროიდისეული ინტერპრეტაციით, გადმოცემულია და-ძმას შორის არსებული მეტოქეობა, რაც ძირითადად ერთ-ერთის მუდმივი დამცირებით გამოიხატება. „რაპუნცელშიც", „მძინარე მზეთუნახავის" მსგავსად, გადმოცემულია დედის ნეგატიური, ეგოისტური საქციელი, რომელიც ცდილობს შეაჩეროს ბავშვის დამოუკიდებლობისკენ სწრაფვა და მომწიფება. ამგვარად, ზღაპრებს უაღრესად

დიდი როლი ეთმობა ფსიქოლოგიაში, როგორც ბავშვის ფსიქიკის ჩაწვდომის ერთ-ერთ საშუალებას. ზღაპრების მეშვეობით შესაძლებელია ბავშვებამდე მივიდეს ისეთი ინფორმაცია, რომელიც მათ მოგვიანებით დაეხმარებათ ცხოვრებისეული პრობლემების მოგვარებაში. ეს გამოწვეულია იმ ფაქტით, რომ ზღაპრებში პრობლემა წარმოდგენილია პირდაპირ და მკვეთრად, რაც ბავშვს საშუალებას აძლევს, პირდაპირ გაიაზროს მოცემული პრობლემა და მისი გადაჭრის გზები. მეტიც, ზღაპრები ბავშვებს აძლევენ იმის იმედს, რომ, მთავარი გმირების მსგავსად, მათაც შეეძლებათ პრობლემების გადალახვა და წარმატების მოპოვება. მაგალითად, ფიფქიასა და დედინაცვლის ურთიერთობა გაკვეთილი აღმოჩნდა ხუთი წლის გოგონასთვის, რომელსაც დედასთან ცუდი ურთიერთობა ჰქონდა. ზღაპრის მეშვეობით, რომელშიც ფიფქიას მუდმივად მამრობითი პერსონაჟები იხსნიან განსაცდელიდან (მონადირე, შვიდი ჯუჯა, პრინცი), გოგონამ ემოციური მხარდაჭერისთვის მამას მიმართა (ბეტელჰეიმი, 1976).

უდავოა, რომ საბავშვო ლიტერატურა მართლაც მოიცავს გენდერულ დისკურსს, რომელიც პირდაპირ მიეწოდება ბავშვს და წარმოდგენას უქმნის მას საზოგადოებრივი ღირებულებებისა და მოლოდინების შესახებ. ზღაპრებში, განსაკუთრებით კი ადრინდელი პერიოდის ვერსიებში, ლიდერის როლი ძლიერი მამრობითი სქესის პერსონაჟებს ენიჭება, ხოლო ქალები მხოლოდ მამაკაცზე -მათზე დაქვემდებარებული როლებით ხასიათდებიან. ეს ყველაფერი კი ბავშვს მიეწოდება ზუსტად იმ ასაკში, როდესაც ყალიბდება და ვითარდება სამყაროს მიმართ მიდგომები და რწმენა (პატერსონი, 2014). ბეიკერ-სპერის (2007) მიხედვით, ბავშვები ადრეულ ასაკში შეთვისებულ ნორმატიულ სტრუქტურებს ეყრდნობიან, რათა მოგვიანებით გაერკვნენ სამყაროსა და საზოგადოების სტრუქტურაში. შესაბამისად, ისინი გენდერულ მოლოდინებსა და სტერეოტიპებს აღიქვამენ, როგორც ჭეშმარიტებას.

ჰადოკი (2004) ფიქრობს, რომ დისნეი დღემდე რჩება საბავშვო მედიისა და ზღაპრების ერთ-ერთ ყველაზე მთავარ შე-

მოქმედად, თუმცაღა ისიც აღსანიშნავია, რომ მასვე მიუძღვის დიდი წვლილი ბავშვის ცნობიერებაში ამა თუ იმ შეხედულებებისა და გენდერული როლების დამკვიდრებაში. კოლიერ-მიკი (2011) და კოშიამა (2013) თვლიან, რომ მულტიპლიკაციურ ფილმებსა თუ ზღაპრებში პრინცი აუცილებლად უნდა იყოს დაჯილდოვებული მკვეთრად მამაკაცური თვისებებით, ხოლო პრინცესა – ქალური მახასიათებლებით, რათა ის ბავშვებს მოეწონოთ. ასევე, პრინცესები განსაცდელისგან უნდა იხსნან მხოლოდ მამრობითი სქესის წარმომადგენლებმა და არა – პირიქით. გარდა ამისა, კონკიასა და ფიფქიას პერსონაჟებიდან გამომდინარე, ქალის გენდერული როლი უფრო საოჯახო საქმესთან დაკავშირდა, რაც, ბუნებრივია, ბავშვის გონებაში აირეკლა, როგორც მდედრობითი სქესისთვის დამახასიათებელი სტერეოტიპი. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ქალი პერსონაჟები აუცილებლად გარეგნული მიმზიდველობით ხასიათდებოდნენ, მიუხედავად იმისა, რომ მიმზიდველობა დაკავშირებულია პერსონაჟის არა მხოლოდ ვიზუალურ მხარესთან, არამედ მის მორალურ ღირებულებებთანაც. მიმზიდველი გარეგნული მახასიათებლები, უმეტესწილად, მოიცავს ლამაზ, ტანად სხეულს, ახალგაზრდულ მომხიბვლელობას, კარგ ხასიათს. ზღაპრების მორალი ბავშვებზე ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ სილამაზე და მიმზიდველობა ბევრად მნიშვნელოვანია თვისებებია, ვიდრე ჭკუა (ბაზინი, 2010; ბეიკერ-სპერი და გრაუერჰოლცი, 2003).

1970-იან წლებიდან მოყოლებული საბავშვო ლიტერატურის მრავალი კვლევა ჩატარდა, განსაკუთრებული ყურადღება კი გენდერულ საკითხებს დაეთმო. ამ კვლევებმა აჩვენა, თუ რაოდენ დიდი გავლენა – პირდაპირი თუ ირიბი – აქვს ამ სახის ლიტერატურას ბავშვებზე. მაგალითად, მეთვრამეტე და მეცხრამეტე საუკუნის ზღაპრები გოგონებს ასწავლიდნენ, როგორ უნდა ყვარებოდათ სახლი და დროის უდიდესი ნაწილი შინ გაეტარებინათ, მიეხედათ საოჯახო საქმეებისთვის და ყოფილიყვნენ მიმზიდველი ქმრის თვალში. ბუნებრივია, შემდეგ

გოგონები თავიანთ შვილებს ამავე ღირებულებებს გადასცემდნენ (ზაიპსი 1988a, 1988b; კლარკი, ლენონი და მორისი, 1993; ვაიტსმანი, 1972).

ბეიკერ-სპერისა და გრაუერჰოლცის მიერ 2003 წელს ჩატარებული კვლევა მიზნად ისახავდა შეესწავლა, თუ რა როლს თამაშობს საბავშვო ლიტერატურა და, კერძოდ, ძმები გრიმების ზღაპრები ბავშვის ცნობიერებაში გენდერული როლების ჩამოყალიბებაში. ამ კონკრეტულ კვლევაში მათ მთავარ ინტერესს წარმოადგენდა ზღაპრის გავლენა ბავშვებში ქალური სილამაზის სტერეოტიპების აღქმის მიმართ. აღმოჩნდა, რომ ზღაპრებში გვხვდება როგორც ქალების, ისე მამაკაცების გარეგნობის აღწერა, თუმცა, რა თქმა უნდა, ქალთა პორტრეტების რაოდენობა ბევრად აღემატება მამაკაცებისას. (ეს უკანასკნელი ერთ ზღაპარში გვხვდება, საშუალოდ, 0-35-ჯერ, ქალისა კი 0-114-ჯერ). ასევე, საინტერესოა აღნიშნული კვლევების შედეგები გარეგნულ სილამაზესა და ასაკთან მიმართებაშიც. ზღაპრებში ქალების სილამაზე უფრო დიდ როლს თამაშობს ახალგაზრდა ასაკში და ამასთან ერთად, სილამაზე, უმეტესად, პირდაპირ კავშირშია გმირის ხასიათთან – ლამაზი ქალი პერსონაჟები, ძირითადად, კეთილები არიან, ხოლო შეუხედავი – ბოროტები. ძმები გრიმების ზღაპრების სოციოლინგვისტურმა ანალიზმა ასევე გამოავლინა, რომ სილამაზე შეიძლება ზიანის მომტანიც კი იყოს. მაგალითად, ფიფქიასა და დედინაცვალს შორის გამართული პაექრობა მრავალჯერ აყენებს ზიანს ფიფქიას. ბეიკერ-სპერიმ და გრაუერჰოლცმა (2003), კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, დაასკვნეს, რომ მეცხრამეტე-მეოცე საუკუნის ზღაპრებში სილამაზე განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გახდა, რაც, ავტორების აზრით, გამოწვეულია ე.წ. კონსუმერიზმით – მომხმარებლური საზოგადოების ჩამოყალიბებით.

ზღაპრის დისკურსი მნიშვნელოვანია სხვა თვალსაზრისითაც; კერძოდ, იგი ეხმიანება კაცობრიობისთვის მუდმივად აქტუალურ თემებს, როგორებიცაა ინდივიდისა თუ საზოგადოების პოლიტიკური, სოციალური თუ ეკონომიკური პრობლემები (ზაიპსი, 1998b).

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ, თანამედროვე ზღაპარ – მულტიპლიკაციურ ფილმებში წინ წამოიწია გენდერული უთანასწორობის პრობლემა, გამოჩნდნენ ძლიერი პრინცესები, რომლებსაც აღარ სჭირდებათ პრინცის მიერ ხსნა. გარდა ამისა, ზღაპრებში გამოჩნდნენ არაკავკასიური, ფერადი რასის მთავარი პერსონაჟებიც- მაგალითად, მულანი (1998), პოკაჰონტასი (1995), ტიანა (მულტიპლიკაციური ფილმიდან „პრინცესა და ბაყაყი", 2009). მიუხედავად ამ პროგრესული ნაბიჯებისა, სილამაზეზე განსაკუთრებული ხაზგასმა ზღაპრებსა და მულტიპლიკაციურ ფილმებში კვლავ ხშირია, რაც გარეგნობის არარეალისტურ სტანდარტებს უყალიბებს როგორც გოგონებს, ისე ბიჭებს. მეორე მხრივ, არსებობენ პერსონაჟები, რომელთა მეშვეობითაც ავტორები გარეგნობასთან დაკავშირებულ გარკვეულ პრობლემატიკას ეხებიან, მაგალითად, „გაყინული" (დისნეის მულტიპლიკაციური ფილმი "Frozen") და ანორექსიის თემატიკა. როგორც ჰოლმსი (2015) გვარწმუნებს, მიუხედავად იმისა, რომ მულტიპლიკაციურ ფილმში „გაყინული" (Frozen) რთულად დასანახია მთავარი პერსონაჟის ანორექსიასთან ბრძოლა, ის, ვინც ამ დაავადებით იტანჯება, მარტივად ამოიცნობს საკუთარ თავს. საინტერესოა, რომ მულტფილმის გმირი ანა უარს ამბობს, დაემორჩილოს სილამაზის მიღებულ სტანდარტებს:

... Don't let them in, don't let them see
Be the good girl you always have to be
... Let it go, let it go
That perfect girl is gone!

ბეიკერ-სპერი სმიერ 2007 წელს ჩატარებული კვლევა ეხება „კონკიას" და მისი სიუჟეტის გავლენას სკოლის ასაკის ბავშვების ცნობიერებაზე. როგორც ავტორი აღნიშნავს, „კონკია" ერთ-ერთი ყველაზე მეტად მარკირებული ზღაპარია, გენდერული თვალსაზრისით, მიუხედავად იმისა, რომ მას ბევრი მამრობითი სქესის პერსონაჟი არ ჰყავს და მთავარ სამიზნე ჯგუფს გოგონები წარმოადგენენ. მთავარი როლის მდედრობითი სქესის პერსონაჟების ნაკლებობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და რელევანტურია გენდერული როლების შესწავლის

დროს, რადგანაც გენდერული პრობლემა აიგება საზოგადოებაში არსებულ სოციალურ წარმოდგენებსა და სტერეოტიპებზე. ისეთ შემთხვევაში კი, როდესაც ბავშვებს ხელთ არ აქვთ ორივე გენდერული როლის ქცევები, შესადარებლად, ძირითადად, ნეგატიური სტერეოტიპები ან შეზღუდული გენდერული როლები მიეწოდებათ. შესაბამისად, ბეიკერ-სპერისთვის „კონკია" ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ზღაპარია, რომლის მეშვეობითაც შეიძლება შევიცნოთ ტრადიციული ქალური სტერეოტიპები და შევამოწმოთ მათი გავლენის შედეგები თანამედროვე ბავშვის გენდერული განვითარების პროცესში. შესაბამისად, ბეიკერ-სპერის კვლევაში მონაწილეობას იღებენ ბავშვები, რომლებსაც უკითხავენ დისნეის „კონკიას" ადაპტირებულ ვერსიას. შედეგების მიხედვით, მიუხედავად იმისა, რომ ზღაპარს გოგონებიც და ბიჭებიც თანაბრად კარგად იცნობდნენ, ბიჭები ნეგატიურად განეწყვნენ მათივე სქესის წარმომადგენლების მიმართ, რომლებმაც „გოგონების ზღაპრისადმი" ინტერესი გამოთქვეს. შესაბამისად, ბიჭების პასუხების არსებული სიმცირე გამოწვეული იყო არა იმით, რომ მათ არ მოსწონდათ კონკია, არამედ იმ შიშით, თუ რა რეაქცია ექნებოდათ ჯგუფის სხვა წევრებს მათ მიმართ, იმ შემთხვევაში, თუ ისინი დადებით რეაქციას გამოავლენდნენ. შესაბამისად, კვლევაში მონაწილე ეს ჯგუფები შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც სოციუმის პატარა მოდელი, რომელშიც მუდმივად ხდება წევრების, გამიზნულად თუ გაუაზრებლად, სტერეოტიპების წნეხის ქვეშ მოქცევა და მათზე დაქვემდებარება.

2014 წელს ბეიკერ-სპერის მსგავსი კვლევა ჩაატარა კეით პატერსონმაც, თუმცა მან ცდისპირ ბავშვებს ერთი კონკრეტული აბზაცი წაუკითხა ამავე ზღაპრიდან. კერძოდ, კორსეტის ჩაცმის სცენა. კითხვაზე, თუ რატომ ეგონათ ბავშვებს, რომ დებს კორსეტის ჩაცმა სურდათ, ბავშვებმა უპასუხეს, რომ ალბათ დები მსუქნები იყვნენ და უნდოდათ გამხდარი გამოჩენილიყვნენ პრინცის მოსახიბლად. ბავშვების წუხილი, რომ კონკიას როლის შესასრულებლად დები საკმარისად ლამაზები არ იყვნენ, მეტყველებს ზღაპრებში არსებულ გენდერული სტერე-

ოტიპების საზიანო ეფექტზე. გარდა ამისა, კეიტ პატერსონმა, იმავე კვლევის ფარგლებში, ბავშვებს „კულულა და სამი დათვის“ ზღაპრიდან ამოღებული ილუსტრაცია აჩვენა. ბავშვებმა სწორად გამოიცნეს, თუ რომელი იყო მამა დათვი და დედა დათვი, რადგანაც მათი აზრით, კაცები ქალებზე დიდები უნდა იყვნენ და წინსაფრები მხოლოდ ქალებს უკეთიათ. ეს, ბუნებრივია, კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს იმ სტერეოტიპულ აზროვნებას, რომლის „მსხვერპლიც“ ბავშვები, როგორც სოციუმის წევრები, ადრეული ასაკიდანვე ხდებიან.

ჰანა მაკარლი (2017) ნაშრომში მიმოიხილავს ბეიკერ-სპერისა და პატერსონის კვლევებს და მიდის დასკვნამდე, რომ მედიის გავრცელებულობის გამო, თითქმის შეუძლებელია განხილული უარყოფით სტერეოტიპების გავლენის „შეჩერება“. სანაცვლოდ, მკვლევარი გვთავაზობს ამ არარეალური და არაჯანსაღი სტერეოტიპების მაგალითებად გამოყენებას და მათ შესწავლას ადრეული ასაკიდანვე. მაკარლი მართებულად მიიჩნევს, რომ ეს აუცილებელიცაა, რადგანაც კონკიასა და, ზოგადად, ზღაპარში ასახული გენდერული სტერეოტიპების გავრცელება არ შემოიფარგლება მხოლოდ გარეგნობით და მხოლოდ გოგონებით, რადგანაც ზღაპარი მამაკაცური როლების სტერეოტიპული გააზრების ასპარეზიცაა. გარდა ამისა, ბიჭები ნაკლებად ემორჩილებიან გენდერული როლებისა და სტერეოტიპების ცვლილებებს, გოგონები უფრო მარტივად ირგებენ მამაკაცურ ქცევებს, ხოლო ბიჭები – ნაკლებად ამჟღავნებენ ქალისთვის დამახასიათებელ ჩვევებს. ამასთანავე, მიუხედავად იმისა, რომ დისნეის თანამედროვე მულტიპლიკაციური ფილმები და ზღაპრების ადაპტაციებში, „რაპუნცელი“ (Tangled), „მამაცი“ (Brave), „გაყინული“ (Frozen), რომლებშიც წარმოჩენილი არიან ძლიერი მდედრობითი პერსონაჟები, ფიზიკურ სილამაზეზე არსებული სტერეოტიპები კვლავ შენარჩუნებულია; ქალი პერსონაჟები კვლავ ულამაზესნი არიან და პრინცებს ერთი ნახვით უყვარდებათ, რაც კვლავ არარეალისტურ და არაჯანსაღ მოლოდინს უღვივებს პატარა გოგონებს.

ზემოთაღნიშნული კვლევების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ, როგორც ზღაპრების ეკრანიზაციისა და მულტიპლიკაციური ფილმების ერთ-ერთ შემოქმედს, დისნეის უდიდესი როლი მიუძღვის გენდერული სტერეოტიპების დამკვიდრებაში. უფრო კონკრეტულად კი, მისი ნაწარმოებები ბავშვებს უნერგავენ ტრადიციულ გენდერულ სტერეოტიპებს ქალისა და მამაკაცის საზოგადოებრივ როლებთან დაკავშირებით, ასევე არაჯანსაღ მოლოდინს ქალის სილამაზის მიმართ. ეს, სავარაუდოდ, გამოწვეულია მულტფილმის შექმნის დროს არსებული სოციალური სიტუაციით. მაგალითად, „კონკია" 1950 წელს გამოვიდა, და, ბუნებრივია, ამ მულტფილმში აღწერილი გენდერული როლები/სტერეოტიპები შეესაბამებოდა იმ პერიოდში საზოგადოებისთვის მისაღებ მდგომარეობას,-როდესაც ქალები უმეტესად სახლში ისხდნენ და ორიენტირებული იყვნენ მხოლოდ ოჯახზე ზრუნვაზე. იმ პერიოდისათვის ასევე უმნიშვნელოვანესი იყო, რომ ცოლი ქმარს სახლში ლამაზად მორთული დახვედროდა. 70 წლის შემდეგ, როდესაც საზოგადოებაში გენდერულმა როლებმა კიდევ უფრო დიდი დატვირთვა და მნიშვნელობა შეიძინა და, შესაბამისად, უფრო ცხოველი ინტერესს იწვევდა, ძველი პერიოდის ზღაპრებში გამოხატული გენდერული როლები მიუღებელი აღმოჩნდა ახალი საზოგადოებისათვის. თუმცა, როგორც ჰანა მაკარლი (2017) აღნიშნავს, არ არის აუცილებელი ამ მულტიპლიკაციური ფილმებისა და აკუმულირებული კულტურული ფაქტების უარყოფა, რადგანაც შეგვიძლია როგორც მულტფილმების, ზღაპრების ისეთ ნიმუშებად გამოყენება, რომლებიც დაეხმარება ბავშვებს, შედარება-შეპირისპირების საშუალებით აღიქვან საზოგადოებაში არსებული ჯანსაღი და არა მხოლოდ უარყოფითი სტერეოტიპული ქალთა და მამაკაცთა როლები. შესაბამისად, ზღაპარი არის სოციალური მოვლენა, რომლის ტრადიციაც ათასწლეულებს ითვლის. ზღაპრის მრავალფერი ფუნქციის მიუხედავად, მის მთავარ საზრისს საზოგადოებაში არსებული პრობლემების ირიბად თუ პირდაპირ წარმოჩენა წარმოადგენს. ასევე აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ, მიუხე-

დავად გავრცელებული აზრისა, რომ ზღაპარი ბავშვებისთვის არის განკუთვნილი, ის, თავდაპირველად ზრდასრული მსმენელისთვის იქმნებოდა. მოგვიანებით, ძმები გრიმებიდან მოყოლებული, რომლებმაც მოახდინეს ზღაპრების მოდიფიკაცია, ზღაპრების მსმენელთა და მკითხველთა რიცხვს მოზარდებიც დაემატნენ. ბუნებრივია, საზოგადოების გენდერით დაინტერესების შემდეგ; საინტერესო გახდა ამ პრობლემატიკის გამოხატვის სპეციფიკის შესწავლაც ზღაპარშიც. სოციალური ბუნების გამო ზღაპარი ლინგვისტური დაკვირვების საინტერესო და უზადო საშუალებას წარმოადგენს.

ევროპული ზღაპარი

ზღაპარი მუდმივად ცვალებადი ფორმაა, რომელიც ათასწლეულებია ჩამოყალიბდა და დღემდე ვითარდება. ამბობენ, რომ ზღაპრის ჩამოყალიბება ემთხვევა მეტყველებს წარმოშობის პერიოდს. მეტიც, ფიქრობენ, ის შეიძლება მეტყველების განვითარებამდე აღმოცენებულიყო და მის გადმოსაცემად ჟესტების ენა მოეხმოთ. პირველ ზღაპრებს არ ჰქონდათ სათაურები, ისინი ტომის, მაშინდელი სოციუმის წევრებს ატყობინებდნენ საშიშროებას, საკვების შოვნის გზებს, ან მოუთხრობდნენ პრობლემებზე, რომლებიც იმ დროს აწუხებდა საზოგადოებას. შესაბამისად, ტომი იყენებდა ზღაპრებს, რათა წევრებისათვის გადაეცა ცოდნა და გამოცდილება გარკვეულ სოციალურ კონტექსტში (ზაიპსი, 2012).

ზეპირად გადაცემის პერიოდში მუდმივად იცვლებოდა ზღაპრის სტრუქტურის შემადგენელი მცირე ელემენტები. თუმცა, როდესაც ეს ცალკეული ელემენტი ერთმანეთს ემატებოდა, გარკვეული პერიოდის გავლის შემდეგ ზღაპარი მოდიფიცირდებოდა. ამის მიუხედავად, მეტ-ნაკლებად უცვლელი რჩებოდა მისი მთავარი ნაწილი – შინაარსი. ზღაპრის, როგორც ფორმის, განვითარების პირველ ეტაპზე „მცირე ელემენტების ცვლილება მიეწერებოდა ზეპირსიტყვიერებას, ანუ მათ ზეპირად გადაცემას (ლუკასი, n.d.). იან ვანსინას (2002) მიხედვით, ზღაპრების ტრანსფორმაცია „მეხსიერების მარცხს“ (failure of memory) უნდა გამოეწვია. ამ თეორიის მიხედვით, მეზღაპრეები ბოლომდე ვერ იმახსოვრებდნენ ან გამიზნულად ცვლიდნენ ზღაპრის შინაარსს, რაც, საბოლოოდ, გვაძლევდა უამრავ სხვადასხვა ამბავსა და სხვადასხვა ავტორს. ზღაპრები დღესაც მუდმივად იცვლება, რაც გამოწვეულია საზოგადოების სოცი-

ალური სტრუქტურის მუდმივი ცვალებადობით. ორი საუკუნის წინ მცხოვრები ხალხი სრულიად განსხვავდება თანამედროვე ადამიანებისა და საზოგადოებისგან. გარკვეული ავტორების აზრით, (ლუკასი, ზაიპსი), ზღაპრის აქტუალობა არასდროს დაიკარგება, რადგანაც ზღაპარი როგორც მოქნილი ფორმა, იოლად მოდიფიცირდება და ერგება საზოგადოების საჭიროებას.

როგორც ჩანს, მეცნიერების მცდელობა, რომ ზუსტად განმარტონ, რას აღნიშნავს ზღაპარი, ძირითადად, მარცხით მთავრდება. თუმცა, ზაიპსის (2012) აზრით, ეს სრულიად მოსალოდნელია, რადგანაც, როგორც აღინიშნა, ჟანრობრივად, ზღაპარი ძალიან მოქნილი და იოლად ცვალებადია – ზოგისთვის მას აქვს მარტივად ამოცნობადი სტრუქტურული და სემანტიკური მახასიათებლები, ზოგისთვის კი რჩება ზოგად ტერმინად, რომელშიც მისი სხვადასხვა ჟანრობრივი ქვეკატეგორია მოიაზრება.

ის ფაქტი, რომ ზღაპრის, როგორც ერთ-ერთი ფოლკლორული ფორმის, განმარტება საკმაო სირთულეებთან არის დაკავშირებული, გამოწვეულია თავად ტერმინის წარმოშობითაც. თავად მეზღაპრეებს არასდროს გამოუყენებიათ ტერმინი "fairy tale". იგი 1697 წელს ფრანგულ ენაზე გამოჩნდა, როდესაც მარი კატრინ დოლნუამ გამოაქვეყნა ზღაპრების კრებული ამ სათაურით (როგორც წინა თავშია აღნიშნული, ავტორმა ზღაპარს ფრანგულად contes des fées – ფერიების ამბავი უწოდა) თუმცა დოლნუას არასდროს განუმარტავს, რატომ დაარქვა თავის ზღაპრებს contes des fées. ინგლისურში ტერმინი "fairy tale" 1750 წლამდე არ დამკვირდებულა, სანამ არ ითარგმნა მადამ დოლნუას ზღაპრების კრებული (ზაიპი 2012).

წიგნში The Irresistible Fairy Tale (2012) ზაიპსი ინტერესდება, რატომ აქცევს დოლნუა ყველაფერს ფერიების ხელში. დოლნუას ზღაპრების კრებულის გამოცემამდე, ამ ჟანრს „ამბავი" (story, tale) ერქვა, შემდეგ კი ის „ფერიების ამბად" იქცა. ზაიპსის მიხედვით, ამ ჟანრში ერთ-ერთი ყველაზე ადრეული წინამორბედნი იტალიელი მეზღაპრეები იყვნენ, თუმცა არც მათთან

ჩანს ფერიებისადმი განსაკუთრებული ყურადღება, რაც მეჩვიდმეტე საუკუნიდან დაიწყო, მას შემდეგ, რაც დოლნუას ტერმინი შეიქმნა. ამ პერიოდიდან მოყოლებული, ავტორების მიერ ზღაპრის fairy tale-ად წოდება აღმოჩნდა ხმამაღალი განცხადება, რომელიც გამოხატავდა წინააღმდეგობას იმ პერიოდის აქტუალური სოციალური საკითხებისადმი. თამამად შეიძლება აღინიშნოს, რომ არ არსებობს სხვა რომელიმე პერიოდი საზოგადოების სოციალური განვითარების ისტორიაში, როდესაც ფერიები ამგვარად ძლიერ პერსონაჟებად იყვნენ წარმოდგენილნი ზღაპრებში. აღსანიშნავია, რომ ზღაპრებში ფერიებს იყენებდნენ არა მხოლოდ ქალი, არამედ მამაკაცი ავტორებიც.

ზაიპს მოყავს რამდენიმე მიზეზი იმისა, თუ რატომ უწოდებენ ზღაპრებს "fairy tales" და „contes des fees". ამგვარი სახელდების პირველ მიზეზად მეცნიერს მოაქვს ის ფაქტი, რომ იმ პერიოდში ქალი ავტორები თავიანთი ზღაპრების დაბეჭდვამდე მათ სალონებში წარადგენდნენ, მსმენელთა გარკვეული წრის წინაშე. ფერიების გამოჩენის წყალობით, ავტორები ახერხებდნენ თავიანთი უპირატესობისა და განსხვავებულობის წარმოჩენას, რაც იმ პერიოდის სოციალური გარემოებებითა და ქალთა შეზღუდული უფლებების გათვალისწინებით, რთული იყო. მეორე მიზეზად ავტორი მიიჩნევს ბებიაქალისა და ძიძის აღიარებულ როლებს ქალის ცხოვრებაში, რომელთაც ფერიები იძენდნენ ზღაპრებში – მათ ხელში ექცეოდა ქალის ცხოვრებისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტები; ზღაპრებში ფერიებს შესწევდათ ძალა თავიანთ სურვილისამებრ წარემართათ ქალის ნაყოფიერებისა თუ ქალური ბედნიერების მომენტები.

როგორც უკვე არა ერთხელ აღინიშნა, რთულია რომელიმე კონკრეტული ზღაპრის წარმოშობის თარიღის ზუსტი დადგენა, რადგანაც ეს ფენომენი დამწერლობამდე წარმოიშვა, თუმცა აუცილებელია კონკრეტული პერიოდის სოციალური კონტექსტის გათვალისწინებაც, თუ გვსურს, ბოლომდე გავიაზროთ ზღაპრის სიმბოლური დატვირთვა და ფუნქციები.

ევროპული ზღაპარი, როგორც სოციოკულტურული ფენომენი და მისი ევოლუცია

ნაშრომში არტურ ფრენკი (2012) "Letting Stories Breathe", აღნიშნავს, რომ ზღაპრები გამოიყენება იმისთვის, რომ ვისაუბროთ და განვიხილოთ ჩვენი ცხოვრების პრობლემური საკითხები. მისივე აზრით, მას არ სურს ზღაპრების შინაარსობრივი ინტერპრეტაცია, რადგანაც ეს პროცესი თემატიკის შეზღუდვას, დავიწროებას ან მკაცრ ჩარჩოებში მოქცევას ნიშნავს. ფრენკი მიზნად ისახავს, განიხილოს ზღაპარში ასახული ამბები იმგვარად, რომ მთავარი ყურადღება დაეთმოს, თუ რა სახის დიალოგს აწარმოებენ პერსონაჟები ხალხის ცნობიერებაში არსებულ გამოცდილებასა და საზოგადოებაში მიმიდინარე პროცესებთან დაკავშირებით. ყოველივე ამის გათვალისწინებით, ფრენკი გვთავაზობს საკუთარ კატეგორიზაციას, რომელსაც შეუძლია ინფორმაციული ნარატივის ჩამოყალიბება:

1. ზღაპარში აღწერილი ამბები არ ეკუთვნის კონკრეტულ მეზღაპრეს ან მის მსმენელებს, რადგანაც ყოველი ზღაპარი არის საერთო ნარატივისგან ნასესხები ისტორია.

2. ზღაპარი არ ემსახურება მხოლოდ მოსაუბრეს, არამედ ის ქმნის სოციალურ კონტექსტს, საზოგადოებრივი ურთიერთობის გარკვეულ ტიპს და ცხოვრების სტილს.

3. ზღაპარი არ მიეკუთვნება რომელიმე კონკრეტულ ჟანრს, არამედ მას სიმბიოზური კავშირი აქვს თითქმის ყველა ფოლკლორულ ჟანრთან.

4. სოციო-ნარატოლოგია მოიაზრებს ზღაპრის უამრავ განსხვავებულ ინტერპრეტაციასა და გამოყენებას.

5. სოციო-ნარატოლოგია დიდ ყურადღებას უთმობს, თუ როგორ „თამაშობს" ზღაპარი, ანუ როგორ ცოცხლდება მასში ისტორია, როგორ ართობს, ანათლებს, ასევე „ღალატობს" და ყოფს ხალხს.

6. მთავარი რამ, რაც შეიძლება ვისწავლოთ ზღაპრის შემქმნელისაგან, არის ის, რომ ზღაპარი არსებობს, როგორც

ჭეშმარიტება. კარგმა მეზღაპრემ ისიც იცის, რომ ზღაპარი ცოცხალი ორგანიზმია, ის „სუნთქავს და ვითარდება".

ამრიგად, ფრენკის (2012) კატეგორიზაციის მიხედვით, ზღაპარი სოციალური და კულტურული ფენომენია, რომელთა საწყისიც ერთი საერთო წყაროა. შესაბამისად, ყველა ზღაპარი, რომელსაც ვისმენთ თუ ვკითხულობთ, საბოლოოდ, მაინც მიდის პირველ, მთავარ, პირველწყარო ზღაპარის ვარიანტად, რომელსაც ათასწლეულების წინ გადმოსცემდნენ სხვადასხვა კულტურაში, იქნებოდა ეს მაგიური, არარეალური თუ რელიგიური თემატიკით დატვირთული ფორმა. ავტორის აზრით, ზღაპრების მოყოლა დაიწყო სოციალური ურთიერთობების გასამყარებლად, რომლის საბოლოო მიზანი იყო სამყაროს შეცვლა, ხალხზე მორგება-ადაპტაცია. განსაკუთრებით საინტერესოა ის ფაქტორი, რომ ფრენკს ზღაპარი მიაჩნია არა რომელიმე კონკრეტულ ჟანრად, არამედ, მისი აზრით, ზღაპარი შეიძლება შეგვხვდეს ყველგან და, შესაბამისად, მისი ფუნქციაც მრავალწახნაგოვანი და განსხვავებულია.

ფოლკლორისტები განასხვავებენ ფოლკლორულ ზღაპარსა (folktale) და ლიტერატურულ ზღაპარს (ზაიპსი, 2012). ფოლკლორული ზღაპრის საწყისი ზეპირსიტყვიერებაშია და, შესაბამისად, არ არსებობს ჩანაწერებისა თუ ჩანახატების სახით, ხოლო ლიტერატურული ზღაპარი, რომელიც სოციოლინგვისტური ხასიათისაა, მოიპოვება ჩანაწერებისა და ხელნაწერების სახით და დღემდე იქმნება გარკვეულ სოციოლინგვისტურ ფონზე. გარდა ამისა, ზაიპსი ასევე მიიჩნევს, რომ ორივე ტიპის ზღაპარი იმდენად მრავალფეროვან კულტურულ ნიშნებსა და ტრადიციებს მოიცავს, რომ ძალიან რთულია მათ შორის განსხვავების ან კავშირების წარმოჩენა.

დესალი თავის წიგნში „რატომ ვსაუბრობთ: ენის ევოლუციური საწყისები" (Why We Talk: The Evolutionary Origins of Language, 2009), მიიჩნევს, რომ ამბის გადაცემა, ბუნებრივია, რამდენიმე ფუნქციით ხასიათდება, თუმცა ყველაზე მთავარი მისი მნიშვნელოვნებაა; ყველა ავტორს თუ მეზღაპრეს, მთხრობელს სურს თავისი ისტორია გახადოს მნიშვნელოვანი. თუ ეს

პირობა წარმატებით შესრულდება, ამბავი ყველას დაამახსოვრდება, სხვას გადაეცემა, რაც ერთი ამბის სხვადასხვა კულტურული განვითარების საწყისი იქნება. ადრეული პერიოდიდანვე ამბების თხრობა უმნიშვნელოვანესი იყო, რათა ადამიანი გამხდარიყო ბელადი, შამანი, მეფე, დედოფალი, ექიმბაში თუ რომელიმე საზოგადოების მმართველი. შესაბამისად, ზღაპარი გახდა ერთ-ერთი კულტურულად მნიშვნელოვანი, ლინგვისტურად მარკირებული ელემენტი, რომელიც გამოიყენებოდა სოციალური გამოცდილების გადმოსაცემად და გარკვეული უპირატესობის დასამტკიცებლად. ის ზღაპრები, რომლებიც კლანებისთვის, ტომებისთვის, ოჯახებისთვის თუ სოფლებისთვის მნიშვნველოვანი აღმოჩნდებოდა, შემდგომ გადაეცემოდა თაობიდან თაობას. აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა კულტურები სხვადასხვა დროს იყენებდნენ იმავე თემატიკის ამბებს, რომელშიც გადმოცემული იყო კონრეტული ადათ-წესები, რიტუალები თუ რწმენები. მაგალითად, ყველა კულტურას ჰყავს გოლიათები, დევები, ურჩხულები, რომელთაც ზღაპრის პროტაგონისტები ებრძვიან (ზაიპსი, 2012). ამას ეფუძნება ზღაპრის მრავალფეროვნება, ხოლო ერთი და იმავე ამბის სხვადასხვა კულტურაში გამოხატვამ კი გამოიწვია სხვადასხვა ელემენტისა და მოტივის წინ წამოწევა, რისი მეშვეობითაც შეგვიძლია ზღაპრის სინქრონულ და დიაქრონულ ჭრილში ამა თუ იმ პერიოდის საზოგადოების ინტერესების, პრობლემებისა და პრიორიტეტების შესწავლა და გააზრება. როგორც ზაიპსი ამტკიცებს (2012), თუ მივყვებით წითელქუდას, კონკიასა თუ მზეთუნახავისა და ურჩხულის ისტორიებს, ცხადი გახდება, რომ საწყის ზღაპრებში მთავარ თემებად წარმოდგენილია გაუპატიურება, დედმამიშვილებს შორის მტრობა, დაწყვილება და ასე შემდეგ. მოგვიანებით კი, როდესაც ეს თემები საზოგადოებისთვის ნაკლებად მნიშვნელოვანი და მიუღებელიც კი გახდა, ბუნებრივია, თემატიკაც და ზღაპრის მორალიც შეიცვალა.

იმ აზრს, რომ ზღაპარი, როგორც სოციოკულტურული ფენომენი, საზოგადოების განვითარებასთან ერთად იცვლება, სხვა

მკვლევარებიც იზიარებენ. ამის საილუსტრაციოდ პატრიკ ლუკასი (n.d.) თავის ნაშრომში ასევე ემხრობა იმ აზრს, რომ ზღაპარი არის სოციოკულტურული ფენომენი და ის საზოგადოებასთან ერთად იცვლება, საილუსტრაციოდ კი ავტორი იყენებს წითელქუდას, კონკიასა და ფიფქიას მაგალითებს, რომლებიც სხვადასხვა პერიოდში საზოგადოების სხვადასხვა ღირებულებებსა და მორალს ემსახურებოდნენ და საზოგადოების საჭიროებისა და მოთხოვნებისამებრ ვითარდებოდნენ.

„წითელქუდას" სიუჟეტის განვითარება და მისი კვლავწერა განსაკუთრებით საინტერესოა, მით უფრო, რომ ის მსოფლიოს თითქმის ყველა ენაზე ითარგმნა (ორენშტეინი, 2002). შესაბამისად, მასში სხვადასხვა კულტურული ცვლილებებიც კარგად ჩანს. როგორც ლუკასი აღნიშნავს, „წითელქუდას" პირველ ვერსიაში გოგონა ტანსაცმელს იხდის, მგელთან ერთად საწოლში წვება და მას მგელი შეჭამს. ეს, ბუნებრივია, რადიკალურად განსხვავდება „წითელქუდას" იმ ვერსიებისგან, რომლებსაც ვიცნობთ. თუმცა, მის ყველა საწყის ვერსიაში მორალი იგივეა – მამაკაცი შეიძლება ამორალური და არასანდო აღმოჩნდეს, ამიტომ მას მარტივად არ უნდა დაჰყვე. მოგვიანებით, ეს უარყოფითი მორალი შედარებით უფრო დადებითით იცვლება, რადგანაც წითელქუდას ტყისმჭრელი გადაარჩენს და ავითარებს იმ აზრს, რომ ზოგიერთ დადებით და წესიერ მამაკაცს შეუძლია ქალის ამორალური კაცებისგან ხსნა. ზღაპრის ერთ-ერთ შემდგომ ვერსიაში, კერძოდ, ძმებ გრიმებთან, წითელქუდა მეორე მგელსაც გადაეყრება გზად, მაგრამ გაკვეთილნასწავლი და დაბრძენებული გოგონა მგელს ხმას აღარ სცემს.

„კონკია" ერთ-ერთი ყველაზე ძველი ზღაპარია, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია. ლუკასის (n.d.) მიხედვით, იგი ბერძნული ზღაპრის, „როდოფის" ძმები გრიმებისეული ტრანსფორმაციაა. „კონკიას" ზღაპრის სიუჟეტური ევოლუციის შესწავლისას, შეგვიძლია თვალი მივადევნოთ, როგორ შეიცვალა სოციოლინგვისტური ღირებულებები უძველესი პერიოდიდან დღემდე და როგორ ხდება ზღაპრის ზოგადი არსი უფრო დადებითი და

ბავშვებზე მორგებული (დანდესი, 1982). ადრინდელ ვერსიაში კონკიას დები ტერფებს იჭრიან, რომ ფეხსაცმელში ფეხი ჩაატიონ, ზღაპრის ბოლოს კი ორი მტრედი მათ თვალებს ამოკორტნის. თანამედროვე ვერსიაში დები ზღაპრის ბოლოსკენ ქრებიან და ნაკლებად ექცევიან ყურადღების ცენტრში. ეს, ბუნებრივია, სპეციალურად არის გაკეთებული ძმები გრიმების მიერ, რადგანაც მათ ბავშვებისთვის მისი ასაკისათვის უფრო შესაფერისი და ნაკლებად ძალადობრივი შინაარსის ზღაპრები წარმოედგინათ.

„ფიფქიას" უამრავი ვერსია არსებობს მსოფლიოში და ისინი სხვადასხვა კულტურაში სხვადასხვა სახელითაა ცნობილი; მაგალითად, „მარია", „ოქროს ხე", იტალიურ ვერსიაში გმირ გოგონას სახელი არ აქვს. ზოგიერთ კულტურაში ამ სიუჟეტის ამოცნობა ძალიან რთულია, რადგანაც ზღაპარში არ ჩანს შვიდი ჯუჯა, თუმცა მას მაინც გასდევს თემატურად მთავარი აზრი, რომ ბოროტ ქალს მისი მოკვდინება სურს, ფიფქია კვდება და შემდეგ მას გადაარჩენენ. ლუკასის (n.d.) აზრით, ჯუჯები დამატებულია ძმები გრიმების მიერ, რათა უფრო ხალისიანი და საბავშვო გაეხადათ ამბავი.

ათასწლეულების შემდეგ, ოცდამეერთე საუკუნეშიც კი ზღაპარი არ კარგავს პოპულარობას. მან მოახერხა თანამედროვე მედიაში შეღწევა (სოციალური მედია, ბლოგები, მულტიპლიკაციური ფილმები), რითაც კიდევ უფრო გაიმყარა ადგილი საზოგადოებაში. როგორც დონალდ ჰაასი (2016) აღნიშნავს, ზღაპრის ჟანრს ახასიათებს ადაპტაციის ძლიერი უნარი, რაც ტექნოლოგიის განვითარებასთან ერთად კიდევ უფრო შემოქმედებითი და ინტერაქციული ხდება. აღსანიშნავია, რომ ზღაპრების თემატიკა უნივერსალური გახდა და მისი ელემენტები, მაგალითად, happily ever after თუ მაგიური რეალიზმი გვხვდება სხვა მედიის სხვა დარგებშიც –ფილმებში, ანიმეებში, კომიქსებში, რეკლამებში და ა.შ.

ევროპული ზღაპრის სოციოლინგვისტური და კულტურული თავისებურებები

წიგნში „ენა და გენდერი ზღაპრის ტრადიციაში (ძველი და თანამედროვე მეზღაპრეობის ლინგვისტური ანალიზი)" (Language and Gender in the Fairy Tale Tradition (A Linguistic Analysis of Old and New Story Telling, 2003), ალესანდრა ლევორატო ცდილობს, გამოიკვლიოს, თუ როგორ „მუშაობს" გენდერი ტექსტურ ნარატივში და რა გავლენას ახდენს იგი მკითხველზე. მეორე მხრივ, ავტორი მიიჩნევს, რომ მნიშვნელოვანია არა მხოლოდ მწერლის ლინგვისტური და სტილისტური არჩევანი, არამედ მკითხველის უნარიც, „დაემორჩილოს" ტექსტს. ლევორატო განიხილავს „წითელქუდას" სხვადასხვა ვერსიას ჰალიდეის ფუნქციური გრამატიკის (1985, 2014), ფეარკლოს დისკურსისა და სოციალური ცვლილებისა (1992) და ვან ლიუვენის სოციალური აქტორების თეორიების მეშვეობით (1995). ავტორი ამ თეორიების მეშვეობით ცდილობს, შეისწავლოს საზოგადოებაში მომხდარი ცვლილებები, განსაკუთრებით კი გენდერთან დაკავშირებით; კერძოდ, მას აინტერესებს, იცვლება თუ უფრო ძლიერდება ქალისა და მამაკაცის ტრადიციული გენდერული როლები ამ ზღაპარში.

როგორც ლევორატო აღნიშნავს, „წითელქუდას" პირველი ვერსია მეთხუთმეტე-მეთექვსმეტე საუკუნით თარიღდება და მისი პირველვარიანტები საფრანგეთში ან იტალიაში უნდა ვეძებოთ. ზღაპარი ბავშვებისთვის შეიქმნა. მასში აღწერილია იმ პერიოდისთვის რელევანტური სიტუაცია, კერძოდ, ის ფაქტი, რომ სოფელში გლეხის კარ-მიდამოს ხშირად ესხმოდნენ თავს და ბავშვები ხშირად ეწირებოდნენ ამგვარ თავდასხმებს. ზღაპრის დედააზრი ისაა, რომ ბავშვი უცხოს არ უნდა დალაპარაკებოდა. საწყის ზღაპარში არ ჩანს არც გოგონას სახელი, არც რაიმე ტანსაცმელი, რადგანაც წითელქუდა იმ ვერსიაში წარმოადგენდა პატარა გოგონას განზოგადებულ სახეს, რომელიც ბებიასთან მიდიოდა სტუმრად. მოგვიანებით იგივე ფაბულა 'ისესხა' შარლ პერომ და დაამატა განსხვავებული დეტალე-

ბი, რომლებიც, როგორც ჩანს, მის პერიოდში იყო პრობლემური და რელევანტური – სექსი არის ცოდვა გოგონებისთვის. ძმები გრიმების ვერსიაში, რომელშიც სხვა ვერსიებისგან განსხვავებით გოგონა გადარჩება და მას მამაკაცი იხსნის, კარგად წარმოჩინდება იმ პერიოდის გერმანული საზოგადოებრივი წყობა, სადაც ქალები (little girls) მამაკაცის გარეშე ვერ გადაურჩებიან გასაცდელს. ფემინისტური მოძრაობის დაწყების შემდეგ გამოჩნდა „წითელქუდას" ახლებური ვერსიები, მაგალითად, კატერინა სტორის (1955) „წითელქუდა", რომელსაც დედააზრად გასდევს, რომ თანამედროვე გოგონების მოტყუება არც თუ ისე მარტივია. სტორის ვერსიაში „წითელქუდას" ჰქვია პოლი, იგი აღარ არის მიამიტი გოგონა და შეუძლია, დაუძვრეს კიდეც ხახიდან მგელს. ლინგვისტური და პრაგმატიკული გადმოსახედიდან, ეს ვერსია გამიზნულია როგორც ბავშვებისთვის, ისე ზრდასრული საზოგადოებისთვის. „წითელქუდას" ტექსტის ლინგვისტური ანალიზისას, ლევორატო ასკვნის, რომ ტექსტში ყველაზე ხშირად გამოყენებული სიტყვები (მაგალითად, little) ძირითადად არ ემთხვევა მათ მნიშვნელობებს ლექსიკონში და ისინი სრულყოფილად, კონტექსტზე დაყრდნობით უნდა აღვიქვათ. გარდა ამისა, მათი სხვა კონტექსტში გამოყენება წინ წამოწევს მათ სხვა მნიშვნელობებს და განსხვავებულად გვიჩვენებს ავტორის შეხედულებებს ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით.

ლევორატოს კვლევის მეთოდზე დაყრდნობით, რომელიც, თავის მხრივ, იყენებს ჰალიდეის მიერ მოწოდებულ ზმნების კლასიფიკაციას, განვიხილავთ ოთხი ზღაპრის – „წითელქუდა", „კონკია", „მძინარე მზეთუნახავი" და „რაპუნცელის" სხვადასხვა პერიოდისა და კულტურის ინგლისურ ენაზე წარმოდგენილ ვერსიებს; მასალა გროვდება თვისობრივი და რაოდენობრივი ანალიზის მეშვეობით (თეორიულ ჩარჩოდ გამოყენებულია სტაბსის – ტექსტისა და კორპუსის ანალიზი (Text and Corpus Analysis, 1996). პირველ ყოვლისა, დავადგენთ, რომელი ლექსიკური ერთეულები გვხვდება ტექსტში ყველაზე ხშირად და რა ზედსართავებს იყენებს ავტორი მთავარი პერსონაჟების აღ-

სანერად. ეს დაგვეხმარება გავაანალიზოთ, თუ რა სიტყვებს ირჩევენ ავტორები აზრის გამოსახატავად და იკვეთება თუ არა რაიმე ტენდენცია მათ არჩევანში გენდერული თვალსაზრისით. კვლევის შემდეგ ეტაპზე განვსაზღვრავთ გმირთა მოქმედებისა ან გარეგნობის აღწერის დროს გამოყენებულ „პირდაპირ“ და „ირიბ“ ზმნებს ჰალიდეის (ჰალიდეი, 1985, 2014) დიქოტომიის მიხედვით, რაც გულისხმობს მოქმედების შემსრულებელს და მის რეციპიენტს, ანუ, იმას, თუ ვისთვის ასრულებენ ან ახორციელებენ მოქმედებას. ამ მონაცემის სიხშირის გამოთვლის შედეგად შეიძლება შევადაროთ, რომელი სქესი უფრო მეტ აქტიურ და პასიურ მოქმედებას ასრულებს ნარაციის დროს და აძლიერებს თუ არა კვლევის ამ ნაწილში მოპოვებული მასალა სტერეოტიპს, რომ ქალები პასიური, მოქმედების რეციპიენტი, მიმღები პერსონაჟები არიან (ანუ, მათ მიმართ ასრულებენ რაიმე მოქმედებას, მაგალითად, იხსნიან საშიშროებისაგან), თუ პირიქით – ისინი არიან მოქმედების ინიციატორები.

როგორც აღვნიშნეთ, ზღაპრის ტექსტში გამოყენებული ზმნების ანალიზი დაფუძნებულია ჰალიდეის (1985, 2014) სისტემური ფუნქციური გრამატიკის თეორიაში (Systemic Functional Grammar) გამოყენებულ ოპოზიციურ სისტემაზე. ჰალიდეის მიხედვით, გარდამავალი ზმნა სამი პოტენციური ელემენტისგან შედგება, ესენია:

1. პროცესი
2. მონაწილე
3. პროცესთან დაკავშირებული გარემო პირობები

პროცესს ავტორი დამატებით ყოფს შემდეგ ქვეტიპებად: მატერიალური (გმირი ასრულებს რაიმე მოქმედებას), გონებრივი (მაგ. გონებრივი პროცესები- ფიქრი, აღქმა, ცოდნა, გაგება და ა.შ.), ნათესაობრივი, ბიჰევიორული (სიცილი, სუნთქვა...), ვერბალური (თქვა, აღმოხდა...) და ეგზისტენციალური (ის, რაც ხდება ან არსებობს). ლევორატოს (2003) აზრით, იმის მიხედვით, თუ რა ზმნებს ირჩევს ავტორი ამა თუ იმ პერსონაჟის მოქმედებების გამოსახატავად, შეიძლება ბევრი რამ ითქვას მის სექსისტურ ცნობიერებაზე – მაგალითად, ზმნები, რომლე-

ბიც პასიური მოქმედებას აღნიშნავს, ხშირად უკავშირდება მდედრობით სქესს, ხოლო აქტიური ზმნები - მამრობითს.

„წითელქუდა“

პოპულარული ზღაპარი „წითელქუდა“ არაერთხელ გამხდარა ე.წ. „კვლავწერის“ (Rewriting) ობიექტი. ნაშრომის ამ მონაკვეთში განხილულია მისი ექვსი სხვადასხვა ვერსია:

1. Little Red Riding Hood – Charles Perrault
2. Little Red Cap – Jacob and Wilhelm Grimm
3. Little Red Hood – Germany/Poland
4. Little Red Hat – Italy/ Austria
5. The Grandmother – France
6. The True History of Little Golden Hood – Charles Marelles

Fig. 1 ზღაპრის პერსონაჟები

პერსონაჟები	Charles Perrault	Brothers Grimm	Germany/Poland	Italy/ Austria	France	Charles Marelles
დედა	B	I	I	S	B	I
ბებია	I	I	I	I	B	I
წითელქუდა	I	I	I	I	I	BLANCHETTE
მგელი	I	I	I	OGRE	WEREWOLF	I
ხისმჭრელი/ მონადირე	S	I	I	S	S	S

(I – included, B – backgrounded, S – suppressed)

პირველ ცრხილში მოცემულია წითელქუდას სხვადასხვა ზღაპარში წარმოდგენილი პერსონაჟები, ვან ლიუვენის (1995) სოციალური აქტორების თეორიაზე დაყრდნობით, სადაც I ასოთი აღნიშნულია ის პერსონაჟები, რომლებიც გვხვდებიან ამა თუ იმ ვერსიაში, B- ასოთი წარმოდგენილია სხვა ვერსიაში წინ წამოწეული ზღაპრის გმირი, რომელიც მოცემულ ვერსიაში უკანა პლანზეა გადატანილი, ხოლო S ასოთი აღნიშნულია პერსონაჟი, რომელიც ავტორს ამოღებული ჰყავს თავისი ვერსიიდან.

როგორც სიხშირის ანალიზიდან ჩანს, წითელქუდას დედა ზღაპარში არ წარმოადგენს ცენტრალურ ფიგურას. მეტიც, ის მხოლოდ სამ ვერსიაში იკავებს მნიშვნელოვან ადგილს, რომელსაც წითელქუდას აფრთხილებს, რომ გზას არ გადაუხვიოს და უცხოს არ გამოელაპარაკოს. დედა ძირითადად ზღაპრის დასაწყისში გამოჩნდება ხოლმე სახლში, რაც, სავარაუდოდ, გულისხმობს, რომ კერა, სახლი საუკეთესო და უსაფრთხო ადგილია ქალისთვის. ისევე როგორც სხვა პერსონაჟებს, მასაც არ აქვს სახელი, შესაბამისად, არც იდენტობა.

ბებია ზღაპრის ყველა ვერსიაში ჩანს, თუმცა ფრანგულ ვერსიაში მისი როლი უმნიშვნელოა. სიუჟეტის განვითარებასთან ერთად ვიგებთ, რომ წითელქუდას ძალიან უყვარს ბებიასთან სტუმრობა. ჩარლს მარელესის ვერსიის გარდა, ბებია ყველა ზღაპარში ავად და სუსტადაა. შარლ მარელის ზღაპარში კი ის მისთვის აქამდე უცნობ იდენტობას იძენს და ჯადოქრად გვევლინება, რომელიც წითელქუდას (ზღაპრის ამ ვერსიაში მას ბლანშეტი ჰქვია და ოქროსფერი ქუდი ახურავს) ოქროსფერ ქუდს ჩუქნის და აცნობებს, რომ ის გოგონას ყველა განსაცდელის დროს დაიცავს. ბებიასაც, არც ერთ ზემოთ არჩეულ ზღაპარში, არავინ მოიხსენიებს საკუთარი სახელით.

წითელქუდა, ბუნებრივია, ცენტრალურ ადგილს იკავებს ზღაპარში და ერთი ვერსიის გარდა, სადაც მას ბლანშეტი ჰქვია, მას ყველგან ზედმეტი სახელით, „პატარა წითელქუდათი" მიმართავენ. საინტერესოა წითელქუდას ამბავიც, რომელიც სხვადასხვა ზღაპარში სხვადასხვანაირად მთავრდება იქიდან გამომდინარე, თუ რა აზრის გადაცემა უნდა ავტორს მკითხვე-

Fig. 2 ზღაპარში „წითელქუდა“ ხშირად გამოყენებული ლექსიკური ერთეულები					
Charles Perrault (670 words)	**Brothers Grimm (1244 words)**	**Germany/Poland (1047 words)**	**Italy/ Austria (571 words)**	**France (506 words)**	**Charles Marelles (1294 words)**
Red Riding Hood (19)	little (27)	red (20)	little (21)	grandmother (11)	little (31)
little (19)	Little Red Cap (23)	hood (19)	Little Red Hat (16)	child (10)	wolf (17)
wolf (12)	grandmother (20)	granny (19)	grandmother (14)	said (9)	hood (16)
grandmother (12)	wolf (10)	wolf (9)	ogre (10)	little (8)	grandmother (12)
see (7)	woods (8)	old (8)	quiet (8)	girl (7)	good (11)
go (7)	door (7)	forest (7)	keep (8)	bzou (werewolf) (7)	know (10)
big (6)	eat up (7)	bed (6)	bed (4)	better (6)	door (8)
said (6)	sick (3)	wine (4)	door (4)	bed (4)	Blanchette (8)
door (5)	mother (3)	cake (4)	eat (4)	needles (3)	child (7)
cake (5)	huntsman (3)	flowers (4)	say (4)	milk (3)	little golden hood (6)

ლისთვის. შარლ პეროს ზღაპარსა და იტალიურ ვერსიაში წითელქუდას მგელი/გოლიათი ჭამს, მორალად კი ავტორები მიუთითებენ, რომ გოგონები არასდროს უნდა გამოელაპარაკონ უცხო კაცს. სხვა ვერსიებში, წითელქუდა არ უჯერებს დედას, თუმცა ზღაპრის ბოლოს, როდესაც მას გადაარჩენენ, პირობას დებს, რომ აღარასდროს გადაუხვევს უფროსის რჩევას. უფრო მეტიც, „წითელქუდას" ძმები გრიმებისეულ ვერსიაში გოგონა ხელმეორედ ხვდება მგელს, თუმცა მას ცხოვრებისეული გაკვეთილი უკვე ნასწავლი აქვს და აღარ დაელაპარაკება მას.

მგელი სხვადასხვა ვერსიაში განსხვავებული სახით გვევლინება – მაგალითად, იტალიურ და ფრანგულ ვერსიებში ის გოლიათი და მაქციაა. მისი ჩანაფიქრი, რომ წითელქუდა გადასანსლოს, მხოლოდ ორ ზღაპარში (შარლ პეროსა და იტალიურ ზღაპარში) სრულდება წარმატებით, ხოლო დანარჩენ ოთხ ვერსიაში კი ის თავად ხდება მსხვერპლი. ზღაპარში მგელი წარმოადგენს ამორალური მამაკაცის განზოგადებულ სახეს, რომელიც საფრთხეს უქმნის მდედრობითი სქესის წარმომადგენლებს.

ტყისმჭრელი/მონადირე არჩეული ექვსი ზღაპრიდან მხოლოდ ორში (გრიმებისა და გერმანულ/პოლონურ ვერსიაში) ჩანს. ეს პერსონაჟი პატრიარქალური საზოგადოების გამოძახილია, რომლის მიხედვითაც გოგონას/მდედრობითი სქესის წარმომადგენელს მუდმივად სჭირდება მამაკაცი, რათა ის დაიცვას და საშიშროება აარიდოს თავიდან.

ყველაზე ხშირად გამოყენებული ლექსიკური ერთეულების (ცხრილი 2) და მთავარი პერსონაჟების დახასიათებისას გამოყენებულმა ზედსართავების (ცხრილი 3) ანალიზმა აჩვენა, რომ ყველა ავტორთან და განსხვავებულ კულტურაშიც ავტორები ქალებზე საუბრისას, ძირითადად, მსგავს ლექსიკურ ერთეულებს იყენებენ, რომლებიც ხშირად დაკავშირებულია სახლთან თუ შინაურ ატმოსფეროსთან (door, cake, wine, milk, bed, flowers, etc.), რაც, თუმცა ირიბად, მაინც მიუთითებს რომ, ავტორთა აზრით, ქალებისთვის ბუნებრივი გარემო სახლია. სტილისტური ელემენტები და მწერლების მიერ გამოყენებული მარტივი

Fig. 3 მთავარი პერსონაჟების აღმნიშვნელი ზედსართავები

	Charles Perrault	**Brothers Grimm**	**Germany/Poland**	**Italy/ Austria**	**France**	**Charles Marelles**
დედა	-	-	-	-	-	-
წითელქუდა	little country girl; prettiest creature; little girl; poor child;	sweet little girl;	little darling damsel;	little girl	poor little Red Riding Hood; my pretty one; good Blanchette; little grandchild; poor Blanchette	
ბებია	old woman	sick; sick and weak	ill and weak; old woman; old granny	old woman;	-	good old woman; old woman; old dame
მგელი	-	wicked animal	wicked beast; old rascal	-	-	wicked wolf
მონადირე	-	-	-	-	-	-

ლექსიკა (little girl, old woman, old granny, creature, pretty, cake, forest, flower, child, etc.) კი აჩვენებს, რომ ზღაპრები დაწერილია პატარა მკითხველისთვის, თუმცა ის გაკვეთილს უფროსებსაც ასწავლის.

თუ არ ჩავთვლით ზედმეტ სახელებს/სახელებს, ყველა ზღაპარში ყველაზე ხშირად გამოყენებულ სიტყვებს შორისაა სიტყვა little, რომელიც ყველა სიტუაციაში წითელქუდასთან მიმართებაში გამოიყენება. სტაბსის მიხედვით (1996), სიტყვა little, რომლის კონოტაციური მნიშვნელობაა საყვარელი/ cuteness, cute, შემთხვევების 90 პროცენტში გოგონასთან მიმართებაში გამოიყენება. მეტიც, თუ ამ სიტყვას 200 მილიონიან სიტყვათა კორპუსში (Cobuild) მოვძებნით, სიტყვა little ყველაზე ხშირად სწორედ girl-თან გვხვდება, ხოლო სიტყვა girl კი, თავის მხრივ, ზედსართავ little-თან. სტაბსის აზრით, ეს კულტურული სტერეოტიპია, რომლის მიხედვითაც გოგონები პატარები და საყვარლები არიან, შესაბამისად, ამ კულტურულმა სტერეოტიპმა ასახვა ჰპოვა ავტორის მიერ ზღაპარში გამოყენებულ ლექსიკურ ერთეულებში და ზღაპრის დისკურსში. წითელქუდას დახასიათებისას ასევე ხშირად გვხვდება სიტყვა pretty- ლამაზი, რაც აირეკლავს მეცხრამეტე-მეოცე საუკუნის ქალის სტერეოტიპულ მდგომარეობას საზოგადოებაში, კერძოდ იმას, რომ იგი აუცილებლად უნდა ყოფილიყო ფიზიკურად ლამაზი. გარდა ამისა, ისიც ნათელია, რომ ლამაზი გოგონები უფრო ხშირად ებმებიან ბოროტი მგლების/ამორალური კაცების მახეში.

რაც შეეხება ბებიას, როგორც მოსალოდნელი იყო, მისი პერსონაჟი ხშირად გვხვდება სიტყვებთან old, weak, sick, რაც კონტექსტუალურად განსაზღვრული ლექსიკური კოლოკაციების- ბებია სუსტადაა/ ავადაა (weak, sick) წევრად გვევლინება. წითელქუდა ბებიას სტუმრობს, რომ დედის გამოგზავნილი კალათა წაუღოს და ამით ხელი შეუწყოს მის გამოჯანმრთელებას.

შარლ პეროს „წითელქუდაში" წარმოდგენილი ზმნების ანალიზისას განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ზმნებს, რომლებიც დაკავშირებულია ორ მთავარ პერსონაჟთან- თავად წითელქუდასთან და მგელთან. ზღაპარი იწყება იმის ახს-

ნით, თუ როგორ დაერქვა გოგონას წითელქუდა – ბებიამ მას წითელი ქუდი მოუქსოვა, შემდეგ კი დედა გზავნის ბებიასთან, რომელსაც დედამ ნამცხვრები გამოუცხო. ორივე ზმნა პირველივე აბზაცშივე განეკუთვნება ქალისთვის სტერეოტიპულად დამახასიათებელი სემანტიკის იმ ზმნების რიცხვს, რომლებიც ქალის საქმიანობას განსაზღვრავენ- ქსოვასა და ცხობას.

წითელქუდა **(sum- 19)**	მგელი **(sum- 16)**
set out	eat her up
met	dared not
did not know	asked her
entertained herself	said
took the path	I'll go and see her
running after butterflies	knocked at the door
gathering flowers	pulled the bobbin
knock on the door	lay down
hearing the voice	seeing her come in
was afraid	hiding himself
believing	put the cake
pulled the bobbin	come get into bed
took off	fell upon
got into bed	ate her all up
was amazed...	

მიუხედავად იმისა, რომ წითელქუდას მიერ გამოყენებული ზმნების რაოდენობა ოდნავ აღემატება მგლისას, გოგონასთან მიმართებაში აქტუალიზებული ზმნების უმრავლესობის სემანტიკაში არ ჩანს მიზანი (met, was afraid, was amazed, didn't know...), მაშინ, როცა მგლის მიერ გამოყენებული ზმნების უმრავლესობა მიემართება გარკვეულ მიზანს; ის თავისი ქმედებების მაკონტროლებელია და ასრულებს კიდეც მათ (eat her up,

I'll go and see her, knocked at the door, lay down, seeing her come in, hiding himself, fell upon, ate her all up).

მენტალური პროცესების აღმნიშვნელი ზმნები, რომლებსაც წითელქუდა იყენებს ან წითელქუდას მიმართ გამოიყენება (did not know, enjoyed herself, heard the voice, believing, was astonished), კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს მის მიმართ ავტორის დამოკიდებულებას. კოგნიტიური/გონებრივი პროცესებიდან did not know და believing ერთი უარყოფითი მნიშვნელობისაა, მეორე კი არ გამოხატავს რაიმე კონკრეტულ მნიშვნელობას. ასევე, მისი enjoying herself კონტექსტში დაკავშირებულია მხოლოდ პერსონაჟის მიამიტობასთან, გულუბრყვილობასთან და გართობასთან. პეროსთვის კი აშკარაა, რომ ცოდნა და მიამიტობა ერთად მიუღებელია. ერთადერთი ქმედება, რომელზეც წითელქუდას სრული კონტროლი აქვს, არის ფრაზა took the longer path, რომელიც მას მოგვიანებით დიდ პრობლემებს უქმნის და მისი სიკვდილითაც კი სრულდება. შესაბამისად, ავტორის მიერ არჩეული ზმნებიდან გამომდინარე, მიუხედავად იმისა, რომ გოგონას გმირი უფრო მეტი აქტიური მოქმედებით ხასიათდება, მათი პარამეტრებიდან გამომდინარე, ის არ წარმოდგება როგორც აგენტი, რომელიც აკონტროლებს ამ ქმედებებს.

„წითელქუდას" სხვა ვერსიებშიც ზმნების დაახლოებით იგივე ვარიაციებია წარმოდგენილი და ჩანს ავტორის იგივე დამოკიდებულება წითელქუდას მიმართ. თუმცაღა არჩეული ზღაპრებიდან „წითელქუდას" ფრანგული ვერსია განსაკუთრებით საინტერესოა, რადგანაც, სხვა ვერსიებისგან განსხვავებით, აქ გოგონა გვევლინება როგორც აგენტი/მოქმედების შემსრულებელი და არაპასიური გმირი: departed, met, gathered, arrived, knocked, ate, laid herself down, escaped. გასაზიარებელია ლევაროტოს აზრი, როდესაც აღნიშნავს, მიუხედავად იმისა, რომ ეს ზღაპარი ნამდვილად არ არის დაწერილი ფემინისტური გადმოსახედიდან; ავტორის მიერ არჩეული ზმნები, რომლებსაც იგი წითელქუდას მიმართ იყენებს, ნამდვილად გამოხატავს აქტიურ, დამოუკიდებელ პერსონაჟს, რომელსაც არ

სჭირდება ვინმეს დახმარება, რომ თავი დააღწიოს საფრთხეს (2003).

ძალიან საინტერესოა „წითელქუდას" თანამედროვე ვერსიაც, რომელიც სპეციალურად პოლიტკორექტულობის მიზნებით შეიქმნა, რაც კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ თავად ზღაპარი ნამდვილად შეიცავს გენდერულ სტერეოტიპებს. როგორც აღვნიშნეთ, ნაშრომის პირველ თავში, ჯეიმს გარნერმა ტრადიციული ზღაპრები მოარგო ოცდამეერთე საუკუნეს და გადაწერა ისინი ისე, რომ მისაღები ყოფილიყო თანამედროვე მკითხველისთვის. ამგვარმა მცდელობამ, ბუნებრივია, გამოიწვია ლექსიკური ერთეულების ცვალებადობაც, რაც, თავის მხრივ, მიგვანიშნებს, რომ ზღაპრის ახალი ვერსიები ითვალისწინებს განსხვავებულ, თანამედროვე სოციალურ, კულტურულ თუ ენობრივ რეალობასა და სოციალურ ჯგუფ(ებ)ს, რომელთათვისაც არის იგი განკუთვნილი ან მიმართული. ზღაპარში წითელქუდას ახალგაზრდა პიროვნებას (young person) უწოდებს ავტორი, რაც, ბუნებრივია, ანაცვლებს ზემოთ განხილულ კოლოკაციას little girl. წითელქუდას ბებია სულაც არაა ავად, არამედ ის დამოუკიდებელი, ზრდასრული ადამიანია, რომელსაც თავისუფლად შეუძლია თავის მოვლა, რაც კიდევ ერთხელ გვიჩვენებს ბებიის ცნების სოციალური მდგომარეობის ცვლილებას თანამედროვე ეპოქაში. მოგვიანებით მგელის რეპლიკამ, რომ პატარა გოგონებისთვის ტყეში სიარული საშიშია, წითელქუდა გააღიზიანა:

"I find your sexist remark offensive in the extreme, but I will ignore it because of your traditional status as an outcast from society, the stress of which has caused you to develop your own, entirely valid, worldview. Now, if you'll excuse me, I must be on my way." (გარნერი, 1995, გვ. 6)

ამასთანავე, წითელქუდა არჩეულ გზას არ უხვევს და ბებიასკენ მოკლე გზით მიემართება. მის გადასარჩენად მორბენილ მეტყევეს კი წითელქუდა სექსისტად რაცხავს და ბრაზდება, რომ ის თავს აძლევს უფლებას იფიქროს, რომ მგელსა და ქალს

თავიანთი პრობლემების მოგვარება კაცის ჩარევის გარეშე არ შეუძლია.

აშკარაა, რომ „კვლავწერილ" და განახლებულ „წითელქუდაში" „გამოსწორებულია" ყველა ის პრობლემა, რომლებიც მის წინა ვერსიებში გამოვლინდა. წითელქუდა არის დამოუკიდებელი, ძლიერი გოგონა, რომელსაც აქვს მკვეთრად ჩამოყალიბებული მსოფლმხედველობა და მარტივად არ ებმება მგლის მახეში. მეტიც, წითელქუდა უკვე თავდაჯერებული გოგონაა და მისი დისკურსი მორცხვი, ტრადიციული წითელქუდასგან სრულიად განსხვავდება: "I find your sexist remark offensive in the extreme, but I will ignore it because of your traditional status as an outcast from society, the stress of which has caused you to develop your own, entirely valid, worldview. Now, if you'll excuse me, I must be on my way." მიუხედავად იმისა, რომ ზღაპრები ირონიულ-პაროდიულად ჟღერს, ირონია და სატირა სინამდვილის ასახვის ერთ-ერთი გზაა და მიანიშნებს, რომ ასეთი სტერეოტიპები არსებობს და გამოსასწორებელია.

„კონკია"

მიუხედავად იმისა, რომ „კონკიას" პირველი ვერსია შარლ პერომ მეჩვიდმეტე საუკუნეში დაწერა, ამბობენ, რომ ამ ზღაპირის უპირველესი ვარიანტი ჯერ კიდევ ეგვიპტეში გამოჩნდა. „როდოფი", რომელიც პირველ საუკუნეში დაიწერა, (ძვ.წ.აღ/ახ.წ.აღ) ნამდვილად არსებულ ადამიანს ეხება. ამ ზღაპრის სიუჟეტის მიხედვით, ბერძენ გოგონას მოიტაცებენ და ეგვიპტეში მონად გაყიდიან. მოგვიანებით ის ფარაონის კარზე ხვდება და ღმერთების დახმარებით ცოლადაც მიჰყვება მას. ამ პერიოდიდან მოყოლებული კონკიას ამბავი პოპულარულ სიუჟეტად იქცა, რომლის ყველაზე გავრცელებული ვერსიაა შარლ პეროს ზღაპარი „Cendrillon". სწორედ ამ ვერსიას ეფუძნება დისნეის

1950 წელს გადაღებული მულტფილმი. გარდა ზღაპრებისა და მულტფილმებისა, კონკიას სიუჟეტი გამოყენებულია ჰოლივუდის უამრავ ფილმში, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ამ ფაბულის მომხიბვლელობასა და პოპულარობას საზოგადოებაში.

მონოგრაფიაში განხილულია ამ ზღაპრის სამი ვერსია, კერძოდ:

1. The Cinder Maid – Europe, Joseph Jacobs

2. Cinderella; or, The Little Glass Slipper – France, Charles Perrault

3. Cinderella – Germany (Jacob and Wilhelm Grimm)

ზღაპრის სამივე ვერსიაში ძირითადი შინაარსობრივი ქარგა მსგავსად არის აგებული, თუმცა მაინც დასტურდება მცირედი განსხვავებები. კონკია მაღალი საზოგადოების წარმომადგენლის ოჯახში იბადება, თუმცა დედის გარდაცვალების შემდეგ, იგი უამრავი პრობლემას აწყდება. მამა მეორე ცოლს ირთავს, რომელსაც თან ორი ქალიშვილი მოჰყვება. ზღაპრის ყველა ვერსიაში კონკია ულამაზესი გოგონაა, მაგრამ მას დედინაცვალი და დები ცუდად ექცევიან. იმის გამო, რომ კონკია მოახლედ ჰყავთ ქცეული, გოგონა მთელი დღე სახლში, სამზარეულოში ტრიალებს და გამურული დაიარება. ამიტომ მას Cinder – Maid შეარქვეს. (საინტერესოა ტერმინის ქართული ვარიანტი, რომელშიც ყურადღება გამახვილებულია გოგონას ღარიბულ ჩაცმულობაზე: დაკონკილი – კონკია) ამასთანავე, ზღაპრებში არ ჩანს გოგონას ნამდვილი სახელი. ერთ დღესაც მეფე აცხადებს, რომ გამართავს მეჯლისს, სადაც მისი შვილი აირჩევს საცოლეს, რაც, ბუნებრივია, სამეფოს ყველა გოგონასთვის სანატრელი ამბავია. კონკიას დებმაც დაიწყეს მზადება, რომელშიც მათ ნახევარდაც ეხმარებოდა, თუმცა კონკიას უფლება არ მისცეს მათთან ერთად წასულიყო მეჯლისზე. ზღაპრის გერმანულ ვერსიაში დები კონკიას სახლში ტოვებენ და დავალებას აძლევენ, რომ საღი მარცვლეული ცუდისგან გადაარჩიოს, რაც ზღაპრის დანარჩენ ორ ვერსიაში არ ჩანს. ასევე საინტერესოა, რომ ჯეიკობსისა და გრიმების ვარიანტში გოგო-

ნას ხე ეხმარება (პირველ ვარიანტში ეს არის დედის საფლავზე ამოსული თხილის ხე, მეორე ვარიანტში – დედის საფლავზე ამოსული ჯადოსნური ხე), რომლის საშუალებითაც იღებს წვეულებაზე გასამგზავრებელ ტანსაცმელსა და ეტლს. პეროს ზღაპარში კონკიას დასახმარებლად ნათლია (ფერია) მოდის. საბოლოოდ, სიუჟეტი ერთნაირად ვითარდება – გოგონა მოახერხებს წვეულებაზე წასვლას, სადაც ის პრინცს შეუყვარდება და გამოქცევისას დაკარგავს ცალ ფეხსაცმელს. ზუსტად ამ ფეხსაცმლის მეშვეობით პოულობს პრინცი მას მოგვიანებით და ცოლად ირთავს.

Fig 4. ზღაპრის პერსონაჟები			
პერსონაჟები	**Joseph Jacobs**	**Charles Perrault**	**Brothers Grimm**
დედა	**S**	**S**	**I**
მამა	**I**	**S**	**B**
კონკია	**I**	**I**	**I**
დედინაცვალი	**I**	**I**	**I**
დები	**I**	**I**	**I**
პრინცი	**B**	**B**	**B**
ნათლია	**S**	**I**	**S**
ჯადოსნურიხე	**I**	**S**	**I**

(I – included, B – backgrounded, S – suppressed)

ცხრილში მოცემულია „კონკიას“ სხვადასხვა ვერსიაში წარმოდგენილი ცენტრალური პერსონაჟები და მათი დატვირთვა ზღაპრის სხვადასხვა ვარიანტში. მაგალითად, როგორც მთავარი პერსონაჟები, კონკია, დედინაცვალი და დები ყველა ვერსიაში წარმოდგენილები არიან (შესაბამისად, I). მიუხედავად იმისა, რომ პრინცი ყველა ზღაპარში მონაწილეობს, ის არ არის მთავარი პერსონაჟი და ის მხოლოდ რამდენიმე მონაკვეთში გამოჩნდება (შესაბამისად, B) და ა.შ.

დედა „კონკიას“ ყველა ვერსიაში ფიგურირებს, თუმცა მხოლოდ ძმებ გრიმებთან გვხვდება, როგორც შედარებით მნიშვნელოვანი პერსონაჟი. იგი სიკვდილის წინ იბარებს ქალიშვილს და ურჩევს, მის საფლავზე ხე დარგოს, რომლის მეშვეობითაც ის ყოველთვის მოახერხებს შვილის დახმარებას. ამავე დროს, დედა პირობას უყენებს ქალიშვილს, იგი აუცილებლად უნდა დარჩეს კეთილ და ღვთისმოსავ გოგონად.

“Dear child, I must leave you now, but I will look down on you from heaven. Plant a little tree on my grave, and when you want something, just shake the tree, and you shall get what you want. I will help you in time of need. Just remain pious and good.”

ზუსტად ამ ხის მეშვეობით იღებს გოგონა მოგვიანებით კაბასა და ეტლს, ახერხებს წვეულებაზე წასვლასა და ახალგაზრდა პრინცის მოხიბვლას.

გენდერული თვალსაზრისით, ძალიან საინტერესოა მამის პერსონაჟი, რომელიც ზღაპრების ვერსიებში ნელ-ნელა ჰკარგავს ფუნქციას და ძმები გრიმების კონკიაში მხოლოდ დასაწყისში ჩანს. იმ პერიოდის სოციალური როლების მიუხედავად, სადაც მამაკაცისა ზოგადოებაში და ოჯახში წამყვანროლს თამაშობდა, მეორე ცოლის მოყვანის შემდეგ, მამა სრულიად ემორჩილება მეუღლეს, მისი გავლენის ქვეშ ექცევა და აღარიცავს თავის ღვიძლ ქალიშვილს. მეტიც, პეროს ზღაპარში ავტორი აღნიშნავს, რომ მას ცოლი მართავს: “The poor girl bore it all patiently, and dared not tell her father, who would have scolded her; for his wife governed him entirely.” შესაბამისად, ზღაპარში დედინაცვალი უფრო მასკულინური მახასიათებლებით გამოირჩევა, ვიდრე მისი ქმარი. სავარაუდოა, ზუსტად ამ მასკულინური თვისებების ნაკლებობის გამო კონკიას მამა პეროსა და ძმები გრიმების ზღაპარში ნაკლებად ჩანს, რადგანაც ზღაპრებიდან ცხადია, რომ ავტორები მაქსიმალურად ცდილობდნენ, წინა წამოეწიათ გენდერული საკითხები, უფრო კონკრეტულად კი, საზოგადოებაში ქალისა და მამაკაცის იმპერიოდში მიღებული გენდერული როლების განაწილება.

დები კონკიას სასტიკად ექცევიან. მას წაართვეს ყველა ლამაზი კაბა და მოახლედ დაიყენეს. მიუხედავად იმისა, რომ თვითონაც ძალიან ლამაზები არიან (მაგალითად, ძმები გრიმების ვერსიაში) და ლამაზად და მდიდრულად აცვიათ, მათ მაინც კონკიას სილამაზის შურთ, რადგანაც: "However, Cinderella, notwithstanding her coarse apparel, was a hundred times more beautiful than her sisters, although they were always dressed very richly." ერთადერთი პერსონაჟი ზღაპარში, რომელსაც სახელით იხსენიებენ, არის უმცროსი და – შარლოტა, რომელიც, უფროს დასთან შედარებით, უკეთესად ეპყრობა კონკიას. წვეულებისთვის მზადების სცენა, რომელიც ყველა ზღაპარში თითქმის იდენტურად ვითარდება, ხაზს უსვამს ზღაპრებში წინ წამოწეულ ქალის გარეგნულ სილამაზესა და იმ პერიოდში მიღებულ გარეგნულ სტანდარტებს- თხელი, მოხდენილი სხეული, ლამაზი სახე, ქერა თმა, ლამაზი ტანსაცმელი. ქალის პიროვნულ თვისებებს ნაკლები ყურადღება ექცევა:

"They were so excited that they hadn't eaten a thing for almost two days. Then they broke more than a dozen laces trying to have themselves laced up tightly enough to give them a fine slender shape. They were continually in front of their looking glass."

"...wonderfully busy in selecting the gowns, petticoats, and hair dressing that would best become them. This was a new difficulty for Cinderella; for it was she who ironed her sister's linen and pleated their ruffles. They talked all day long of nothing but how they should be dressed."

ბუნებრივია, განხილული სტერეოტიპები, რომლებიც მყარადაა ფესვებგადგმული საზოგადოებაში, დღემდე ცოცხლობენ, რაც ფსიქოლოგიურ და კვებით პრობლემებს წარმოშობს მოზარდებში, რომლებსაც მუდმივად ჰგონიათ, რომ არ „ერგებიან" საზოგადოების მიერ მიღებულ სილამაზის სტანდარტებს. დების სასოწარკვეთილი მცდელობა, რომ მოირგონ ფეხზე ოქროს ქოში, რომლისთვისაც ისინი ქუსლსა და თითებსაც კი იჭრიან, უბიძგებს პატარა გოგონებს მიიღონ რადიკალური ზო-

მები, რომ მოერგონ საზოგადოების მიერ შემოთავაზებულ ნორმებს. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ, ზოგადად, ზღაპრისთვის არატრადიციულია ბოროტი ან უარყოფითი პერსონაჟების ლამაზ ადამიანებად წარმოჩენა, რადგანაც, ძირითადად, მეზღაპრეები ხელმძღვანელობენ დევიზით – „მახინჯ სხეულში მახინჯი სულია“. თუმცა, ეს ტრადიცია ირღვევა „კონკიაში“, სადაც როგორც დედინაცვალი, ისევე დებიც ფიზიკურად საკმაოდ მიმზიდველნი არიან.

კონკია, იგივე Cinderella, ზღაპარში მთავარი გმირია. გოგონას ასაკი და სახელი უცნობია, რაც სავარაუდოდ, გამიზნულადაა გაკეთებული, რომ მეოცნებე გოგონებს საკუთარი მასთანთავის გაიგივების საშუალება უფრო დიდხანს მიეცეთ. გოგონას დაკონკილი ტანსაცმლით უწევს სიარული და მთელი დღე სახლის საქმეებს ასრულებს:

"The noble's daughter was set to do all the drudgery of the house, to attend the kitchen fire, and had naught to sleep on but the heap of cinder raked out in the scullery; and that is why they called her Cinder Maid. And no one took pity on her and she would go and weep at her mother's grave where she had planted a hazel tree, under which she sat." (Joseph Jacobs)

"She scoured the dishes, tables, etc., and cleaned madam's chamber, and those of misses, her daughters. She slept in a sorry garret, on a wretched straw bed, while her sisters slept in fine rooms, with floors all inlaid, on beds of the very newest fashion, and where they had looking glasses so large that they could see themselves at their full length from head to foot." (Charles Perrault)

მიუხედავად იმისა, რომ ზღაპარში ნაკლებადაა პირდაპირ საუბარი კონკიას გარეგნულ მახასიათებლებზე, აშკარაა, რომ ის ულამაზესია, კეთილი ხასიათით გამოირჩევა და, მიუხედავად იმისა, რომ ცუდად ექცევიან, არასდროს ამბობს უარს, რომ დებს დაეხმაროს:

"Anyone but Cinderella would have fixed their hair awry, but she was very good, and dressed them perfectly well."

"They also consulted Cinderella in all these matters, for she had excellent ideas, and her advice was always good. Indeed, she even offered her services to fix their hair, which they very willingly accepted."

კონკიას კეთილი ხასიათი ჩანს, ასევე, პეროს ზღაპარში, რომელშიც საბოლოოდ გოგონა დებს ყველაფერს პატიობს და სასახლეშიც კი გადაჰყავს ისინი საცხოვრებლად. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ზღაპრის მორალად ავტორს მოჰყავს სენტენცია, რომ ჭკუა, სიმამაცე და კარგი წარმომავლობა უმნიშნელოვანესია ქალისთვის.

რაც შეეხება ნათლიასა და ჯადოსნურ ხეს, ფრანგულ ვერსიაში, ბუნებრივია, ფიგურირებს ფერია, რომელიც, როგორც თავის დასაწყისში აღინიშნა, იმ პერიოდის ფრანგული ზღაპრის მთავარ ელემენტადაც შეიძლება ჩაითვალოს. ჯადოსნური ხე კი სხვა ვარიანტებში გვევლინება, როგორც ჯადოსნური ელემენტი, რომელიც ზღაპრებს უფრო საინტერესოსა და გასაოცარს ხდის. ზღაპარში, ასევე, წარმოჩენილია მოლაპარაკე ჩიტები და თაგვები, რომლებიც კონკიასა და პრინცს ეხმარებიან, რომ მათი გზები გადაიკვეთოს და ეს ორი გმირი ერთმანეთს შეხვდეს.

Fig. 5 ზღაპარში ყველაზე ხშირად გამოყენებული ლექსიკური ერთეულები

Joseph Jacobs (2220 words)	**Charles Perrault (2558 words)**	**Brothers Grimm (2931 words)**
Cinder Maid (27)	Cinderella (26)	Cinderella (41)
tree (24)	godmother (16)	prince (24)
shoe (19)	ball (14)	slipper (15)
prince (19)	sisters (13)	little (12)
lady (15)	beautiful (11)	tree (12)

Fig. 5 ზღაპარში ყველაზე ხშირად გამოყენებული ლექსიკური ერთეულები		
golden (15)	fine (9)	ashes (12)
dress (14)	king's (8)	pigeons (11)
little (12)	slipper (7)	sisters (11)
ball (10)	dance (7)	carriage (9)
bird (9)	day (7)	bride (9)

„კონკიას" სამივე ვერსიაში (ჯოსეფ ჯეიკობსის, შარლ პეროსა და ძმები გრიმების) გამოვლენილი ყველაზე ხშირად გამოყენებული მეტყველების ნაწილების ანალიზი ცხადყოფს, რომ ყველაზე ხშირად გვხვდება საკუთარი სახელები Cinderella და Cinder Maid, როგორც გოგონას ზედმეტსახელი ზღაპრებში და, ამდენად, ბუნებრივ მოვლენად გვევლინება. სხვა ლექსიკური ერთეულების (არსებითი სახელები, ზედსართავი სახელები) უმრავლესობა კი დაკავშირებულია ახალგაზრდა გოგონას სამყაროსთან – shoe, prince, golden, slipper, little, ball, fine, bride, dance- და წარმოადგენს მეოცნებე გოგონას იდეალურ სამყაროს, გაჯერებულს ცეკვებით, წვეულებებით, ლამაზი ტანსაცმლითა და იდეალური პრინცით, რომელიც მას დაიხსნის განსაცდელისგან. ის ფაქტი, რომ კონკიას სჭირდება პრინცი/მამაკაცი, რათა იხსნას ბოროტი დედინაცვლისა და დებისგან და მისი საქმიანობა დაკავშირებულია სახლის წმენდა-დალაგებასთან ან პრინცთან შესახვედრად მზადებასთან, კიდევ ერთხელ აძლიერებს ქალებთან დაკავშირებულ, საზოგადოებაში არსებულ სტერეოტიპს, რომელიც აისახება და განსაზღვრავს არა მხოლოდ გოგონების მიმართ წამოყენებულ სოციალურ მოლოდინებს, არამედ ბიჭებისასაც.

Fig. 6 მთავარი პერსონაჟების აღმნიშვნელი ზედსართავები			
	Joseph Jacobs	**Charles Perrault**	**Brothers Grimm**
დედა	-	the best creature in the world	-
მამა	-	noble man	rich man
ქონკია	the loveliest of all the ladies; lovely lady; beautiful lady; unknown beauty; of noble birth; the true bride; the lady of his love	unparalleled goodness and sweetness of temper; pretty girl; poor girl; hundred times more beautiful; a great princess; singular beauties of the unknown newcomer; beautiful and lovely creature; finest princess; a dirty Cinderwench; dressed even more magnificently than before; nimble as a deer; in her nasty old clothes; girl shabbily dressed; poor country wench; very handsome; more charming than ever; was no less good than beautiful;	pious and good; poor child; useless creature; as beautiful as a rose washed with feathers; a foreign princess; glistened like the sun at midday; cursed princess; beautiful princess the right bride
დედინაცვალი	-	the proudest and most haughty woman ever seen; began to show herself in true colors.	

Fig. 6 მთავარი პერსონაჟების აღმნიშვნელი ზედსართავები			
დები	-	appeared more odious	beautiful to look at but in their hearts they were proud; arrogant and evil; proud sisters; angry that some-one was more beautiful than they were; pale with envy;
პრინცი	-	-	the best looking man in the whole world
ნათლია		-	-

ამ ზღაპრის სამივე ვერსიის ტექსტის ლინგვისტურმა ანალიზმა აჩვენა, რომ ავტორები იყენებენ ძალიან მარტივ ლექსიკას; იშვიათად, მაგრამ მაინც ჩანს ისეთი სტილისტური ხერხები, როგორებიცაა მეტაფორა და შედარება, და მკითხველს შთაბეჭდილება რჩება, რომ ამ ზღაპრების სამიზნე ჯგუფს ადრეული ასაკის ბავშვები წარმოადგენენ. აღსანიშნავია, რომ ჯოზეფ ჯეიკობსი ყველაზე ნაკლებად აღწერს პერსონაჟების პორტრეტებს და მის ზღაპარში მხოლოდ კონკიას მახასიათებლებს ვხვდებით, მაშინ, როდესაც სხვა პერსონაჟების გარეგნული მხარე საერთოდ არ არის აღწერილი. გარდა ამისა, კონკიას დახასიათებაში ჩანს მხოლოდ მისი სილამაზე და მაღალი სოციალური წარმომავლობა ("Now there was among the nobles of the King's Court one who had married twice, and by the first marriage he had but one daughter..."). იგივე ზედსართავები აქტუალიზდება პეროსა და ძმები გრიმების ზღაპრებშიც, რომლებშიც კონკიას მოიხსენიებენ მხოლოდ როგორც ლამაზ არსებას, ქმნილებას, პრინცესასა თუ შველს, ადარებენ ვარდსა

და მზის დილის ნათებას. ზღაპრებში ვხვდებით კონკიას მხოლოდ ორი სახის დახასიათებას – ის ან კონკებშია გამოწყობილი და გამურული (a dirty Cinderwench; poor girl) ან ულამაზესია (dressed even more magnificently than before; glistened like the sun at midday; as beautiful as a rose washed with feathers). ერთ შემთხვევაში, ხალხი დასცინის მას, მეორე შემთხვევაში კი იგივე ხალხი მას აქებს და ადიდებს გარეგნული ბრწყინვალების გამო. ეს ყოველივე კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს გარეგნობისა და ძვირფასად ჩაცმის უდიდეს მნიშნელობას მეცხრამეტე-მეოცე საუკუნეების საზოგადოებაში.

დებისა და დედის აღწერისას ვხვდებით შურისა და სიამაყის აღმნიშვნელ ზედსართავ სახელებს, რომლებიც ძირითადად კონკიასადმი არის მიმართული – მათ შურთ კონკიას სილამაზის მაშინაც კი, როდესაც მას კონკები აცვია (the proudest and most haughty woman ever seen; began to show herself in true colors, beautiful to look at but in their hearts they were proud; arrogant and evil; pale with envy).

ზედსართავებისა და მთავარი პერსონაჟების მახასიათებელი ლექსიკის ანალიზი საინტერესო ელემენტებს წამოწევს ტექსტის ლინგვისტური და სოციოლინგვისტური ანალიზისთვის და კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ზემოთ თქმულს- ქალი ზღაპრების შექმნის პერიოდში და დღესაც წარმოადგენს მხოლოდ სიყვარულის ობიექტს, რომელიც მუდმივად ევალება, იყოს მხოლოდ გარეგნულად ლამაზი და მოვლილი. თუმცა, აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ პეროს ვერსიაში სილამაზესთან ერთად წინ წამოწეულია ქალის დადებითი ხასიათის მნიშვნელობაც, რომელიც, სავარაუდოდ, ისევ პატრიარქალური საზოგადოების სასიკეთოდ უნდა იყოს მიმართული.

ზღაპარში „კონკია" პერსონაჟების მიერ გამოყენებული ზმნებიც საინტერესო ინფორმაციას გვაწვდიან გენდერთან დაკავშირებით. კონკიასთან დაკავშირებული ზმნების უმეტესობა ყველა ვერსიაში მოდალური ზმნებისა და მოდალური კონსტრუქციებით გამოხატული ვალდებულების მოდალობაა, როდესაც გოგონას უწევს, რაღაც იძულებით აკეთოს: was set to

do, had naught to sleep, had to spend the whole day sorting out the lentils, had to sleep in no bed, had to lie down next to the hearth in the ashes და ასე შემდეგ, რაც მიუთითებს გოგონას ნაკლებ თავისუფლებასა და დამოუკიდებლობაზე. ის ფაქტი, რომ ის არაფერს აკეთებს, რომ თავი დაიცვას და, მეტიც, მას ეშინია ხმის ამოღებისა, რადგანაც იცის, რომ ამ შემთხვევაში მამა მას დასჯის, ასევე მეტყველებს ქალისა და მამაკაცის როლების უთანასწორო გადანაწილებაზე და მისთვის ერთადერთი პროტესტი დედის საფლავთან ტირილია: "The poor girl bore it all patiently, and dared not tell her father, who would have scolded her." საგულისხმოა, რომ ჯოსეფ ჯეიკობსის ვერსიაში მეჯლისზე წასული მხიარული დების შემხედვარე გოგონა ხესთან მიდის და მას სთხოვს დახმარებას:

But she went to her own mother's grave and sat beneath the hazel tree and wept and cried out:

Tree o' mine, O tree o' me,
With my tears I've watered thee;
Make me a lady fair to see,
Dress me as splendid as can be.

მოგვიანებით გამოჩენილ ვერსიებში კონკია პასიურია, არ იღწვის თავისი სურვილის ასასრულებლად და თავად მასთან მიდიან დასახმარებლად ნათლია და მტრედი. იმავე სიტუაციას აჩვენებს ზმნების ანალიზიც. ჯეიკობსის ვერსიაში კონკია თავისუფალების შედარებით მაღალ ხარისხს ავლენს და არა მარტო ოცნებობს, არამედ მოქმედებს კიდეც საკუთარი სურვილების ასასრულებლად და ახერხებს მიზნის მიღწევას (მაგალითისთვის, ეს მოქმედებები აღინიშნება სრული ასპექტის ზმნებით – shook the tree, drove away, entered, remembered, fled, leaped, got away, danced). მოგვიანებით კი, პეროსა და გრიმების ვერსიაში, ის უფრო დამჯერ გოგონად გვევლინება, რომელიც მხოლოდ მაშინ იყენებს შესაძლებლობას, როდესაც იგი, თავად პასიურს, ციდან ჩამოუვარდება (dared not, offered her service, accepted, followed them with her eyes, I wish I could,

sobbing, must I go?). საინტერესოა მისკენ მომართული ბრძანების აღმნიშვნელი ზმნების სიმრავლეც (told her, commanded her, bring me..., led her), მაშინ, როცა კოგნიტიურ/გონებრივი აღქმის ზმნებს სამივე ტექსტში სულ რამდენჯერმე ვხვდებით- ("She had forgotten to leave till the clock began to strike." "She suddenly remembered what the pigeons had warned her." "Cinder Maid remembered what the little bird had told her and slipped away to her carriage."), რომლებიც გოგონას არც თუ ისე ძლიერ კოგნიტიურ შესაძლებლობებსა და გულმავიწყობაზე მიუთითებენ, რადგანაც მას გაფრთხილება მხოლოდ ბოლო მომენტში ახსენდება. თუმცა აღსანიშნავია, რომ მამაკაც პერსონაჟებთან შედარებით, ქალი პერსონაჟები, იქნება ეს დედინაცვალი თუ დები, უფრო სტერეოტიპულად მასკულინური ზმნებით აღინიშნებიან, რომლის მეშვეობითაც ისინი პირდაპირ გადმოდიან შეტევაზე. აღსანიშნავია, რომ მასკულინური ქალი პერსონაჟები უარყოფითი ხასიათის, ბოროტნი არიან და, საბოლოოდ, ისჯებიან კიდეც ამისთვის. საინტერესოა მამის პერსონაჟი, რომელიც, პირიქით, ფემინინური მახასიათებლებით ხასიათდება – მამა უკან იხევს და თავისი აზრის გატანას არ ცდილობს, რაც საუბარში სტერეოტიპულად უფრო ქალისთვისაა დამახასიათებელი:

მამა: The father suggested that Cinder Maid should also have a dress.

დები: They all cried out, "What, Cinder Maid going to the king's ball? Why, look at her, she would only disgrace us all."

მამა: Father held his peace; for his wife governed him entirely.

საგულისხმოა, რომ მეორე მამაკაცი პერსონაჟის მიმართაც არ გამოიყენება „მასკულინური" ზმნები: the prince followed, but he could not overtake her [Cinderella]. ის ზღაპრის მხოლოდ მცირე მონაკვეთში გამოჩნდება და, ძირითადად, მიმდევნებლის და არა ლიდერის როლს ითავსებს, რაც, ასევე ნაკლებად დამახასიათებელია მასკულინური სტერეოტიპებისთვის.

სამივე ზღაპარში მწერლების მიერ გამოყენებული ზმნებისა და სხვა ლექსიკური ერთეულების ლინგვისტური ანალიზიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ავტორები „კონკიაში" ნაკლებად გამოხატავენ გენდერულ უთანასწორობას. მეტიც, ზოგიერთ შემთხვევაში როლები შებრუნებულია და ქალები უფრო ძლიერები ჩანან, ვიდრე მამაკაცები, თუმცა, მიუხედავად ამისა, ზღაპრები შინაარსობრივი და თანამედროვე თვალსაზრისით გაუმართლებელი გენდერული სტერეოტიპების შემცველია, რადგანაც ქალები, ძირითადად, სახლის საქმეებთან არიან ასოცირებული ("You [Cinderella] belong in the kitchen!") ან გარეგნულ სილამაზესთან, რაც უფლისწულის მოსახიბლად დასჭირდებათ. ზღაპრის ქალი გმირები ნაკლებად ხასიათდებიან კოგნიტიური მნიშვნელობის მქონე ზმნებით, რომელთა გაანალიზებისას ჩანს მათი გონებრივი სისუსტე (forgot, didn't remember), რაც უსვამს ხაზს, რომ ქალს ჭკუა-გონება ნაკლებად მოეთხოვება, როდესაც/თუ იგი ღმერთს სილამაზით დაუჯილდოებია.

„კონკია" რომ ნამდვილად გენდერულად მარკირებული ზღაპარია, ჩანს იმ ფაქტითაც, რომ არსებობს მისი „პოლიტიკურად კორექტული" ვერსიები, მაგალითად, გარნერის (1994) „კონკიას" ახლებური, სარკაზმით სავსე ვერსია, რომელშიც ქალის სილამაზის ხაზგასმა წარმოდგენილია, როგორც მისი დამონების და არარეალური სტანდარტების დანერგვის მცდელობა:

"They began to plan the expensive clothes they would use to alter and enslave their natural body images to emulate an unrealistic standard of feminine life (it was especially unrealistic in their case, as they were differently visaged enough to stop a clock)." "Cinderella helped her mother- and sisters-of-step into their ball gowns. A formidable task: it was like trying to force ten pounds of processed nonhuman animal carcasses into a five-pound skin."

საინტერესოა, რომ კონკიას ნათლია მამაკაცია, რომელიც საკუთარი გადმოსახედიდან, საერთოდ არ ემხრობა ქალის ამდენ გარჯა-წვალებას სილამაზისთვის და ეთანხმება აზრს, რომ ქალები მუდმივად ცდილობენ სილამაზის მამაკაცის მიერ

დადგენილ სტანდარტებს მოერგონ. ნათლია თანამედროვე ექიმივით მსჯელობს და ირიბად მოუწოდებს ნათლულს ჯანსაღი და ეთიკური ცხოვრებისკენ:

"So you want to [...] bind yourself into the male concept of beauty? Squeeze into some tight-fitting dress that will cut off your circulation? Jam your feet into high-heeled shoes that will ruin your bone structure? Paint your face with chemicals and make-up that have been tested on nonhuman animals?"

გარდა ამისა, ამ მონაკვეთში ავტორს წამოწეული აქვს თანამედროვე პრობლემები – ცხოველებისადმი არაჰუმანური მოპყრობა და, ასევე, ჩანს სარკასტული შეფასება ქალისთვის დამახასიათებელი სურვილისა, რომ რადაც არ უნდა დაუჯდეს, მათ შორის ჯანმრთელობის ფასადაც კი, თავი მოაწონოს მამაკაცს.

„რაპუნცელი"

„რაპუნცელის" პირველი ვერსია ჯიამბატისტა ბასილეს მიერ დაიწერა და პირველად იტალიაში, 1634 წელს გამოჩნდა. ამავე სიუჟეტზე, მოგვიანებით, ძმებმა გრიმებმა თავიანთი ზღაპარი დააფუძნეს. „რაპუნცელის" მრავალი ვერსია არსებობს, რომლებსაც სხვადასხვა დასასრული აქვს, თუმცა, ძმებმა გრიმებმა, რომლებიც კულტურისა და მორალის სადარაჯოზე იდგნენ და კულტურული გოგო-ბიჭების აღსაზრდელ „სახელმძღვანელოს", ანუ ზღაპრების კრებულს, ქმნიდნენ, ზღაპრიდან „ამორალური" ელემენტები ამოიღეს და ფაბულაც თავიანთი პერიოდის სოციალურ მოდელს მოარგეს. მაგალითად, ძმები გრიმების ზღაპრის ბოლოს ვიგებთ, რომ რაპუნცელი ორ შვილს აჩენს. ეს სრულიად მოულოდნელია, რადგანაც ზღაპარში არ ჩანს პრინცსა და რაპუნცელს შორის რაიმე სასიყვარულო კავშირი.

ნაშრომში განხილულია „რაპუნცელის“ შემდეგი სამი ვერსია

1. Rapunzel – Germany (Jacob and Wilhelm Grimm)
2. Parsley [Petrosinella] – Italy
3. Parsillette – France

სამივე ზღაპრის სიუჟეტი თითქმის იგივეა – ბოროტ ქალს ლამაზი გოგონა მიჰყავს და მას შორეულ, მიუწვდომელ კოშკში ამწყვდევს. გოგონას პრინცი იპოვის და გადაარჩენს. საერთო სიუჟეტის მიუხედავად, სამივე კულტურაში – გერმანულ, იტალიურსა და ფრანგულში ჩანს სხვადასხვა სიუჟეტური ელემენტი: ხანგრძლივი მოლოდინის შემდეგ, ქალი სანატრელ შვილზე ორსულდება. ორსულობისას მას დაუოკებელი სურვილი უჩნდება, რომ შეჭამოს ის ბოსტნეული/ხილი, რომელიც გვერდით მდებარე ბაღში იზრდება (გერმანულსა და იტალიურ ვერსიაში, დედა ჭამს ბალახეულს rapunzel, იტალიურში მას ოხრახუში მოუნდება – parsley, ხოლო ფრანგულში – ის ხილს გეახლებათ, რაც, ბუნებრივია, კულტურული ასპექტითაა განპირობებული. სწორედ აქედან მოდის გოგონას სახელი- რაპუნცელი). ბაღის მეპატრონე ჯადოქარი (გერმანული), დევი (იტალიური) ან ფერიაა, რომელიც მოგვიანებით გოგონას ნათლია ხდება (ფრანგული), რომელიც მის ბაღში შეპარულ დედას დაიჭერს და საჭმლის ნაცვლად მოითხოვს ქალიშვილს, რომელსაც ქალი მალე გააჩენს. ფრანგულ ზღაპარში ნათლიას ბავშვი დაბადებიდანვე მიჰყავს კოშკში საცხოვრებლად, გერმანულ ვერსიაში ის თორმეტი წლის ასაკში ემშვიდობება სახლს, იტალიურ ვერსიაში კი გოგონა შვიდი ნელი მშობლებთან ერთად ცხოვრობს. სამივე ზღაპარში ლამაზ გოგონას უფლისწული მიაგნებს და, ერთი ნახვით შეყვარებულები, გადაწყვეტენ, რომ ერთად გაიქცნენ და ბედს ეწიონ. შეყვარებულები გაქცევას მხოლოდ იტალიურ ვერსიაში ახერხებენ. ძმებ გრიმებთან ჯადოქარი გოგონას გადამალავს, ბიჭი კი კოშკიდან გადახტება და დაბრმავდება. თუმცა წლების შემდეგ ის მაინც მიაგნებს რაპუნცელს, რომელიც

მის შვილებს ზრდის. რაც შეეხება ფრანგულ ვერსიას, გაბრაზებული ნათლია გოგონას დაამახინჯებს; მისი სახის დანახვაზეც ბიჭს გული უსკდება და კვდება, ნათლიას კი გოგონა სახლში მიჰყავს და სილამაზეს უბრუნებს მას. მოგვიანებით, რაპუნცელი მდიდარ უფლისწულზე თხოვდება.

რაპუნცელის თემისადმი ახლებული მიდგომა დაგვანახა დისნეიმ თავის მულტიპლიკაციურ ფილმში "Tangled", რომელშიც გოგონა სამეფო ოჯახის ნანატრი პრინცესაა. რადგანაც დედოფალმა ორსულობისას ჯადოქრის ჯადოსნური ყვავილისგან გაკეთებული ელექსირი დალია, რომელიც ჯადოქარს ახალგაზრდობას უნარჩუნებდა, მიქსტურის ჯადოსნური ძალა გოგონაზე გადავიდა, ამიტომ ბოროტი ქალი ბავშვს ჩუმად გაიტაცებს. გოგონას ლამაზი თმის დახმარებით ჯადოქარი ახერხებს სილამაზისა და ახალგაზრდობის შენარჩუნებას. დიაზი (2014) აღნიშნავს, რომ სილამაზის შენარჩუნებისკენ სწრაფვა თანამედროვეობაში შეიძლება „გადაითარგმნოს", როგორც პლასტიკური ოპერაციის ფენომენი, რომელსაც ქალები ხშირად მიმართავენ სილამაზის შესანარჩუნებლად თუ გასაუმჯობესებლად. ამისკენ კი ქალები სწორედ იმ სტერეოტიპების გამო მიისწრაფვიან, რომელსაც ბავშვობიდან უნერგავენ მათ როგორც ზღაპრები, ისე თანამედროვე მედია.

ერთ დღესაც რაპუნცელთან ყაჩაღი ფლინი მოხვდება, რომელთანაც ერთადაც გოგონა კოშკიდან გარბის. საინტერესოა, რომ ტრადიციული ზღაპრისგან განსხვავებით, ამ ვერსიაში მათ ერთმანეთი ერთი ნახვით არ უყვარდებათ, რაც ცვლის ათასწლოვანი ზღაპრების ტრადიციას, თუმცა გოგონას მაინც მამაკაცის დახმარება სჭირდება, რომ კოშკიდან გაიქცეს. მიუხედავად იმისა, რომ გენდერული სტერეოტიპების დანგრევისკენ პირველად დისნეიმ გადადგა ნაბიჯი, მულტფილმში მაინც შენარჩუნებულია კონკრეტული, სპეციფიკური ელემენტები (მაგ., გოგონას ტრადიციულად მამაკაცი სჭირდება, რომ გადაარჩინოს), რომლებიც ბავშვებს არასწორ შთაბეჭდილებას უქმნის გენდერულ როლებთან დაკავშირებით.

Fig 7. ზღაპრის პერსონაჟები			
პერსონაჟები	**Germany**	**Italy**	**France**
მამა	**I**	**S**	**S**
დედა	**I**	**I**	**I**
რაპუნცელი	**I**	**I**	**I**
ჯადოქარი/დევი/ ნათლია	**I**	**I**	**I**
პრინცი	**I**	**S**	**S**

(I- included, B- backgrounded, S- suppressed)

მეშვიდე ცხრილში წარმოდგენილია „რაპუნცელის" სამივე გაანალიზებულ ვერსიაში აქტუალიზებული გმირები და მათი როლი სიუჟეტის შექმნაში. გოგონას დედ-მამის წყვილი მხოლოდ ზღაპრის დასაწყისში გამოჩნდება და იქაც მეორეხარისხოვან როლს ასრულებს.

მთელ სიუჟეტში შვილის წაყვანის შემდეგ კი მშობლები საერთოდ აღარ ჩანან. ამდენად, გაუგებარი რჩება, ეძებენ ისინი თუ არა გოგონას. ამ მხრივ, მულტფილმი "Tangled" განსხვავებულია, რადგანაც სამეფო ოჯახი არ წყვეტს პრინცესას ძებნას და მის დაბადების დღეს ყოველწლიურად ზეიმობენ ქაღალდის სანათების ჰაერში გაშვების ცერემონიალით.

არცერთ ზღაპარში არ ხდება რაპუნცელის პერსონაჟის სრული კოგნიტიურ-ქცევითი განვითარება. ის უბრალოდ ლამაზი, ქერა გოგონაა, რომელიც მორჩილად ზის კოშკში, თუმცა როგორც კი პრინცს გადაეყრება და შეუყვარდება, მასთან ერთად გაქცევას ლამობს. ძმები გრიმების ვერსიაში აღმოჩნდება, რომ ის პრინცისგან ორსულადაც კია. ზღაპრისგან განსხვავებით, მულტფილმში გოგონა დამოუკიდებელი ადამიანია, ფლინთან ერთად გარბის მხოლოდ იმიტომ, რომ დაინტერესებულია, თავად ნახოს, რა ხდება გარე სამყაროში; განსაკუთრებით კი აოცებს ყოველ წელს ერთსა და იმავე დროს გაშვებული სანათების უკან დამალული ისტორია. აღმოჩნდება, რომ გოგონა სილამა-

ზესთან ერთად გონიერიცაა, რადგან სწორად ის მიხვდება, რომ თვითონ არის დაკარგული პრინცესა, რომელსაც ამ ცერემონიალს უძღვნიან.

ჯადოქარი (გერმანია), დევი (იტალია) თუ ნათლია (საფრანგეთი), ზღაპარში მასკულინური თვისებების მატარებელნი არიან. მათ იტაცებთ დომინანტური საქციელი და რაპუნცელის დედას აიძულებენ, შეასრულოს ადრე დადებული პირობა და გოგონა მათ დაუთმოს (ანუ, ჰოლმსის (2006) კატეგორიზაციის მიხედვით, ეს პერსონაჟები მასკულინური თვისებებით ხასიათდებიან – assertive, goal-oriented). თუმცა, როდესაც ერთ ვერსიაში ჯადოქარს გოგონა მიჰყავს და ამბობს, რომ მას დედასავით მოეპყრობა: "will care for it like a mother", ამ უკანასკნელის ქალური თვისებებიც იწევს წინ (nurturing). საინტერესოა, რომ ფრანგულ ვერსიაში, ნათლია და მისი დები ფერიები არიან, რომელთა მეშვეობითაც ნათლია იტაცებს გოგონას და შემდეგ მას ნათლავს. ზღაპრის დასასრულს, იტალიურ ვერსიაში, დევი მგლის ლუკმა ხდება, სხვა ვერსიებში კი გამტაცებლის ბედი უცნობია.

Fig. 8 ყველაზე ხშირად გამოყენებული ლექსიკური ერთეულები

Brothers Grimm (1289 words)	**Italy (1421 words)**	**France (1027 words)**
Rapunzel (22)	Ogress (21)	woman (16)
Sorceress (10)	Parsley (19)	godmother (12)
day (8)	prince (8)	Parsillette (10)
prince (7)	poor (6)	child (9)
hair (7)	woman (6)	tower (9)
tower (7)	day (5)	door (6)
beautiful (6)	little (5)	fruit (6)
garden (6)	window (5)	beautiful (6)
wife (6)	promise (4)	young (5)
man (5)	gossip (4)	gifts (4)

რაც შეეხება პრინცს, მიუხედავად იმისა, რომ ისიც ცენტრალური პერსონაჟია, არც მისი გმირის ხასიათი ვითარდება და ის მხოლოდ რაპუნცელის „მხსნელად" გვევლინება, რომელსაც მოგვიანებით გოგონა ცოლადაც გაჰყვება. მულტფილმში როლები შებრუნებულია – სამეფო ოჯახის წარმომადგენელი გოგონაა, ხოლო ფლინი – ყაჩაღი. დასასრულს, სიუჟეტი მაინც, გარკვეულწილად, მეორდება – მათ ერთმანეთი უყვარდებათ და ფლინი სამეფო ოჯახის წევრი ხდება.

Fig. 9 მთავარი პერსონაჟების მიმართ გამოყენებული ზედსართავები

	Brothers Grimm	**Italy**	**France**
მამა	-	-	-
დედა	-	poor woman	-
რაპუნცელი	most beautiful child under the sun; with splendid long hair and sweet voice; godless child; beautiful bird; Mistress Darling	so beautiful that it was a joy to look upon; poor girl; wonderful beauty	so beautiful that all the gentlemen... stopped to look at her; became as ugly as she had been beautiful;
ჯადოქარი	old woman; unmerciful woman; ... with poisonous and evil looks	old woman; more cunning and spiteful than the devil;	little woman;
პრინცი	-	-	-

„რაპუნცელის" სამი ვერსიის ლექსიკური ერთეულების ანალიზის შემდეგ კვლავ ვლინდება სტერეოტიპული დამოკიდებულება ქალის მიმართ – ზღაპარში ყველაზე ხშირად გამოყენებული ერთეულები სახლის გარემოსთანაა დაკავშირებული – garden, door, window, tower. გარდა ამისა, სხვა ლექსიკური ერთეულები მოიცავენ გარეგნულ აღწერებს, რომლებიც, ასევე სტერეოტიპულად, ქალისკენაა მიმართული – beautiful, little. მიუხედავად იმისა, რომ ზღაპარში ფიგურირებენ მამა-

კაცი პერსონაჟები (მამა, პრინცი), ტექსტში არ ვხვდებით მათ პორტრეტებს, რაც მეცხრე ცხრილშიც თვალნათლივ ჩანს. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მამაკაცი პერსონაჟების დახასიათებისას მათი ვიზუალური მხარე ნაკლებ მნიშვნელოვანია ავტორისთვის. მკითხველს არც კი სჭირდება იცოდეს, რამდენად სიმპათიური და მოხდენილია პრინცი, რადგანაც ის მამაკაცია, ან უბრალოდ იმიტომ, რომ პრინციც სტერეოტიპულად ლამაზია.

მწერლების ენა ზღაპრებში ლაკონიურობით ხასიათდება. ავტორები პირდაპირ, შელამაზების გარეშე, აღწერენ სიტუაციას, ნაკლებად იყენებენ შედარებებს თუ სხვა სტილისტურ ხერხებს, თუმცა ვხვდებით მეტაფორასა (the most beautiful child under the sun) და მეტაფორულ ეპითეტებს (unmerciful woman; ...with poisonous and evil looks). საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ზღაპრებში თითქმის არ გვხდება პერსონაჟების პორტრეტები და მათ შორის დიალოგების რაოდენობაც ძალიან მცირეა. მოთხრობებში ექსპლიციტურად აღწერილია მხოლოდ რაპუნცელი და ჯადოქარი/დევი. ზღაპრებში გამოყენებული ზედსართავი სახელების მიხედვით, ვხვდებით ორ დიქოტომიას – კეთილი პერსონაჟი არის ყოველთვის ლამაზი (Rapunzel- so beautiful that it was a joy to look upon; the most beautiful child under the sun), ხოლო ბოროტი პერსონაჟი – ყოველთვის მახინჯი (Gothel – unmerciful woman... with poisonous and evil looks; more cunning and spiteful than the devil; old woman). ჯადოქრის მახინჯ და მოხუც ქალად მოხსენიება, სავარაუდოდ, განსაკუთრებით რთულად ასატანია მულტფილმის პერსონაჟისთვის, რომელიც საკუთარი სილამაზის მუდმივად შენარჩუნებისთვის იბრძვის. აღსანიშნავია, რომ მიუხედავად იმისა, რომ ჯადოქარი მასკულინური თვისებების მქონე გმირად გვევლინება, ის ნაკლებად მიილტვის მამაკაცისთვის დამახასიათებელი მიზნებისაკენ, როგორებიცაა, მაგალითად, ძალაუფლების მოპოვება. ზღაპრებში ძლიერი ქალებიც კი (კონკიას დედინაცვალი, ფიფქიას დედინაცვალი და ა.შ.) მიისწრაფიან მხოლოდ გარეგნული სილამაზისკენ მაშინ, როცა მათ ბევრად მეტის მიღწევა შეუძლი-

ათ. ეს კიდევ ერთხელ ეხმიანება იმ სტერეოტიპს, რომ იმ დროის საზოგადოებაში აფასებდნენ მხოლოდ ქალის გარეგნობას და არა მის პიროვნულ თვისებებს. შესაბამისად, სილამაზე სანატრელი და სანუკვარი თვისება ჩანს არა მხოლოდ სუსტი და პატარა (little), არამედ ძლიერი ქალებისთვისაც. ჩვენი აზრით, იმდროინდელ საზოგადოებაში ქალის კარგი გარეგნობის პრიორიტეტულობას ადასტურებს შემდეგი ეპიზოდიც: როდესაც რაპუნცელი გარკვეული დროის განმავლობაში ჰკარგავს სილამაზეს (გაბრაზებული ნათლია აჯადოებს და ამახინჯებს მას), პრინცი იბნევა და არ იცის, რა თქვას და როგორ მოიქცეს, ბოლოს კი მკვდარი ეცემა, რითაც კიდევ ერთხელ მტკიცდება ის ფაქტი, რომ მისთვის რაპუნცელის მთავარი ხიბლი მისი სილამაზეა.

"She [godmother] retraced her steps and arrived back at the tower. She called out, but no one responded. She climbed to the top of the tower. She saw Parsillette, who was clinging to the young man's arm. She struck out with her wand, and Parsillette became as ugly as she had been beautiful. All the gifts that had been given to her disappeared.

The young man, seeing this change, did not know what to say; and Parsillette, seeing this, said to him, "I cannot go any further. Seeing how angry my godmother is, I must return to her and beg her pardon.

The moment she said this, the young man was struck dead."

საინტერესოა ზღაპარში ქერა თმის სიმბოლური დატვირთვაც, რომელიც ბავშვურ სიწმინდესა და სილამაზესთანაა დაკავშირებული. როგორც ვორნერი (1994) აღნიშნავს, ქერა თმა ახალგაზრდობისა და უბიწოების სიმბოლოდ იქცა, რომელიც ბუნებრივად ასაკთან ერთად მუქდება. მისივე აზრით, ტრადიციულად ფემინინურობა დაკავშირებულია სახლის ცხოვრებასთან, ფერმკრთალ კანთან, რაც, ბუნებრივია, მიუთთებს, რომ ქალის ამ სილამაზეს ნაკლები უცხო თვალი ხედავს (1994) (ამ მხრივ, საინტერესოა, ქართული სიტყვა – მზეთუნახავი, რომელიც ხშირად მეფის ასულების დამახასიათებელია ზღაპარში

და იმავე კონოტაციის მატარებელია- მის კანს მზე არ უნახავს). აღსანიშნავია, რომ გრიმების ზღაპარში ჯადოქარი თმას ჭრის რაპუნცელს, რომელიც მისი სიწმინდის დაკარგვის ალეგორიად შეიძლება მოვიაზროთ, მით უმეტეს, რომ ზღაპრის ბოლოს ვიგებთ, რომ ის პრინცისგან ორ შვილს აჩენს. გარდა ამისა, დისნეის მიერ გადაღებულ მულტფილმში ფლინი რაპუნცელს ჭრის თმას იმ მიზნით, რომ თმამ ჯადოსნური თვისებები დაკარგოს. რაპუნცელს ქერა თმა უყავისფრდება, ანუ მულტფილმში მამაკაცის ხელში გადადის რაპუნცელის „უბიწოების" დაკარგვა.

რაც შეეხება პერსონაჟების მეტყველიბაში გამოყენებულ ლინგვისტურ ერთეულებსა და ტექსტში აქტუალიზებულ ზმნებს, კეთილი ქალი პერსონაჟები უფრო ქალისთვის დამახასიათებელი მეტყველების მანერით გამოირჩევიან, ხოლო ბოროტი ქალი პერსონაჟები – უფრო მამაკაცური. მიუხედავად იმისა, რომ სამივე ტექსტში უფრო მეტად გაბმული ნარატივია და ნაკლებად ვხვდებით პერსონაჟებს შორის დიალოგს, მაინც შესაძლებელია პერსონაჟების ლინგვისტური პორტრეტის შედგენა.

ჯადოქარი შეუვალი, მკაცრი და მამაკაცურია და ხშირად იყენებს ბრძანებლურ ტონს, რაც გამოხატულია მოდალური ზმნებისა და მოდალური კონსტრუქციების გამოყენებით. მაგ: how can you dare, you will pay for this, I will allow you to, the sorceress wanted to enter, she appeared... ჯადოქრის მიერ გამოყენებული ზმნები ყოველთვის ბრძანებითი, პერფორმატიულია და თავდაჯერებული ქალისთვის დამახასიათებელი კონოტაციით ვლინდება. საინტერესოა, რომ რაპუნცელი დიდი გონებრივი შესაძლებლობებით არ გამოირჩევა, რადგანაც, პირველ ყოვლისა, იგი ვერ არჩევს/არ უფიქრდება დედინაცვლისა და პრინცის ხმებს შორის განსხვავებას და შეუმოწმებლად უშვებს უცხო მამაკაცს კოშკში. მეორე მხრივ, ის პირდაპირ და დაუფიქრებლად ეუბნება დედინაცვალს, რომ მას პრინცი სტუმრობს: "Frau Gothel, tell me why it is that you are more difficult to pull up than is the young prince, who will be arriving any moment

now?" ყოველივე ეს მის მძლავრ გონებრივ შესაძლებლობებზე ნაკლებად მეტყველებს.

ზღაპარი „რაპუნცელი" ნამდვილად შეიცავს გენდერულ-სტერეოტიპულ ელემენტებს, რომელთა მიხედვითაც ქალი უპრეტენზიოდ უნდა იჯდეს სახლში. მართლაც, მთელი ცხოვრების განმავლობაში რაპუნცელი ერთხელაც არ ცდილობს კოშკიდან გაპარვას, მას აშკარად არ აწუხებსს ცნობისმოყვარეობა და სამყაროს შეცნობის სურვილი, რომელიც უბიძგებდა გარე სამყაროს შეცნობისკენ. მასთან მისული პრინცი ერთი ნახვით იხიბლება გოგონას სილამაზით, თუმცა, როგორც კი გოგონა სილამაზეს კარგავს, უფლისწული ყოყმანობს, არ იცის, რა თქვას, რაც ცალსახად მიანიშნებს იმას, რომ მისი სიყვარული განპირობებულია მხოლოდ გარეგნული სილამაზით. ეს ეპიზოდი ასწავლის როგორც გოგონებს, ისე ბიჭებს, რომ ქალის შეფასება ხდება მხოლოდ და მხოლოდ გარეგნული მახასიათებლებით.

მნიშვნელოვანი და წინ გადადგმული ნაბიჯია გენდერულ თემატიკაში დისნეის მიერ დანახული რაპუნცელი, რომელიც საკმაოდ სხარტი და ჭკვიანი გოგონაა. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მასაც სჭირდება მამაკაცის დახმარება, რომ თავი დააღწიოს ტყვეობას, ანუ ქალს ცხოვრებაში სჭირდება მამაკაცი, რომ შეიქმნას კარგი ცხოვრების პირობები და მიაღწიოს მიზანს. დიაზის (2014) მტკიცებით, დისნეის ზღაპარს სპეციალურად დაექვა Tangled (თუმცა, ქართულ თარგმანში მას მაინც „რაპუნცელი" ჰქვია) და არა ქალი პერსონაჟის სახელი, რითაც მან ორივე სქესის მაყურებელი მიიზიდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიძლება პატარა ბიჭებს მულტფილმი უინტერესოდ მოჩვენებოდათ. ეს ფაქტი ყურადსაღებია იმდენად, რამდენადაც ის მიუთითებს, რომ ადრეული ასაკიდანვე ხდება არათანასწორი გენდერული როლების კოდირება ბავშვის ცნობიერებაში.

„მძინარე მზეთუნახავი"

გენდერული და სოციოლინგვისტური თვალსაზრისით ასევე საინტერესოა ზღაპარი „მძინარე მზეთუნახავი". არსებობს ამ ზღაპრის რამდენიმე (იტალიური, ფრანგული და გერმანული) ვერსია. კერძოდ, ნაშრომის ამ მონაკვეთში განვიხილავთ მის შემდეგ ვერსიებს:

1. Giambattista Basile – Sun, Moon, and Talia (Italy)
2. Charles Perrault – The Sleeping Beauty in the Wood (France)
3. Jacob and Wilhelm Grimm – Little Brier-Rose (Germany)

ჯიამბატისტა ბასილეს „მძინარე მზეთუნახავი" ზღაპრის პირველი და, სავარაუდოდ, ყველაზე შემაძრწუნებელი ვერსიაა. მდიდარი დიდგვაროვანის ოჯახში დაბადებულ ტალიას უწინასწარმეტყველებენ, რომ თითისტარზე თითს გაიჭრის და მოკვდება. რადგან ბედს ვერავინ გაექცევა, ზრდასრულ და მშვენიერ ტალიას მართლაც აუსრულდება საბედისწერო წინასწარმეტყველება. გაუბედურებული მამა, რომელსაც სიმართლისთვის თვალის გასწორება არ ძალუძს, ტალიას საწოლში აწვენს, თავად კი სასახლეს სამუდამოდ ტოვებს და გადაიკაარგება. გარკვეული დროის გასვლის შემდეგ დიდგვაროვანის მიტოვებულ სასახლეს ნადირობისას გზაბნეული მეფე გადააწყდება. სასახლეში შესული მამაკაცი ულამაზეს ტალიას დაინახავს, რომელიც, მისი აზრით, მოჯადოებულია. მეფე გოგონას აუპატიურებს, შემდეგ თავის სასახლეში ბრუნდება გადაუდებელი საქმეების მოსაგვარებლად და დიდხანს აღარც კი ახსენდება ეს თავგადასავალი:

"Crying aloud, he beheld her charms and felt his blood course hotly through his veins. He lifted her in his arms, and carried her to a bed, where he gathered the first fruits of love. Leaving her on the bed, he returned to his own kingdom, where, in the pressing business of his realm, he for a time thought no more about this incident."

ცხრა თვის შემდეგ ტალია აჩენს ულამაზეს გოგო (მზე)-ბიჭს (მთვარე), რომელთა ამ სამყაროში მოვლინებაში გოგონას ფერიები ეხმარებიან. ბავშვები დედას თითს მოუწოვენ, საიდანაც სართავის ხიჭვი ამოვარდება და ტალია გამოიღვიძებს. ამასობაში, მეფეს კვლავ ახსენდება ტალია და მის მოსანახულებლად მიდის. სასახლეში მისულს კი მზეთუნახავი შვილებთან ერთად ხვდება და მათი „მეგობრობა" უფრო ღრმავდება: "He was overjoyed, and he told Talia who he was, and how he had seen her, and what had taken place. When she heard this, their friendship was knitted with tighter bonds, and he remained with her for a few days." დედოფალი, რომელიც ბოროტი და ჭკვიანი ქალია, მიხვდება, რომ მეფეს საყვარელი ჰყავს და როდესაც მბრძანებელი კვლავ თავის საქმეებზეა წასული, დედოფალი ჯერ პატარებს და შემდეგ თავად მზეთუნახავს სასახლეში შეიტყუებს. ბოროტი დედოფალი მზარეულს დაავალებს, რომ სტუმრები დახოცოს და კერძად მიართვას. კეთილი მზარეული ბავშვების მაგივრად ცხვარს დაკლავს და იმას მიართმევს მეფე-დედოფალს. საბოლოოდ, ტალიას მოხერხებით, ყველაფერი გამომჟღავნდება, მეფე დედოფალს დასჯის და ტალიას ირთავს ცოლად.

შარლ პეროსა და ძმები გრიმების „მძინარე მზეთუნახავის" ორივე ვერსიაში გოგონა (პეროსთან მას სახელი არ აქვს, ხოლო ძმებ გრიმებთან Brier-Rose ჰქვია) ნანატრი პრინცესაა, რომელსაც ფერიები მონათლავენ და სხვადასხვა დადებით თვისებას დაანათლავენ. განაწყენებული ბოროტი ფერია, რომელიც სტუმრად არ დაუპატიჟებიათ, დაწყევლის პრინცესას და უწინასწარმეტყველებს, რომ, როდესაც ის გაიზრდება, სართავზე ხელს გაიჭრის და გარდაიცვლება. თუმცა, აღმოჩნდება, რომ ერთ-ერთ ფერიას ჯერ არ მოუნათლავს გოგონა, ამიტომ ის შეეცდება, შეცვალოს მისი ბედისწერა – ნაცვლად სიკვდილისა, გოგონა საუკუნოვან ძილს მიეცემა, რომლისგანაც პრინცი გამოაღვიძებს.

ზღაპრის გასაანალიზებლად არჩეული ვერსიები ნამდვილად ირეკლავს ტრადიციულ პატრიარქალურ ღირებულებებსა და საზოგადოებაში დამკვიდრებულ ტრადიციებს; მაგალითად

შეიძლება მოვიყვანოთ გარიგებით ქორწინება, რომელიც ევროპულ საზოგადოებაში, და არა მხოლოდ იქ, მნიშვნელოვან როლს ასრულებს გასულ საუკუნეებში, განსაკუთრებით კი სამეფო ოჯახებში, სადაც მას პოლიტიკური დატვირთვაც შეიძინა:

"May it please your royal highness, it is now about fifty years since I heard from my father, who heard my grandfather say, that there was then in this castle a princess, the most beautiful was ever seen; that she must sleep there a hundred years, and should be waked by a king's son, for whom she was reserved."

შესაბამისად, ეს ზღაპარი არ ეხება მხოლოდ გოგონებს, არამედ ბიჭებსაც, რადგანაც ის აირეკლავს როგორც ქალის, ისე მამაკაცის სტერეოტიპულ როლს საზოგადოებაში. მამაკაცის მოვალეობაა, ეძებოს ქალწული გოგონა, რომელიც მოემსახურება და უერთგულებს ქმარს. საინტერესოა, რომ გარიგებით ქორწინება მხოლოდ უფლისწულისა და მზეთუნახავის ხვედრი არ არის, არამედ, პეროს ვერსიაში პრინცის დედა არის დევის ქალი, რომელსაც, როგორც აღნიშნავენ, მეფე ცოლად არ მოიყვანდა, დიდი ქონება რომ არ ჰქონოდა. შესაბამისად, გარდა გარეგნული სილამაზისა, აქ ჩნდება მერკანტილური ინტერესიც, რაც, ასევე, იმდროინდელ საზოგადოებაში დამკვიდრებულ სტერეოტიპს უნდა ასახავდეს:

"The queen spoke several times to her son, to inform herself after what manner he did pass his time, and that in this he ought in duty to satisfy her. But he never dared to trust her with his secret; he feared her, though he loved her, for she was of the race of the ogres, and the king would never have married her had it not been for her vast riches; it was even whispered about the court that she had ogreish inclinations, and that, whenever she saw little children passing by, she had all the difficulty in the world to avoid falling upon them. And so the prince would never tell her one word."

Fig 10. ზღაპრის პერსონაჟები			
პერსონაჟები	**Giambattista Basile**	**Charles Perrault**	**Brothers Grimm**
მზეთუნახავის მამა	B	B	B
მზეთუნახავის დედა	S	B	B
ტალია/მძინარე მზეთუნახავი	I	I	I
უფლისწული	I	I	I
მეფის ცოლი/ პრინცის დედა	I	I	S
ნათლია ფერიები	S	I	I

(I – included, B – backgrounded, S – suppressed)

სამივე ზღაპარში პერსონაჟების სხვადასხვა რაოდენობა და ლექსიკურ-ემოციური დატვირთვა ფიქსირდება. მაგალითად, თითქმის არ ჩანს პრინცესას დედა ან მისი ემოციები შვილის დაკარგვისას. როგორც ზემოთ აღინიშნა, ტალიას „გადასარჩენად" ზოგ ვერსიაში მეფე მიდის, ზოგში კი – პრინცი. თუმცა, ყველა ვერსიაში ჩანან კეთილი ფერიები, რომლებიც გოგონას ეხმარებიან პრობლემების მოგვარებაში.

საინტერესოა სარა სემსარის მიერ (2014) პეროს ზღაპრის გადააზრება, რომელშიც პრინცის დედა დევის ქალია და დევურ მისწრაფებებს ამჟღავნებს (she had ogreish inclinations) და გოგონასა და შვილიშვილებს შესაჭმელად დასდევს. სემსარის ვერსიაში აირეკლება იმ პერიოდის საზოგადოების სოციალური სტრუქტურა, როდესაც ახალგათხოვილი გოგონა ქმრის ოჯახში გადადის საცხოვრებლად, რამაც შეიძლება ორივე მხრიდან (თავად პატარძლისა და ქმრის ოჯახის) სიძულვილი და უარყოფითი ემოციები გამოიწვიოს. ბიჭის ოჯახს ადამიანი ემატება სარჩენად, გოგონა კი მოწყვეტილია თავის ოჯახს და თავს მარტოსულად გრძნობს. ძნელია, არ დავეთანხმოთ ავტორს, რომ პეროს აღწერილი აქვს ეს შიში და სიძულვილი იმ ეპიზოდში, როდესაც პრინცს თავისი ცოლი სასახლეში გადაჰყავს.

Fig. 11 ყველაზე ხშირად გამოყენებული ლექსიკური ერთეულები		
Giambattista Basile (2010 words)	**Charles Perrault (3756 words)**	**Brothers Grimm (852 words)**
Talia (20)	queen (22)	one (8)
king (16)	princess (21)	asleep (7)
children (12)	little (21)	king (7)
queen (9)	king (18)	hedge (6)
palace (7)	children (15)	queen (5)
husband (6)	years (15)	old (5)
cook (6)	old (13)	prince (4)
wife (6)	fairy (11)	attendants (4)
house (5)	palace (10)	castle (4)

ძალზე საინტერესო აღმოჩნდა მონოგრაფიის ამ მონაკვეთში განხილულ ზღაპრებში ყველაზე ხშირად გამოყენებული სიტყვების ანალიზი, რომელშიც, ისევე როგორც სხვაგან, ფიგურირებს მხოლოდ სახლთან ასოცირებული ერთეულები- house, wife, cook, husband, palace, children. საკმაოდ უჩვეულოდ გამოიყურება გრიმების ზღაპრებიდან ამოღებული ყველზე ხშირად გამოყენებული ლექსიკური ერთეულები (იგივე სიტუაცია იკვეთება ფრანგულ და იტალიურ ვერსიებშიც), რომელშიც საერთოდ არ ჩანს მძინარე მზეთუნახავი – Brier-Rose და მასთან დაკავშირებული ლექსიკური ერთეულები. ეს, სავარაუდოდ, გამოწვეულია იმ ფაქტით, რომ, მიუხედავად იმისა, რომ ზღაპრები გოგონას ეხება და ისიც აშკარაა, რომ მთავარ პერსონაჟად სწორედ იგი გვევლინება, ტალიას, ბრიე-როზესა თუ უბრალოდ ლამაზ პრინცესას არანაირი წვლილი არ შეაქვთ ზღაპრის სიუჟეტის განვითარებაში – ის მოჯადოებულია, ან საუკუნოვან ძილსაა მიცემული, ან კიდევ ჯერ პრინცს, შემდეგ კი დედამთილს ჰყავს სასახლეში დამწყვდეული. ეს, ბუნებრივია, წარმოადგენს სასურველი ცოლის სტერეოტიპს, რომლის მი-

ხედვითაც, ქალი უსიტყვოდ უნდა ემორჩილებოდეს არა მარტო მეუღლეს, არამედ მისი ოჯახის წევრებსაც.

Fig. 12 მთავარი პერსონაჟების დახასიათებისას გამოყენებული ზედსართავები			
	Giambattista Basile	**Charles Perrault**	**Brothers Grimm**
მზეთუნახავის მამა	great lord; wretched father	-	-
ტალია/მძინარე მზეთუნახავი	young and beautiful lady; she was so curious; seemed to be enchanted; a fine piece of goods; ill weed; lump of filth; cruel bitch.	pretty child; little angel; she was very beautiful – her cheeks were carnation and her lips were coral; young queen; beautiful wife	a miracle of a beauty; curious; beautiful Brier-Rose; wonderfully beautiful princess;
მეფე/პრინცი	wretched husband; Talia's light and joy;	young prince; a young and amorous prince is always valiant;	-
მეფის ცოლი/ პრინცის დედა	the queen with a heart of Medea; renegade bitch' tyrant-faced; a weaver of this wicked plot.	of the race of the ogres; she had ogreish inclinations; wicked queen	-
ბოროტი ფერია	-	old fairy	-

ზღაპრისთვის ტრადიციულ აღწერებთან ერთად (valiant, young prince; little angel; beautiful wife და ა.შ.) განსაკურებით დიდ ყურადღებას იპყრობს ჯიამბატისტა ბასილეს მიერ შექმნილი დედოფლის სახასიათო პორტრეტი: the queen with a heart of Medea; renegade bitch, tyrant-faced; a weaver of this wicked plot. საინტერესოა იტალიურ ზღაპარში მედეას ალუზია და მასთან

დედოფლის შედარება განპირობებულია იმ ფაქტით, რომ დედოფალი ბავშვების მოკვლასა და მათ შეჭმას გეგმავს.

როგორც ზღაპრის ავტორი ამბობს, მედალს ორი მხარე აქვს, მეფისთვის მძინარე მზეთუნახავის სილამაზე დედოფლისთვის მოღალატის ხატია და დედოფალი მზეთუნახავს შემდეგი ეპითეტებით ამკობს: ill weed; lump of filth; cruel bitch. საინტერესოა იმ თვისებების ლინგვისტური რეალიზაცია, რომლებსაც ფერიები დაანათლავენ გოგონას:

"In the meanwhile all the fairies began to give their gifts to the princess. The youngest gave her for gift that she should be the most beautiful person in the world; the next, that she should have the wit of an angel; the third, that she should have a wonderful grace in everything she did; the fourth, that she should dance perfectly well; the fifth, that she should sing like a nightingale; and the sixth, that she should play all kinds of music to the utmost perfection." (Charles Perrault)

"The one promised her virtue, the second one gave beauty, and so on, each one offering something desirable and magnificent." (Brothers Grimm)

ეს თვისებები, ერთი შეხედვით, ყველა ქალისთვის იდეალურ მახასიათებლებს წარმოადგენენ. იმ პერიოდისთვის კი ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და „სასურველი" იყო იმიტომ, რომ ქალიშვილი სარფიანად გათხოვილიყო.

პრინცის აღწერისას, ნაშრომის წინა თავებში განხილული ზღაპრებისგან განსხვავებით, პირველად მახვილდება ყურადღება მის პიროვნულ თვისებაზე – კაცი მამაცია, როდესაც ის შეყვარებულია – a young and amorous prince is always valiant, თუმცა იმავე ღირებულებებზე არ ისმის აქცენტი ქალი პერსონაჟების აღწერისას, რაც მხოლოდ მამაკაცის სოციალური გენდერის უპირატესობაზე მიუთითებს.

ამ ზღაპარში რეალიზებული პერსონაჟებისა და მათთან დაკავშირებული ლექსიკისა და ნარატივის ლინგვისტური ანალიზისას გამოიკვეთა იგივე ტენდენცია, რაც ზემოთ განხილულ

ზღაპრებში. კერძოდ, ის, რომ ბოროტი ქალები ბევრად უფრო ძლიერები და მასკულინურები არიან, ვიდრე კეთილი ქალი გმირები. ქალები ზღაპარში პასიური აგენტების როლში გვევლინებიან; მაგალითად, იტალიურ ვერსიაში მძინარე მზეთუნახავი საუბარს მხოლოდ ზღაპრის ბოლოს იწყებს, როდესაც მას დედოფალი დაწვას უპირებს. მეტიც, ის საკმაოდ ჭკვიანი ჩანს და დედოფლის გაცურებასაც ახერხებს: The lady, perceiving that matters had taken a bad turn, knelt before the queen, and begged her to allow her at least to take off the garments she wore. საინტერესოა, რომ გოგონას სხარტი გონებრივი შესაძლებლობები აქამდე ჩახშობილი და უგულებელყოფილი იყო, რაც პროტოტიპული ქალისათვის უაღრესად დამახასიათებელი ჩანს იმ პერიოდის საზოგადოებაში. გავიხსენოთ ძმები გრიმების ვერსია, რომელშიც პრინცესას როლი მხოლოდ მისი საღათას ძილით შემოიფარგლება. ეპიზოდი, რომელშიც გოგონა ცნობისმოყვარეობის (ანუ სამყაროს შეცნობის სურვილის) გამო ისჯება და საუკუნოვან ძილს მიეცემა – ამ ზღაპრის სოციალური ასპექტების განმსაზღვრელ აზრად კი შეიძლება მივიღოთ – ქალს ნაკლებად შეშვენის ცნობისმოყვარეობა.

დედოფლის, ანუ მეფის ცოლისა და პრინცის დედის პერსონაჟი ბოროტადაა დახატული და მათი ლინგვისტური მახასიათებლები უფრო მასკულინურ ლექსიკას მოიცავს – მეფის ცოლი, დედოფალი ყოველთვის აღწევს სასურველს, არის პირდაპირი და საქმეზე ორიენტირებული; მას სურს თავიდან მოიშოროს ქმრის საყვარელი და ღალატის გამო შური იძიოს: "I will have it so," replied the queen (and this she spoke in the tone of an ogress who had a strong desire to eat fresh meat), "and will eat her with a sauce Robert."... "I will sup on little Day."... "I will eat the queen with the same sauce I had with her children."

ნაწარმოებში ასევე ჩანს ალუზია (დედოფლის მედეასთან შედარება, რომელიც, იმავდროულად, მეტაფორაცაა, როგორც შვილების მკვლელი ქალისა), ასევე იძებნება მეტაფორის

რამდენიმე მაგალითი: gathered the first fruits of love; ill weed; knitted with tighter bonds, რაც ამდიდრებს ზღაპრის ხატოვანი ენის ერთი შეხედვით, მწირ დისკურსს, რომელიც იგულისხმება, რომ ბავშვისთვის მარტივად აღსაქმელი უნდა იყოს.

ზემოთ გაანალიზებული ზღაპრის სამივე ვერსია სრულად ასახავს იმ პერიოდის ევროპულ, კერძოდ კი, გერმანული, ფრანგული და იტალიური საზოგადოებისა და კულტურის ღირებულებებს და კლასიკურ გენდერულ მიდგომას ქალის პასიურ როლთან დაკავშირებით. აღსანიშნავია, რომ ზღაპარში წამოწეულია ისეთი არასაბავშვო თემები, როგორებიცაა გაუპატიურება და გარიგებით ქორწინება, რომელიც პირდაპირ მიუთითებს ქალის, როგორც საგნისადმი, დამოკიდებულებას. ზღაპრების მორალიდან კარგად იკვეთება, რომ ქალის მთავარი დანიშნულება ბავშვის გაჩენა, ოჯახის მოვლა და ქმრის მორჩილებაა.

განხილული ოთხი ზღაპრისა და მათი სხვადასხვა ევროპული ვერსიების (სულ 17 ზღაპრის) და მულტიპლიკაციური ფილმის "Tanlged" კვლევის საფუძველზე თავისუფლად შეგვიძლია დავასკვნათ, თუ რა პრობლემების წინაშე იდგა საზოგადოება და სხვადასხვა ევროპული კულტურა ზღაპრის შექმნის პერიოდში. პრობლემურ თემატიკაში გამოიკვეთა ქალსა და მამაკაცს შორის გენდერულად უთანასწორო მდგომარეობა და ასევე ქალისადმი სტერეოტიპული დამოკიდებულება. უფრო კონკრეტულად, ზღაპრებში აშკარად ჩანს ქალის მხოლოდ საოჯახო საქმეებთან ასოცირება, მისი პასიურობა და გარეგნული სილამაზის აუცილებლობის ხაზგასმა, რომელიც იმ პერიოდის საზოგადოებაში, და არა მხოლოდ იმ პერიოდის საზოგადოებაში, ქალის იდეალად შეიძლება ჩაითვალოს. მეტიც, ქალის ცხოვრება უინტერესო, ძალზედ პასიური და ხშირად აუტანელიც კია იქამდე, ვიდრე მას მამაკაცი, უმეტეს შემთხვევაში უფლისწული, არ იპოვის და არ იხსნის საშინელი ცხოვრებისაგან. ეს პატარა გოგონებს ასწავლის არაჯანსაღ მიდგომას ცხოვრებისადმი, კონკრეტულად კი პასიურობას, მამაკაცის ლოდინს, რომ ცხოვრებაში რაიმეს მიაღწიონ.

გარდა ამისა, ზღაპრების ენის ლინგვისტური ანალიზი გვიჩვენებს, რომ ქალი პერსონაჟის მიერ გამოყენებული ან ავტორის მიერ ქალი პერსონაჟის მიმართ გამოყენებული ზმნების ჯგუფი არ ასახავს სემანტიკურად აქტიურ, კოგნიტიურ/გონებრივ პროცესებს და, ხშირად, ქალის ხმა საერთოდაც დაკარგულია ზღაპრებში. იმ შემთხვევაში კი, როდესაც ქალი ბოროტ პერსონაჟად გვევლინება, ის უფრო მასკულინური თვისებებით (პირდაპირობა, საქმეზე ორიენტირებული, ნაკლებად ემპათიური) და დაუნდობლობით ხასიათდება, რაც მისი უარყოფითობის საფუძველია. საინტერესოა ის განსხვავებაც, რომ ბოროტი პერსონაჟი ქალებიც კი ექცევიან ქალის სტერეოტიპული როლების ჩარჩოებში, როდესაც მათ მთავარ ცხოვრებისეულ მისწრაფებად მხოლოდ სილამაზისკენ ლტოლვა გამოიხატება და არა, მაგალითად, ძალაუფლებისკენ ლტოლვა, რაც მხოლოდ მამაკაც პერსონაჟებს ახასიათებთ.

ლინგვისტური თვალსაზრისით ასევე მნიშვნელოვანია მწერლის ენა, რომელიც ზღაპარში უნდა იყოს მარტივი. თუმცა, ზემოთხსენებულ ზღაპრებში ვხვდებით საკმაოდ საინტერესო სტილისტურ ხერხებს, მაგალითად, ალუზიას, მეტაფორებს, შედარებებს თუ ირონიას, რომლების აღქმა-დეკოდირება ბავშვებში კოგნიტიური და ანალიტიკური აზროვნების უნარს ავითარებს.

ზღაპრები ნათლად აირეკლავს საზოგადოების სოციალურ და კულტურულ ღირებულებებს. გარდა ამისა, ისინი აუცილებელია ბავშვის გონებრივი განვითარებისთვის, თუმცა მასში წინ წამოწეული თემატიკა საფრთხეს უქმნის ბავშვის ჯანსაღი აზროვნების ჩამოყალიბებას, კონკრეტულად კი, გენდერული თემატიკის მიმართ. შესაბამისად, აუცილებელი გახდა თანამედროვე, პოლიტიკურად უფრო მეტად კორექტული ზღაპრების პოპულარიზაცია, რომლებშიც განსხვავებულადაა დანახული ქალისა და მამაკაცის როლები და რომლებიც უფრო მეტად ერგება თანამედროვე საზოგადოებასა და აზროვნების მოდელს. მეორე მხრივ, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ძველი ზღაპრები დავიწყებას უნდა მივცეთ, რადგანაც ტრადიციული ზღაპრის

ფორმა საზოგადოების სოციალური მოდელის განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილია, რომელიც ირეკლავს გასული საუკუნეების საზოგადოებაში დამკვიდრებული ცხოვრების წესებსა თუ ურთიერთობების კულტურას, კერძოდ, ქალსა და მამაკაცს შორის ურთიერთობას და ქალის მიმართ დამოკიდებულებას. მეორე საკითხია, რამდენად საამაყო და პროგრესულია ამა თუ იმ კულტურისათვის იმ პერიოდში დამკვიდრებული ქალის სტერეოტიპი. ფაქტია, რომ აღწერილი პერიოდის ზღაპრები, სწორედ ნახსენები სტერეოტიპებისა და მიდგომების გამო, მოზრდილებისთვისაც საინტერესო კვლევის ობიექტია.

როგორც ზემოთ აღინიშნა, შესაძლებელია ძველი ზღაპრების პატარა მკითხველებისთვის ისე მიწოდება, რომ ისინი შეპირისპირებითი ანალიზის მეშვეობით მიხვდნენ, რომ ქალის როლი არ შემოიფარგლება მხოლოდ დედობით, დიასახლისობითა და მამაკაცის თვალის ტკბობით, არამედ ქალს ბევრად მეტის შეთავაზება შეუძლია საზოგადოებისთვის.

ბრიტანული ზღაპარი

ბრიტანეთმა მრავალ საბავშვო ზღაპარს დაუდო სათავე. აქ ჯადოსნური ზღაპრის ტრადიცია ძირითადად ფოლკლორულ მონათხრობებს და მითებს ეყრდნობა. ისე, როგორც სხვა კულტურებში, ზეპირად მონათხრობი ამბები თაობიდან თაობას გადაეცემოდა და სრულიად უნიკალურ ელემენტებს შეიცავდა დიდ ბრიტანეთშიც. ინგლისური ზღაპრებისა და ფოლკლორის ფესვები კელტურ, გერმანიკულ და ქრისტიანულ წყაროებშიც უნდა ვეძიოთ, რომლებიც მდიდარია მითიური არსებებითა და სულებით, ელფებით, ბოგარტებით, ტროლებით, გოლიათებითა და სხვა მაგიური ქმნილებებით, რაც მათ მკითხველისთვის კიდევ უფრო ჯადოსნურსა და საინტერესოს ხდის (ბეტელჰეიმი, 1962).

მხოლოდ მეოცე საუკუნის ბოლოს ავსტრალიელმა, ჯოზეფ ჯეიკობსმა, გამოსცა ინგლისური ზღაპრები იმ მიზნით, რომ, გერმანელებისა და ფრანგების მსგავსად, მასაც მოეხდინა თავისი კულტურის პოპულარიზაცია ნებისმიერი ასაკის წარმომადგენლებისათვის. ჯეიკობსი გვევლინება ერთ-ერთი ყველაზე ცნობილ ფოლკლორისტად, რომელმაც თავადვე შეაგროვა და შექმნა ინგლისური ზღაპრების კრებული, რამდენიმე წიგნად გამოსცა და ამით ხელი შეუწყო ინგლისური კულტურის შენარჩუნებასა და გავრცელებას ("English Fairy Tales", n.d.)

ნაშრომის წინამდებარე ქვეთავში სოციოლინგვისტური თვალსაზრისით განხილულია შვიდი ბრიტანული ზღაპარი. წარმოდგენილია არა მხოლოდ ჯოზეფ ჯეიკობსის კრებულში გამოქვეყნებული ზღაპრები, არამედ სხვა ცნობილი მწერლების ავტორობით გამოსული ზღაპრებიც, რამაც ჩვენი კვლევის შედეგები ლინგვისტური თვალსაზრისით უფრო მრავალფეროვანი გახადა და, ამასთანავე, უფრო ზუსტი სოციოკულტურული სურათის წარმოდგენის საშუალება მოგვცა. უფრო კონკრეტულად, განვიხილეთ, რა ადგილი ეკავა ქალს იმდროინდელ ბრიტანულ საზოგადოებაში და გვევლინებოდა თუ არა იგი გენდერული სტერეოტიპების მსხვერპლად. გარდა ამისა, საინტერესოა, ეხმიანება თუ არა ბრიტანული ზღაპრები ევროპულ ზღაპარში გამოკვეთილ შედეგებს როგორც სოციოკულტურული, ისე ლინგვისტური თვალსაზრისით.

შესწავლილი ბრიტანული ზღაპრებიდან ნაშრომში განსახილველად შეირჩა შემდეგი ზღაპრები:

1. Princess Canterbury – Joseph Jacobs
2. The White Lady – Joseph Jacobs
3. Little Maia – Andrew Lang (ed. Joseph Jacobs)
4. Earl Mar's Daughter – Joseph Jacobs
5. The Golden Ball – Joseph Jacobs
6. Lame Molly (folklore)
7. The Story of the Three Bears – Robert Southey

განხილულ ზღაპრებში მთავარი პერსონაჟები, მდედრობითი სქესის წარმომადგენლები, მუდმივად განსაცდელში არი-

ან: მათ ან ძალით ათხოვებენ, ან სხვა რაიმე სახის საფრთხე ემუქრებათ, რომლისგანაც მათ მამრობითი სქესის პერსონაჟი დაიხსნის. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ამ ქვეთავში განხილული ზღაპრის ტექსტები, ძირითადად, ნარატივს წარმოადგენს; იშვიათად გვხვდება დიალოგები, ხოლო ლექსიკური ერთეულების სირთულის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ტექსტები მეტწილად განკუთვნილია მეშვიდე-მერვე კლასის ასაკის ბავშვებისთვის (დადგენილია ავტომატური დონის განმსაზღვრელი გენერატორის Online-utility.org-მიერ). დიალოგებისა და ლინგვისტური ხერხების სიმწირის მიუხედავად, ბრიტანულ ზღაპრებშიც აშკარად ჩანს გენდერული უთანასწორობა და ქალის როლის სტერეოტიპული გააზრება, რაც, ბუნებრივია, გამოწვეულია ქალის სოციოკულტურული როლითა და მდგომარეობით, რომელიც ზღაპრების დაწერის/მოდიფიკაციის პერიოდში ითვლებოდა სტანდარტად.

„კენტერბერის პრინცესაში" (Princess Canterbury) იკვეთება კაცისა და ქალის გონებრივი შესაძლებლობებისადმი სტერეოტიპული დამოკიდებულება. მეფე თავისი ლამაზი (Now the King of Canterbury had a beautiful daugher) ქალიშვილისთვის ქმარს ეძებს, თუმცა პრინცესა სილამაზესთან ერთად უჭკვიანესიცაა [Princess] was distinguished by her ingenuity and wit. ბუნებრივია, მეფეს თავისი ქალიშვილისთვის ჭკვიანი ქმარი სურს, ამიტომ ხელის მთხოვნელმა პრინცესას სამ კითხვას უნდა გასცეს პასუხი, რათა ის ცოლად შეირთოს. პრინცესას ხელის სათხოვნელად სამი ძმა მოდის, ორი უჭკვიანესი, მესამე კი სულელი – idiot brother. თუმცა, სწორედ ეს უკანასკნელი ახერხებს პრინცესას მიერ დასმულ სამივე კითხვაზე ზუსტი პასუხის გაცემას, რაც, ჩემი აზრით, ცალსახად მიუთითებს საზოგადოებაში კაცისა და ქალის გონებრივ შესაძლებლობაზე არსებულ სტერეოტიპზე – სულელი კაცი ჭკვიან ქალზეც კი ბევრად მოხერხებული და გონიერია.

იგივე თემაა განხილული „თეთრ ქალბატონში" (The White Lady), რომელშიც მადლიერი თეთრი ჯადოქარი მოხუც ქალს სიკეთის სანაცვლოდ ჰპირდება, რომ ამიერიდან მისი ქათმე-

ბი ორ კვერცხს დადებენ ერთის ნაცვლად, მისი ძროხები ბევრ რძეს მოიწველიან მთელი წლის განმავლობაში და, რაც მთავარია, ის ილაპარაკებს ორჯერ მეტს, ვიდრე აქამდე და ქმარს ყოველთვის მოუგებს საუბარში:

"...As a reward for your kindness, I promise that all your hens shall lay two eggs instead of one, and that your cows shall yield the most plentiful store of milk all the year round, that you shall talk twice as much as you ever did before, and your husband stand no chance in any matter between you to be settled by the tongue."

ზღაპარში ხაზგასმულია ქალის ხმის ჩახშობის (silencing women), მისი გონებრივი შესაძლებლობების დაკნინებისა და მხოლოდ საოჯახო სფეროსთან დაკავშირების ტენდენცია. მეორე მხრივ, ისიც შეიძლება ითქვას, რომ ეს ტენდენცია ასახავს ქალისადმი დამოკიდებულებას ბრიტანულ საზოგადოებაში, 1960-იან წლებში ფემინისტური მოძრაობებისა და XIX საუკუნის სუფრაჟისტების აქტიური გამოსვლების დაწყებამდე. საინტერესოა, რომ თუ ზღაპრის ქალი პერსონაჟი მოხერხებული და გონიერია, ის განსაცდელს ვერ აცდება. მოხუც ქალს, რომელმაც ეშმაკის გაცურება მოახერხა, ის აუცილებლად გამოეცხადება და სამაგიეროს გადაუხდის, რადგანაც თაღლითებს არ მოსწონთ, როდესაც ისინი თავად ხდებიან საკუთარი ტყუილების მსხვერპლი. შესაბამისად, თუ ქალი მოახერხებს მამაკაცის გაცურებას, მოტყუებას თუ მასზე მეტად გონივრულ საქციელს ჩაიდენს, ის აუცილებლად დაისჯება:

"But beware of the devil, and don't grumble about tithes, for my enemy and yours may do you an ill-turn when he finds out you were clever enough to cheat even him, since, like all great impostors, he does not like to be cheated himself."

„ოქროს ბურთი" (The Golden Ball) კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ქალის ქარაფშუტობის თემატიკას, სადაც გოგონა ისეთ ოქროს ბურთს დაკარგავს, რომლის დაკარგვაც მის ჩამოხრჩო-

ბას მოასწავებს. მას, რა თქმა უნდა, განსაცდელისგან მამაცი მამაკაცი იხსნის.

„პატარა მაია“ (Little Maia), იგივე „ნამცეცა“, როგორც მისი ინგლისური სახელი მიგვითითებს, გაზაფხულსა (რომაელებმა გაზაფხულის ღმერთის სახელი- მაია/მაისი დაარქვეს გაზაფხულის მესამე თვეს) და სინათლეს აღნიშნავს. ზღაპარში ნამცეცა წითელი ტიტიდან იბადება, რაც, თავის მხრივ, იდეალური სიყვარულის სიმბოლოდ გვევლინება. სამწუხაროდ, თავისივე სილამაზე მაიას მსხვერპლად აქცევს: მას მოიტაცებენ და ძალით გათხოვებას დაუპირებენ ([Maia] made the field-mouse very angry, and declared that Maia had no more sense than other girls, and did not know what was good for her... (marry a blind mole and secure her future)). მიუხედავად იმისა, რომ გოგონა საკმაოდ მამაცია და ბევრ განსაცდელსაც თავს დააღწევს, საბოლოოდ, ის მაინც მამრობითი სქესის პერსონაჟმა უნდა იხსნას განსაცდელისგან. იგივე თემატიკა მეორდება ზღაპარში „გრაფი მარის ქალიშვილი“ (Earl Mar's Daughter), სადაც, პრინცესას, წინააღმდეგობის მიუხედავად, მამა ძალით გათხოვებას დაუპირებს (Then her father got into a mighty rage and swore a great big oath, and said: "To-morrow, so sure as I live and eat, I'll twist that birdie's neck," and out he stamped from her room), თუმცა მასაც მამაკაცი იხსნის განსაცდელისგან. საინტერესოა ისიც, რომ თუმცა ორივე ზღაპარი მაინც გოგონების გათხოვებით მთავრდება, ისინი უკვე სასურველ პრინცებს მიჰყვებიან ცოლად. ფაქტია, რომ გასული საუკუნეების პერიოდის ზღაპრები ზუსტი ანარეკლია იმდროინდელ საზოგადოებაში არსებული განწყობებისა და სტანდარტებისა, სადაც ქალის უდიდეს მიღწევად მხოლოდ გათხოვება მიიჩნევა, რაც თავის მხრივ, მიზანმიმართულად თუ შემთხვევით, გოგონებს აქცევდა მათთვის მოსალოდნელი და შესაფერისი ქცევის ჩარჩოებში და ასწავლიდა, თუ რა შემბოჭველი მოლოდინი ჰქონდა საზოგადოებას მათგან.

ზღაპარი „კოჭლი მოლი“ (Lame Molly) გაზარმაცებული ქალის თემატიკას ეხება, სადაც მოლის ფერიები სიზარმაცის

გამო დასჯიან და შვიდი წლის განმავლობაში დააკოჭლებენ მანამ, სანამ უცნაურ სახელიანი მცენარის ნაყენს არ დალევს.

"Some proposed "pinches, nips, and bobs," others to spoil her new cherry-coloured bonnet and ribands. One talked of sending her the toothache, another of giving her a red nose, but this last was voted too severe and vindictive a punishment for a pretty young woman. So, tempering mercy with justice, the pixies were kind enough to let her off with a lame leg, which was so to continue only for seven years, and was alone to be cured by a certain herb, growing on Dartmoor, whose long and learned and very difficult name the elfin judge pronounced in a high and audible voice. It was a name of seven syllables, seven being also the number of years decreed for the chastisement."

ფერიები გადაწყვეტენ, რომ გოგონას სახეს არაფერი დაუშავონ, რადგანაც ეს ძალიან მკაცრი სასჯელი იქნებოდა ლამაზი გოგონასთვის, რაც კიდევ ერთხელ ამტკიცებს იმ მოსაზრებას, რომ ქალისთვის სილამაზე უმნიშვნელოვანესი სამკაული იყო საზოგადოებაში დასამკვიდრებლად, რაც ადრეული ასაკიდანვე აქცევს გოგონას არასწორი და არაჯანსაღი იდეალებისა და მისწრაფებების ტყვედ. გარდა იმისა, რომ ქალს მოეთხოვება იყოს ლამაზი, იგი, ასევე, არ უნდა ზარმაცობდეს და საოჯახო საქმეების კეთებაც უნდა ემარჯვებოდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიძლება მკაცრად დაისაჯოს. ამ ზღაპარში საინტერესოა გოგონას მეგობრის პერსონაჟიც, რომელიც ქალისადმი არსებული ყველაზე ფართოდ გავრცელებული სტერეოტიპის განმტკიცებას ემსახურება: ის ცდილობს დაიმახსოვროს მცენარის სახელი, რომელიც მეგობარს კოჭლობისგან დაიხსნის, თუმცა ჩაეძინება და ყველაფერი გადაავიწყდება, რაც კიდევ ერთხელ აძლიერებს მოსაზრებას, რომ ქალს არც და ვერც მოეთხოვება ძლიერი გონებრივი შესაძლებლობები მხოლოდ იმიტომ, რომ იგი სუსტი სქესის წარმომადგენელია. არ არის გასაკვირი, რომ კოჭლ მოლის ზუსტად მამაკაცი დაუბრუნებს უწინდელ გარეგნობას. თავად მოლი კი, გოგონა, რომელმაც მოთმინებით აი-

ტანა სასჯელი (as a reward for her patience in suffering), მოცეკვავე გახდება. ზღაპრის ამ მონაკვეთიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ საბოლოოდ ბრძოლას ის გოგონები მოიგებენ, რომლებიც თავიანთ სასჯელს მშვიდად და უსიტყვოდ აიტანენ, რაც კიდევ ერთხელ გვიჩვენებს, თუ როგორ ცდილობდნენ იმდროინდელ საზოგადოებაში (და, სამწუხაროდ, არა მხოლოდ მაშინ) ქალის ხმის ჩახშობასა და მისთვის, გარკვეული თვისებების, ამ შემთხვევაში კი, მოთმინებისა და მორჩილების გამომუშავებას. .

„სამი დათვის ზღაპარი" (The Story of the Three Bears) განსაკუთრებით საინტერესოა თემატიკის თვალსაზრისით, რადგანაც ზღაპრის პირველ ვერსიებში არ ჩანს სამი დათვის სქესი, თუმცა მათი აღნაგობიდან (დიდი დათვი, საშუალო დათვი და პატარა დათვი) და მათი საოჯახო როლებიდან გამომდინარე, თითქმის შეუძლებელია არასწორად განისაზღვროს მათი გენდერი. „სამი დათვის ზღაპარი" აძლიერებს იმ სტერეოტიპებს, რომელიც არსებობს საზოგადოებაში მამაკაცის როლებსა და გარეგნობასთან დაკავშირებით. ოჯახის თავი, შესაბამისად, ყველაზე დიდი და ძლიერი მამაკაცი უნდა იყოს, ქალი კი – პატარა და კაცზე ტანდაბალი, რაც ირიბად ასახავს თვითონ საზოგადოების წყობას- მამაკაცს უფრო მნიშვნელოვანი როლი უკავია ცხოვრებაში და იდეალურ სიტუაციაში, ის უნდა იყოს მაღალი, ძლიერი და შეეძლოს ოჯახის უზრუნველყოფა, ხოლო ქალი – ნაზი, მორჩილი და მომცრო ტანისა, და უსიტყვოდ დაემორჩილოს ოჯახის თავს.

საინტერესოა, რომ თითქმის ყველა გასაანალიზებად შერჩეულ ბრიტანულ ზღაპარში ვხვდებით ციფრს „შვიდი" (აღსანიშნავია, ევროპული ზღაპრებიც ხშირად იყენებენ ციფრს „შვიდი", მაგალითად, ზღაპარი „ფიფქია და შვიდი ჯუჯა", სადაც ბეტელჰეიმი (1976) ფიფქიას მოიაზრებს მზედ, ხოლო შვიდ ჯუჯას განიხილავს პლანეტებად, რომლებიც მას ირგვლივ ერტყმიან და მის გარშემო მოძრაობენ. შვიდი საკრალური ციფრია და მისი გამოყენება კიდევ ერთხელ ამტკიცებს ზემოხსენებულ მოსაზრებას, რომ ბრიტანული ზღაპრები ხშირად რელიგიურ ელემენტებსაც მოიცავს. ვინჩის მიხედვით (2015), არ არსებობს

13. ბრიტანულ ზღაპარებში გამოყენებული ლექსიკური ერთეულები						
Princess Canterbury	**The White Lady**	**Little Maia**	**Earl Mar's Daughter**	**The Golden Ball**	**Lame Molly**	**Three Bears**
Jack (15)	woman (8)	Maia (33)	dove (10)	ball (19)	her (19)	bear (41)
princess (11)	her (8)	will (17)	flew (9)	her (10)	pixies (4)	little (24)
pocket (9)	old (7)	little (17)	came (8)	come (10)	lame (4)	middle (21)
king (6)	great (4)	me (16)	mother (8)	lad (9)	seven (4)	huge (14)
daughter (4)	like (3)	would (15)	earl (7)	golden (8)	bucket (3)	bed (13)

რელიგია და კულტურა, სადაც ციფრი „შვიდი" მნიშვნელოვან და, ამასთანავე, დადებით ფუნქციას არ ასრულებდეს. მისი აზრით, შვიდს არა მხოლოდ ქრისტიანულ, არამედ არაქრისტიანულ რელიგიებშიც დიდი ადგილი უჭირავს – ქრისტიანული

სნავლების მიხედვით, ღმერთმა სამყარო ექვს დღეში შექმნა და მეშვიდე დღეს დაისვენა; შვიდი იუდაიზმის სიმბოლოდ ითვლება და, ასევე, ბუდამ დაბადებისას შვიდი ნაბიჯი გადადგა... გარდა ამისა, შვიდი მითოსსა და ფოლკლორში ასოცირდება იღბალსა და მაგიურ თვისებებთან. როგორც ავტორი აღნიშნავს, არსებობს მითოსი მეშვიდე ვაჟის მეშვიდე ვაჟის (seventh son of the seventh son) დაბადების შესახებ, რომელსაც, ირლანდიური მითოსისა და ფოლკლორის მიხედვით, ვაჟს სამკურნალო ძალები გააჩნია. ლიაბენოვის (2014) კვლევის მიხედვით კი, შვიდი იდეალურ ციფრს წარმოადგენს- იდეალურ ოჯახს, იდეალურ ადგილსა და დროის პერიოდს. სხვადასხვა კულტურასა და რელიგიაში მას როგორც კოსმიური, ისე იმქვეყნიური დატვირთვა ემატება. მისი აზრით, ციფრის „შვიდი" გამოყენება არ წარმოადგენს ტრადიციას, არამედ ის კულტურის, რელიგიისაა და ზოგადად ზღაპრის გადმოცემის მეთოდოლოგიის უმნიშვნელოვანესი ნაწილია.

ისევე, როგორც ზემოთ, ნაშრომში შესწავლილ ბრიტანულ ზღაპრებშიც დადგენილია გამოყენებული ლექსიკური ერთეულების რაოდენობა და სიხშირე, რაოდენობრივი მეთოდის გამოყენებით, კერძოდ, ავტომატური გენერირების პრინციპზე დაყერდნობით. მიღებული შედეგები მოყვანილია სქემებში.

ბრიტანული ზღაპრების ტექსტების დეტალურმა ლინგვისტურმა და სოციოლინგვისტურმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ ბრიტანული ზღაპარი ხასიათდება მარტივი ლექსიკით, დიალოგებისა და კომპლექსური სტილისტური ხერხების სიმწირით, რაც ადასტურებს, რომ იგი გათვლილია გარკვეულ სოციალურ და ასაკობრივ ჯგუფებზე. ტექსტების ლინგვისტურმა ანალიზმა, კერძოდ კი ავტომატურად გენერირებულმა ყველაზე ხშირად გამოყენებულმა ლექსიკურმა ერთეულებმა, დაგვანახა, რომ ბრიტანული კულტურის ზღაპრებშიც სჭარბობს სტერეოტიპულად ქალის სამყაროსთან ასოცირებული სიტყვები – princess, mother, daughter, dove, golden, pixies, bucket. თუმცა ასევე საყურადსაღებოა, რომ, ზოგადევროპული ზღაპრებისგან განსხვავებით, ბრიტანულ ზღაპრებში მათ უფრო ნაკლები სიმძაფრითა და სიხშირით ვხვდებით.

14. ბრიტანულ ზღაპარებში ხშირად გამოყენებული ზედსართავები		
	Male	**Female**
Princess Canterbury	comely and clever youths; natural fool, idiot brother;	beautiful daughter, distinguished by her great ingenuity and wit, fair ladies
The White Lady	-	good woman, poor old woman, beautiful young lady,
Little Maia	handsome; rich and learned; ugly mole;	happy, lonely and frightened, little woman, lovely little girl, happiest baby; a big, ugly, wet frog; nice wife; old frog; poor child; pretty creature; ugly; so thin; poor little animal; young thing;
Earl Mar's Daughter	young man; as bonny as bonny could be;	brave girl;
The Golden Ball	bonny young man; as still as a mouse; big giant;	old woman;
Lame Molly	a merry, squint-eyed, queer-looking boy	lazy girl; good-humoured damsel; good-natured maid
Three Bears	huge bear, wee bear; in his great, rough, gruff voice;	little girl; if she had been a thoughtful little girl...; middle bear

რაც შეეხება პერსონაჟების აღსაწერად გამოყენებულ ზედსართავებს, ამ შემთხვევაშიც ბრიტანული ზღაპარი აშკარად მიჰყვება ზოგადევროპულ ტენდენციას, რომლის მიხედვითაც, ავტორები ნაკლებად აღწერენ მამაკაც პერსონაჟებს,

ხოლო ქალი პერსონაჟების გარეგნობა ხშირადაა განხილული და ხაზი ესმება მათი სილამაზის სტანდარტულობას, რაც კიდევ ერთხელ ხელს უწყობს არაჯანსაღი სტერეოტიპებისა და სილამაზის სტანდარტების გავრცელებას. აქაც ჩანს ზღაპრებისთვის დამახასიათებელი პოპულარული მიდგომა, რომ „ლამაზ სხეულში ლამაზი სულია", რადგანაც ლამაზი პერსონაჟები მოცემულ ზღაპრებში დადებითი კონოტაციის ლექსიკური ერთეულებით არიან წარმოდგენილნი (lovely little girl, happiest baby), ხოლო ბოროტი პერსონაჟები – უარყოფითი კონოტაციის სიტყვებით (a big, ugly, wet frog). როგორც ცნობილია, ბავშვობაში დალექილი ეს ინფორმაცია კი მოგვიანებით, განსაკუთრებით კი გარდატეხის ასაკში, აქტიურდება და იწვევს გოგონების თვითშეფასების დაქვეითებას, რამაც საბოლოოდ ფსიქოლოგიურ პრობლემებთან შეიძლება მიგვიყვანოს. ამგვარი ფსიქოლოგიური დისკომფორტი გამოიხატება ანორექსიით, ბულემიით თუ სხვა ტიპის მენტალური ჯანმრთელობის პრობლემებით. ასევე საინტერესოა, რომ გოგონების გარეგნული თუ შინაგანი სამყაროს აღწერისას კვლავ ხშირად გვხვდება სიტყვა little – რომელსაც, როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, უშუალოდ ფიზიკური აღნაგობის აღნიშვნის გარდა, „საყვარლის" დადებითი კონოტაციაც აქვს. გარდა ამისა, გოგონების აღწერა მხოლოდ გარეგნულ მხარეს ეთმობა და ნაკლებად გონებრივს (თუ არ ჩავთვლით „კენტერბერის პრინცესას", სადაც გოგონა გამჭრიახია, თუმცა მას ყველაზე სულელი მამაკაციც კი ჯაბნის გონებრივად), მაშინ, როცა მამაკაცების აღწერა ფიზიკურ სიძლიერესთან და სიმამაცესთან ერთად ხშირად გონებრივ გამჭრიახობასაც და განსწავლულობასაც მოიცავს (handsome; rich and learned). საინტერესოა, რომ გრაფი მარის ქალიშვილი მოიხსენიება, როგორც „მამაცი" (a brave girl), თუმცა მისი ეს თვისება საერთოდ არ ვლინდება პერსონაჟის ქცევაში, რადგანაც პრინცესას არ შეუძლია „მამაცურად" დაიცვას თავისი ინტერესები და შეეწინააღმდეგოს მამას, თავისი სურვილის საპირისპიროდ, გაათხოვოს.

ზღაპარში აქტუალიზებული ზმნების ლინგვისტურმა ანალიზმა აჩვენა, რომ ბრიტანულ ზღაპრებში ქალი პერსონაჟები საკმაოდ აქტიური პროცესის აღმნიშვნელი სემანტიკის ზმნებით გამოირჩევა როგორც ქცევის, ისე ვერბალური და გონებრივი თვალსაზრისით (walked boldly, wove herself a bed, placed it under a clover leaf, she wandered on, she boldly gave him a negative, the old woman perceived, etc.). მეორე მხრივ, ასევე ხშირია ქალი პერსონაჟის მიმართ ისეთი ზმნების გამოყენება, რომელთა სემანტიკა უფრო საგანს, ნივთს, საკუთრებას მიემართება, ვიდრე სულიერ არსებას/ ადამიანს: win the princess; "Come and see what I have brought you...; I mean her to be a wife for you; they saw their pretty bride carried away and away; where did you pick up that strange object, etc., რომელიც, რა თქმა უნდა, აძლიერებს სტერეოტიპს, რომ ქალი მამაკაცზე დაქვემდებარებული არსება და მისი საკუთრებაა. ზღაპრებში ქალს ხშირად ძალით ათხოვებენ – It is absurd that such a pretty creature should be forced to take a husband whom she does not want; you would be a lucky girl if he took into his head to marry you; for the Earl Mar wished to marry his daughter to a noble of high degree who came wooing her." როგორც ჩანს, ეს იმდროინდელი ბრიტანული მაღალი თუ დაბალი საზოგადოებისთვის დამახასიათებელი კულტურული ფენომენი იყო. შესაბამისად, ზღაპრების სოციოკულტურული მახასიათებლებიდან გამომდინარე, მასში ზედმიწევნითაა ასახული ის კულტუროლოგიური ელემენტები, რომლებიც იმდროინდელ ბრიტანულ საზოგადოებაში არსებობდა, ამ შემთხვევაში კი ძალდატანებითი თუ გარიგებით ქორწინება. რაც შეეხება გონებრივი აქტივობის ან მოქმედების გამომხატველ ზმნებს, ავტორები კოგნიტიურ ზმნებს ხშირად იყენებენ უარყოფით კონტექსტშიც, როდესაც პერსონაჟების თავს გადახდენილი უსიამოვნება მათ, არც თუ ისე მოსაწონი, გონებრივი შესაძლებლობების გამო ხდება: She made a slight mistake, I do not know how, and got up at midnight, thinking it to be morning; Maia did not know what to do, for her clothes were worn to rags.

განსაკუთრებით აშკარაა ქალის გონებრივ შესაძლებლობებზე მითითება ზღაპარში „კოჭლი მოლი", სადაც მოლის მეგობარი, მიუხედავად მცდელობებისა, ვერ ახერხებს მცენარის სახელის დამახსოვრებას:

"The good-natured maid, wishing to save her fellow-damsel so long a suffering, tried with might and main to bear in mind the name of this potent herb. She said it over and over again, tied a knot in her garter at every syllable, in order to assist her memory, and thought she had the word as sure as her own name, and very possibly felt much more anxious about retaining the one than the other. At length she dropped asleep, and did not wake till the morning. Now, whether her head might be like a sieve, that lets out as fast as it takes in, or whether the over-exertion to remember caused her to forget, cannot be determined, but certain it is when she opened her eyes, she knew nothing at all about the matter, excepting that Molly was to go lame on her right leg for seven long years, unless a herb with a strange name could be got to cure her."

განხილული ბრიტანული ზღაპრებიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ მიუხედავად იმისა, რომ მოცემულ ზღაპრებში ქალი – პერსონაჟები არ გამოირჩევიან პასიურობით, მეტიც, მათ ავტორები ზოგჯერ ჭკვიანად და მამაცად მოიხსენიებენ, ზოგადი სოციოლინგვისტური ანალიზიდან მაინც თვალნათლივ ჩანს ქალისა და მისი როლის მიმართ სტერეოტიპული დამოკიდებულება. კერძოდ, აქაც, მამაკაცი პერსონაჟებისგან განსხვავებით, ქალი პერსონაჟების აღწერისას განსაკუთრებული ხაზი ესმევა მათ გარეგნობას. გარდა ამისა, პერსონაჟების გარეგნული მხარე დაკავშირებულია მათ ხასიათთან – ლამაზი და ახალგაზრდა პერსონაჟები, როგორც წესი, დადებითი კონოტაციით ხასიათდებიან, ხოლო მახინჯი და მოხუცი – უარყოფითი კონოტაციით. ქალები არ გამოირჩევიან გონებამახვილობით, რადგანაც მამრობითი სქესის ბრიყვი წარმომადგენელიც კი ჭკვიან ქალზე გონებამახვილი და მოხერხებულია; ზღაპრებში ასევე წინწამოწეულია სოციალური

პრობლემებიც, რომელთა ფონზეც ხდება ქალის დისკრიმინაცია. ეს გამოიხატება მათი ძალდატანებითი თუ გარიგებით გათხოვებით, მათზე როგორც საკუთრებაზე ან ნივთზე საუბრით. გარდა ამისა, ჩვეულებრივ მოვლენად ითვლება ქალთა ხმის მუდმივი ჩახშობა, არაჯანსაღი სილამაზის სტანდარტების დაწესება, თუ ქალების საოჯახო სფეროსთან გაიგივება და მათი მაქსიმალურ შესაძლებლობად თუ მისწრაფებად სარფიანად გათხოვების წარმოჩენა.

ქართული ზღაპარი

ქართული ზღაპრებისთვის დამახასიათებელია როგორც მითოსური, ასევე ქრისტიანული ელემენტების სიჭარბე. ეს ზღაპრები ეხება ისეთ თემატიკას, როგორიცაა ჯადოსნური, საყოფაცხოვრებო ზღაპრები, ზღაპრები ცხოველებზე და ა.შ. მეორე მხრივ, ქართული ზღაპრების კვლევისას აუცილებლად გასათვალისწინებელია საქართველოს სხვადასხვა რეგიონების სპეციფიკა. მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ ქვეყნის ზოგიერთ კუთხეში, როგორიცაა, მაგალითად, ქართლი, კახეთი და იმერეთი, ძირითადად, ჯადოსნური ზღაპრებია შემორჩენილი, ხოლო იმ კუთხეებში, სადაც მითოლოგია კვლავ მნიშვნელოვანია (მაგ., ხევსურეთი და ფშავი), ჯადოსნური ზღაპრები კვლავაც პრიმიტიული სახით გვხვდება (გოგიაშვილი, 2011).

ძველი ქართული ზღაპრები

ქართული ხალხური ზღაპრების კრებულში („ქართული ზღაპრები“, შედგენილია ალ. ღლონტის მიერ, 1974) შესული ამბები, ძირითადად, ჯადოსნურ ან საყოფაცხოვრებო თემატიკას ეხება. ხშირია ეგრეთ წოდებული „მოხეტიალე სიუჟეტების“ მიხედვით შექმნილი ტექსტებიც. თეოდორ ბენფეის მოხეტიალე სიუჟეტების თეორიის მიხედვით, არსებობს ზღაპრის უნივერსალური თემატიკა, რომელსაც სხვადასხვა კულტურებში

ვხვდებით. კაცობრიობის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე სხვადასხვა კულტურის თემატიკა შეიძლება იყოს პოპულარული. მაგალითად, ევროპული ან აღმოსავლური თემატიკა (გოგიაშვილი, 2016), კონკრეტულად, ამ შემთხვევაში იგულისხმება ძმები გრიმების ზღაპრებიდან ცნობილი ზოგადკულტურული სიუჟეტები, რომლებიც მორგებულია ქართულ კულტურასა და რეალობას. კერძოდ, ამ პერიოდის ქართულ ზღაპრებში ხშირად გვხდება „ფიფქიასა და შვიდი ჯუჯას" მოდიფიცირებული ვარიანტები; ასევე, ხშირად ვხვდებით „კონკიას" თემატიკასაც. შესაბამისად, ზღაპრებში ყურადღებას იპყრობს გერისა და დედინაცვლის ცნობილი ხაზი და ამ უკანასკნელის სისასტიკე გერის მიმართ. ზოგიერთ ზღაპარში დედინაცვალი ქმარს შვილის გულს ან სხეულის სხვადასხვა ორგანოს სთხოვს, ზოგიერთში კი, უბრალოდ, სიცოცხლეს უმწარებს მას. „მოხეტიალე სიუჟეტების" არსებობა ხაზს უსვამს, ერთი მხრივ, საქართველოს ევროპულ კულტურასთან სიახლოვეს, აქტიურ კავშირებსა და, მეორე მხრივ, ზღაპრის სიუჟეტის უნივერსალურობას.

აღსანიშნავია, რომ ძველ ქართულ ზღაპრებში ქალი ნაკლებად გვევლინება მთავარ პერსონაჟად. ბუნებრივია, გამოკვლევული 120 ქართული ზღაპრიდან თითქმის ყველა მათგანში წარმოდგენილია ქალი, თუმცა, ძირითადად, ის სიუჟეტის შემკვრელ, მეორეხარისხოვან და პასიურ გმირად გვევლინება და მისი როლი მხოლოდ კონკრეტული სიტუაციური სტატუსით შემოიფარგლება. ქალი გვევლინება, როგორც ქალიშვილის, დის, დედის, ცოლის, ქვრივის, დედინაცვლის როლის შემსრულებელი. შესაბამისად, ქალის სტატუსი განისაზღვრება კაცთან დაკავშირებით. შესწავლილი 120 ზღაპრიდან, ქართული ხალხური ზღაპრების მხოლოდ დაახლოებით 38 (~ 30%) ზღაპარში წარმოადგენს ქალი მთავარ ან აქტიურ გმირს. ზღაპრებში, სადაც ისინი მთავარ როლს ასრულებენ, ორი სახის პოლარიზებული ქალი პერსონაჟები გვხვდება- მოხერხებული ან ქარაფშუტა.

ქვემოთ განხილული ზღაპრები ეხმაურება იმ ზოგად გენდერულად უთანასწორო თუ სტერეოტიპულ მიდგომებს, რომლებიც თანაბრად პრობლემურია როგორც ევროპული, ისე ქართული საზოგადოებისთვის:

1. ანანა
2. მზექალა და მზევარდა
3. ვაჟად ქცეული ქალი
4. ვინც საქმე გააკეთა, პურიც იმანა ჭამოს
5. ზნიანი ქალი
6. ხელმწიფე და გლეხის ქალი
7. პატარძალი
8. ჯეელი მოსამართლე და მისი ცოლი
9. ოქრუა
10. ჭკვიანი რძალი
11. ტყუილი ტირილი
12. ცოლის მორჯულება
13. მენახირის ქალი
14. ღარიბი გლეხი და უჭკუო ცოლი
15. რძალ-მაზლის ამბავი

საინტერესოა ის ფაქტი, რომ შესასწავლად და გასაანალიზებლად შერჩეულ ზღაპრებში მეორდება ერთი და იგივე თემატიკა, რომელიც შეიძლება განვაზოგადოთ და წარმოვადგინოთ იმ თემებად, რომლებსაც, საზოგადოდ, ვხვდებით ქართულ ზღაპრებში ქალთან დაკავშირებით. მაგალითად, უჭკუო და ჭკვიანი ქალის თემატიკა, ქალის მორჯულების თემა და ასე შემდეგ.

საკმაოდ საინტერესოა ის ზღაპრებიც, რომლებშიც ქალები კაცის როლს ირგებენ, რაც, შესაბამისად, კიდევ უფრო თვალსაჩინოს ხდის საზოგადოებაში არსებულ სტერეოტიპულ დამოკიდებულებას ქალისა და მამაკაცის როლების გადანაწილებასთან დაკავშირებით. ასეთი ზღაპრებია: „მზექალა და მზევარდა“ და „ვაჟად ქცეული ქალი“. მზექალა ზღაპარში კაცად გადაიცვამს, რათა არასასურველ ქორწინებას გაექცეს. ის სწავლობს ნადირობასა და თავის რჩენას – დამოუკიდებლობა, ოჯახში საკვების (ნანადირევის) შეტანა, სიჯიუტე სტერეოტიპულად მასკულინურ მახასიათებლებად ითვლება. სწორედ ამიტომ უფლისწულისთვის რთულია დაიჯეროს, როდესაც დედო-

ფალი მზექალაზე მიუთითებს და ეუბნება, რომ ის ქალია: „როგორ შეიძლება ის ქალი იყოს, გაფრენილ ხოხობს ფეხდაფეხ იჭერს“ (გვ. 164), „აკი თქვი, ქალიაო, რამდენი ღვინო დალია და არ დაითროო!“ (გვ. 165). ამ ამონარიდებიდან კარგად ჩანს, რომ ნადირობა და ალკოჰოლის მიღება არ ითვლება ქალისთვის მოსაწონ და შესაფერის ქცევად, რაც, ბუნებრივია, ბავშვებს აწვდის სტერეოტიპულ ინფორმაციას ქალისა და კაცის როლების გადანაწილებასთან დაკავშირებით.

განსაკუთრებით საინტერესო და, იმავდროულად, გარკვეულწილად თანამედროვე (დღევანდელი პოზიციიდან) ელემენტებს შეიცავს ზღაპარი „ვაჟად ქცეული ქალი“, სადაც ნათლად ჩანს არატრადიციული ორიენტაციის თემატიკა- ვეზირის ქალიშვილი კაცად გადაიცვამს და მეფის მსახურობას დაიწყებს. პრინცესას „ვაჟი“ შეუყვარდება, ღამე მის ოთახში შეიპარება და მიეალერსება. სანაცვლოდ „ვაჟი“ პასუხობს, „რა დაგინახე, ძლიერ შემიყვარდი, მაგრამ თქვენი დედ-მამის შიშით როგორ შემიძლია მაგისი აღსრულებაო“ (გვ. 171). ზღაპრის ბოლოს გოგონა ჯადოქრობით მართლაც ბიჭად გადაიქცევა და პრინცესაზე იქორწინებს. არატრადიციული ორიენტაცია, ტრანსგენდერობა საქართველოს მოსახლეობის უმეტესი ნაწილისთვის დღემდე მიუღებელია, შესაბამისად, ასეთი ზღაპრის არსებობა ფოლკლორში საკმაოდ თვალში საცემი და საინტერესოა. აღსანიშნავია, რომ ზღაპრის იმ მონაკვეთებში, სადაც პრინცესა და ვეზირის ქალიშვილი ერთმანეთს ეალერსებიან და სიყვარულს უხსნიან, გოგონა ვაჟადაა მოხსენიებული, ხოლო სხვა მონაკვეთებში მას ქალად ან ვეზირის ქალად ვხვდებით. ეს, სავარაუდოდ, გაკეთებულია გამიზნულად, რათა მკითხველში, განსაკუთერებით კი ზრდასრულ მკითხველში, მოცემულ ზღაპარს არ გამოეწვია პროტესტი და აგრესია.

სტერეოტიპული აზრიდან გამომდინაარე, ქალი უნდა იყოს „კეთილზნიანი“, ანუ მორჩილი, შრომისმოყვარე, წყნარი და არა თავნება, ზარმაცი და ჭირვეული. ზღაპრებში: „ვინც საქმე გააკეთა, პურიც იმანა ჭამოს“, „ზნიანი ქალი“, „პატარძალი“, „ცოლის მორჯულება“, სწორედ ზარმაცი და ჭირვეული ქალებია

წარმოდგენილი, რომლებსაც ქმრები მოხერხებითა და ფიზიკური ძალადობით ჭკუას ასწავლიან და „სასურველ“ ცოლად აქცევენ. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ კრებულში წარმოდგენილ 120 ზღაპარში არ ჩანს ქალის მიერ კაცზე ფიზიკური ძალადობა მაშინ, როდესაც კაცები გამეტებით სჯიან და ფიზიკურად უსწორდებიან ქალებს. ცხადია, ნებისმიერ სქესზე ძალადობა სრულიად მიუღებელია, თუმცა, ეს საკითხი განსაკუთრებით საყურადსაღებო და პრობლემატურია იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოში ფემიციდის მაჩვენებელი ყოველწლიურად იზრდება (ბოლო ექვსი წლის განმავლობაში საქართველოში 151 ქალიზე მეტია ოჯახური ძალადობისა და შემდგომ ფემიციდის მსხვერპლი (მარიამიძე, Georgia Today, 2019). ზღაპრებში კი აშკარადაა წარმოჩენილი, რომ ქალზე ძალადობა სრულიად ნორმალური და მისაღებია, რადგანაც კაცებს სანაცვლოდ არ მოეთხოვებათ პასუხი, მეტიც, ფიზიკური ძალადობის შემდეგ ისინი „საჩუქრდებიან“ მორჯულებული და სასურველი ცოლით.

ჭკვიანი და უჭკუო ქალის თემატიკა ასევე საკმაოდ პოპულარულია ქართულ ზღაპრებში. „ხელმწიფე და გლეხის ქალი“, „ჭკვიანი რძალი“, „ოქრუა“, „ღარიბი გლეხი და უჭკუო ცოლი“, „რძალ-მაზლის ამბავი“ და „ტყუილი ტირილი“ სწორედ ასეთ ქალებს ეხება. ქალს ჭკუა ნაკლებად მოეთხოვება, მისი ძირითადი „სამსახური“ ოჯახის მოვლა-პატრონობაა და არა ფიქრი, ანუ აზროვნება. ამიტომ, როდესაც ქალები კარგ რჩევას იძლევიან, კაცები მათ ნაკლებად უჯერებენ: „შვილი დიდხანს უშლიდა თავის მამას, რომ ხელმწიფისთვის არ მიერთმია ოქროს ფილი, მაგრამ მამამ შეაგდო ქვა და შეუშვირა თავი...“ (გვ. 305); „ახია შენზე, ჩემო თავო! რატომ ჩემს ქალს არ დავუჯერე!“ (გვ. 306). ჭკვიანი ქალით მოხიბლული მეფე გოგონას ცოლად მოიყვანს და ხშირადაც მიმართავს ცოლს რჩევისთვის: „ხშირად მიმართავდა თავის ჭკვიან ცოლს და მისი დარიგება ყოველთვის კარგადაც უჯდებოდა“ (გვ. 307). თუმცა, როდესაც დედოფლის გონებრივმა შესაძლებლობებმა მეფისას გადააჭარბა, მეფე ხვდება, რომ ჭკვიანი ქალი ძლიერი ძალაა და გოგონას თავიდან მოშორებას განიზრახავს: „ის თუ თავიდან არ მოვიშორე, მთელ ხალხში სახელსა და ნდობას დამიკარგავსო“ (გვ.

308). იგივე შინაარსია გადმოცემული ზღაპარში „ჯეელი მოსამართლე და მისი ცოლი", სადაც მოსამართლემ ისეთი ცოლი მოიყვანა, რომელიც მის „საქმეში არ ჩაერეოდა" და ქალიც მხოლოდ ოჯახს უვლიდა, თუმცა, როდესაც მან ჭკვიანური რჩევების დარიგება დაიწყო, ქმარმა მისი თავიდან მოშორება გადაწყვიტა. შესაბამისად, ზღაპრებში ჩანს, რომ კაცისთვის ქალის ინტელექტუალური რჩევები მოსაწონი და მისაღებია მხოლოდ იმ დრომდე, ვიდრე ის კაცის კეთილდღეობას ანდ ავტორიტეტს საფრთხეს არ უქმნის. ქართულ ზღაპრებში ორი უკიდურესობა ვლინდება, ერთის მხრივ, ჭკვიან ქალებს სათანადოდ არ აფასებენ, მეორეს მხრივ, ჭკვიანი ქალი სანთლით საძებარია, მაგალითად – „ჭკვიან რძალში" ერთი ჭკვიანი კაცი შვილისთვის ისეთი ცოლის საძებნელად წავა, რომელსაც მისი ნათქვამის სწორად გაგება შეეძლება. მოხუცს საკმაოდ დიდი ხანი უწევს სასურველი სარძლოს მოძებნა, რაც ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ ჭკვიანი ქალი არც თუ ისე გავრცელებული „ფენომენია". თუმცა ამ ზღაპარში გოგონას გონიერება მის მამამთილსა და ქმარს სიკვდილისგან იხსნის, შესაბამისად, მისი მიხვედრილობა დაფასებულია: „ასეთი რძალი რომ არ მოეძებნა იმ კაცს, თავისი გულის ნააზრევის მიმხვედრი, მას და მის შვილს – ორივეს მოკლავდნენ" (გვ. 338). აქ საინტერესოა, რომ ჭკვიანი ქალის ფასს მხოლოდ ასეთივე ინტელექტუალური მონაცემების, ანუ იმავე სოციუმის ადამიანი ხვდება და აფასებს, რაც, სამწუხაროდ, ზღაპრებზე დაყრდნობით, ხშირად არ ხდება.

ჭკვიანი ქალისგან განსხვავებით, სულელი ქალი საკმაოდ ბევრია და ზღაპრები ამ თემატიკით უფრო მეტი გვხვდება. ქალის სისულელე, ძირითადად, დაკავშირებულია ყოფით თემებთან, მაგალითად, „ღარიბი გლეხი და უჭკუო ცოლი" მოგვითხრობს ქალზე, რომელიც ქვასა და ოქროს ვერ არჩევს და ოჯახის ქონებას ანიავებს. იგივე საკითხია წამოჭრილი ზღაპარში „რძალ-მაზლის ამბავი", სადაც რძალი „ჭკუაზე ცოტა უკაცრავად იყო" (გვ. 364) და მაზლი მიზნად დაისახავს მასზე სულელი იპოვოს. ყოველი ფეხის ნაბიჯზე მაზლი სულელ ქალს გადააწყდება, ამიტომ თვითონ სახლში დამშვიდებული წავა „ჩემს რძალზე უფრო გიჟებიც ყოფილან ქვეყანაზეო" (გვ. 365). შემ-

ღგომ ზღაპარში – „ოქრუა“ ცოლის ქარაფშუტობასა და გრძელ ენას (სტერეოტიპულად ფემინინური მახასიათებლები) ოქრუა სიკვდილით დასჯამდეც კი მიჰყავს. ოქრუას მომაკვდავი მამა დაუბარებს, რომ ქალს საიდუმლო არ გაუმხილოს. ოქრუა კი გადაწყვეტს ცოლი გამოსცადოს და მოატყუებს, რომ კაცი მოკლა. მიუხედავად იმისა, რომ ქალმა იცის, რომ მისი კეთილდღეობა პირდაპირ კავშირშია ქმრისასთან („რას ჰქვია გავამხელ, მე ჩემი თავის დაღუპვას მოვინდომებ?“ (გვ.331), ის თავის ბუნებას ვერას შველის და ქმრის საიდუმლოს მაინც ამხელს. ზემოთქმულიდან ადვილი მისახვედრია, რომ ქალი ბუნებით სუსტი და სულმოკლეა, მიუხედავად იმისა, რომ მისმა ქმედებამ შეიძლება მისივე ბედი უკუღმა დაატრიალოს, მას მაინც არ შეუძლია საიდუმლოს შენახვა და საკუთარი ბუნების დაძლევა; მეტიც, მას არ ყოფნის ჭკუა იმისთვის, რომ გაიაზროს თავისი დანაშაული: „ოქრუა! თუ ვინიცობაა სიკვდილს გადარჩე, ქალაქიდან შეიდიში წამომიღე, არ დაგავიწყდესო!“ (გვ.332). სიკვდილით დასჯამდე ოქრუა, მეფის ბრძანებითა და ნებართვით, ბოლო წინადადებას ამბობს: „ჩვენს მეფეს და ჩემს ცოლს ერთი ჭკუა აქვთო“ (გვ.333), რაც მეფეს განარისხებს. მიუხედავად იმისა, რომ მან არ იცის ოქრუას ცოლის ჭკუისა თუ უჭკუობის ამბავი, მისთვის ქალთან და მის გონებრივ შესაძლებლობებთან შედარება პირდაპირ კავშირშია შეურაცყოფასთან- „როგორ გამიბედე ამ სიტყვების თქმაო?“ (გვ. 333). ეს კიდევ ერთხელ აირეკლავს იმდროინდელ საზოგადოებაში გავრცელებულ სტერეოტიპს, რომ ყველა ქალი ზოგადად უჭკუო და არაგონიერია. აღსანიშნავია საზოგადოებრივ ფენებს შორის დაპირისპირების თემაც, რომელიც ნაშრომში განხილულ ევროპულ ზღაპრებში არ გვხვდება, სადაც ხშირად ვხვდებით სიუჟეტს ბედნიერი დასასრულით – დაბალი საზოგადოების წარმომადგენელი გოგონები ზღაპრის ბოლოს მაღალი ფენის წარმომადგენლებს –უფლისწულებს მიჰყვებიან ცოლად. „ანანასა“ და „მენახირის ქალში“ სწორად საზოგადოებრივი სტატუსისა და საზოგადოების ფენების დაპირისპირება ჩანს. უფლისწულები უარს ამბობენ დაბალი საზოგადოების წარმომადგენელი მოიყვანონ ცო-

ლად: „ადგა ხელმწიფის შვილი, ანანას თავი დაანება და სხვა ცოლი შეირთო, რადგან ის ვითომ უხეირო გვარისააო“ (გვ. 119); „მენახირის ქალს მე არ შევირთავ“ (გვ. 350). ეს შეიძლება კიდევ ერთ, მიღებულ სტერეოტიპად ჩაითვალოს – ადამიანი ფასდება საზოგადოებრივი სტატუსის კუთნილებით.

მიუხედავად იმისა, რომ დედა, და ზოგადად ქალი, ქართულ კულტურაში ყოველთვის პატივსაცემი ფიგურა იყო, ზღაპრები თვალნათლივ აირეკლავს პატრიარქალური საზოგადოების წყობას, სადაც მთავარ როლს მამრობითი სქესის წარმომადგენლები ასრულებენ და აშკარად წარმოჩინდება ქალის როლისა და წვლილის უგულებელყოფა, ან ხშირად შეურაცხყოფაც კი. ზღაპარი, როგორც სოციალური მოვლენა, საინტერესოდ და სრულად გვიხატავს იმ სოციოკულტურულ სიტუაციას საქართველოში, რომელშიც იგი გადმოიცა ან დაიწერა. აქ გაანალიზებული ზღაპრებზე დაყრდნობით კი შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რომ ქალის როლი ზედმეტად დაკნინებულია, შემცირებულია მხოლოდ საოჯახო სივრცემდე. ხშირია ქალების სულელებად, ჩერჩეტებად მოხსენიებაც, მათ არ ანდობენ საიდუმლოებას, რადგანაც, გონებრივი შესაძლებლობებიდან გამომდინარე, ქალებს არ შეუძლიათ საიდუმლოს შენახვა, განდობის შემთხვევაში კი კაცი ხშირად ხათაბალაში ეხვევა – ან სიმდიდრეს კარგავს, ან მის სიცოცხლეს საფრთხე ექმნება. ასევე, კაცები მუდმივად ითხოვენ მორჩილებას ცოლისგან და დასაქორწინებელი ყმაწვილებიც ზუსტად ასეთს ეძებენ: „ცოლი მოიკუნტა, იფიქრა: ეს რა ღვთის რისხვა კაცი ყოფილაო! უჯერებდა და მორჩილი იყო“ (ცოლის მორჯულება, გვ. 349). საინტერესოა, რომ ქართულ ზღაპრებში ხშირია ქალის გონებრივი შესაძლებლობების დაკნინება (როგორც ზემოთ აღინიშნა, ისინი, ძირითადად, უჭკუო, ჩერჩეტ არსებებად არიან წარმოდგენილი) და ნაკლებად ვხვდებით, ევროპული და ბრიტანული ზღაპრებისგან განსხვავებით, მათ გარეგნულ აღწერებს. თუმცა როგორც ევროპულ, ქართულ ზღაპრებშიც ვხედავთ მიდგომას – „ლამაზ სხეულში ლამაზი სულია“. მოცემულ ზღაპრებში ლამაზი პერსონაჟები, ძირითადად, კეთილები არიან, ხოლო ბოროტი

პერსონაჟები – მახინჯები. გარდა ამისა, ბოროტი პერსონაჟები, ძირითადად, „კუდიან დედაბრებად" გვევლინებიან, მაშინ, როცა კეთილი პერსონაჟები – ახალგაზრდა და ლამაზ ქალებად. ქალის გონებრივ შესაძლებლობებზე და არა მის გარეგნულ მხარეზე ხაზგასმა, სავარაუდოდ, გამოწვეულია ზღაპრის შინაარსით, რადგანაც განხილული ზღაპრები უფრო საყოფაცხოვრებო თემატიკით შემოიფარგლება და არა ჯადოსნურით. მეტიც, ქართული ჯადოსნური ზღაპრები შინაარსობრივად მაინც საყოფაცხოვრებოა.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ხშირად ვხედავთ მამაკაცის გარეგნულ აღწერასაც, რაც ნაკლებად თვალში საცემია ევროპულ ზღაპრებში. თუმცაღა, რაოდენობით, ბუნებრივია, ქალის პორტრეტების რიცხვი აღემატება კაცისას. ცხრილში მოცემულია რამდენიმე მათგანი. აღსანიშნავია ისიც, რომ ერთ-ერთი მათგანი (ისეთი ლამაზი არის, რომ თავის დღეში არ მინახავს ისეთი ლამაზი*), რომელიც კაცს ეხება, სინამდვილეში გულისხმობს კაცად გადაცმულ ქალს.

Fig. 15. ქალისა და მამაკაცის აღწერები ქართულ ზღაპრებში

ქალი	კაცი
ისეთი ლამაზი იყო, რომ იმაზე მშვენიერს კაცის თვალი ვერაფერს ნახავდა.	ჯარით მოვიდა ერთი ყმაწვილი, მეტად მშვენიერი, იშვიათი სილამაზისა.
მიეცა დედოფალს ქალი, მსგავსი მზისა, და სახელად უწოდა მზექალა.	გულადი და ისეთი ლამაზი, რომ მასზე უკეთესი ვაჟი მთელ ქვეყანაზე არ მოიძებნებოდა.
... თმები ჩამოეშალა. მშვენიერი სანახავი იყო ამ დროს.	ისეთი ლამაზი არის, რომ თავის დღეში არ მინახავს ისეთი ლამაზი *
ეს ქალი ისეთი ლამაზი გახდა, რომ ქვეყანაზე უკეთესი ქალი არ მოიპოვებოდა.	

აღსანიშნავია ზღაპრის ავტორების ენაც, რომელიც საკმაოდ მარტივია, თუმცა ნაკლებად შეესაბამება ბავშვის ასაკობრივ ჯგუფს, რადგანაც ხშირად ვხვდებით ძველქართულ, არქაულ ლექსიკურ ერთეულებს, რომელიც პატარა, თანამედროვე მკითხველისთვის შეძლება გაუგებარი იყოს (ბალა, შეიდიში, კევრი, კალო და ა.შ.). ასევე საინტერესოა ავტორის დამოკიდებულება ქალის მიმართ, რომელიც, ბუნებრივია, ლინგვისტური ერთეულების არსენალით გამოიხატება. ზღაპრებში ასევე ხშირად გვხვდება ქალის საგანთან გაიგივება, მისადმი, როგორც საგნისადმი მიმართვა და მათი ჩაგვრა, ისე ქალების, როგორც სტატუსით ქვემდგომების წარმოჩენა – „რძლად უნდა წაგიყვანო“ (ჭკვიანი რძალი), „მოტეხა [ტოტი] და ურტყა ცოლსა და ქალიშვილს“ (ტყუილი ტირილი, გვ. 348), „წამოავლო ხელი სახრეს და ისე მაგრად ურტყა, სულ ჯარასავით ატრიალა“ (ზნიანი ქალი, გვ. 214), „ვერ გაუბედა ქმარს ყველაფრის თქმა“ (ცხრა ძმა და მათი დედინაცვალი, გვ. 354), „ვაჟი დავაქორწინოთ, ვაჟსაც გავახარებთ და ოჯახის მომვლელსაც ვიშოვნითო (პატარძალი, გვ. 325), „თავს ისე გაგაგდებინებ, როგორც სხვებსა“ (გვ. 204).

ნაშრომში გაანალიზებულ ქართულ ზღაპრებშიც, ისევე, როგორც სხვა კულტურის ზღაპრებში, ქალებს ნაკლებად ახასიათებთ აქტიური პროცესის გამომხატველი თუ კოგნიტიური ზმნები. ქალები, ძირითადად, პასიური ან მორჩილნი არიან, მაშინ, როდესაც მამაკაცები აქტიურობით გამოირჩევიან: „მიდის ბიჭი, მისდევს ქალი“ (გვ. 325), „[ქალი] უსაქმური გამოდგა“ (გვ. 325), „ქალი ვითხოვო“ (გვ. 326), „მოსამართლე საქმეზე დადიოდა, ქალი ოჯახს უვლიდა“ (გვ. 326), „ოქრუას აზრად მოუვიდა ცოლის გამოცდა“ (გვ. 331), „ნებიერი ცოლი შეხვდა“ (გვ. 349), „ქმარი მიხვდა“ (გვ. 363). ამის საპირისპიროდ, როდესაც ქალი ვაჟის როლს ასრულებს, მასთან ხშირად ვხვდებით აქტიური პროცესის სემანტიკის მქონე ზმნებს: „გაფრენილ ხოხობს ფეხდაფეხ იჭერს“ (გვ. 164), „დაიწყო ნადირობა“ (გვ. 164), „[ცხენი] შეაჭენა ეზოში“ (გვ. 170), მივიდა ახლოს, დაუძახა, დავბრუნდები, გაიარა მშვიდობით და ა.შ. მაგალითებად მოყვანილი ზმნები აშკარად ასახავენ საზოგადოებაში დამკვიდრებულ აზრს, რომ ქალი

არის პასიური ქმნილება, რომელიც ძირითადად სახლში ზის; ხოლო კაცი, რომელიც მუშაობს და თავგადასავლებს ეძებს. ქალი პერსონაჟი ხასიათდება აქტიური მოქმედების აღმნიშვნელი ზმნებით იმ იშვიათ შემთხვევებში, როდესაც ის ან ვაჟად აჩვენებს ხალხს თავს, ან ქალისთვის უჩვეულო გონებრივი მონაცემები ახასიათებს, რაც, როგორც აღინიშნა, ზღაპრებში უპირატესად კაცური თვისებაა.

ზემოთ აღნიშნული ზღაპრების სოციოლინგვისტური ანალიზის მაგალითზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ქართულ ზღაპრებშიც აშკარად ჩანს ქალისა და კაცისადმი სტერეოტიპული დამოკიდებულება:

1. ქალი პერსონაჟები ძირითადად პასიურნი არიან, ხოლო მამაკაცი პერსონაჟები – აქტიურნი.

2. ქალ პერსონაჟს მხოლოდ მაშინ ახასიათებს აქტიური პროცესის ზმნები, როდესაც მას მასკულინური მახასიათებლები აქვს (ისინი ან მამაკაცის როლს ირგებენ, ან გონიერები არიან).

3. ზღაპრებში გამოიკვეთა გენდერული როლების შემდეგი განანილება: ქალები ძირითადად საოჯახო საქმეებთან არიან დაკავშირებულნი, ხოლო მამაკაცური ქცევები, მაგალითად- ნადირობა, გადაჭარბებული სმა (რომელიც ორივე გენდერისთვის მიუღებელია), მხოლოდ ქალს არ შეეფერება ეს მიდგომა, ბუნებრივია, ბავშვებს პატარობიდანვე არასწორ სტერეოტიპებს უყალიბებს ქალისა და კაცის როლის გადანაწილებასთან დაკავშირებით.

4. გაანალიზებულ ქართულ ზღაპრებში ხშირია ქალზე ფიზიკური ძალადობა, რასაც ნაკლებად ვხვდებით ევროპულ ზღაპრებში (გარდა მძინარე მზეთუნახავისა, რომელსაც მეფე ძილში აუპატიურებს). ეს, ბუნებრივია, აირეკლავს ქვეყნის სოციოკულტურულ სიტუაციას – საქართველოში უფრო და უფრო ხშირად ფიქსირდება ქალზე ფიზიკური ძალადობა და მკვლელობაც კი. თუმცა აღსანიშნია ის ფაქტიც, რომ ქართული ზღაპარი ევროპულთან შედარებით ნაკლებადაა დამუშავებული. როგორც ზემოთ აღინიშნა, მაგალითად გერმანულ ზღაპრები, რომლებშიც აღწერილი იყო ძალადობა, ინცესტი, დასახიჩრე-

ბა, გაუპატიურება თუ ბავშვისთვის შეუსაბამო თემები, ძმებმა გრიმებმა გადააკეთეს და უფრო კორექტული და ბავშვებისთვის შესაფერისი გახადეს.

5. ზღაპრებში ქალისთვის სტერეოტიპულად დამახასიათებელია სინაზე, სიმშვიდე, დამყოლობა, შრომა. სწორედ ასეთი ქალი წარმოადგენს იდეალურ ცოლს. „უზნეო" ან არადამყოლი ქალი არ არის სასურველი და სწორედ ასეთ ქალს უსწორდებიან ძირითადად ფიზიკურად, რათა ისინი მოარჯულონ.6. ჭკვიანი ქალი მხოლოდ იქამდეა სასურველი, სანამ კაცის გონებრივ შესაძლებლობებს არ ჯაბნის. ხშირად ჩანს ქალის ხმის ჩახშობის სურვილი, როდესაც ჭკვიან ქალს არ უჯერებენ ან სჯიან მხოლოდ მაღალი ინტელექტუალური მონაცემების გამო.

7. ქალი, ძირითადად, გვევლინება, როგორც ქარაფშუტა, უჭკუო არსება.

8. საინტერესოა, რომ ზოგადად, ქართულ ზღაპარში არ ჩანს ქალის მომხიბლავი გარეგნობის მოთხოვნა და ხაზგასმა როგორც ევროპულ ზღაპრებში, მიუხედავად იმისა, რომ ვხვდებით ქალისა და მამაკაცის გარეგნობის აღწერებს.

აღსანიშნავია, რომ სწორედ ზემოთჩამოთვლილი პუნქტების წინააღმდეგ ილაშქრებენ თანამედროვე ქართული ზღაპრები (განხილულია შემდეგ ქვეთავში), რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ ერთი მიზნით შეიქმნა – დაიწყოს საზოგადოებაში ჯანსაღი გენდერული როლების აღქმა, დაინგრეს სტერეოტიპული აზროვნება და შეწყდეს ქალების ჩაგვრა.

თანამედროვე ქართული ზღაპრები

ის ფაქტი, რომ საჭირო გახდა თანამედროვე, გენდერულ თანასწორობაზე ორიენტირებული ქართული ზღაპრების შექმნა, უკვე თავისთავად მეტყველებს იმაზე, რომ საქართველო და ქართველი საზოგადოება ნამდვილად დგას გენდერული უთანასწორობისა და როლების უარყოფითი სტერეოტიპული გადანაწილების პრობლემის წინაშე. „იყო ერთი გოგო" 2018

წელს გაეროს ქალთა ორგანიზაციის გამოცემული ზღაპრების კრებულია, რომლის ანოტაციაშიც ვკითულობთ, რომ ზღაპრები ძლიერ ქართველ ქალებსა და „მათ სიმამაცეზე, მიზანდასახულობაზე, სიბრძნეზე, კეთილშობილებაზე, მეგობრობასა და სამართლიანობისთვის ბრძოლაზე გვიყვება". წიგნი გაეროს ერთობლივი პროგრამის „გენდერული თანასწორობის" ფარგლებშია შექმნილი. წიგნზე არანაკლებ საინტერესოა ამავე კამპანიის ფარგლებში გადაღებული ვიდეორგოლი, სადაც ბავშვებს უსვამენ შემდეგ კითხვებს:

1. როგორ ფიქრობენ, უნდა გამოუტყდნენ თუ არა პირველად გოგონები ბიჭებს სიყვარულში?

2. მათი დაკვირვებით, გოგონებს უფრო უჯერებენ თუ ბიჭებს?

კამპანიაში მონაწილეობენ დაახლოებით ერთი და იმავე ასაკის, ორივე სქესის ბავშვები. აღმოჩნდა, რომ განურჩევლად სქესისა, გამოკითხულების უმეტესობამ მიიჩნია, რომ გოგონამ თავი უნდა შეიკავოს სიყვარულის პირველად გამოხატვისაგან. გარდა ამისა, ასევე აღმოჩნდა, რომ გოგონებს, ბიჭებთან შედარებით, ნაკლებად უჯერებენ. ეს კი იმითაა გამოწვეული, რომ ბიჭებს უფრო ენდობიან, ვიდრე გოგონებს, ისინი უფრო ძლიერები არიან, ბიჭმა ისეთი „საქმეები იციან", რაც გოგონებმა არა, რადგანაც მათ, ზოგადად, „ცოტა რაღაცა იციან".

ვიდეო რგოლიდან ცხადად ჩანს, რომ ბავშვები უკვე ადრეული ასაკიდან ექცევიან სტერეოტიპების გავლენის ქვეშ, რომელშიც დიდი წვლილი მშობლებთან და საზოგადოებასთან ერთად, ტელევიზიას, ინტერნეტსა და ლიტერატურასაც მიუძღვის. ზღაპარი, როგორც სოციალური მოვლენა, რომელიც პირდაპირ კავშირშია საზოგადოებასთან და აირეკლავს ზოგად საზოგადოებრივ აზრს, შეიძლება ბავშვებში სტერეოტიპული აზროვნების ერთ-ერთ პირველწყაროდ ჩაითვალოს. სწორედ ამიტომ ქალთა ორგანიზაციამ მიზნად დაისახა ბავშვებს, როგორც საზოგადოების ყველაზე მთავარ სეგმენტს, უფრო თანამედროვე და ჯანსაღი აზრი მიაწოდოს იმ გენდერულ როლებზე, რომლებიც თანასწორუფლებიან და დემოკრატიულ საზოგადოებაში უნდა არსებობდეს.

მიუხედავად იმისა, რომ წიგნში ძალზედ საინტერესო ოცდაერთი ზღაპარია წარმოდგენილი, ამ ქვეთავში განხილული იქნება მხოლოდ შემდეგი ზღაპრები:

1. „მთის გული“ – ეკატერინე ტოგონიძე 2. „მზის მეომარი მაია“ – თეონა დოლენჯაშვილი3. „მაგრამ ასე ერჩია“ – მაია სარიშვილი4. „ამბავი პრინცესა მართა-მარიამისა“ – ტორეს ამოსი5. „მაღალი და დაბალი ქვაბები და ცაში გაფრენა“ – მაია სარიშვილი.

ამ ზღაპრების შერჩევა განაპირობა იმან, რომ ხუთივე ზღაპარი გამორჩეულია როგორც შინაარსობრივი, ისე საკუთრივ ლინგვისტური და სოციოლინგვისტური თვალსაზრისით. მათ აერთიანებს ის, რომ ყველა ზღაპრის მთავარი გმირი გოგონაა, რომელიც ანგრევს საზოგადოებაში დამკვიდრებულ სტერეოტიპს იმის შესახებ, თუ რისი გაკეთება შეუძლია ან არ შეუძლია გოგონას. აღსანიშნავია ზღაპრის ენაც, რომელიც მორგებულია ბაშვებსა და მათ ინტერესებზე, რაც ხშირად არ გვხვდებოდა ძველი, ტრადიციული ქართული ზღაპრების შემთხვევაში.

„მთის გულში“ მოცემულია სანდროსა და სანდრას დამეგობრების ამბავი. გოგონამ სანდრო უფროსკლასელების ძალადობისაგან იხსნა და ბავშვები მაშინვე დამეგობრდნენ. სწორედ ამ ეპიზოდიდან იწყება მათი თავგადასავლებით სავსე ცხოვრება, სადაც გენდერული როლები სრულიად შეცვლილია. ის მოქმედებები, რომლებიც სტერეოტიპულად გოგონებისთვისაა დამახასიათებელი, ზღაპარში უფრო სანდროს ერგება, ხოლო სტერეოტიპულად მამაკაცური ქცევები – სანდრას. მაგალითად,

1. „ამ დროს ეზოში ქარიშხალივით ჩაიქროლა სანდრამ, აყლაყუდას ჩანთა გამოსტაცა და საოცარი სისწრაფით შეხტა ხეზე“.

2. „მოდი, აბა, თუ მაგარი ხარ, გამომართვი! – ხის კენწეროდან ჩამოსძახა სანდრამ“.

3. „იქ როგორ აძვერი, არ შეგეშინდა? – ჰკთხა სანდრომ მიწაზე დაბრუნებულ გოგოს“;

4. „მე სიმაღლის მეშინია... – თქვა სანდრომ“;

5. „შენ იმიტომ მომიგე... – ყოყმანით თქვა სანდრამ, – ლეკვის ბრალია, შემიღუტუნა...“;

6. „ამის პასუხი მითხარი რა?! – გადაუჩურჩულა [სანდრამ] სანდროს ტესტის წერისას, – ეგ თუ არ იცი, დანარჩენებს როგორ გააკეთებ? – გაუკვირდა სანდროს“;

7. „[სანდრას] მოესმა მოულოდნელად სანდროს ხმა და ისე შერცხვა საკუთარი ცრემლების, სასწრაფოდ ხეზე აცოცდა“.

როგორც მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, სანდრა ხშირად ესარჩლება ბიჭებს და ამ დროს უფროსკლასელებსაც კი უმკლავდება, ხიდან ხეზე თავისუფლად დახტის და საკონტროლოების გადაწერასაც არ თაკილობს. გოგონა არც ბიჭებთან მეტოქეობას ერიდება და ვერც წაგებას იტანს, რაც ჰოლმსის (2006) მიხედვით, უფრო მასკულინური, კონკურენტუნარიანი, აგრესიული, ასე ვთქვათ, საქმეზე ორიენტირებული თვისებებია. საინტერესოა, ის ფაქტიც, რომ სანდრას საკუთარი ცრემლების რცხვენია, რაც ასევე ბიჭებისთვის უფროა დამახასიათებელი, ვიდრე გოგონებისთვის, რადგანაც ბევრ, მათ შორის ქართულ საზოგადოებაშიც, ხშირად გავიგებთ ბიჭისთვის ნათქვამს: „რა გატირებს, გოგო ხომ არ ხარ?“ აღსანიშნავია ინგლისური ფრაზა “like a girl”, რომელიც ასევე ხშირად გამოიყენება და უფრო დამამცირებელი კონოტაცია აქვს, განურჩევლად იმისა, იგი გოგოს მიემართება თუ ბიჭს- “you throw (run, punch, etc.) like a girl”, ორივე სქესისთვის შეურაცხმყოფელია, რადგანაც ის აღნიშნავს, რომ მათი ქცევა, იქნება ეს რაიმეს სროლა, მოქნეული ხელი თუ სირბილის მანერა, უფრო გოგოსას ჰყავს, და, შესაბამისად, სამარცხვინოა.

სტერეოტიპული თვალსაზრისით, იქნება ეს ზღაპრებში თუ რეალურ ცხოვრებაში, გოგონები უფრო სწავლასთან და პასიურ მოქმედებებთან არიან დაკავშირებული. მოცემულ ზღაპარში კი ამ თვისებების მატარებელი გამიზნულად მამრობითი სქესის წარმომადგენელია – სანდრო საკმაოდ მშიშარაა, არ უყვარს თავის დაცვა, სიმაღლის ეშინია და კარგად სწავლობს. ყველა ეს მოქმედება პასიური ზმნებით არის გამოხატული და ნაკლებად დამახასიათებელია როგორც ტრადიციული ზღაპ-

რების ნარატივისთვის, ისე მამრობითი სქესის პერსონაჟთან ასოცირებული ლექსიკისათვის.

ზღაპრის ბოლოს სანდრო ავად ხდება, ხოლო სანდრა მისი წამლის საშოვნელად წავა. ცხადია, , ამ შემთხვევაში, შებრუნებული გენდერული როლები კიდევ ერთხელ იკვეთება – მაშინ, როდესაც ტრადიციულ ზღაპრებში პრინცესები (და ზოგადად, მდედრობითი სქესის წარმომადგენლები) ხდებიან ავად ან ზღაპრის ბოროტი პერსონაჟი გამოკეტავთ სასახლეში, ხოლო უფლისწულები მიდიან მათ გადასარჩენად, თანამედროვე ზღაპარი გვთავაზობს, რომ სიმამაცე გოგონასაც შეიძლება ახასიათებდეს და მასაც შეუძლია, ბიჭი ხიფათისგან იხსნას.

მოცემული ზღაპარი მნიშვნელოვანია არა მხოლოდ გოგონას, არამედ ბიჭის პერსპექტივიდანაც. იქიდან გამომდინარე, რომ ზღაპრებში წარმოდგენილი გოგონები სუსტები არიან, ხოლო ბიჭი პერსონაჟები – ძლიერები, ეს შეხედულება არაჯანსაღ და არასწორ ზეგავლენას ახდენს არა მხოლოდ გოგონებზე, არამედ ბიჭებზეც. არ უნდა უგულებელვყოთ ის ფაქტი, რომ არიან ბიჭები, რომლებიც ასევე ხდებიან არასწორი სტერეოტიპების მსხვერპლნი, რომლებსაც არ ახასიათებთ მკაცრად მასკულინური თვისებები, ხოლო საზოგადოება მათგან ნაკლებ ემოციურობას, სიმტკიცესა და მეტ აგრესიულობას მოითხოვს. როგორც ნაშრომის პირველ თავში აღინიშნა, ფემინიზმი და გენდერული თანასწორობა არ ეხება მხოლოდ ერთ, მდედრობით სქესს, არამედ ის მოიცავს ორივე სქესის თანასწორობასა და უფლებების თანაფარდობას. სწორედ ამიტომ აღსანიშნავია, საქართველოს გარდა, მსოფლიოს სხვა ქვეყნებშიც გამოიცა მსგავსი კრებულები: "Good Night Stories for Rebel Girls" "Stories for Boys who Dare to be Different" და "Good Night Stories for Rebel Boys", ასევე, „ამბები ბიჭებზე" (2012).

ქალის სტერეოტიპული როლები და საზოგადოებაში არსებული დამოკიდებულება ქალის მიმართ კარგად ჩანს „მზის მეომარ მაიაში", რომელშიც მაია წყნეთელის ისტორიაა გადმოცემული. მაია თავიდან „იდეალურ" გოგონად გვევლინება, რომელიც საოჯახო საქმეებშია გაწაფული, მშობლებს ეხმარება

და სათნოებით, ქველმოქმდებითა და სიკეთითაც გამოირჩევა, ანუ შემკულია ქალის სტერეოტიპისათვის დამახასიათებელი ყველა ნიშნით: „დღისით დედას ეხმარებოდა საოჯახო საქმეებში – ხელსაქმეც ეხერხებოდა, ფერად ფარდაგებს და შალის სამოსს ქსოვდა და მათზე უფრო ღარიბებს და უპოვრებს ურიგებდა“.

ზღაპარში მაიას გოგონასთვის აუცილებლად დამახასიათებელი კიდევ ერთი კომპონენტი აქვს – ულამაზესი მზისფერი თმა. სოფელში კი გოგონასადმი ყველას სითბოსა და სიყვარულს სწორედ ამ თმას აბრალებდნენ, ეგონათ „გოგონას ძალა მის გრძელ თმაშიაო“. საინტერესოა მაიასა და რაპუნცელს შორის პარალელები – დილეგში დამწყვდეულს მაიას, რაპუნცელის მსგავსად, მამაკაცი შეაჭრის თმას, რაც ალეგორიულად გოგონას უმანკოების დაკარგვას ნიშნავს. თმის შეჭრისას მზე შემოანათებს და გოგონა საოცარ ძალას გრძნობს, რომლის დახმარებითაც ის ციხიდან თავის დაღწევას ახერხებს. მოგვიანებით კი ერეკლე მეფესთან მიდის, თავს კაცად ასაღებს და მსახურობას სთხოვს. თავისი მამაცი და შეუპოვარი ბუნების გამო, მაიას ქცევა არ „ჯდება“ სტერეოტიპულად არსებულ ქალთა ქცევებში, ამიტომ მის სქესს არავინ აყენებს ეჭვქვეშ: „აფერუმ შენს ვაჟკაცობას, მათე ბიჭო! კაციც შენ ყოფილხარ და ქუდიც შენ გხურებია“. მაშინ კი, როდესაც ის ომისას ჩაფხუტს მოიხსნის და ოქროსფერი თმა ჩამოეშლება, ყველა „თავზარდაცემული“ შეჰყურებს მას, რადგანაც მამაცი მეომარი ქალი აღმოჩნდება. ზღაპარში თავად მაია აღნიშნავს და ხაზს უსვამს საზოგადოებაში გენდერული როლების გადანაწილებას, რომლის მიხედვითაც ომი, ბრძოლა და სიმამაცე ქალის საქმე ნამდვილად არ არის: „მომიტევეთ, თავიდანვე რომ არ გითხარით, მაგრამ ეს რომ მეთქვა, მეომრად ვინღა მიმიღებდა?“

იგივე თემატიკა, უფრო კონკრეტულად კი, ქალის არასტერეოტიპული ქცევა და ამის გამო საზოგადოების აზრის ორად გაყოფაა წარმოდგენილი შემდეგ ზღაპარშიც, „მაგრამ ასე ერჩია (თამარ ვაშლოვნელი)“, სადაც თამრო მამაკაცური თვისებებით გამოირჩევა – გოგონა უშიშარი და თამამია. ამ თვისე-

ბებს ზოგი იწონებს, ზოგიერთი კი ბრაზობს კიდეც: „გოგო ნაზი და მორჩილი უნდა იყოს, ასეთი თავისნათქვამა ჯიბრიანი და შეუვალი არასდროს ყოფილან ქალები და ეს გოგო რა გაჩნდა ასეთიო...“; „ძალიან უნდოდა ამ ბიჭს თამროც სხვა გოგონებივით ჩუმი, მორჩილი და მოკრძალებული ყოფილიყო...“; „თუ მორჩილი არ იქნები, შეიძლება ყველაზე საყვარელი ადამიანისგანაც კი მოგხვდეს ქვა.“ - ამონარიდებში კარგად აისახება საზოგადოების სურვილი, რომ აქტიურად ჩაახშოს ქალის ხმა და სთხოვს მას სინაზესა და მორჩილებას. სამწუხაროა, რომ მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოება ორივე გენდერისაგან იქმნება, არცერთ მათგანს, განსაკუთრებით კი ქალებს, არ გააჩნიათ სოლიდარობისა და თანადგომის შეგრძნება და არასტერეოტიპულად მოაზროვნე ქალის პირველი კრიტიკოსი ხშირად მისივე სქესის წარმომადგენელია: „მარტო კაცები კი არა, ქალებიც ბრაზობდნენ: რას დარბის იარაღით ხელში, დაეტიოს სახლში, ოჯახი შექმნას, შვილებს მიხედოს, მატყლი პენტოსო“.

ის ფაქტი, რომ თამრო ჯადოსნურ ძალას ფლობდა, სოფლისთვის უფრო მარტივი დასაჯერებელი აღმოჩნდა, ვიდრე იმის წარმოდგენა, რომ ქალს ნამდვილად შეუძლია სიმამაცის გამოჩენა და ბოროტი ხმების უგულვებელყოფა. თუმცა, ზღაპარი გოგონებსაც და ბიჭებსაც ასწავლის, რომ თუ საკუთარ თავში დარწმუნებული ხარ, არა აქვს მნიშვნელობა, რას ფიქრობს ხალხი შენზე და კარგად ერგები თუ არა საზოგადოების მიერ შემოთავაზებულ შემბოჭველ სტანდარტებს:

„აი, ასე იცხოვრა ოდესღაც ერთმა საოცარმა ქალმა, რომელსაც ბავშვობიდანვე ეტყობოდა, როგორიც გაიზრდებოდა, თუნდაც იმ ერთ ნაწვიმარ დღეს, როცა ბავშების დაცინვა არაფრად ჩააგდო: „თან გოგო ხარ და თან წვრილფეხებაო!“ – რომ ეუბნებოდნენ და ხომ თითქოს არაფერი, მაგრამ გამოექანა, უშველებელ გუბეს გადაახტა და იმ ბიჭს გახედა, წლების შემდეგ ქვას რომ ესროდა...“.

შემდგომ ორ ზღაპარშიც („ამბავი პრინცესა მართა-მარიამისა“, „მაღალი და დაბალი ქვაბები და ცაში გაფრენა“) ნათლადაა გადმოცემული, თუ როგორ ცდილობს საზოგადოება, შე-

ბოქოს ძლიერი, განსხვავებული ქალი, თუმცა ეს უკანასკნელი არაფრად აგდებს ხალხის აზრსა და თავისი გმირობით ქვეყანასაც კი გამოადგება. ასეთია დავით აღმაშენებლის მამიდა და ბიზანტიის დედოფალი – მართა-მარიამი, რომელიც საოცარ მეომრად ჩამოყალიბდა, ხალხი კი ფიქრობდა: „ხმლის ქნევა, მშვილდოსნობა და ცხენით ჯირითი რა პრინცესას საქმეაო". თუმცა, სწორედ მართა-მარიამის სიმამაცემ გადაარჩინა ქვეყანა და თავისი დროის ყველაზე ცნობილ ქალადაც აქცია.

ბოლო ზღაპარი კი, „მაღალი და დაბალი ქვაბები და ცაში გაფრენა", რუსუდან ჟორდანიაზე, პირველ ქართველ ქალ მფრინავზე მოგვითხრობს, რომელმაც დაძლია საზოგადოებაში ფართოდ გავრცელებული სტერეოტიპი და, მიუხედავად იმისა, რომ იგი პირველი ქალი მფრინავი იყო, მაინც დაეუფლა ამ პროფესიას: „მან გადაწყვიტა მფრინავი გამხდარიყო, ზოგმა მართლაც დასცინა, ზოგი კი სერიოზულად გაბრაზდა: „თავის თავზე რამხელა წარმოდგენა აქვსო. ქალებს რომ ეგ შესძლებოდათ, აქამდე გვეყოლებოდა მფრინავი ქალებიო". ისეთ საზოგადოებაში კი, რომელშიც ქალი ხშირად იმას ფიქრობდა, – „რად მინდა სწავლა და მუშაობა, გავზრდი შვილებს, სახლს მივხედავ და სწავლისა და წიგნის გარეშეც ბედნიერად ვიცხოვრებო", რუსუდანისნაირი თამამი ქალი ნამდვილად გამოირჩეოდა და, სავარაუდოდ, საფრთხესაც უქმნიდა საზოგადოების ჩვეულ წყობას – ქალის ადგილი იყო სახლში, ოჯახში და არა სადღაც ზემოთ, ცასა და ჰაერში. ზღაპარში საინტერესოა დედის წერილი რუსუდანისადმი, სადაც დედა ეწინააღმდეგება ქალის მიღებულ როლს საზოგადოებაში და მოუწოდებს ქალიშვილს, გახდეს ის, ვინც ნამდვილად სურს:

„არ მინდა, მხოლოდ მაღალ თუ დაბალ ქვაბებთან იდგე და გემრიელ სადილებს ამზადებდე. არ მინდა, მხოლოდ ოთახებს გვიდე და როცა გეტყვიან, რომ საუკეთესო დიასახლისი ხარ, მადლიერი იღიმებოდე და მეტი არაფერი გინდოდეს. მინდა, არ შეგეშინდეს და ის საქმე აკეთო, რომელიც მართლა ბედნიერს გაგხდის. როგორც გუშინ მითხარი, ცაში ფრენაც რომ მოგინდეს, ისწავლო, იწვალო და უშიშრად გაფრინდე".

ზემოთ განხილული ზღაპრის ყველა გმირი საზოგადოების უმრავლესობისგან განსხვავებული და გამორჩეულია. ზღაპრებში წარმოდგენილი ძლიერი ქალი პერსონაჟები არ ემორჩილებიან და უგულებელყოფენ კიდეც საზოგადოების აზრს, რითაც მის უკმაყოფილებასა და წინააღმდეგობას იწვევენ. თანამედროვე ზღაპრებში თვალნათლივაა წარმოჩენილი ბრძოლა იმ გენდერული სტერეოტიპების წინააღმდეგ, რომელიც დღემდე საოცრად მწვავედ დგას ქართული (და არა მხოლოდ ქართული) საზოგადოების წინაშე. ლინგვისტური თვალსაზრისით, ქალი პერსონაჟები აღარ საუბრობენ პასიური ზმნებით, არამედ ავტორები მათ აღსაწერად და ასალაპარაკებლად იყენებენ აქტიური პროცესის გამომხატველ ზმნებს, ისინი პირდაპირ გადადიან მოქმედებაზე, აქვთ თავიანთი ნება, ზღაპრებში ხშირია კოგნიტიური ზმნებიც, რომლებიც წინა საუკუნეების ზღაპრებში ქალთან დაკავშირებით ნაკლებად გვხვდება: გაიპარა, იცოდა, ცხენზე ამხედრდა, მახვილის მარჯვე მოქნევით, სიტყვა არ შეარჩინა, არ მეშინია, გააწყვეტინა, იფიქრა, მიხვდა და ა.შ.

მეტიც, სოციოლინგვისტური თვალსაზრისით, თითოეულ ზღაპარში წარმოდგენილია ის თემატიკა და მათ წინააღმდეგ გაბრძოლების მცდელობა, რომელიც წინა საუკუნეების ზღაპრის ტრადიციულ ნარატივად ითვლებოდა, რაც გამოვლინდა არა მარტო გმირების ქცევისა და მოქმედებების აღწერისას გამოყენებული ლინგვისტური ერთეულებით, არამედ თავად გმირების მეტყველების თავისებურებაშიც.

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე ლიტერატურულ ზღაპრებში:

1. ქალ პერსონაჟებს აღარ სჭირდებათ მამაკაცები, რომ ისინი დაიცვან, პირიქით, მათ აქეთ შეუძლიათ როგორც საკუთარი თავის, ისე სხვების გამოსარჩლება;

2. არაფერია ცუდი იმაში, თუ გოგონას ისეთი სფეროები აინტერესებს, რომლებიც ტრადიციულად ქალის როლთან არაა დაკავშირებული – ჯირითი, ბრძოლა, იარაღები, ფრენა;

3. ქალი აღარაა დაკავშირებული მხოლოდ საოჯახო სფეროსთან – მის უდიდეს მიღწევას აღარ წარმოადგენს, იყოს

იდეალური ქალიშვილი, შემდეგ მეუღლე და დედა, რადგანაც ამასთან ერთად მას შეუძლია, გახდეს მამაცი გმირი, რომელიც ქვეყანას გადაარჩენს;

4. გენდერული როლების შებრუნება მნიშვნელოვანია მამრობითი სქესის მკითხველებისთვისაც, რადგანაც, როგორც გოგონები, ისინიც ხშირად ხდებიან საზოგადოებაში ჩამოყალიბებული სტერეოტიპების მსხვერპლი – არაა სამარცხვინო, თუ ბიჭს რაიმეს შიში აქვს, არ არის განსაკუთებულად მამაცი ან ემოციურია და ტირილი უნდება;

5. რაც მთავარია, ზღაპრები ასწავლის ბავშვებს, განურჩევლად სქესისა, ირწმუნონ საკუთარი თავი, რის შედეგადაც, ისინი ყოველთვის მიაღწევენ სასურველს.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ენა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტია, რომელიც ემსახურება გენდერული როლების ჩამოყალიბებასა თუ მათ მსხვრევას. აქედან გამომდინარე, ძალზედ საინტერესოა ზღაპრის, როგორც სოციოლინგვისტური ფენომენის, ლინგვისტური კუთხით შესწავლა იმის დასადგენად, თუ როგორი მსოფლმხედველობის გამტარებელია იგი. ევროპული და ქართული ზღაპრების ანალიზმა თვალნათლივ აჩვენა, თუ რამდენად გაჟღენთილია ზღაპარი, როგორც ფორმა ტრადიციული, სტერეოტიპული აზროვნებით, რაც, ბუნებრივია, მოგვიანებით ცუდად აისახება ბავშვის გენდერულ მოლოდინებზე. როგორც ევროპულ, ისე ქართულ ზღაპრებში გამოიკვეთა საერთო პრობლემები, თუმცა მცირე განსხვავებებით:

1. შესწავლილ ზღაპრებში წინ წამოიწია ქალის სახლის სივრცესთან დაკავშირებამ, მისმა პასიურობამ, მაშინ, როცა მამაკაცი ასოცირდება აქტიურ სოციალურ გარემოსთან. ეს, ბუნებრივია, გამოწვეულია არსებული საზოგადოებრივი წყობითა და გავრცელებული სტერეოტიპებით, რომლებიც აქტუალური იყო და არის სხვადასხვა კულტურაში.

2. ქალს მუდმივად სჭირდება მამაკაცი, რომ ის გადაარჩინოს, იხსნას აუტანელი ცხოვრებისგან. ეს ფუნქცია ზღაპრებში, ძირითადად, პრინცებს (ბატონიშვილებს) ეკისრებათ, რაც

ძალზე მნიშვნელოვანია, რადგანაც სახლში ჯდომა, პასიურობა ზღაპარში რომანტიზირებულია; შესაბამისად, ის პატარა მკითხველში აღარ იწვევს უარყოფით ემოციებს და უჩნდება სურვილი, დაელოდოს საკუთარ „თეთრ ცხენზე ამხედრებულ პრინცს“.

3. ზოგად ევროპულ ზღაპარში, ქართულისა და ბრიტანულისგან განსხვავებით, ასევე ხშირია გმირების გარეგნული პორტრეტის აღწერები, რომელთა სტანდარტებმაც შეიძლება ხელი შეუშალოს ბავშვის ცნობიერებაში გარეგნობისადმი ჯანსაღი მიდგომების ჩამოყალიბებას. როგორც განხილულმა კვლევებმა აჩვენა, ბავშვები, რომლებიც ვერ ერგებიან სტერეოტიპული სილამაზის სტანდარტებს (ქერა, ცისფერთვალება, ტანადი, თხელი), თავს არ აღიქვამენ ლამაზად, რაც საბოლოოდ მათ თვითშეფასებაზე უარყოფითად მოქმედებს.

4. ლინგვისტური თვალსაზრისით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ბოროტი, ძლიერი პერსონაჟი ქალები იყენებენ მამაკაცების საუბრისთვის დამახასიათებელ ელემენტებს, არიან პირდაპირი, მომთხოვნი, საქმეზე ორიენტირებული, თუმცა მათი მისწრაფებები სრულიად განსხვავდება ძლიერი მამაკაცის მოთხოვნებისგან. მაგალითად, ძლიერი, ბოროტი ქალი პერსონაჟები მიისწრაფიან, იყვნენ გარეგნულად ლამაზები, როდესაც მამაკაცისთვის პრიორიტეტული იქნებოდა ძალაუფლება.

5. ქალის გონებრივი შესაძლებლობების ასახვა ხშირად წინწამოწეული თემაა ზღაპრებში. განხილული კულტურების ზღაპრებში ქალი ნაკლებად გამოირჩევა გონებრივი შესაძლებლობებით, რაც გამოიხატება არა მხოლოდ მათი საქციელით, არამედ ავტორის მიერ მათ მიმართ შერჩეული ზმნებითაც, რომლებიც იშვიათადაა კოგნიტიური პროცესის გამომხატველი. იმ შემთხვევაში კი, თუ ავტორი ქალის მიმართ იყენებს კოგნიტიური პროცესის გამომხატველ ზმნებს, ისინი, ძირითადად, უარყოფითი ფორმით არის წარმოდგენილი (didn't remember, didn't know...).,

6. ევროპულ და ქართულ ზღაპრებში ხშირად ვხვდებით ქალზე როგორც ფიზიკურ, ისე ფსიქოლოგიურ ძალადობას –

ბოროტი ჯადოქრები, დედინაცვლები თუ მამაკაცი პერსონაჟები ქალებზე ხშირად ძალადობენ – არამორჩილ, ცნობისმოყვარე ქალ პერსონაჟებს ზღაპრებში ან ფიზიკურად უსწორდებიან (ძირითადად, ძველქართულ ზღაპრებში), ან როგორც ფიზიკურად, ისე ფსიქოლოგიურად ჩაგრავენ მათ: მაგალითად, კეტავენ კოშკში, უშლიან ხალხთან ურთიერთობას, ამახინჯებენ, აკოჭლებენ და ა.შ.

7. ზღაპრებში ხშირია ქალის პიროვნული და სოციალური ხმის ჩახშობა, რაც წარმოადგენს საზოგადოების კულტურული ღირებულებების არეკვლას ზღაპარში. მიუხედავად იმისა, რომ ქალები მთავარი გმირები არიან და ხშირად სწორედ მათი სახელები ჰქვიათ ზღაპრებს, მათში ნაკლებად ვხვდებით მათ მიერ წამოწყებულ საუბარსა თუ მენტალურ-კოგნიტიურ პროცესებს (მაგ., „მძინარე მზეთუნახავი", სადაც გოგონა მხოლოდ ზღაპრის ბოლოში იწყებს საუბარს. იქამდე კი მას აუპატიურებენ, სასახლეში კეტავენ, მის შეჭმას ცდილობენ და ა.შ.).

8. ზღაპრებში ასევე ნაკლებად ჩანს მამაკაცების ემოციები, რაც, ასევე ცალსახად მიუთითებს საზოგადოებაში გავრცელებულ სტერეოტიპზე, რომ ემოციის გამოხატვა მხოლოდ ქალის საქმეა.

9. აუცილებლად უნდა აღინიშნოს თანამედროვე ქართული ზღაპრები, რომლებიც სწორედ ზემოთჩამოთვლილი ტრადიციული ნარატივის წინააღმდეგ გასალაშქრებლად შეიქმნა. შესაბამისად, მათში დარღვეულია ყველა ზემოთჩამოთვლილი სტერეოტიპი. თანამედროვე ქართული ზღაპრების პერსონაჟები უკვე აქტიური, ჭკვიანი, თავგადასავლების მოყვარული გოგონები არიან, რომლებიც, საჭიროების შემთხვევაში, შეძლებენ არა მხოლოდ საკუთარი თავის დაცვას, არამედ ბიჭებისასაც კი. მათ აინტერესებთ ბუნება, ჯირითი, ფრენა და აღარ არიან შებოჭილი სახლის გარემოში.

10. გენდერული როლების მსხვერპლი ხდებიან არა მხოლოდ გოგონები, არამედ ბიჭებიც, რადგანაც მათაც უწესებს საზოგადოება კონკრეტულ შებოჭვებს. თუმცა, თანამედროვე ქართულ ზღაპრებში ბიჭებს „უფლება ეძლევათ," გამოხატონ

ემოციები და აღარ არიან შებოჭილი იმ მიდგომით, რომ ისინი აუცილებლად ძლიერნი და მამაცნი უნდა იყვნენ.

11. ზღაპრების მნიშვნელობა ბავშვების აზროვნების სწორად ჩამოყალიბებაში უდავოა, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ აუცილებელია მათი სწორად მიწოდება, რომ ბავშვებს არ გაუჩნდეთ არასწორი სოციალური მოლოდინი, რამაც, შესაძლოა, მოგვიანებით, თანამედროვე საზოგადოებაში დიდი პრობლემა შეუქმნას მათ.

მეთოდოლოგია

მონოგრაფიაში აღწერილი კვლევა-ექსპერიმენტი ჩატარდა სამ ეტაპად. სულ, მასში მონაწილეობა მიიღო 200-მა ცდის პირმა (33 მამაკაცმა, 166 ქალმა). კვლევა-ექსპერიმენტში ჩართული იყო როგორც ქართული, ისე სხვა ევროპული კულტურების წარმომადგენლებიც. მონაწილეების ასაკი მერყეობდა 8-დან 87-წლამდე და, შეიძლება ითქვას, მოიცავდა თითქმის ყველა ასაკობრივ ჯგუფს. ექსპერიმენტის მიზანს წარმოადგენდა დაედგინა, თუ

(1) როგორ აღიქვამს სხვადასხვა კულტურის წარმომადგენელი ზღაპრებში ასახულ გენდერულ სტერეოტიპებს;

(2) იხატება თუ არა გენდერული სტერეოტიპებისადმი განსხვავებული მიდგომა სხვადასხვა კულტურაში და

(3) იკვეთება თუ არა განსხვავებული გენდერული სტერეოტიპები კვლევის მამრობითი თუ მდედრობით სქესის მონაწილეების პასუხებში; შესაბამისად, არის თუ არა სქესი განმსაზღვრელი ფაქტორი გენდერული თვალსაზრისით სტერეოტიპულ აზროვნებაში.

კვლევა-ექსპერიმენტის შედეგები დადგენილია როგორც თვისობრივი, ისე რაოდენობრივი კვლევის მეთოდების გამოყენებით. კვლევისას გამოყენებული იყო ელექტრონული კითხვარი, რომელიც შეავსო კვლევის ყველა მონაწილემ. გარდა ამისა, ექსპერიმენტის პირველი სამიზნე ჯგუფი (სკოლის მოსწავლეები) გამოვკითხეთ როგორც ჩაღრმავებული, ისე ჯგუფური ინტერვიუებისა და ჯგუფზე დაკვირვების მეთოდების გამოყენებით. ექსპერიმენტის დასრულების შემდეგ შევადგინეთ ცხრილები (მოცემულია როგორც უშუალოდ ტექსტში, ისე დანართებში (დანართი 1, 2 და 3-ში) და გავაანალიზეთ კვლევის შედეგები (კონტენტ ანალიზის მეთოდზე დაყრდნობით).

კვლევა-ექსპერიმენტი


წინამდებარე კვლევა-ექსპერიმენტი ჩატარდა სამ ეტაპად სამ სხვადასხვა სამიზნე ჯგუფში. ექსპერიმენტი მიზნად ისახავდა სხვადასხვა ასაკის, კულტურისა და სქესის წარმომადგენლების გამოკითხვას და გენდერული სტერეოტიპებისადმი მათი დამოკიდებულების გამოვლენას. სამივე შემთხვევაში შეიქმნა კითხვარი, რომელშიც მოცემული იყო ამონარიდები ზღაპრებიდან. ამონარიდებიდან ამოღებული იყო სახელები და პირის ნაცვალსახელები, რომლებსაც მონაწილეებისთვის პერსონაჟის სქესი შეეძლოთ მიენიშნებინათ. ექსპერიმენტში მონაწილეებს უნდა დაეფიქსირებინათ აზრი იმასთან დაკავშირებით, ტექსტინად ამოღებული ფრაზები გოგონას ეხებოდა თუ ბიჭს და შემდეგ დაესაბუთებინათ არჩევანი. სავარაუდო პასუხებში არცერთი კითხვარი არ შეიცავდა არჩევანს „ორივე სქესი", რადგანაც კვლევის მიზნებისთვის, კითხვარი ორიენტირებული იყო იმაზე, რომ მონაწილეს შემოეხაზა ის პასუხი, რომელიც „ამოუტივტივდა" გონებაში ფრაზის/ამონარიდის წაკითხვისას.

კვლევის პირველ სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდნენ სკოლის მოსწავლეები. ამ კონკრეტულ შემთხვევაში გამოიკითხა გიმნაზიის „შავნაბადა" 10-14 წლის 19 მოსწავლე (11 გოგონა, 8 ბიჭი). სკოლაში ექსპერიმენტი ჩატარდა ორ ეტაპად. პირველ ეტაპზე მოსწავლეებს შესავსებად დაურიგდათ შვიდკითხვიანი ანონიმური კითხვარი (მოსწავლეებს მოეთხოვებოდათ მხოლოდ სქესის მითითება) (იხ. დანართი 1); პასუხის დაფიქსირების შემდეგ მათ მოისმინეს ზღაპარი „ქაღალდისკაბიანი პრინცესა" და წინასწარ მომზადებული კითხვების მეშვეობით შედგა დისკუსია. მოსწავლეებს სახალისო და თავისუფალ გარემოში მიეცათ საშუალება, გამოეხატათ თავიანთი დამოკიდებულება ზღაპარში წარმოდგენილი გენდერული როლების მიმართ; ამასთან ერთად, მათთან ჩატარდა დისკუსია, რომელიც მოიცავდა შემდეგ თემატიკას: გოგონას როლი ზღაპრებში, ბიჭის როლი ზღაპრებში, რა ძირითადი განსხვავებაა მათ შორის

და ა.შ. რამაც საშუალება მისცა მოსწავლეებს, პარალელი გაევლოთ საკუთარ ცხოვრებასთან. აღნიშნული დისკუსია ჩაიწერა და შემდეგ გაანალიზდა. მოსწავლეები ინფორმირებულნი იყვნენ ამის თაობაზე. ექსპერიმენტმა გასტანა დაახლოებით 50 წუთს. როგორც აღვნიშნეთ, მას წინ უძღოდა მოსწავლეებისთვის სახალისო კითხვების დასმა, რათა შექმნილიყო სახალისო და „დაცული" გარემო და ბავშვებს არ მორიდებოდათ თავიანთი აზრის დაფიქსირება.


საინტერესოა, რომ კითხვარში მოცემული თითოეული ამონარიდი ეხება გოგონას და ამოღებულია თანამედროვე ზღაპრების კრებულიდან „იყო ერთი გოგო". თუმცაღა, როგორც ცხრილებიდან ჩანს, უმეტეს შემთხვევაში მოსწავლეების უმრავლესობას ჰგონია, რომ ამონარიდები უნდა ეხებოდეს ბიჭს (თუ არ ჩავთვლით მესამე და მეოთხე კითხვებს, რომელზეც ოთხმა გოგონამ მიუთითა, რომ ამონარიდი ეხებოდა მამრობით სქესს,

Fig 16. გოგონების მიერ გაცემული პასუხები



და ხუთმა გოგონამ აღნიშნა, რომ ნაგულისხმები იყო მდედრობითი სქესი). აღსანიშნავია, რომ ორივე შემთხვევაში მივიღეთ ერთი პასუხი, რომელსაც გოგონებმა კომენტარებში დაურთეს, რომ მოცემული ფრაზა ბიჭებსაც შეიძლება შეესაბამებოდეს).

Fig 17. ბიჭების მიერ გაცემული პასუხები



ექსპერიმენტში მონაწილე რვავე ბიჭს მიაჩნია, რომ პირველ კითხვაში წარმოდგენილი ამონარიდი:

„ღონიერი, ჭკვიანი, თავგადასავლების მოყვარული? ... ზოგიერთი ისეთი [...] ვიცი, ყველაზე ღონიერ ფალავნებს რომ ამარცხებს, ცხენს ცალი ხელით სწევს, დათვს ეჭიდავება და ცელის ერთი მოსმით ნახევარ მინდორს მკის“.

ცალსახად მიემართება ბიჭს, რადგანაც, მათი აზრით, ძალ-ღონე და ჭკუა უფრო ბიჭისთვისაა დამახასიათებელი – „რა თქმა უნდა, [ბიჭი] რადგან ისინი ყველაზე ძლიერნი არიან და უყვართ თავგადასავლები“, „ბიჭი არის ყველაზე ძლიერი. ქალი

არის მშიშარა და უძლური"; „რადგან ბიჭები ძლიერები არიან, ხოლო გოგოები-ნაზები". მეტიც, ექსპერიმენტში მონაწილე ბიჭები არა მხოლოდ ფიქრობენ, რომ კაცები ძლიერები და ჭკვიანები არიან, არამედ, მათი წარმოსახვით, ქალი არის მშიშარა და უძლური. ცხადია, ჩამოთვლილი ზედსართავები უარყოფითი კუთხით ახასიათებს ქალს. საინტერესოა ისიც, რომ გოგონების უმრავლესობა ასევე ეთანხმება მოსაზრებას, რომ ბიჭები უფრო ძლიერები არიან და, მათი აზრით, ასეთი ეპითეტებით ზღაპრებში უფრო ხშირად ბიჭები არიან მოხსენიებულნი. როგორც შედეგებმა ცხადყო, ბავშვებს უკვე ამ ასაკშივე არასწორი დამოკიდებულება აქვთ ქალის როლისადმი და ქალს აღიქვამენ მხოლოდ „სუსტ სქესად", რომელსაც სჭირდება დაცვა და მოვლა. საინტერესოა, რომ ამ აზრს იზიარებენ არა მხოლოდ ბიჭები, არამედ გოგონებიც.

როგორც გოგონები, ისე ბიჭები მიიჩნევენ, რომ ისეთი სიტყვები, როგორებიცაა „ღონე", „ჩაფხუტი", „საომარი აბჯარი", „დევის ნატეხი", „ჯიბრიანი", „ძლიერი", „თამამი", უფრო ბიჭებისთვის დამახასიათებელი ზედსართავები თუ არსებითი სახელებია, რადგანაც, მათი აზრით, ბიჭები „მამაცები" და „მებრძოლები" არიან, და „ყველაფერი ეხერხებათ". მეტიც, ბავშვების აზრით, ბიჭებს „უფრო კარგად შეუძლიათ [ნივთების] შენახვა", რაც გულისხმობს იმას, რომ ისინი „გოგონებზე უფრო ფრთხილნი და ყურადღებიანნი არიან". გარდა ამისა, როგორც ერთ-ერთი ბიჭი აღნიშნავს, „ალმასს უფრო ბიჭს გადასცემდნენ, რადგანაც „ბიჭი დედისთვის არის ყველაზე ძვირფასი". ეს პოზიცია ცალსახად აირეკლავს საზოგადოებაში გავრცელებულ იმ სტერეოტიპს, რომ ვაჟიშვილის, შესაბამისად, გვარის გამგრძელებლის გაჩენა ქალისთვის უპირველეს და საპატიო მოვალეობად ითვლება. გარდა ამისა, ბავშვების აზრით, „იარაღი მხოლოდ კაცს უჭირავს". შესაბამისად, ბავშვებს უკვე გათავისებული აქვთ ის გენდერული როლები და მოსაწონი თუ დასაგმობი ქცევები, რომლებიც დალექილია სტერეოტიპულად მოაზროვნე საზოგადოებაში. გარდა იარაღისა, ბავშვებს ასევე მიაჩნიათ, რომ გოგონები უფრო მორჩილები და ნაზები უნდა

იყვნენ, მათ ასევე „უფრო მალე სწყინთ რაღაცები და ტირიან“. შესაბამისად, ორივე სქესის ბავშვისთვის მორჩილება და ტირილი, უფრო მეტად გოგოსთვის დამახასიათებელი ქცევებია, ვიდრე ბიჭისთვის. ამასთანავე, საინტერესოა ბავშვების დამოკიდებულება ლექსიკური ერთეულისადმი „ჯიუტი“. სტერეოტიპულად, სიჯიუტე უფრო ბიჭისთვის არის დამახასიათებელი და ბავშვები მას ხშირად ასახელებდნენ ბიჭის სხვა სტერეოტიპულ თვისებებთან, კერძოდ, სიმამაცესთან ერთად. საინტერესოა, რომ ცდისპირებმა უარყოფით კონტექსტში ეს ზედსართავი უფრო გოგონას მახასიათებლად მიიჩნიეს – „გოგონები სულ ჯიუტები არიან და არ უჯერებენ არავის“.

როგორც უკვე აღინიშნა, ქართულ საზოგადოებაში ხშირად გავიგებთ ბიჭისკენ მიმართულ ფრაზას „რა გატირებს, გოგო ხომ არ ხარ?!“ ამონარიდში „აქა ხარ? შენთან ვიყავი სახლში, გეძებდი. – მოესმა მოულოდნელად მისი ხმა და ისე შერცხვა საკუთარი ცრემლების, სასწრაფოდ ხეზე აცოცდა,“ სწორედ ეს სტერეოტიპი რეალიზდება – ბიჭებისთვის ტირილი სამარცხვინოა. ბავშვების იმ ჯგუფმა, რომლებმაც ადეკვატურად გაიაზრა ეს ფრაზა, მიუთითა, რომ, მათი აზრით, ამონარიდი უფრო ბიჭისკენ იქნებოდა მიმართული, რადგანაც „ცრემლების, ალბათ, ბიჭს უფრო შერცხვებოდა, ვიდრე გოგოს“. მათ კი, რომლებმაც გოგონა მონიშნეს ამ პასუხში, დასაბუთებისას აღნიშნეს, რომ მათი აზრით ცრემლები და ტირილი უფრო გოგოსთვისაა დამახასიათებელი, რადგანაც გოგონები არიან „მტირალები, თანაც მორცხვები“.

ლინგვისტური თვალსაზრისით, განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა ბოლო კითხვა: „რას დარბის იარაღით ხელში, დაეტიოს სახლში, ოჯახი შექმნას, შვილებს მიხედოს...“. აქ მოსწავლეებმა სამ სხვადასხვა სტერეოტიპულ მიდგომას გაუსვეს ხაზი. ზოგიერთმა ამ ამონარიდში განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა ფრაზაზე „იარაღით სირბილი“, რაც, როგორც უკვე აღინიშნა, მათთვის უფრო მამაკაცური საქციელია, ვიდრე ქალური. შემდეგი ფრაზა, რომელმაც ბავშვების ყურადღება მიიპყრო და მათი პასუხების მრავალფეროვნება გამოიწვია,

არის „ოჯახი შექმნას“. მათი აზრით, „ოჯახის შექმნას“ ბიჭებს თხოვენ, რადგანაც, დღემდე მიღებული სტერეოტიპის მიხედვით, ოჯახის შექმნის ინიციატივას იჩენს კაცი. კაცი არის ის, ვინც ირჩევს ცოლს და შემდეგ ქმნის ოჯახს, ხოლო ქალი ქმარს „მიჰყვება“. მათი პასუხები შემდეგია : „ოჯახს კაცი ქმნის“, „ბიჭებს ეუბნებიან, ოჯახი შექმენიო“, „ბიჭს იმიტომ ვფიქრობ, რომ აქ საუბარია ოჯახის შექმნაზე, რაც გვეუბნება, რომ ამას ეუბნებიან უფრო ბიჭს და გოგოს ეუბნებიან სხვანაირად“. მესამე ფრაზა კი, რომელზეც ბავშვების ნაწილმა გაამახვილა ყურადღება, არის „შვილებს მიხედოს“, რაც არაა გასაკვირი, რადგანაც საზოგადოებაში ეს ცალსახად ქალის მოვალეობად ითვლება, რასაც ადასტურებს შემდეგი პასუხები: „გოგომ უნდა მიხედოს ოჯახს“, „ჩემი აზრით, გოგომ შვილები უნდა აჩინოს. კი არიან ისეთი გოგონებიც, რომლებიც ავტომატით დარბიან, მაგრამ ასეთმა გოგოებმაც უნდა მოითოკონ ნერვები და სახლში შვილები ზარდონ“. საყურადღებოა, რომ ამ ასაკშიც კი (10-14 წელი) მოსწავლეები უკვე სტერეოტიპულად აზროვნებენ. მეტიც, მათ ლინგვისტურ არჩევანში აშკარად ჩანს აგრესია და ნეგატიური დამოკიდებულება ძლიერი ქალის მიმართ და სურვილი, რომ იგი დაემორჩილოს (მეტაფორულად „მოთოკონ“) საზოგადოებაში მიღებულ სტერეოტიპებს და იძულებით დაუკავშირონ ქალი მხოლოდ საოჯახო სივრცეს.

პირველი ექსპერიმენტის მეორე ეტაპზე, ქეით პეტერსონის (2014) კვლევაზე დაყრდნობით, ბავშვებს წავუკითხეთ „ქაღალდისკაბიანი პრინცესას“ ქართული თარგმანი და დავუსვით კითხვები (1) ტექსტის უკეთ გასაანალიზებლად და (2) მათი დამოკიდებულების გასარკვევად ზღაპრის სიუჟეტისადმი. ზღაპრის სიუჟეტი ასეთია: პრინცესა ელიზაბეტის სასახლეს დრაკონი დაესხმება თავს და გადაწვავს, თან ელიზაბეტის საქმროს, პრინც რონალდსაც წაიყვანს ტყვედ. უკაბოდ დარჩენილი ელიზაბეტი ქაღალდის კაბას ჩაიცვამს და დრაკონისგან პრინცის დასახსნელად გაეშურება. გოგონა მართლაც მოახერხებს დრაკონის გაცურებას, თუმცა პრინცი მისი ჩაცმულობით არ მოიხიბლება და გოგონას სთხოვს, „პრინცესულად ლამაზი

რომ იქნება“, მერე დაბრუნდეს მასთან. პრინცის უხეშობით გაბრაზებული ელიზაბეტი რონალდს უზრდელს უწოდებს და ცოლადაც აღარ მიჰყვება.

ბავშვებს დავუსვით ქვემოთ ჩამოთვლილი, წინასწარ მოფიქრებული კითხვები, შემდეგ კი ის შეკითხვები, რომლებიც უშუალოდ დისკუსიისას წამოჭრილმა საკითხებმა/პრობლემებმა გამოკვეთა:

1. ამ ზღაპარში დრაკონი პრინცს იტაცებს. სხვა ზღაპრებში, ძირითადად, პრინცესებს რატომ იტაცებენ დრაკონები?

2. ზღაპრებში პრინცები როგორ ამარცხებენ ხოლმე დრაკონს?

3. პრინცესები ხანჯლებით ხშირად დარბიან?

4. როგორ გადაარჩინა პრინცი ელიზაბეტმა? პირიქით რომ ყოფილიყო, როგორ გგონია, როგორ იხსნიდა პრინცი პრინცესას?

5. როგორ ფიქრობ, კარგი გადაწყვეტილება მიიღო პრინცესა ელიზაბეტმა, რომ პრინცს არ გაყვა ცოლად? რატომ?

კითხვაზე, თუ რატომ იტაცებენ დრაკონები, ძირითადად, პრინცესებს და არა პრინცებს, ბავშვებმა განაცხადეს, რომ გოგონები „სუსტები“ არიან, ხოლო „ბიჭები უფრო მაგრები არიან და გმირებად გამოჩნდებიან, გოგონებს რომ გადაარჩენენ“. როგორც ბიჭები, ისე გოგონები თანხმდებიან, რომ მტრის, ამ შემთხვევაში კი დრაკონის, დასამარცხებლა, მხოლოდ ღონე არ კმარა და ჭკუაც საჭიროა. თუმცა, მათი აზრით, პრინცს რომ გადაერჩინა გოგონა, ის უფრო ხმალს გამოიყენებდა და არა გონებას, როგორც ამ შემთხვევაში ელიზაბეტმა გააკეთა. ეს კი გამოწვეულია იმით, რომ „კაცები უფრო ჩხუბისკენ მიიწევენ“. საინტერესოა, რომ გოგონების ნაწილმა აღნიშნა, რომ ზღაპრებში გოგონების სუსტად გამოყვანა „გოგონებს ამცირებს“, რადგანაც ეს სულაც არ შეესაბამება სიმართლეს – „ხომ არსებობენ ბოქსიორი გოგონებიც?“ ზღაპრის გაანალიზებისას ბავშვები არ უარყოფენ იმას, რომ ელიზაბეტი მართლაც შეიძლებოდა ძლიერი ყოფილიყო, მაგრამ მან ჭკუას მოუხმო. ბავშვები ასევე მართებულად იხსენებენ ანდაზას: „ხერხი ჯობია ღონესა,

თუ კაცი მოიგონებსაო". თუმცა მათი ნაწილი (8 ბიჭი) უარყოფს იმ მოსაზრებას, რომ გოგონა შეიძლება ძლიერი ყოფილიყო და ჰგონიათ, რომ მან სწორედ იმიტომ გამოიყენა გონება, რომ მიხვდა, ფიზიკურად ვერ დაამარცხებდა დრაკონს. აღსანიშნავია, რომ ჯანსაღი დისკუსიითა და ცხოვრებისეული შედარებების მოხმობით ბავშვები მიდიან იმ დასკვნამდე, რომ არ შეიძლება განზოგადება და, ასევე, შესაძლებელია, რომ კლასში ზოგიერთი გოგონა უფრო ძლიერი იყოს, ვიდრე ბიჭი; შესაბამისად, შეიძლება იყვნენ ბიჭები, რომლებიც გოგონაზე უფრო ჭკვიანი იქნებიან. საინტერესოა ცვლილება იმ მიდგომაში, რომელიც დაფიქსირდა ძველ ქართულ ზღაპრებში – ქალი არის უგუნური არსება, რადგანაც, ბავშვების საუბრიდან გამომდინარე, აშკარად იგრძნობა დამოკიდებულება, რომ გოგონები სტერეოტიპულად არიან ჭკვიანები, ხოლო ბიჭები – ძლიერები.

ასევე უნდა აღინიშნოს ბავშვების დამოკიდებულება იმ ფაქტის მიმართ, რომ ელიზაბეტი ზღაპრის ბოლოს არ მიჰყვება ცოლად რონალდს. გოგონები აღნიშნავენ, რომ მათ არ სჭირდებათ ისეთი ქმარი, რომელიც მათ „არ მოუვლის და მხოლოდ სილამაზეზე იფიქრებს", „მთავარი სილამაზე არაა, მთავარია გიყვარდეს", „რად უნდოდა უმადური ქმარი, ამდენი რაღაცა გააკეთა და არ დაუფასა". მოსწავლეების პასუხებიდან ასევე გამოიკვეთა შემდეგი აზრი, რომელსაც გოგონები უსვამენ ხაზს, რომ ქმარმა ცოლს უნდა მოუაროს და მიხედოს, თუმცა, ისინი ასევე აღნიშნავენ, რომ მათ მოეწონათ, „რომ გოგომ მიატოვა ბიჭი", რადგანაც მათი აზრით, ზოგადად, რეალურ ცხოვრებაში პირიქით უფრო ხდება ხოლმე. აშკარაა, გოგონები ცდილობენ, გაიბრძოლონ სტერეოტიპების წინააღმდეგ, თუმცა ისინი ხანდახან მაინც ექცევიან საზოგადოებაში გავრცელებული მიდგომების ზეგავლენის ქვეშ.

ცდის ჯგუფში ცხადად აღინიშნებოდა გოგონებსა და ბიჭებს შორის გენდერულ როლებთან დაკავშირებით არსებული განსხვავებული მიდგომა – გოგონები ცდილობდნენ თავიანთი „უფლებების" დაცვას, მაშინ, როდესაც ბიჭები ჯიუტად იცავ-

დნენ აზრს, რომ გოგონები სახლში უნდა ისხდნენ და საჭმელს აკეთებდნენ, მეტიც, ბიჭების მიერ ქალთან დაკავშირებით მოყვანილი მაგალითებიც ძირითადად სტერეოტიპულად ქალურია და მხოლოდ საოჯახო სივრცეს უკავშირდება: „გოგონები, სახლის დალაგებისას ფრჩხილი რომ მოტყდებათ, მაგაზეც ტირიან". ამ მოსაზრებებმა დისკუსიის დროს განსაკუთრებული ვნებთაღელვა გამოიწვია:

გიორგი[1]: „კაცს მოაქვს საჭმელი სახლში".

თამარი: „მერე? ქალი ამზადებს!"

მარიამი: „მამაჩემი დედას ეხმარება, როცა დაღლილია და ჭურჭელს რეცხავს ხოლმე".


გოგონები ცდილობდნენ, დაპირისპირებოდნენ გიორგის მიერ გამოთქმულ ფრაზას და ასეთი კონტრარგუმენტი მოჰყავდათ: „კაცის მოტანილი პროდუქტი არაფერია, თუ ის ქალმა არ მოამზადა". გარდა ამისა, მარიამს მოჰყავს მაგალითი საკუთარი ოჯახის ცხოვრებიდან, რომ მამამისი ჭურჭელს ხშირად რეცხავს, რადგან ქალიც ისევე იღლება მუშაობისას, როგორც კაცი.

ჩატარებული ექსპერიმენტის შედეგად გამოვლინდა ის ფაქტი, რომ გოგონებიც და ბიჭებიც კარგად იცნობენ საზოგადოებაში არსებულ სტერეოტიპებს. ამასვეს ადასტურებს კითხვარის პასუხების ანალიზი და, მეტიც, ამ ექსპერიმენტში მონაწილე გოგონებიც და ბიჭებიც საკმაოდ სტერეოტიპულად აზროვნებენ, რადგანაც მათ ორივე სქესს ცალსახად ის როლები მიაკუთვნეს, რომლებიც ფესვებგადგმულია საზოგადოებაში: კერძოდ, ქალის თვისება არის მორჩილება და სინაზე, გოგონასი კი – ბუტიაობა და მტირალობა. ასევე, ქალის მოვალეობაა ოჯახის მოვლა და ბავშვების აღზრდა. ბიჭებს კი ცრემლების რცხვენიათ; სიმამაცე, ბრძოლა და საბრძოლო ატრიბუტიკა ძირითადად მამაკაცისთვისაა დამახასიათებელი და იარაღით მხოლოდ კაცები თუ დარბიან. გარდა ამისა, ცოლის მოყვანა კაცის საქმეა, ხოლო, როგორც ზემოთ აღინიშნა, ოჯახის მოვლა და ბავშვების აღზრდა – ქალისა.

[1] სახელები შეცვლილია.

მეორე მხრივ, გასაკვირია, მაგრამ იმავე ბავშვებმა დისკუსიაში განსხვავებული მიდგომა წარმოადგინეს: გოგონები თვალნათლივ ცდილობდნენ, ბიჭებს დაპირისპირებოდნენ და დაეძლიათ ის სტერეოტიპები, რომლებიც მათ საკმაოდ ბევრ შეზღუდვებს უწესებს – მათ აღარ მოსწონთ, რომ ისინი ზღაპრებში სუსტებად არიან წარმოდგენილნი; მეტიც, გოგონები ამას დამცირებად აღიქვამენ, არ სურთ მხოლოდ სახლის საქმეებთან და მეორეხარისხოვან როლთან დაკავშირება და უჭერენ მხარს იმ მოსაზრებას, რომ საოჯახო საქმე ორივე სქესისთვის თანაბრად გადასანაწილებელია და ამაში სათაკილო არაფერია.

Fig. 18. ექსპერიმენტში მონაწილეთა ასაკობრივი გადანაწილება



კვლევის მეორე ეტაპი ჩატარდა ონლაინსივრცეში, ელექტრონული კითხვარით. კითხვარში მოცემული იყო როგორც ქართული, ისე ინგლისურენოვანი ზღაპრიდან ამოღებული ამონარიდები. კვლევის მონაწილეებს უნდა ეპასუხათ, მათი

აზრით, რომელ სქესს უკეთ მიესადაგებოდა წინადადებები. ექსპერიმენტის მეორე სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდნენ ქართველები, რომლებსაც ესმით ინგლისური ენა. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 166-მა ადამიანმა, რომელთა ასაკი მერყეობდა 8-დან 87 წლამდე, და, შეიძლება ითქვას, რომ მოიცავდა თითქმის ყველა ასაკობრივ ჯგუფს. მონაწილეთაგან 143 იყო მდედრობითი სქესის წარმომადგენელი, ხოლო 23 მამრობითი სქესის.

მეორე სამიზნე ჯგუფთან გამოყენებული კითხვარი შეიცავდა 15 კითხვას, თითოეული კითხვა წარმოადგენდა ამონარიდს ზღაპრიდან. ამონარიდები ამოღებულია 10 ქართული და 5 ევროპული ზღაპრიდან. კითხვარის შევსებისას მონაწილეებს ევალებოდათ იმ სქესის მონიშვნა, რომელიც, მათი აზრით, ყველაზე მეტად მიესადაგებოდა ამონარიდის შინაარსს. თითოეულ შეკითხვას 2 არჩევითი პასუხი (მდედრობითი სქესი თუ მამრობითი სქესი) მოსდევდა და ამასთან, თითოეულ კითხვაზე პასუხის მონიშვნის შემდეგ მონაწილეს არგუმენტირებულად უნდა დაესაბუთებინა თავისი არჩევანი.

აღსანიშნავია, რომ მეოთხე კითხვის გარდა (4. აქა ხარ? შენთან ვიყავი სახლში, გეძებდი. -მოესმა მოულოდნელად მისი ხმა და ისე შერცხვა საკუთარი ცრემლების, სასწრაფოდ ხეზე აცოცდა), ყველა ამონარიდი აღწერდა გოგონას, თუმცა საზოგადოებაში გავრცელებული სტერეოტიპებიდან გამომდინარე, როგორც მოსალოდნელი იყო, ექსპერიმენტში მონაწილეებმა ისინი მამრობით სქესს მიაწერეს. მეორე მხრივ, ის კითხვები, რომლებიც ეხებოდა მებრძოლებს და ძალის გამოყენებას აღწერდა, კვლევაში მონაწილეებმა უფრო მამრობით სქესს მიაკუთვნეს.

1. ღონიერი, ჭკვიანი, თავგადასავლების მოყვარული? ... ზოგიერთი ისეთი [...] ვიცი, ყველაზე ღონიერ ფალავნებს რომ ამარცხებს, ცხენს ცალი ხელით სწევს, დათვს ეჭიდავება და ცელის ერთი მოსმით ნახევარ მინდორს მკის;

2. დევის ნატეხი ხარო – ეტყვის ხოლმე ბებო – უტეხი და ჯიუტი ხასიათი გაქვსო.

3. ეს ალმასი შენი ძალა იქნება. იცოდე, რომ [...] ბევრი რამ შეუძლიათ, მთავარია, შენი ღონე სწორად გამოიყენო...;

4. აქა ხარ? შენთან ვიყავი სახლში, გეძებდი. – მოესმა მოულოდნელად მისი ხმა და ისე შერცხვა საკუთარი ცრემლების, სასწრაფოდ ხეზე აცოცდა;

7. დილით [...] საომარი აბჯარი ჩაიცვა და მეფის ბრძანებით დამზადებული ჩაფხუტიც მოართვეს;

9. რაც დრო გადის, ნადირს უფრო ემსგავსები, ვიდრე [...];

10. რას დარბის იარაღით ხელში, დაეტიოს სახლში, ოჯახი შექმნას, შვილებს მიხედოს...

ხოლო გარეგნული აღწერები, სიჯიუტე და სიმხდალე კი მდედრობით სქესს:

6. – შენ აქ დამელოდე, მემოვიყვან! – მტკიცედ უთხრა მეგობარს, რადგან იცოდა, რომ [.....] მიტოვებული სახლის ეშინოდა;

8. ასეთი უშიშარი და თამამი რომ იყო, ზოგი ძალიან აქებდა, მაგრამ იყვნენ ისეთებიც, ვინც ბრაზობდა: [...] ნაზი და მორჩილი უნდა იყოს, ასეთი თავის ნათქვამა, ჯიბრიანი და შეუვალი არასდროს ყოფილან [...] და ეს რა გაჩნდა ასეთიო...

11. [....] is a [...] by birth and an adventurer by a spirit. [...] spends [...] days practicing archery, riding [...] horse, and exploring the world around [...]. [...] loves [...] family, but [...] wants to control [...] own destiny;

12. [...] was beautiful, but [...] was proud and arrogant, and [...] could not stand it if anyone might surpass [...],

13. [...] skin was as soft and tender as a rose petal, and [...] eyes were as blue as the deep sea;

15. [...] grew up a bright and brilliant [...], with striking red hair and a fiery temper).

მეორე სამიზნე ჯგუფის მიერ კითხვარზე გაცემული პასუხების ანალიზი მოცემულია ქვემოთ მოყვანილ სქემებში:

Fig 19. მონაწილეთა მიერ გაცემული პასუხები




Fig 20. ქალების მიერ გაცემული პასუხები





Fig 21. კაცების მიერ გაცემული პასუხები



საინტერესოა, რომ მიღებული პასუხების დამუშავებისა და ანალიზის შედეგად გამოიკვეთა სტერეოტიპული აზროვნების ერთგვაროვნება როგორც სქესის, ისე ასაკის მიხედვით, იქნება ეს 8 თუ 87 წლის ადამიანი.

უფრო კონკრეტულად, კვლევის მონაწილეებს, როგორც მდედრობითი, ისე მამრობითი სქესის წარმომადგენლებს, მიაჩნიათ, რომ ზღაპრებში ძალისა და ღონის აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულები ან/და ეპითეტები უფრო მეტად მამრობით სქესს შეესაბამება. კერძოდ, კითხვარში ცალკეულ კითხვაზე არჩეულ პასუხს მონაწილეები შემდეგი არგუმენტებით ასაბუთებენ: „დათვთან მოჭიდავე მდედრობითი სქესის წარმომადგენელი არსად შემხვედრია“; „ფიზიკური ძალის დემონსტრირებამ, სიძლიერემ [მიმანიშნა],- რაც ზღაპრებში ასოცირდება მამაკაცთან“, „ზღაპრებში ასეთი თვისებებითა და შესაძლებლობებით მხოლოდ მამრობითი სქესის პერსონაჟს ახასიათებენ. თანაც, ასეთი ძალის მფლობელნი ძირითადად

მამრობითი სქესის პირები არიან (ღონიერ ფალავნებს ამარცხებს.. დათვს ეჭიდება)". მეორე მხრივ, ამ სამიზნე ჯგუფის ზოგიერთი მონაწილე აღნიშნავს, რომ მათთვის ძლიერ და მებრძოლ ადამიანთან ქალი ასოცირდება: „მდედრობითი სქესი ასოცირდება ჩემთვის ასეთ [ძლიერ] ადამიანთან", ზოგიც კი წინადადების სინტაქსური მახასიათებლების, წყობისა და სემანტიკის გაანალიზებით მივიდა სწორ პასუხამდე. კერძოდ, მათ აღნიშნეს, რომ სიტყვა „ზოგიერთი" მნიშვნელოვანია, რაც ხაზს უსვამს, რომ ეს ამონარიდი ქალს ეხება, რადგანაც სიძლიერე მამაკაცის ზოგადი მარკერია და მისი აღწერისას, სიტყვა „ზოგიერთის" გამოყენება აღარ არის საჭირო.

გამოკითხულთა უმრავლესობა ასევე აღნიშნავს, რომ ბრძოლა და საბრძოლო აღჭურვილობის ტარება ზღაპრებში მხოლოდ კაცების პრეროგატივაა, შესაბამისად, უმეტესობა (153-13) ბრძოლაში მიმავალ პერსონაჟს მამაკაცად აღიქვამს: „მებრძოლი ქალების პრეცედენტი ცოტაა", „ომში ძირითადად მამაკაცები მიდიოდნენ. რა თქმა უნდა, იყვნენ ქალებიც, მაგრამ ძირითადად მამაკაცები იბრძოდნენ", „ომი და აბჯარი კაცს უფრო შეეფერება. მეომარი ქალები იშვიათია და, მით უმეტეს, მძიმე აბჯარასხმული". თუმცაღა კვლევის 13 მონაწილე აღნიშნავს, რომ, რადგან მეფემ პერსონაჟისთვის საგანგებოდ დაამზადებინა ჩაფხუტი და აბჯარი, მათი აზრით, პერსონაჟი სწორედ რომ ქალია, მიუხედავად იმისა, რომ ძველად მებრძოლი ქალი ცოტა თუ იყო: „მეფის ბრძანებით, ქალისთვის დაამზადებდნენ აბჯარს, მამაკაცის აბჯარს არ სჭირდება მეფის ბრძანება", „ჩავთვალე, რომ მეფემ ჩაფხუტი ამიტომაც შეუკვეთა, რომ ქალია". ერთმა მონაწილემ კი მართებულად აღნიშნა, რომ ზღაპარი შეიძლება მაია წყნეთელზე იყოს.

საინტერესოა მეორე, მესამე და მეცხრე კითხვების პასუხები, ამ შემთხვევაში კველევაში მონაწილეთა პასუხები თანაბრად გადანაწილდა. ეს შეკითხვებია:

2. დევის ნატეხი ხარო -ეტყვის ხოლმე ბებო – უტეხი და ჯიუტი ხასიათი გაქვსო.

3. ეს ალმასი შენი ძალა იქნება. იცოდე, რომ [...] ბევრი რამ შეუძლიათ, მთავარია, შენი ღონე სწორად გამოიყენო...

9. რაც დრო გადის, ნადირს უფრო ემსგავსები, ვიდრე [...]

გამოკითხულთა ნაწილს მიაჩნია, რომ ლექსიკური ერთეული „დევი" და „ნადირი" ან მამრობითი სქესისაა ან ცალსახად მამრობით სქესს მიემართება, შესაბამისად, უფრო მამაკაცს აღწერს. მათი აზრით, ქალის ეპითეტად ავტორი უფრო „დევქალას" ან „ქაჯს" გამოიყენებდა: „გოგოები უფრო ქაჯებს ვემსგავსებით ხოლმე [ვიდრე ნადირებს]", „დევი მამაკაცია ქართულ ზღაპრებში. ქალთან, ალბათ, დევქალა იქნებოდა", „ნადირი" ხშირად უხეში და უზრდელი მამაკაცის ეპითეტია". მონაწილეთა აზრი ორად გაიყო იმასთან დაკავშირებით, თუ ვისთვისაა უფრო დამახასიათებელი სიჯიუტე – მამაკაცისა თუ ქალისთვის. ბევრი მდედრობითი სქესის წარმომადგენელი იმასაც აღნიშნავს, რომ ბებია მათ სწორედ ასე აღწერს – უტეხსა და ჯიუტს („ხშირად მეუბნება ბებია", „დაახლოებით იმავეს მეუბნებოდა საკუთარი ბებიაც"). ზოგიერთმა რესპონდენტმა ყურადღება გაამახვილა სიტყვაზე „ნატეხი", მათი აზრით, ეს ლექსიკური ერთეული ქალის პატარა აღნაგობას უკავშირდება და ეხმიანება ზემოთ აღნიშნულ და განხილულ სიტყვას "little" – „ქალის პრინციპულობა და „ნატეხი ხარო" თითქოს ციცქნა არსებაა, უმეტესწილად ქალთან ასოცირდება მსგავსი ფრაზა". საყურადსაღებოა მესამე კითხვის პასუხებიც, როდესაც მონაწილეები აღნიშნავენ, რომ ბრილიანტი (ალმასი) გოგონას საუკეთესო მეგობარია, ან ის ფაქტი, რომ პერსონაჟს ალმასი სიძლიერისთვის გადასცეს, ცალსახად მიანიშნებს იმაზე, რომ იგი გოგონაა. აქვე, ეს მონაწილეები პასუხს შემდეგი არგუმენტით ამყარებენ: ბიჭს ღონე ბუნებრივად აქვს და მას ალმასის დახმარება არ დასჭირდებოდა: „ის, რომ ალმასი ძალას აძლევს, მიმანიშნებს, რომ თითქოს ქალი უნდა იყოს, რადგან ჩათვლილია, რომ ქალი ძლიერი არ არის..." თუმცა, როგორც მეცხრამეტე ცხრილშია მოცემული, მონაწილეთა უმეტესობა, მიუხედავად უკვე განხილული ელემენტებისა, სიჯიუტესა და ძალას მაინც მამრობით სქესის პერსონაჟებს მიაწერს: „არც

კი მახსენდება ზღაპარი მამაც და ძლიერ გოგონებზე", „სირთულეების დაძლევა ზღაპებში ძირითადად კაცებს უნევს", „ღონე ზღაპრებში თითქმის ყველა შემთხვევაში მამაკაცთან ასოცირდება", „როგორც წესი, საგმირო საქმეები ზღაპრებში მამრობითი სქესის საქმეა", „ალბათ ქალმა აჩუქა ჭაბუკს ალმასი, ისევ და ისევ ზღაპრებში ქალებს ხშირად აქვთ წვდომა მაგიასთან და ზებუნებრივ ძალებთან", „ნადირი" გოგონასთან არ გამოიყენება".

„სიმხდალე" ექსპერიმენტის მონაწილეების საკმაოდ დიდი რაოდენობისთვის (92 პასუხი) ქალისთვის დამახასიათებელი მარკერია:

6. შენ აქ დამელოდე, მე მოვიყვან! – მტკიცედ უთხრა მეგობარს, რადგან იცოდა, რომ [.....] მიტოვებული სახლის ეშინოდა;

კერძოდ, მე-6 შეკითხვასთან დაკავშირებით, ცდის პირთა უმეტესობა მიიჩნევს, რომ ზღაპრებში არსებობს სტერეოტიპი, რომ გოგონები მშიშარა და დაუცველი არსებები არიან: „[მიმანიშნა] სტერეოტიპებმა გოგოებზე ზღაპრებში, როგორც მშიშარა დაუცველ არსებებზე", „მდედრობითი სქესის წამომადგენლებს, ვფიქრობ, უფრო ეშინიათ მიტოვებული სახლების", „ზღაპრებში ქალი ყოველთვის სუსტია", „ქალი მშიშარააა". თუმცა, როგორც ზოგიერთი აღნიშნავს, მშიშარა ბიჭიც შეიძლება იყოს, მაგრამ ჭკვიანი ქალი თავს ისე აჩვენებს, თითქოს კაცები შეუპოვრები არიან: „კაცები მშიშრები არიან და არ აღიარებენ არასდროს. ამიტომ ქალები სოლიდარობის მიზნით ისე იქცევიან, თითქოს იციან, რომ კაცებს არ ეშინიათ".

განსხვავებული პასუხები ფიქსირდება ცრემლებსა და სტერეოტიპულ აზროვნებასთან დაკავშირებით (აქა ხარ? შენთან ვიყავი სახლში, გეძებდი. – მოესმა მოულოდნელად მისი ხმა და ისე შერცხვა საკუთარი ცრემლების, სასწრაფოდ ხეზე აცოცდა). იმ მონაწილეებმა, რომლებმაც სტერეოტიპულად გაიაზრეს ეს ამონარიდი, ცრემლებისა და ტირილისადმი გამოხატული სირცხვილი ბიჭებს მიაწერეს: „კაცები ხომ არ ტირიან", „არ ვიცი, რატომ, მაგრამ ზოგადად მამაკაცებს რცხვენიათ ცრე-

მლების", „კაცები არასდროს ტირიან", „ბიჭები არ ტირიან! ასე იზრდებიან ჩვენთან", „ცრემლის ჩვენების, ალბათ, კაცს უფრო რცხვენია". გარდა ამისა, ხეზე ცოცვაც, უმეტესობამ ბიჭისთვის უფრო დამახასიათებელ მოქმედებად ჩათვალა: „გოგონებს ნაკლებად ახასიათებთ ხეზე ცოცვა. უფრო ოთახში დამალვით შემოიფარგლებიან". ეს პასუხი ძალზედ საინტერესოა, რადგანაც პირდაპირ ეხმიანება ნაშრომში ჩატარებულ და ზემოთ აღწერილ კვლევას, რომლის მიხედვითაც, გოგონები უფრო პასიურები არიან, ხოლო კაცები – უფრო აქტიურები. გარდა ამისა, გოგონები ზღაპრებში უფრო საოჯახო სივცესთან არიან გაიგივებული, ხოლო მამაკაცები – ნაკლებად არიან დაკავებული საშინაო საქმეებით. საინტერესოა, რომ მათ, ვინც უგულებელყო სიტყვა „სირცხვილი" და ყურადღება მხოლოდ ცრემლებზე გაამახვილა, ეს თვისება ქალის სტერეოტიპულ მახასიათებლად მიიჩნიეს: „უფრო მდედრობითი სქესი, რადგან შეგრძნება დამრჩა, რომ ძალიან ემოციურად აჰყვა გრძნობებს პერსონაჟი და შემდეგ შერცხვა, მეც ბევრჯერ დამმართნია და ალბათ ამიტომ მივამგვანე", „ცრემლები, სისუსტე, მორიდება ახასიათებს მდედრობით სქესს", „საზოგადოებაში გავრცელებული თვალსაზრისით და, ასევე, ფაქტების გათვალისწინებით ქალები უფრო დრამატულნი არიან და უსაზღვროდ ღვრიან ცრემლებს, კაცებთან შედარებით. თუმცა, რა თქმა უნდა, ტირილს სქესი არ გააჩნია, ჩემი აზრით, მაგრამ რატომღაც მდედრობითის ასოციაცია გამიჩნდა ამ შემთხვევაში".

სილამაზეზე ხაზგასმა, გარეგნული აღწერები, კვლევის მონაწილეთა აზრით, ქალი პერსონაჟისთვისაა დამახასიათებელი:

11. [....] is a [...] by birth and an adventurer by a spirit. [...] spends [...] days practicing archery, riding [...] horse, and exploring the world around [...]. [...] loves [...] family, but [...] wants to control [...] own destiny;

12. [...] was beautiful, but [...] was proud and arrogant, and [...] could not stand it if anyone might surpass [...],

13. [...] skin was as soft and tender as a rose petal, and [...] eyes were as blue as the deep sea;

15. [...] grew up a bright and brilliant [...], with striking red hair and a fiery temper).

კვლევის მონაწილეები, როგორც მდედრობითი, ისე მამრობითი სქესის წარმომადგენლები, ცალსახად აღნიშნავენ, რომ გარეგნულ მხარეზე აქცენტი უფრო მდედრობითი სქესის პერსონაჟის აღწერისას ისმის: „მამრობითი სქესის სილამაზეს იშვიათად თუ აღნიშნავენ...", „სიტყვა beautiful [მიმანიშნებს, რომ ქალია]", „ლამაზი – ამ ზედსართავით გოგოებს უფრო ახასიათებენ", „დამკვიდრებული ტერმინოლოგიით, ლამაზი ითქმის ქალზე, პლუს, სტერეოტიპების მიხედვით, გარეგნობასთან დაკავშირებული ჯიბრი და კონკურენცია ქალებს ახასიათებთ", „beautiful, but [...] was proud and arrogant უფრო ქალისთვის დამახასიათებელი მხატვრული შედარებებია".

პასუხის არჩევისას, რესპონდენტები ითვალისწინებენ ავტორის ლინგვისტურ არჩევანსაც. მათი აზრით, „ლამაზი" უფრო ქალთან დაკავშირებული ეპითეტია, ხოლო სიმპათიური მამაკაცის – „კაცზე რომ ყოფილიყო მიმართული handsome იქნებოდა", "man is handsome not beautiful", „სიტყვა beautiful ქალის ასოციაციას აღძრავს, კაცის შემთხვევაში იქნებიდა სიტყვა handsome", „ლამაზი და ამაყი პერსონაჟები ზღაპრებში, ძირითადად, მდედრობითი სქესის არიან", „ავტორს რომ ნდომებოდა, მამრობითი სქესის პერსონაჟის დადებითი მხარეების ჩვენება, ლამაზის ნაცვლად 'მამაცს და ძლიერს' დაწერდა".

ვარდსა და ზღვასთან შედარებამ (13. [...] skin was as soft and tender as a rose petal, and [...] eyes were as blue as the deep sea) და ჟღალმა თმამ კვლევის მონაწილეები მიახვედრა, რომ ავტორი ქალზე საუბრობდა. როგორც მათ აღნიშნეს, ასეთი ეპითეტებით მხოლოდ ქალს თუ შეამკობდნენ: „რბილი კანი და სხვა ასეთი რომანტიკული სიტყვებით ქალებს აფასებენ", „ალბათ სასურველია, რომ უფრო ქალზე იყოს ამ შემთხვევაში საუბარი, რადგან ნაზ კანზეა საუბარი", „რა თქმა უნდა მდედრობითი, რადგან ასეთი ეპითეტებით მამაკაცებს იშვიათად თუ ამკობენ",

„მამრობითი პერსონაჟის დეტალური აღწერა არ არის საჭირო პერსონაჟისთვის სიღრმის შესაქმნელად და ამონარიდში გარეგნულ ფაქტორებზეა ფოკუსი“. თუმცა, ზოგიერთმა აღნიშნა, რომ ეს მონაკვეთი მამაკაცსაც შეიძლება აღწერდეს, რადგანაც მათ აღწერისას დორიან გრეი წარმოიდგინეს, ან დააფიქსირეს ის აზრი, რომ ქალებიც აკვირდებიან მამაკაცის გარეგნობას და მათ სწორედ რომ ასეთი იდეალური პარტნიორი სურთ: „ქალებიც აკვირდებიან კაცების გარეგნულ იერს“, „განაპირობა ჩემმა იდეალისტური პარტნიორის ამორჩევის სურვილმა“.

ცალკე განხილვის საფუძველს იძლევა ის ფაქტი, რომ კვლევის ზოგიერთი მონაწილე აღნიშნავს, რომ როდესაც ინგლისურენოვან ზღაპრის ამონარიდებს კითხულობს, ჰგონია, რომ მათში უფრო მეტი სტერეოტიპული აზროვნების რღვევა უნდა ჩანდეს, შესაბამისად, მიაჩნიათ, რომ ისეთი მახასიათებლები, რომლებიც აშკარად მამაკაცურია (riding a horse, archery, fiery temper, etc.), შეიძლება ქალსაც აღნიშნავდეს: „ინგლისურენოვან ნაწარმოებებში გენდერული სტერეოტიპების რღვევისა მეტი მოლოდინი მიჩნდება“, თუმცაღა, როგორც ზემოთ განხილულმა კვლევამ აჩვენა, ევროპული და ინგლისურენოვანი ზღაპრებიც საკმაოდ სტერეოტიპული ღირებულებების ამსახველია. გამოკითხულთა უმრავლესობამ დიდი ყურადღება მიაქცია, ასევე, პერსონაჟის სურვილს, აკონტროლოს საკუთარი ბედი. ეს, მათი აზრით, ქალისთვისაა დამახასიათებელი, რადგანაც სწორედ ქალს არ აქვს საკუთარი ბედისწერის მართვის საშუალება: „ქალს ექნებოდა ოცნებად ქცეული საკუთარი ბედის მართვა, რადგან ზღაპრებში ხშირად მათ საკუთარი სურვილის საწინააღმდეგოდ აქორწინებენ“, „იდეალურად ერგება ამ ამონარიდს გამოტოვებულ ადგილებში მდედრობითი სქესის მოაზრება. ზღაპრებში მხოლოდ ქალს შეიძლება უნდოდეს საკუთარი ბედის კონტროლი. მხოლოდ ის არის დაბადებით ქალი, სულით კი მამაკაცი/მებრძოლი“, „ქალზე ვიტყვით დამატებით, რომ სულით თავგადასავლების მაძიებელია (კაცი დაბადებიდანვე ასოცირდება თავგადასავლების მაძიებელთან), ასევე, ძველთაგანვე ქალს სურდა გამხდარიყო თავისი ბედისწერის

მმართველი (ანუ დამოუკიდებელი), კაცთან დაკავშირებული „მაგრამ“ არ არის საჭირო (but [...] wants to control [...] own destiny. *), „to control and own destiny მამაკაცებს ყოველთვის ყველაფრის უფლებას აძლევენ. ქალებს კი ხშირად ბრძოლა გვიწევს ბედნიერებისთვის“, „განაგებდე საკუთარ ბედს მენიშნა; ალბათ მიიჩნევა, რომ კაცი უფრო იოლად განაგებს საკუთარ ბედს და უფრო თავისუფალია არჩევანში; რადგან აქ ხაზგასმა არის გაკეთებული, ალბათ ქალი უფრო იგულისხმება“.

გამოკითხულთა თითქმის უმრავლესობამ (162-4), სინაზე და მორჩილება (8. ასეთი უშიშარი და თამამი რომ იყო, ზოგი ძალიან აქებდა, მაგრამ იყვნენ ისეთებიც, ვინც ბრაზობდა: [...] ნაზი და მორჩილი უნდა იყოს, ასეთი თავის ნათქვამა, ჯიბრიანი და შეუვალი არასდროს ყოფილან [...] და ეს რა გაჩნდა ასეთიო...) ქალის მახასიათებლად მიიჩნია. მათი აზრით, ქალის და მორჩილების სურვილი ზღაპარშიც აქტიურად ჩანს: „თამამი ქალი მიუღებელია ზღაპრებში, რადგან ქალი ნაზია და სუსტი“, „გოგოებს ყოველთვის საყვედურობენ, როდესაც ‘გოგოსთვის შეუფერებლად’ იქცევიან“, „ცალსახად მდედრობითი, სტერეოტიპული ხედვის თანახმად, გოგო ნაზი, მორჩილი და დამყოლი უნდა იყოს“, „პერსონაჟის ან საზოგადოების უმეტესობა მოითხოვს, რომ იყოს მისი სქესის სხვა წარმომადგენლების მსგავსად ნაზი და მორჩილი, ნაცვლად უშიშარისა და თამამისა. პერსონაჟის საქციელსა და ხასიათზე მსგავსი შეხედულებები ლოგიკურად მიუთითებს იმაზე, რომ ეს პერსონაჟი მდედრობითი სქესისაა“. რესპონდენტების უმრავლესობამ აღნიშნა, რომ სინაზესთან ერთად მორჩილება ქალის ერთ-ერთ უმთავრეს მარკერად შეიძლება ჩაითვალოს, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმ გავრცელებულ აზრს, რომ ქალი კაცის საკუთრებაა, ის უნდა იყოს მორჩილი, ხოლო ის, ვინც ამ მახასიათებლებს ვერ ერგება, საზოგადოება განიკითხავს და ზემოდან უყურებს.


აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია მეათე კითხვამ – „რას დარბის იარაღით ხელში, დაეტიოს სახლში, ოჯახი შექმნას, შვილებს მიხედოს...“. ამ კითხვაზე პასუხების ანალიზისას კვლევისას ცხადი გახდა, რომ მონაწილეებმა სხვადასხვა

ასპექტს მიაქციეს ყურადღება – მათი აზრით, ზოგადად, სახლში ჯდომა ქალის საქმეა, მაგრამ ოჯახის მოვლა (სავარაუდოდ, იგულისხმება ფინანსური მხარდაჭერა) და შვილების „მიხედვა“ (ანუ ფინანსური უზრუნველყოფა) მათ უფრო მამაკაცის მოვალეობად მიაჩნიათ: „ოჯახს კაცი უვლის“. მონაწილეებმა ასევე „საეჭვოდ“ მიიჩნიეს ფრაზის „ოჯახი შექმნა“ ქალთან დაკავშირება, რომელიც, მათი აზრით, უფრო კაცზე „ითქმის“ – „ოჯახის შექმნას, ძირითადად, მამაკაცს აძალებენ ხოლმე“. გარდა ამისა, „იარაღით სირბილი“ უფრო კაცისთვის მისაღებ საქციელად მიაჩნიათ, თუმცა აქვე აღნიშნავენ, რომ, „რადგან მწვავე კრიტიკაა გამოთქმული, ალბათ, იარაღით სიარულისთვის ქალს უფრო გააკრიტიკებდნენ, ვიდრე კაცს, თან ბავშვების მოვლაზეც არის ხაზი გასმული და ეს უკანასკნელი ძირითადად ქალების მოვალეობა იყო“, „ზღაპრებში არასოდეს ლანძღავენ მამრობითი სქესის პერსონაჟებს იარაღის ხმარების გამო. შესაბამისად, ეს პერსონაჟი მდედრობითი სქესისაა“. მიუხედავად ყველაფრისა, გამოკითხულთათვის ძალზედ დამაბნეველი აღმოჩნდა სხვადასხვა სქესისთვის დამახასიათებელი მარკერების ერთ წინადადებაში გაერთიანება, და უმრავლესობამ (97-69) მაინც მიუთითა, რომ ზღაპრის ეს ამონარიდი კაცს შეესაბამება.

შეჯამების სახით უნდა ითქვას, რომ მეორე კვლევაში მონაწილე 166-მა ადამიანმა ცალსახად გამოავლინა გენდერული როლებისადმი სტერეოტიპული დამოკიდებულება. კვლევის მონაწილეთაგან 23 იყო მამაკაცი, ხოლო 143-მდედრობითი სქესის წარმომადგენელი; კვლევაში მონაწილეების ასაკი, როგორც აღვნიშნეთ, მოიცავდა 8-დან 87 წლამდე თითქმის ყველა ასაკობრივ ჯგუფს. მიუხედავად იმისა, რომ დასმული კითხვების უმრავლესობის პასუხი გოგონასთან დაკავშირებული უნდა ყოფილიყო (ამონარიდში ამოღებული იყო არსებითი სახელები, საკუთრი სახელები თუ პირის ნაცვალსახელები, რომლებიც მიანიშნებდა მონაწილის სქესს) ექსპერიმენტის მონაწილეებმა, განურჩევლად მათი სქესისა თუ ასაკისა, გავრცელებული

მამაკაცური თუ ქალური სტერეოტიპებიდან გამომდინარე, აარჩიეს პასუხები. მაგალთად, ცნებები „სილამაზე", „სინაზე" და მათი გამომხატველი ლინგვისტური ერთეულები ქალისთვის დამახასიათებელ მარკერად აღიქვეს, ხოლო იარაღი, ბრძოლა და ცრემლების, ტირილის სურვილის დამალვა და სირცხვილი – მამაკაცებისთვის დამახასიათებელ ელემენტებად. აშკარაა, რომ სტერეოტიპული დამოკიდებულება გენდერული როლებისადმი დღემდე მწვავედ დგას საზოგადოებაში. ამას მოწმობს ისიც, რომ ცდის მონაწილე 8 წლის ბავშვიც კი უკვე მოქცეულია ამ გავლენის ქვეშ. შესაბამისად, სოციუმი და ასევე ზღაპარი, რომელიც ცალსახად აირეკლავს საზოგადოების მდგომარეობას და არის სოციალური მოვლენა, დიდ როლს ასრულებს ბავშვის და, შემდგომ ზრდასრული ადამიანის აზროვნების ჩამოყალიბებაში.

Fig. 22 კვლევაში მონაწილეთა ქვეყნები



კვლევა-ექსპერიმენტის მესამე ეტაპზე გამოვკითხეთ უცხოელი სტუდენტები და პროფესორები. ამ ეტაპის მიზანი იყო ჩვენთვის მნიშვნელოვანი მომენტი -შეგვესწავლა ის კულტურული განხვავებები, რომლებიც შეიძლება გამოვლენილიყო სხვა კულტურებში. მცირემასშტაბიან კვლევა-ექსპერიმენტში

მონაწილეობა მიიღო 15-მა ადამიანმა, უფრო კონკრეტულად კი, ლაიდენისა და ჰაიდელბერგის საერთაშორისო უნივერსიტეტების სტუდენტებმა და პროფესორებმა, რომელთაგანაც ათია ნიდერლანდელი, ორი – იტალიელი და თითო – ბელგიელი, ბულგარელი და რუსი. გამოკითხულთაგან 12 მდედრობითი სქესის წარმომადგენელია, 2 მამაკაცი, ხოლო ერთმა თავი შეიკავა სქესის დაფიქსირებისგან (კვლევის შედეგებიდან ამოღებულია მისი პასუხები, რადგანაც მან ასევე არ გასცა კითხვებს სრული პასუხები). რაც შეეხება ასაკობრივ ჯგუფს, კვლევაში მონაწილეები 22-დან 61 წლამდე ასაკობრივ ზღვარს მოიცავენ.

ეს კვლევა-ექსპერიმენტი შედგენილია იმავე პრინციპით, რომლითაც წინა კითხვარები, იმ განსხვავებით, რომ ითარგმნა ქართული ამონარიდები. მასში შედის რვა შეკითხვა, რომლებზეც კვლევის მონაწილეები ანონიმურად პასუხობენ, შემდეგ კი კომენტარის სახით ასაბუთებენ თავიანთ არჩევანს. ამონარიდები ამოღებულია როგორც ინგლისურენოვანი ზღაპრებიდან, ისე ჩვენ მიერ ინგლისურად ნათარგმნი ქართული ზღაპრების ამონარიდებიდან. ქართული ზღაპრების ჩართვა კითხვარში მიზნად ისახავდა პასუხს კითხვაზე, არსებობს თუ არა ქართული კულტურული სტერეოტიპები, რომლებიც სხვა ევროპული კულტურის ჩვენ მიერ გამოკითხული წარმომადგენლებისთვის გაუგებარი ან უმნიშვნელო ჩანს. აღსანიშნავია, რომ წინა ექსპერიმენტის მსგავსად, ამ კითხვარშიც ყველა კითხვა აღწერს გოგონას, თუმცა პასუხები განსხვავდება იმისდა მიხედვით, თუ რა სემანტიკური სტერეოტიპული ელემენტებია გადმოცემული. უფრო კონკრეტულად, თუ ამონარიდში ჩანს პერსონაჟის საოჯახო სფეროსთან დაკავშირების მომენტი ან სტერეოტიპულად ფემინინური ელემენტები (კითხვები 1, 2, 5) — რესპონდენტების უმეტესობა აღნიშნავს, რომ ის გოგონას მიემართება, ხოლო კითხვებს, რომლებიც აღწერენ ბრძოლასა და საბრძოლო ატრიბუტიკას, ან ტიპურ მამაკაცურ ქცევებს (კითხვები- 3, 4, 6, 7, 8), გამოკითხულთა უმრავლესობა უკავშირებს ბიჭებს.

Fig 23. უცხოელ გამოკითხულთა საერთო პასუხები




Fig. 24. ქალების მიერ გაცემული პასუხები





Fig 25. კაცების მიერ გაცემული პასუხები



ცხრილებში თვალნათლივ ჩანს ის სტერეოტიპული დამოკიდებულება ქალისა და კაცის როლის მიმართ, რომელიც ფესვგადგმულია არა მხოლოდ ქართულ, არამედ ევროპულ საზოგადოებაშიც. აღსანიშნავია, რომ ექსპერიმენტში მონაწილეებმა იციან ამ სტერეოტიპების შესახებ და აღიარებენ, რომ, მიუხედავად თავიანთი პროგრესული მიდგომებისა საზოგადოებაში არსებული გენდერული როლებისადმი, არჩევანის წინაშე, ისინი მაინც სტერეოტიპულად ფიქრობენ – "I feel like a man would knock/bang on the door rather than use a knocker. But that's very stereotypical obviously"; "I still think of men when I read armour." მეტიც, ერთ-ერთი კვლევის მონაწილე ბოდიშსაც იხდის, რადგან ის ცალსახად ასახელებს ქალს, როგორც ადამიანს, რომლის ადგილიც სამზარეულოშია.

„კონკიადან" ამოღებული ფრაზა "You [...] belong in the kitchen" – გამოკითხულთა უმრავლესობას (13-1) მიაჩნია, რომ ქალს ეხება, რადგანაც ეს ფრაზა ძირითადად მხოლოდ ქა-

ლთან დაკავშირებით აქვთ მოსმენილი: "I have heard this said mostly about women", "my German teacher used to say this", "Most fairytales I know have females in the kitchen (maids, the mother, etc)". მეტიც, ერთ-ერთ ჰოლანდიელ სტუდენტს საკუთარი აზრის გასამყარებლად ჰოლანდიური გამონათქვამიც მოჰყავს არგუმენტად, რომელიც ქალის როლს უკიდურესად აკნინებს და მის ერთადერთ უფლებად სამზარეულოში ყოფნას წარმოგვიდგენს ("One Dutch saying roughly translates to: the only right a female has is the kitchen counter"). ერთ-ერთი პასუხის მიხედვით, ტრადიციული ზღაპარი არ არის გათანამედროვებული და, ხშირად, სტერეოტიპული გენდერული როლების გამტარებელია – "Fairytales are not up-to-date with current dynamics and are usually concerned with traditional gender stereotypes. While this is not always bad, this particular instance (kitchen) definitely illustrates one of the reasons behind the feminist movement nowadays and why it is necessary." აღსანიშნავია, რომ ექსპერიმენტის ერთ-ერთი მონაწილე, რომელიც ამ ფრაზას არ არგებს ფემინურ სტერეოტიპს, გოგონაა, რომელსაც არგუმენტად მოჰყავს ის, რომ მისი შეყვარებული ყოველთვის თავად ამზადებს კერძებს: "My boyfriend is the one who always cooks." თუმცა კომეტარებში იგი არ აკონკრეტებს, რომ ეს ფრაზა სტერეოტიპულად ქალს უფრო მიეკუთვნება თუ კაცს, და მხოლოდ საკუთარი გამოცდილებაზე დაყრდნობით სცემს პასუხს.

როგორც აღინიშნა, ექსპერიმენტის მონაწილეებს იარაღთან, ბრძოლასთან დაკავშირებული შინაარსის კითხვები ცალსახად მამაკაცისკენ მიმართულად მიაჩნიათ. მაგალითად, თოთხმეტივე მონაწილემ მიიჩნია, რომ მეოთხე კითხვა (In the morning [...] put on the armour and the king ordered to get [...] the helmet too) ეხება მამაკაცს, რადგანაც რაინდები და შეიარაღებული მებრძოლები ზღაპრებში, და არა მხოლოდ, ძირითადად კაცები არიან, თუ არ ჩავთვლით ვიკინგებს, როდესაც ქალებიც ისევე აქტიურ მონაწილეობენ ბრძოლებში, როგორც მამაკაცები: "Traditionally, armored people are men in the fairytales I know"; "Historical knights are all men. In history, it were usually the men who wore armor and fought the king's battles, not the women

(the only exception might be the Vikings)", "Rarely do we read about women in battle."

მონაწილეებს ასევე მამაკაცურ ქცევებად მიაჩნიათ თავგადასავლების საძებნელად წასვლა თუ დრაკონთან შერკინება: "Men tend to chase the dragons in fairytales", "The second thing I thought of was how in fairytales mostly men were the ones doing the saving", "Being on a quest, adventurous, curiosity as opposed to just keeping safe and to themselves". გარდა ამისა, ისინი მართებულად აღნიშნავენ, რომ ზღაპრებში ნამდვილად ჩანს მამრობითი სქესის პერსონაჟები, რომლებიც ებრძვიან დრაკონებს თუ სხვა ურჩხულებს, არიან უფრო მამაცი, თავგადასავლების მოყვარებული თუ ცნობისმოყვარე, მაშინ, როდესაც გოგონები ძირითადად სახლში რჩებიან და სწორედ მათ გადასარჩენად იბრძვიან მამრობითი პერსონაჟები ასე თავგანწირვით.

როგორც მრავალჯერ აღინიშნა ნაშრომის წინა თავებში, მამრობითი პერსონაჟები ზღაპრებში ბევრად უფრო აქტიურები არიან, ვიდრე გოგონები და ამას ამჩნევენ მკითხველებიც. საინტერესოა ერთ-ერთი პასუხი, რომლის მიხედვითაც კიდევ იკვეთება დამატებითი სტერეოტიპი: "Chasing the dragon makes me think of drugs and I associate drug use more with men", როდესაც ერთ-ერთი მონაწილე აღნიშნავს, რომ დრაკონი მისთვის ზღაპრებში ალეგორიულად წარმოადგენს ნარკოტიკს, რომლის მოხმარება მის წარმოდგენაში უფრო მამაკაცთან ასოცირდება, ვიდრე ქალთან.

საზოგადოებაში ემოციების გამოხატვა, ტირილი ნაკლებად მამაკაცური ქცევებია. როგორც ქართველ საზოგადოებაში, ისე ევროპულშიც ჩანს მამაკაცების მიერ ემოციების ჩახშობისა და შებოჭვის ტენდენცია, შესაბამისად, როდესაც პერსონაჟს რცხვენია საკუთარი ცრემლების და იმალება, მას უმეტესობა (9-5) ბიჭად აღიქვამს: "I think it's less accepted in society for men to show their tears then for women to do so, because women are stereotyped to be the more emotional sex and it's not 'manly' for men to cry or display emotions", "in general males are more likely to be ashamed of emotions to me".

ექსპერიმენტში მონაწილეები თანხმდებიან, რომ ქალები ჭკვიანები არიან, რაც ასევე ეწინააღმდეგება იმ გავრცელებულ აზრს, რომელიც ძველ ქართულ ზღაპრებში ჩანს ქალის გონებრივ შესაძლებლობებთან დაკავშირებით. კარგ მჩევლებად მათ ქალები მიაჩნიათ (6. They also consulted [....] in all these matters, for [...] had excellent ideas, and [...] advice was always good.), თუმცა მათ ზღაპრებში, ასეთ პერსონაჟებად მაინც კაცები ახსენდებათ: "Apart from the Fairy Godmother type of characters, it is usually the wise old man/male animal that character turn to in time of need"; "Could be both actually. Stereotypically, women give better advice (also not true)" – უნდა აღინიშნოს, რომ პასუხის ავტორი, რომელიც, სხვათა შორის, – მდედრობითი სქესის წარმომადგენელია, მიიჩნევს, რომ ქალი არ არის კარგი მრჩეველი. თუმცა, პასუხების უმეტესობაში მაინც დაფიქსირებულია ის მოსაზრება, რომ კაცები ითვლებოდნენ ავტორიტეტებად, შესაბამისად, მეტი ჭკუა სწორედ რომ მათ უფრო მოეკითხებოდათ. აღსანიშნავია, რომ ისტორიულად ქალი ხშირად ძლიერი, თუმცა მეორეხარისხოვანი როლის მატარებელი იყო და მის გონებრივ შესაძლებლობას ნაკლებად აფასებდნენ: "Men in the past were seen as authorities, rational people, women less so"; "I think even in history, women played a big role behind the scenes in giving advice to men. Unfortunately, men received acclaim for a lot of this." ქალის ხმის ჩახშობასა და ჩაჩუმებას უკავშირდება მეხუთე კითხვაც, რომელშიც კონკია ვერ ბედავს, მამას უთხრას სიმართლე დედინაცვალზე, რადგანაც მისი ეშინია. ეს ცალსახად გამოხატავს იმ სტერეოტიპს, რომ ქალი ჩუმად უნდა იტანჯებოდეს; მას მხოლოდ გარეგნული მიმზიდველობა ევალება და, შესაბამისად, ესთეტიკური ტკბობის ინსტრუმენტის როლს ასრულებს კაცის ცხოვრებაში. ქალს უნდა ვხედავდეთ, თუმცა სულ ჩუმად უნდა იყოს: "Because women are often told to suffer in silence and keep quiet, for they should only be seen and not heard."

ლინგვისტური თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა მერვე კითხვა (8. [...] came to a cave with a large door that had a huge knocker on it, took hold of the knocker and banged on the

door). ამ კითხვაზე პასუხის დროს გამოკითხულთა უმრავლესობა აღნიშნავს, რომ ავტორის მიერ შერჩეული ლინგვისტური ერთეულები, მათი აზრით, მამაკაცს უფრო შეეფერება, ვიდრე ქალს. მაგალითად, ავტორის მიერ შემოთავაზებული banged on the door და არა, მაგალითად, knocked მიანიშნებს მკითხველს, რომ ამ მოქმედებას მამაკაცი ასრულებს: "The fact that someone 'banged' on the door, and not knocked. It sounds more masculine." მეტიც, უხეში მოძრაობები და მძიმე და მასიური ინსტრუმენტების გამოყენებაც ზოგისთვის მამაკაცობის საზომიც კი შეიძლება იყოს: "real man handle large tools". ავტორის ენასა და ლინგვისტურ არჩევანს აქცევს ყურადღებას გამოკითხულთა უმრავლესობა მეორე ამონარიდშიც ([....] is a [...] by birth and an adventurer by a spirit. [...] spends [...] days practicing archery, riding [...] horse, and exploring the world around [...]. [...] loves [...] family, but [...] wants to control [...] own destiny), სადაც მათ პასუხს განაპირობებს არა მამაკაცური ქცევები- ჯირითი, ისრის სროლა, პერსონაჟის ცნობისმოყვარე ხასიათი, არამედ ფრაზა – wants to control [...] own destiny – კაცს ნაკლებად უწევს თავისი უფლებების დაცვა, რადგანაც მას ნაკლებად ურღვევენ „თავისუფლების მოპოვება", საკუთარი ბედისწერის წარმართვა კი რთულია ქალისთვის. გარდა ამისა, საინტერესოა დამოკიდებულება, რომ ბიჭის აღწერისას ავტორი ნაკლებად გამოიყენებდა ოჯახს და მისადმი სიყვარულს, რადგანაც, რესპოდენტთა აზრით, ოჯახი და მისი სიყვარული უფრო ქალური მახასიათებელია: "I think archery is not necessarily a male thing to do, Artemis carried a bow and arrow. Loves family... but wants to control _ own destiny" sounds like something you wouldn't say about a man. It would be self-evident that he wants to control his own destiny, also the family wouldn't come up I don't think"; "The 'wants to control _ own destiny' part seems more like female to me; the entire fragment makes me think of the 'Brave' fairytale movie."

შეჯამებისას უნდა აღინიშნოს, რომ მესამე, უცხო კულტურების წარმომადგენლებთან ჩატარებული, კვლევის შედეგით კიდევ ერთხელ დასტურდება, რომ ზღაპარი არის სოციოლი-

ნგვისტური და, იმავდროულად, უნივერსალური მოვლენა. ის ნამდვილად მნიშვნელოვან როლს ასრულებს საზოგადოებაში სტერეოტიპების გავრცელებაში, რადგანაც ნათლად ასახავს იმ სოციალურ მდგომარეობას, რომელიც ამა თუ იმ საზოგადოებას სხვადასხვა პერიოდში აწუხებდა. გარდა ამისა, ზღაპრებში აღწერილია ის უნივერსალური თემები/ სტერეოტიპები, რომლებიც ყველა საზოგადოებისთვის, იქნება ეს ქართული თუ ზოგადად ევროპული, სრულიად გასაგები და თანაბრად პრობლემურია და, ამდენად, ეს თემებიც უნივერსალურ ხასიათს იძენს. არჩევანის დასაბუთებისას ევროპელი რესპონდენტები პირდაპირ ასახელებენ იმ სტერეოტიპებს, რომლებიც უბიძგებთ მათ არჩევანის გაკეთებაში:

1. საზოგადოებაში კაცია ავტორიტეტი, შესაბამისად, ჭკუა, რჩევის მიცემა მისთვის უფრო დამახასიათებელი თვისებებია, ვიდრე ქალისთვის. მიუხედავად იმისა, რომ ისინი გვერდს ვერ უვლიან ქალის გონებრივ შესაძლებლობებსა თუ როლს საზოგადოებაში, პასუხად მაინც მამაკაც პერსონაჟს ირჩევენ.

2. იარაღი, ჯირითი, თავგადასავლების სიყვარული, ცნობისმოყვარეობა მამაკაცური მახასიათებლებია, ქალებს ზღაპრებში (შესაბამისად, ზოგადად საზოგადოებაში) უფრო სახლის სივრცეში ვხედავთ, მათ მოეთხოვებათ, იყვნენ დამჯერნი, ნაკლებად იწუწუნონ და უნდა გაალამაზონ მამაკაცის სამყარო ("seen but not heard").

3. როგორც ქართველ, ისე ევროპელ საზოგადოებაში აშკარად ჩანს მამაკაცის ემოციების მინიმუმამდე შემცირების ტენდენცია. შესაბამისად, ექსპერიმენტის მონაწილეებს მართებულად მიაჩნიათ, რომ პერსონაჟი, რომელიც ცრემლებს მალავს და თან ტირილის რცხვენია, ბიჭი უნდა იყოს. ზღაპარში, როგორც ზემოთ განვიხილეთ, სანდრა, რომელსაც რცხვენია თავისი ცრემლების, მამაკაცური თვისებებით გამოირჩევა („მთისგული").

4. კითხვარის შევსებისას ექსპერიმენტის მონაწილეებმა მნიშვნელოვნად მიიჩნიეს ავტორის ენა და ლინგვისტური არჩევანიც, რომელსაც ისინი გამიზნულად იყენებენ პერსონა-

ჟის პიროვნული თვისებების აღსაწერად. ორივე შემთხვევაში (მულტფილმი „მამაცი" (Brave) და „ქაღალდისკაბიანი პრინცესა") წარმოდგენილია მამაკაცური თვისებების მქონე მდედრობითი სქესის პერსონაჟები, შესაბამისად, ავტორის მიერ არჩეული ლექსიკური ერთეულები, რესპონდენტების აზრით, მიესადაგება უფრო ბიჭ პერსონაჟებს, ვიდრე გოგონებს.

ამრიგად, მონოგრაფიის მეოთხე თავში აღწერილი ექსპერიმენტი ჩატარდა სამ ეტაპად. მასში, სულ, მონაწილეობდა 200 რესპონდენტი, აქედან 33 გამოკითხული მამაკაცია, 166 – ქალი, ხოლო ერთმა თავი შეიკავა სქესის მითითებისგან. კვლევა-ექსპერიმენტებში მონაწილეობდნენ როგორც ქართული, ასევე სხვა კულტურის წარმომადგენლები (ნიდერლანდები, იტალია, ბულგარეთი, ბელგია, რუსეთი), რამაც საშუალება მოგვცა, შეგვედარებინა და შეგვეპირისპირებინა განსხვავებები კულტურულ სტერეოტიპებში, ბუნებრივია, ასეთის არსებობის შემთხვევაში. კვლევის მონაწილეების ასაკი მერყეობდა 8-დან 87-წლამდე, რამაც ხელი შეგვიწყო, დავკვირვებოდით და შეგვესწავლა, არსებობდა თუ არა გენდერული როლებისადმი განსხვავებული დამოკიდებულება სხვადასხვა თაობის რესპოდენტებში. თუმცა, აღმოჩნდა, რომ რვა წლის ბავშვიც ისევე სტერეოტიპულად აზროვნებე, როგორც 87 წლის მოწიფული ადამიანი. გარდა ამისა, კითხვარის პასუხებიდან გამომდინარე, გენდერული როლებისადმი მსგავსი დამოკიდებულება ჩანს კვლევის როგორც მდედრობითი, ისე მამრობითი სქესის მონაწილეებს შორის. აღსანიშნავია ისიც, რომ „შავნაბადას" მოსწავლეებთან ჩატარებულ ინტერვიუებში აშკარაა, გოგონები ცდილობენ დაიცვან თავიანთი როლი საზოგადოებაში, თუმცა ისინიც, გარკვეულწილად მაინც, მოქცეულნი არიან საერთო სტერეოტიპული შეხედულებების ჩარჩოებში.

გენდერული სტერეოტიპების გავრცელების ერთ-ერთ პირველწყაროდ ზღაპარი და ზღაპრის თემატიკაზე დაფუძნებული მულტიპლიკაციური ფილმი შეიძლება ჩაითვალოს, რადგანაც ზღაპარი არის სოციალური მოვლენა, რომელიც პირდაპირ

აირეკლავს საზოგადოებაში არსებულ ბევრ პრობლემას, მათ შორის გენდერული როლების გადანაწილებასაც. ბუნებრივია, როდესაც ბავშვი ეცნობა ზღაპრებს, ის იაზრებს მასში მოცემულ ინფორმაციას და შემდეგ მიღებული ცოდნა გადააქვს და უსადაგებს რეალურ ცხოვრებას. შესაბამისად, მას უყალიბდება ის არაჯანსაღი დამოკიდებულება გენდერული როლებისადმი, რომელიც აღწერილია ზღაპრებში. როგორც კვლევის შედეგებმა აჩვენა:

1. ზღაპრებში მთავარი, აქტიური როლების გადანაწილებაში უპირატესობა ენიჭება მამაკაცს; იგი ზღაპრის ყველაზე მნიშვნელოვანი გმირია, ხოლო ქალი – მეორეხარისხოვანი. როგორც ჩანს, ამას ბავშვები იდეალურად იაზრებენ, რაც მათ უჩენს მოლოდინს, რომ მამაკაცი საზოგადოებაში სოციუმის უფრო მნიშვნელოვანი წევრია, ვიდრე ქალი.

2. გაანალიზებულ ზღაპრებში ქალები წარმოდგენილნი არიან, როგორც უსუსური, პასიური და სუსტი არსებები; მათ სჭირდებათ მამაკაცის მიერ დაცვა, ხოლო ბიჭები გვევლინებიან აქტიურ, ძლიერ და მებრძოლ პერსონაჟებად. ყველა ის კითხვა, რომლებიც ეხებოდა ძალის დემონსტრირებასა თუ ბრძოლას, რესპონდენტების უმრავლესობამ აღიქვა, როგორც მამრობითი სქესისკენ მიმართული.

3. ქალები ზღაპარში ძირითადად ლამაზ ქმნილებებად (ქერა, ცისფერთვალა, თხელ და ტანად არსებებად) გვევლინებიან, რაც სილამაზის სტანდარტებთან დაკავშირებით არაჯანსაღ დამოკიდებულებას უყალიბებს ორივე სქესის წარმომადგენელ ბავშვს. კვლევის მონაწილეებმა სილამაზეზე კონცენტრირებული ამონარიდები, რა თქმა უნდა, მდედრობით სქესს მიაკუთვნეს.

4. ემოციების შებოჭვა ექსპერიმენტის მონაწილეებისთვის მამაკაცისთვისაა დამახასიათებელი, ხოლო ზედმეტი ემოციურობა – ქალისთვის. მართლაც, საზოგადოება ზედმეტად ბოჭავს მამრობითის სქესის წარმომადგენლებს და „უკრძალავს" მათ ემოციების გამოხატვას. ამან მოგვიანებით შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს ადამიანის ფსიქიკაზე.

5. ქალის ხმის ჩახშობა, მისი დამორჩილება ზღაპრისთვის აქტუალური თემაა, რომელიც რესპონდენტებმა, საკუთარი გამოცდილებით, მართებულად, ქალებს მიაკუთვნეს.

აშკარაა, რომ საზოგადოება ცდილობს, სტერეოტიპულ ჩარჩოებში მოაქციოს ორივე სქესის წარმომადგენელი, რომელიც იძულებულია, მიჰყვეს დადგენილ წესებს. ისინი კი, ვინც უარს ამბობენ სტერეოტიპულ აზროვნებაზე, ხშირად ხდებიან საზოგადოებისგან გარიყული წევრები.

მონოგრაფიაში მიღებული დასკვნები ამგვარად შეიძლება წარმოვადგინოთ:

გენდერული როლების ზოგადი აღწერა: ევროპული და ქართული ზღაპრების (შესწავლილი 346 ზღაპრიდან მონოგრაფიაში გაანალიზებულია 46 ზღაპარი) სოციოლინგვისტური და ზოგადკულტურული თვალსაზრისით ანალიზმა ცხადყო, რომ შესწავლილი კულტურების ზღაპრებში თვალნათლივ ჩანს გენდერული როლებისადმი მასკულინური გენდერის დომინანტური, სტერეოტიპული დამოკიდებულება და აირეკლება საზოგადოებაში გამეფებული სოციო-კულტურული სტანდარტები. კერძოდ, ზღაპრებში ქალის გენდერული როლი და ფუნქცია უპირატესად საოჯახო საქმეებთან ასოცირებდა, იგი სოციალურად პასიურია, მეორეხარისხოვანი და მხოლოდ გარეგნული სილამაზის არაჯანსაღი სტანდარტისაკენ მიიღტვის.

ქალისა და მამაკაცის სოციალური ფუნქცია თუ გენდერული როლი სრულიად განსხვავდება ერთმანეთისგან როგორც ევროპულ, ისე ქართულ ზღაპარში. ქალისთვის სტერეოტიპულად დამახასიათებელია სინაზე, დამყოლობა, გასაცდელთან მშვიდად შეგუება, ქარაფშუტობა (თუმცა, რამდენიმე ქართულ ზღაპარში ვხვდებით გამორჩეულად ჭკვიან ქალსაც). სწორედ ასეთი „ზნეკეთილი" ქალი წარმოადგენს იდეალურ ცოლს. შესაბამისად, „უზნეო" ან არადამყოლი ქალი არ არის სასურველი და ქართულ ზღაპრებში სწორედ ასეთ ქალს უსწორდებიან ფიზიკურად, რათა მოარჯულონ და ოჯახისა და საზოგადოებისათვის მისაღებ (ანუ არააქტიურ და ადვილად სამართავ) არსებად აქციონ იგი; ხშირად ჩანს ქალის ხმის ჩახშობის სურვილი, მას ხშირად სჯიან ცნობისმოყვარეობისა თუ გონიერების გამო.

გარდა ამისა, პასიური და დაქვემდებარებული ქალის ცხოვრების გასახალისებლად და მისი ხარისხის გასაუმჯობესებლად აუცილებელია მამაკაცის (პრინცის) დახმარება; უფრო მეტიც, ქალი პერსონაჟის ცხოვრება უინტერესო და ხშირად

აუტანელიც კია, სანამ მას მამაკაცი არ დაიხსნის ამგვარი ყოფისგან.

აღსანიშნავია ისიც, რომ ზღაპრის უარყოფითი ქალი პერსონაჟები მასკულინური თვისებებით ხასიათდებიან (პირდაპირობა, საქმეზე ორიენტირებულობა, ნაკლებად ემპათიურობა) და განსაკუთრებული დაუნდობლობით გამოირჩევიან, რაც განსაზღვრავს მათ აღსაწერად გამოყენებულ უარყოფითი კონოტაციის ლექსიკას. საინტერესოა ისიც, რომ „ბოროტი" ქალი პერსონაჟებიც კი ექცევიან ქალის სტერეოტიპული გენდერული როლების ჩარჩოებში, როდესაც მათ მთავარ ცხოვრებისეულ მისწრაფებად მხოლოდ სილამაზისკენ ლტოლვა მიიჩნევა და არა, მაგალითად, სოციალური ძალაუფლებისკენ ლტოლვა, რაც მხოლოდ მამაკაც პერსონაჟებს ახასიათებთ.

მეორე მხრივ, ასევე თვალნათელია მამაკაცი პერსონაჟების გენდერული როლის აქტიური და უპირატესი სტატუსი საზოგადოებაში. მამაკაცი გმირი სტერეოტიპულად არის მამაცი და ჭკვიანი, მას ხელეწიფება გადაწყვეტილებების მიღება, ახასიათებს ემოციური და მენტალური სტაბილურობა და ზომიერება. იგი არის წარმმართველი ძალა როგორც ოჯახში, ისე საზოგადოებაში. მეტიც, იგი ზღაპრის ყველაზე მნიშვნელოვანი გმირია, ხოლო ქალი – მეორეხარისხოვანი.

აღწერილი მდგომარეობა სავარაუდოდ გამოწვეულია ზღაპრისა და მასში წარმოდგენილი გენდერული პრობლემების უნივერსალურობითა და მსოფლიოში კარგად ცნობილი „მოხეტიალე სიუჟეტებით". ზღაპრებში არეკლილია ის უნივერსალური თემები/ სტერეოტიპები, რომლებიც ყველა საზოგადოებისთვის, იქნება ეს ქართელი თუ ზოგადად ევროპელი, სრულიად გასაგები და თანაბრად პრობლემურია და, ამდენად, ეს თემებიც უნივერსალურ ხასიათს იძენს.

გენდერული როლების ამგვარი სტერეოტიპული გადანაწილება როგორც გოგონებს, ისე ბიჭებს, ასწავლის არაჯანსაღ სტერეოტიპულ მიდგომას ცხოვრებისადმი, კონკრეტულად კი, უჩენს მოლოდინს, რომ მამაკაცი საზოგადოებაში სოციუმის უფრო მნიშვნელოვანი წევრია, ვიდრე ქალი. შესაბამისად, მა-

მაკაცისთვის მართვის სადავეების გადაცემა აუცილებელი და გეგმაზომიერი მოვლენაა.

სოციალური პრობლემების ასახვა ზღაპარში: ზოგადევროპულ და ქართულ ზღაპრებში ხშირად ჩანს სოციალური პრობლემები, რომლებიც ზღაპრის შექმნის პერიოდში კონკრეტულ კულტურაში იყო აქტუალური და ზოგადად ქალის დისკრიმინაციის ინსტრუმენტებად გვევლინება. ეს გამოიხატება ქალის ძალდატანებითი თუ გარიგებით გათხოვებით, ქალის დაბალი სოციალური სტატუსის გამო მაღალი სოციალური წრის მამაკაცის მიერ დაწუნებითა და უგულებელყოფით; ხშირია ქალზე, როგორც საკუთრებაზე ან ნივთზე, საუბარი; გარდა ამისა, ქალთა ხმის მუდმივი ჩახშობა, არაჯანსაღი სილამაზის სტანდარტების დაწესება, თუ ქალების საოჯახო სფეროსთან გაიგივება და მათი მაქსიმალურ შესაძლებლობად თუ მისწრაფებად სარფიანად გათხოვების წარმოჩენა, ზღაპრის სამყაროში ჩვეულებრივ მოვლენად ითვლება.

აღსანიშნავია ქართულ ზღაპრებში წინწამოწეული საზოგადოებრივ ფენებს შორის დაპირისპირების თემაც, რომელიც ნაშრომში განხილულ ევროპულ ზღაპრებში არ შეგხვედრია. თუკი ევროპულ ზღაპრებში ხშირია ბედნიერი დასასრული, დაბალი საზოგადოების წარმომადგენელი გოგონები ზღაპრის ბოლოს მაღალი ფენის წარმომადგენლებს – უფლისწულებს მიჰყვებიან ცოლად, ქართულ ზღაპრებში უფლისწულები თუ მაღალი ფენის საზოგადოების წევრები ხშირად უარს ამბობენ მათზე დაბლა მდგომი სტატუსის მქონე ქალის ცოლად შერთვაზე.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ევროპული ზღაპრებისგან განსხვავებით, ძველ ქართულ ზღაპარში ირიბად, მაგრამ მაინც იკვეთება ტრანსგენდერის/არატრადიციული ორიენტაციის თემაც, რომელიც სრულიად უპრეცედენტო საკითხია არა მხოლოდ ძველ ქართულ, არამედ თანამედროვე ზღაპრებშიც კი. სავარაუდოა, რომ ავტორის მთავარ მიზანს არ წარმოადგენდა ამ თემის აღწერა, მაგრამ ისიც უდავოა, რომ ზღაპარში განხილულია ორი ქალის სასიყვარულო ურთიერთობა. უნდა

აღინიშნოს, რომ ავტორი იმ მონაკვეთში, რომელშიც აღწერს სასიყვარულო ურთიერთობას, ვეზირის შვილს (ანუ ქალს) მოიხსენიებს, როგორც ვაჟს. ეს, სავარაუდოდ, განპირობებულია მისი სურვილით, რომ თამამ თემატიკას ნაკლებად გამოეწვია უარყოფითი ემოციები.

ზღაპრის ენა და ლინგვისტურ-გენდერული მახასიათებლები: ნაშრომში ზოგადევროპული (ფრანგული, გერმანული, იტალიური, ბრიტანული) და ქართული ზღაპრების ენის ლინგვისტური ანალიზისას გამოიკვეთა, რომ ზოგადად ზღაპარი ნაკლებად იყენებს დიალოგურ მეტყველებას და, შესაბამისად, ხშირია, ზღაპრის სპეციფიკიდან გამომდინარე, ავტორისეული გაბმული ნარატივი. ეს მოსალოდნელიც არის, რადგანაც ზღაპრის ენა მისი განსაკუთრებული ფუნქციის გამო a priori მარტივად აღსაქმელი უნდა იყოს. მეორე მხრივ, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ, მიუხედავად თხრობის სიმარტივისა, ზღაპრებში მაინც ვხვდებით საინტერესო სტილისტურ ხერხებს, მაგალითად, ალუზიას, მეტაფორებს, შედარებებს, ირონიას, რომლებიც პატარა მკითხველში კოგნიტიური და ანალიტიკური აზროვნების უნარს ავითარებს.

ქალი პერსონაჟის ან ავტორის მიერ ქალი პერსონაჟის მიმართ გამოყენებული ზმნების ჯგუფი, მამაკაცი პერსონაჟებისგან განსხვავებით, არ არის სემანტიკურად აქტიური ფიზიკური თუ კოგნიტიური პროცესის აღმნიშვნელი და ხშირად, როგორც ვთქვით, ქალის ხმა საერთოდაც დაკარგულია ზღაპრებში. გარდა ამისა, ქალის ქმედებების დახასიათების დროს მოხმობილი არსებითი სახელები თუ ზედსართავები, ჩვეულებრივ, უფრო ქალის საოჯახო სივრცესთან არის დაკავშირებული და მის რომანტიულ/იდეალურ სამყაროს (კაბები, ფეხსაცმლები, მეჯლისები, პრინცები) მიემართება, ხოლო ზედსართავები ძირითადად აღწერს ქალის გარეგნულ მახასიათებლებს და იშვიათად – მის გონებრივ შესაძლებლობებს.

აღსანიშნავია, რომ სხვა ევროპული ზღაპრებისგან (ფრანგული, გერმანული, იტალიური) განსხვავებით, ბრიტანული ზღაპრების სოციოლინგვისტური ანალიზი საშუალებას გვაძ-

ლევს დავასკვნათ, რომ ზოგ ბრიტანულ ზღაპარში ქალები ინტელექტუალურ და მამაც პერსონაჟებად განიხილებიან. ეს აირეკლება ზღაპრის ენაშიც. ამ კულტურის ზღაპარში აქტუალიზებული ლექსიკის ლინგვისტურ-სემანტიკურმა ანალიზმა ცხადყო, რომ ქალი პერსონაჟები აქტიური პროცესის აღმნიშვნელი სემანტიკის ზმნებით ხასიათდებიან. ეს ეხება როგორც ფიზიკურ, ისე გონებრივ აქტივობას. მეორე მხრივ, ზოგადი ანალიზიდან თვალნათლივ იკვეთება, რომ ბრიტანული კულტურის ზღაპრებშიც აირეკლება ქალისა და მისი ზოგადი სოციალური როლის მიმართ სტერეოტიპული დამოკიდებულება, რაც გულისხმობს იმას, რომ, მამაკაცი პერსონაჟებისგან განსხვავებით, ქალი პერსონაჟების აღწერისას განსაკუთრებულად ხაზგასმულია მათი გარეგნობა. გარდა ამისა, პერსონაჟების გარეგნული მხარე ამ კულტურაშიც დაკავშირებულია მათ როლთან – ლამაზი და ახალგაზრდა პერსონაჟები, როგორც წესი, დადებითი კონოტაციის ლექსიკით არიან წარმოჩენილი, ხოლო მახინჯი და მოხუცი – უარყოფითი კონოტაციის მქონე ლინგვისტური ხერხებით ხასიათდებიან. მეორე მხრივ, არც ბრიტანულ ზღაპარში გამოირჩევა ქალი სტაბილური გონებამახვილობითა და ინტელექტით, რადგანაც მამრობითი სქესის ბრიყვი წარმომადგენელიც კი ჭკვიან ქალზე გონებამახვილი და მოხერხებულია;

რაც შეეხება ქართულ ზღაპრებს, აქაც ქალი პერსონაჟები ტრადიციულად პასიურები არიან, ხოლო მამაკაცი პერსონაჟები – უფრო აქტიურნი. შესაბამისად, ქალები პასიური სემანტიკის ზმნებით აღიწერებიან, ხოლო მამაკაცები – აქტიური პროცესის აღმნიშვნელი ზმნებით და დადებითი კონოტაციის ლექსიკით. მეორე მხრივ, ქალი პერსონაჟის დახასიათების დროს მხოლოდ მაშინ გამოიყენება აქტიური პროცესის აღმნიშვნელი ზმნები, როდესაც მას მასკულინური თვისებები აქვს (ასეთ შემთხვევებში ისინი ან მამაკაცის როლს ირგებენ, ან ქალისთვის „შეუფერებლად“ კარგი ინტელექტუალური მონაცემებით გამოირჩევიან). აქვე აღვნიშნავთ, რომ ქართულ ზღაპრებში ჭკვიანი ქალი მხოლოდ იქამდეა სასურველი, სანამ ის

მამაკაცის გონებრივ შესაძლებლობებს არ დაჯაბნის. მეტიც, ხშირად ჩანს ქალის ინდივიდუალური და სოციალური ხმის ჩახშობის სურვილი, როდესაც ჭკვიან ქალს არ უჯერებენ ან სჯიან მხოლოდ ინტელექტუალური მონაცემების გამო.

გარკვეულ გამონაკლისად შეიძლება ჩავთვალოთ ის, რომ ზოგადად, ქართულ ზღაპარში არ ჩანს ქალის გარეგნულ მხარეზე ისეთი მკვეთრი ხაზგასმა, როგორიც შეინიშნება ევროპულ ზღაპრებში. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ ქართულ ზღაპრებში ვხვდებით გმირთა მწირ პორტრეტებს. თუმცა, თუ მაინც ჩნდება გმირის გარეგნობის აღწერა, ევროპული ზღაპრებისგან განსხვავებით, ქართულ ზღაპრებში უფრო ხშირად მამაკაცი გმირის გარეგნობის აღწერას ვხვდებით.

აღსანიშნავია, რომ ზღაპრები, რომლებიც, გავრცელებული აზრით, ბავშვებისთვისაა შექმნილი, ლინგვისტური და შინაარსობრივი თვალსაზრისით ხშირად ნაკლებად შეესაბამება ამ ასაკობრივ ჯგუფს. მაგალითად, აღიწერება ისეთი მოვლენები, როგორებიცაა ძალადობა, გაუპატიურება. ავტორის ენობრივი არჩევანი, გარდა აღწერილი თავისებურებებისა, ავლენს არქაულ ლექსიკასაც. მაგალითად, ქართულ ზღაპრებში ხშირია ძველქართული, მოძველებული ლექსიკური ერთეულების გამოყენება, რომლებიც პატარა მკითხველისთვის გაუგებარი შეიძლება იყოს.

თანამედროვე ქართული (ლიტერატურული) ზღაპარი: ძველი ქართული ზღაპრებისგან განსხვავებით, თანამედროვე ქართული ზღაპრის ყველა ქალი გმირი სრულიად უპირისპირდება ტრადიციულ ზღაპრის გმირს. ზღაპრებში წარმოდგენილი ძლიერი ქალი პერსონაჟები სრულიად უგულებელყოფენ საზოგადოების აზრს, რითაც, ბუნებრივია, ამ უკანასკნელის უკმაყოფილებას იწვევენ. თანამედროვე ზღაპრებში თვალნათლივაა წარმოჩენილი ბრძოლა იმ გენდერული სტერეოტიპების წინააღმდეგ, რომელთა წინაშეც დღემდე დგას ქართველი საზოგადოება. მეტიც, თითოეულ ზღაპარში დასახელებულია ის თემა, რომელიც წინა საუკუნეების ზღაპრის ტრადიციულ ნარატივად

ითვლებოდა და ნაჩვენებია მის წინააღმდეგ გაბრძოლება. ეს ვლინდება არა მარტო გმირების ქცევისა და მოქმედებების აღწერისას გამოყენებული ლინგვისტური ერთეულებით, არამედ თვით გმირების მეტყველების თავისებურებებითაც: ქალი პერსონაჟები აღარ საუბრობენ პასიური ზმნებით, არამედ ავტორები მათ აღსაწერად და ასალაპარაკებლად იყენებენ აქტიური ფიზიკური თუ გონებრივი პროცესის გამომხატველ ზმნებს, ისინი იოლად იღებენ გადაწყვეტილებებს, აქვთ თავიანთი ნების გამოხატვისა და განხორციელების სურვილი და შესაძლებლობები. შეიძლება ითქვას, რომ ქართულ თანამედროვე ზღაპრებში ქალი პერსონაჟები იმდენად ძლიერები არიან, რომ აღარ სჭირდებათ მამაკაცის მიერ დაცვა, მეტიც, მათ თავად ხელეწიფებათ მამრობითი სქესის წარმომადგენლების გამოსარჩლება; გოგონები უკვე ინტერესდებიან ისეთი არატრადიციულად ფემინური პროფესიით, როგორიცაა, მაგალითად, მფრინავი. ქალი აღარაა დაკავშირებული მხოლოდ ოჯახთან, მას ბევრად მეტი ამბიცია გაუჩნდა. თანამედროვე ქართული ზღაპარი მნიშვნელოვანია არა მხოლოდ გოგონების პოზიციიდან, რადგან წინ წამოიწია განსხვავებულმა მასკულინურმა მამაკაცმა პერსონაჟებმა, რომლებსაც უკვე აქვთ „უფლება", გამოხატონ შიში, გაუბედაობა თუ სხვა, ტრადიციულად მამაკაცური ემოცია, შეუძლიათ, დაუფარავად იტირონ კიდეც. ასევე, მამაკაცი პერსონაჟიც კი შეიძლება იყოს ფიზიკურად სუსტი. ბუნებრივია, ყოველივე ეს სოციალური როლებისადმი ბევრად უფრო ჯანსაღ მიდგომასა და დამოიკიდებულებას ასწავლის როგორც გოგონას, ისე ბიჭს.

ჩატარებული ექსპერიმენტების შედეგად გამოვლინდა, რომ კვლევის მონაწილეები კარგად იცნობენ საზოგადოებაში არსებულ გენდერულ სტერეოტიპებს. აღსანიშნია, რომ საქართველოში ჩატარებულ კვლევაში მონაწილება მიიღო 200-მა ადამიანმა, უფრო კონკრეტულად, 8 წლიდან 87 წლამდე ასაკის ორივე სქესის წარმომადგენელმა, რამაც საშუალება მოგვცა დაგვენახა უფრო მასშტაბური სურათი, რომელიც არც თუ ისე

სახარბიელოა – ბავშვსაც კი ისეთივე სტერეოტიპული აზროვნება აქვს, როგორიც 87 წლის ასაკის ადამიანს. ამას ადასტურებს როგორც კითხვარის პასუხების ანალიზი, ისე გიმნაზია „შავნაბადას“ სკოლის მოსწავლეებთან ჩატარებული ინტერვიუები. საინტერესოა, რომ ერთი და იგივე ბავშვები, კითხვარში ასახული პასუხების მიხედვით, უფრო შებოჭილად და სტერეოტიპულად აზროვნებდნენ, ვიდრე დისკუსიის დროს. გოგონები ზღაპრის განხილვისას თვალნათლივ ცდილობდნენ, ბიჭებს დაპირისპირებოდნენ და დაეძლიათ ის სტერეოტიპები, რომლებიც მათ საკმაოდ ბევრ შეზღუდვას უწესებს, მაგრამ კითხვარის შევსებისას მათ აქტიურ, მამაც პერსონაჟს მაინც ბიჭებთან აკავშირებდნენ.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ზღაპრებში წამოჭრილი სტერეოტიპები თანაბრად გასაგები და პრობლემურია როგორც ქართველი, ისე უცხოელი რესპონდენტებისთვის, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ზღაპრისა და გენდერული თემატიკის უნივერსალურობას. როგორც ქართველი, ისე უცხოელი კვლევის მონაწილეების პასუხებიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ:

როგორც ქართველ, ისე ევროპელ საზოგადოებაში აშკარად ჩანს მამაკაცის ემოციების მინიმუმამდე შემცირების ტენდენცია, საზოგადოება თითქოს „უკრძალავს“ მამაკაცს ემოციების გამოხატვას. შესაბამისად, ემოციების შებოჭვა ექსპერიმენტის მონაწილე მამაკაცისთვისაა დამახასიათებელი, ხოლო ზედმეტი ემოციურობა – ქალისთვის.

აღსანიშნავია კითხვარის მონაწილეების ლინგვისტური შეხედულებები- კითხვებზე პასუხისას ექსპერიმენტის მონაწილეებმა მნიშვნელოვნად მიიჩნიეს ავტორის ენა და ლინგვისტური არჩევანიც, რომელსაც ისინი გამიზნულად იყენებენ პერსონაჟის პიროვნული თვისებების აღსაწერად. ორივე შემთხვევაში (მულტფილმი „მამაცი“ (Brave) და „ქაღალდისკაბიანი პრინცესა“) წარმოდგენილია მამაკაცური თვისებების მქონე მდედრობითი სქესის პერსონაჟები, შესაბამისად, ავტორის

მიერ არჩეული ლექსიკური ერთეულები, რესპონდენტების აზრით, მიესადაგება უფრო ბიჭ პერსონაჟებს, ვიდრე გოგონებს.

როგორც ვხედავთ, ზღაპრებში წარმოდგენილი სტერეოტიპები პირდაპირ და ზუსტად მიეწოდება მკითხველს, განურჩევლად მისი ასაკისა თუ კულტურული კუთვნილებისა. ზღაპრები აუცილებელია ბავშვის გონებრივი განვითარებისთვის, თუმცა მასში წინწამოწეული თემატიკა საფრთხეს უქმნის ბავშვის სწორი აზროვნების ჩამოყალიბებას, კონკრეტულად კი უყალიბებს მას არაჯანსაღ დამოკიდებულებას როგორც გენდერული როლებისადმი, ასევე გარეგნული სილამაზის სტანდარტებისადმი. შესაბამისად, აუცილებელია თანამედროვე, უფრო კორექტული და რეალისტური ზღაპრების პოპულარიზაცია, რომელშიც უფრო პროგრესული კუთხიდან არის დანახული ქალისა და მამაკაცის როლები, რომლებიც უფრო მეტად ერგება თანამედროვე საზოგადოებასა და აზროვნების მოდელს. თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ძველი ზღაპრები სრულიად უნდა უგულებელვყოთ, რადგანაც ისინი საზოგადოების სოციალური მოდელის განვითარების ისტორიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნაწილად გვევლინებიან და აირეკლავენ გასული საუკუნეების საზოგადოებაში დამკვიდრებული ცხოვრების წესებსა თუ ურთიერთობების კულტურას. სანაცვლოდ, შესაძლებელია ტრადიციული ზღაპრების ბავშვებისთვის ისე მიწოდება, რომ მათ შეპირისპირებითი ანალიზის მეშვეობით თავადვე დაასკვნან, რომ ქალის როლი არ შემოიფარგლება მხოლოდ დედობით, დიასახლისობითა და მამაკაცის თვალის ტკბობით, არამედ მას ბევრად მეტის შეთავაზება შეუძლია საზოგადოებისთვის.

გამოყენებული ლიტერატურა

პირველადი წყაროები

ღლონტი, ალ. (1974). ანანა. გვ. 118-120. გამომცემლობა „განათლება“.

ღლონტი, ალ. (1974). ვაჟად ქცეული ქალი. გვ. 169-178. გამომცემლობა „განათლება“.

ღლონტი, ალ. (1974). ვინც საქმე გააკეთა, პურიც იმანა ჭამოს. გვ. 203-206. გამომცემლობა „განათლება“.

ღლონტი, ალ. (1974). ზნიანი ქალი. გვ. 214. გამომცემლობა „განათლება“.

ღლონტი, ალ. (1974). მენახირის ქალი. გვ. 349-351. გამომცემლობა „განათლება“.

ღლონტი, ალ. (1974). მზექალა და მზევარდა. გვ. 162-168. გამომცემლობა „განათლება“.

ღლონტი, ალ. (1974). ოქრუა. გვ. 328-332. გამომცემლობა „განათლება“.

ღლონტი, ალ. (1974). პატარძალი. გვ. 325 გამომცემლობა „განათლება“.

ღლონტი, ალ. (1974). რძალ-მაზლის ამბავი. გვ. 364-365. გამომცემლობა „განათლება“.

ღლონტი, ალ. (1974). ტყუილი ტირილი. გვ. 348-349. გამომცემლობა „განათლება“.

